

0826 ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ნატავან მამედოვა

საქართველოსა და აზერბაიჯანის  
ეკონომიკური თანამშრომალობის  
პრიორიტეტები

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ეკონომიკის დოქტორის (PhD in Economics) აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

სპეციალობა – მსოფლიო ეკონომიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელი ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი გიორგი დოლონაძე



თბილისი-2009

## გ ი ნ ა ა რ ს 0

შესავალი	3
I თავი. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური	
თანამშრომლობის ფანამძღვრები და ობიექტური საფუძვლები	10
I.1. ლიტერატურის მიმოხილვა	10
I.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის მიზეზები და	
თეორიული საფუძვლები	13
I.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამედროვე	
ეკონომიკური მდგომარეობა	34
I.4. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის	
სამართლებრივი საფუძვლები	57
II თავი. საქართველო და აზერბაიჯანი გლობალურ ეკონომიკურ	
სისტემაში	62
II.1. საქართველოსა და აზერბაიჯანის ადგილი და როლი მსოფლიო	
სამეცნიერ სისტემაში	62
II.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის ბიზნეს-გარემოს	
დახასიათება	68
II.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთაშორისო	
კონკურენტუნარიანობა	83
III თავი. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური	
თანამშრომლობა ეკონომიკის პრიორეტიტეტულ სფეროებში	94
III.1. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ვაჭრობის	
სფეროში	94
III.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა	
ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში	115
III.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ტურიზმის	
სფეროში	129
III.4. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის	
განვითარების პერსპექტივები	150
დასპენა	177
გამოყენებული ლიტერატურა	190

## შ ე ს ა გ ა ლ ი

თემის აქტუალურობა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანი მსოფლიო ეკონომიკის სრულუფლებიანი სუბიექტები გახდნენ და საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩაერთვნენ. პოსტსაბჭოთა სიკრცეში მიმდინარე ცვლილებებმა განაპირობა მათი საგარეო პოლიტიკის ახალ ჭრილში განხილვის აუცილებლობა. სუვერენულ სახელმწიფოთა საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შეიქმნა მართვის ახალი ორგანოები და ინსტიტუტები, ჩამოყალიბდა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მართვის თანამედროვე სისტემა. ორივე სახელმწიფომ პარტნიორული ურთიერთობები მრავალ ქვეყანასთან დაამყარა და განვითარების მთავარ გზად მსოფლიო და რეგიონულ სამეურნეო სტრუქტურებში ინტეგრაცია აირჩია.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დამყარებული სამეურნეო კავშირების გაწყვეტის შემდეგ, მან ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა. საქართველოსათვის აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორია და პირიქით: აზერბაიჯანი საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრებს. ამასთან, ქვეყანათა ორმხრივმა ურთიერთობამ თვისებრივი ცვლილებები განიცადა: იგი საბაზო ეკონომიკის პრინციპებსა და ლიბერალურ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას დაეფუძნა, რომელშიც მთავარი ადგილი თანასწორუფლებიანობამ, ეკონომიკურმა მიზანშეწონილობამ და სარგებლიანობამ დაიკავა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკურმა თანამშრომლობამ განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. მის გააქტიურებას მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების შექმნამ შეუწყო ხელი. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 18 ნოემბერს დამყარდა. ორივე ქვეყნის ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციალურ-კულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიკვეთა თანამშრომლობის ისეთი სფეროები, როგორებიცა: კასპისა და შუა აზიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება, აზიის სატრანსპორტო დერეფნის სრული დატვირთვით ამოქმედება და დიდი აბრეშუმის გზის პროექტის რეალიზაცია, ვაჟრობა, ტურიზმი და ა.შ. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური კავშირების

განვითარების ფაქტორთა რიცხვი საკმაოდ დიდია და ორი ქვეყნის პარტნიორული ურთიერთობების გრძელვადიან პერსპექტივებს განაპირობებს, ხოლო მრავალდარგოვანი კავშირების პოზიციიდან, ეს თანამშრომლობა ობიექტურად აუცილებელია. ორი ქვეყანის თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი აქტუალური და პერსპექტივულია გეოპოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული და სხვა თვალსაზრისით.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის აქტუალურობას განაპირობებს, აგრეთვე, მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგავლენის ზრდა. ახალი გლობალური მსოფლიო წესრიგის დამყარებისა და რეგიონული ინტეგრაციის გამოყენების შესაძლებლობები განსაკუთრებით მკაფიოდ კაგებასის რეგიონში გამოიკვეთა. გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით სამხრეთი კავკასია, რომელშიც ორივე ქვეყანა შედის, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა და უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით მიმზიდველი გახდა. ამაზე მეტყველებს რეგიონის ირგვლივ ამჟამად შექმნილი სიტუაცია, განსაკუთრებით კი 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის საომარი მოქმედებები.

ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პირობებში პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სფეროები ღრმა ცვლილებებს განიცდიან. ეროვნული და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიოში მიმდინარეობს სხვადასხვა ძალების გადაჯგუფება. ამის გამო მსოფლიოში სხვადასხვა ინტენსიურობის 10-მდე კონფლიქტია აღნიშნული. აქედან 2 საქართველოსა და 1 აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოდის. შესაბამისად, ორივე ქვეყანას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა გააჩნია. ამასთან ერთად, ინტეგრაციული პროცესების გაფართოების შედეგად თანამედროვე ეტაპზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკების ფორმირება და მათი შემდგომი განვითარება საგარეო ფაქტორებთან და უმნიშვნელოვანების მიზანთ თანამშრომლობასთანაა დაკავშირებული. ჩვენი აზრით, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დამყარებული კავშირები ამ ქვეყნების მდგრადი განვითარების ფუნდამენტად უნდა განვიხილოთ.

გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალი სუვერენული სახელმწიფოების ფორმირება, დამოუკიდებელი სახელმწიფოების საგარეო ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე

პროცესებისა და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მსოფლიო მეურნეობაში მათი სრულფასოვანი ჩართვა, საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის არსებული პოტენციალის შეფასება, ამ თანამშრომლობის თანამედროვე ტენდენციებისა და პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა, ჩვენი აზრით, მეცნიერულ გააზრებასა და სპეციალურ კვლევებს საჭიროებს. სწორედ აღნიშნული განაპირობებს მოცემული კვლევის აქტუალურობას.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტი შესწავლილი აქვთ ქართველ და უცხოელ მეცნიერებს: თ. ბერიძეს, შ. გაჯიევს, ე. ისმაილოვს, ე. ლეკაშვილს, მ. მაქსოვს, ვ. პაპავას, ლ. უორდანაშვილს, გ. უფუნიას, თ. ჩიკვაიძეს, ნ. ჭითანავას და სხვებს. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ ენაზე პირველი კომპლექსური გამოკვლევა “საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან რეფორმირების პირობებში (1991-1997 წლები)” გაპეტებული აქვს ე. ლეკაშვილს, მაგრამ იგი არ მოიცავს ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა სფეროებს. ამიტომ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში კვლევისა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები და წინადადებები აქტუალური იქნება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ისინი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და მდგრად განვითარებას.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** სადისერტაციო კვლევის მიზანია საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური შესწავლა, სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, მისი გაღრმავებისა და მდგრადი განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

- საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის წანამდღვრების, ობიექტური საფუძვლების და გეოპოლიტიკური ფაქტორების შესწავლა;
- საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი და ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა;
- საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზის შესწავლა;

- გლობალურ ეკონომიკაში საქართველოსა და აზერბაიჯანის ადგილისა და როლის შეფასება;
- საქართველოსა და აზერბაიჯანის ბიზნეს-გარემოს დახასიათება;
- საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ანალიზი;
- ბიზნესის პრიორიტეტულ სფეროებში საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის არსებული მდგრადი მდგრადი შესწავლა და მისი გაღრმავების შესაძლებლობების გამოვლენა;
- გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრადი განვითარების რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ობიექტი.** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ის სფეროები, რომლებიც ორივე ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურება.

**კვლევის საგანი.** სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგაჭრო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, ტურისტული და სხვა კავშირები, რომელთა გაღრმავება ხელს შეუწყობს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში ამ ქვეყნების პოზიციების განმტკიცებას, აგრეთვა მათი რეალიზაციის მექანიზმები და სახელმწიფოთა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მოქმედი ფაქტორები.

**კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა.** სადისერტაციო კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზაა კლასიკური და თანამედროვე ეკონომიკური კონცეფციები, აზერბაიჯანელი, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. პარადიგმულ ასპექტში კვლევის მეთოდოლოგიური ბაზა ეფუძნება ნეოლიბერალიზმს, აგრეთვა ინტეგრაციული თანამშრომლობის პლურალისტულ და ინსტიტუციურ კონცეფციას. კვლევის მეთოდური აპარატი მოიცავს სისტემური და ფაქტორული ანალიზის, ინდუქციისა და დედუქციის, ისტორიულისა და ლოგიკურის, შედარებისა და სტატისტიკური ანალიზის, გრაფიკული მეთოდებს.

**დისერტაციის საინფორმაციო ბაზა.** კვლევის პროცესში გამოყენებულია მონაცემთა ფართო სპექტრი. ნაშრომის საინფორმაციო ბაზად გამოყენებულია

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საგალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა), საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა, ეკონომიკური განვითარებისა და სხვა სამინისტროების, დსთ-ის სტატისტიკის და სხვა უწყებების მასალები, ინტერნეტი, საინფორმაციო და სამეცნიერო ლიტერატურა.

**მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. სისტემური მიდგომის საფუძველზე კომპლექსურადაა შესწავლილი საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პრობლემა გლობალიზაციისა და სისტემური ტრანსფორმაციის პირობებში;
2. შესწავლილია სახელმწიფოთა თანამშრომლობის თეორიული საფუძვლები და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზები შეიძლება აიხსნას ქვეყანათა მსგავსების თეორიით, აგრეთვე დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და დამოკიდებულების კონცეფციით. აღნიშნულია, რომ უკანასკნელ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორი, რომლის დროსაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ურთიერთმოთხოვნათა საფუძველზე ვითარდებიან.
3. დადგენილია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული სფეროები, განსაზღვრულია მათი განვითარების პერსპექტივები ორმხრივი თანამშრომლობის საფუძველზე და განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინებით, შესწავლილია ამ თანამშრომლობის სამართლებრივი ბაზა;
4. გაანალიზებულია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის ობიექტური საფუძვლები, ორი ქვეწის თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა, მასზე მოქმედი ფაქტორები;
5. შესწავლილია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, დახასიათებულია მათი ბიზნეს-გარემო და გაანალიზებულია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ძირითადი ასპექტები;

6. გაანალიზებულია პრიორიტეტულ სფეროებში (კაჭრობა, ენერგეტიკა და ტრანსპორტი, ტურიზმი) საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის თანამედროვე მდგომარეობა, გამოვლენილია მისი გაღრმავების შესაძლებლობები გლობალიზაციის, რეგიონული ინტეგრაციული პროცესების, გეოპოლიტიკური ფაქტორებისა და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით;
7. დასაბუთებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაციის აუცილებლობა, ნაჩვენებია ინტეგრაციულ პროცესებში კლასტერული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობა, განსაზღვრულია ძლიერი, მდგრადი და პოტენციური კლასტერები;
8. მოცემულია დასკვნები საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრადი განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

**სადისერტაციო კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:** დისერტაცია თეორიული ნაშრომია. მისი პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მისი ზოგიერთი დებულების გამოყენება შესაძლებელია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროების მიერ, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას, აგრეთვე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას. სადისერტაციო ნაშრომის მასალების გამოყენება შეიძლება “მსოფლიო ეკონომიკისა” და “საერთაშორისო ბიზნესის” კურსების შესწავლისას.

**კვლევის შედეგების აპრობაცია.** სადისერტაციო კვლევის ცალკეული მასალები მოხსენებულია შემდეგ კონფერენციებზე:

- The 7th International Conference “Globalization, Liberalization, Informatization and Human Behavior” - ქ. კიოტო (იაპონია), დოშიშას უნივერსიტეტი, 6-7 დეკემბერი, 2008 წ.;
- The 8<sup>th</sup> China International Academic Seminar for Universities – ქ. პეკინი (ჩინეთი), ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, 13-16 ოქტომბერი, 2008 წ.;
- ერველი საერთაშორისო კონფერენცია “Строително предприниачество недвижима собственост” - ქ. ვარნა (ბულგარეთი), ვარნის ეკონომიკური უნივერსიტეტი, 2006, 2007 და 2008 წლები (3 კონფერენცია);

- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში” – თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, 29 ნოემბერი, 2008 წ.;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები” – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 22-24 ოქტომბერი, 2008 წ.;
- Вторая международная научно-практическая конференция “Мотивационное поведение экономических субъектов и их социумов в теории и практике современной жизнедеятельности”, Балтийская государственная академия РФ - д. კალინინგრადი (Россия), 23-25 октября, 2006 г.);
- 1<sup>st</sup> International Conference “Economic Growth 2004” – д. ბაქთ (Азербайджан), 28-29 октября 2004г. სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი, თებერვალი, 2004г.

# I თავი. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის ფანატიკური და ობიექტური საფუძვლები

## I.1. ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაში განხილული თემის გარშემო პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართველი და აზერბაიჯანელი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულია შემდეგი სამეცნიერო შრომები:

**მ.** მაქსოვი. კავკასია. კომპლექსური ანალიზი, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის გზები, გეოპოლიტიკის საკითხები. თბ., 1998, 126 გვ. ნაშრომში კავკასია წარმოდგენილია წინააღმდეგობათა კონგლომერატისა და გეოპოლიტიკური უპირატესობების მქონე რეგიონის სახით, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ძლიერი სახელმწიფოების თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. იგი ეძღვნება “მშვიდობიანი კავკასიის” ინიციატივას, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იყო აღიარებული საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის მთავრობათა საქმიანობაში. “მშვიდობიანი კავკასია” მიჩნეულია ერთგვარ კოდექსად, რომელიც არა მარტო რეგიონულ, არამედ ზოგადსაკაცობრიო დონეზე მისაღებ პრინციპებს შეიცავს. ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების განხილვისას მთავარი დედააზრია კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბებისას რეგიონის ქვეყნების ისტორიული წარსულისა და სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინება.

**ე.** ლეპაშვილი. საქართველოს საგაჭრო ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან რეფორმების პირობებში (1991-1997 წწ.). თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, 102 გვ. ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს საგაჭრო ურთიერთობები აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან. ამიერკავკასიაში ვაჭრობის განვითარების ისტორიული მიმოხილვის ფონზე გაშუქებულია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკური მდგომარეობა პოსტსაბჭოთა რეფორმების პირობებში და მათი საგაჭრო ურთიერთობები 1991-1997 წწ. ამიერკავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების საგაჭრო ურთიერთობების საკითხის განხილვისას მთავარი ყურადღება ეთმობა რეგიონულ დაჯგუფებებსა და პროექტებში მათი თანამშრომლობის გადრმავების შესაძლებლობას. აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან საქართველოს საგაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები განხილულია გეოპოლიტიკური და დემოგრაფიული პრობლემების ჭრილში.

ე. ისმაილოვი, გ. პაპავა. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები. კავკასიის სტრატეგიული პოლიტიკის ინსტიტუტი. თბ., 2007. ნაშრომში გეოპოლიტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. გააზრებულია რეგიონული ინტეგრაციის პროცესები. კავკასიის ინტეგრაციის პრიორიტეტული მიმართულებების რიცხვში განხილულია ისეთი დარგები, როგორებიცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და მისი პროდუქტების სამრეწველო გადამუშავება, ვაჭრობა, გარემოს დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, ტურიზმი და სხვა.

ბარათაშვილი ე., ზარანდია ჭ., ციმინტია კ., საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, თბ., 2008, 205 გვ. ნაშრომში განხილულია საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის საკითხი. მასში თანამიმდევრულადაა წარმოდგენილი: რეგიონის კონკურენტუნარიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რეგიონული თავისებურებანი; რეგიონების განვითარების თანამედროვე ტენდენციები; რეგიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში ფინანსური ინფრასტრუქტურისა და ინოვაციების როლი. სათანადო გაანგარიშებების საფუძველზე მოცემულია საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური ინდექსები და წარმოდგენილია კლასტერების ფორმირების თეორიული საფუძვლები.

ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008. კრებულში თავმოყრილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2008 წლის 29 ნოემბერს ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალები. მოხსენებათა უმეტესობა ეძღვნება ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემებს ცენტრალურ კავკასიაში. განხილული და გაანალიზებულია მისი ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები. განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული გლობალური და ეროვნული ეკონომიკების ურთიერთზემოქმედებაზე, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ძლიერდება და შედეგად ახალი მსოფლიო წესრიგი ყალიბდება.

**Гаджиев К.С., Геополитика Кавказа. 2-е издание, переработанное и дополненное.**  
М., «Международные отношения», 2003, 464 с. ნაშრომში განხილულია კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირების

თავისებურებები და მათი ეკონომიკური განვითარების ტენდენციები; კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური კონცეფციის თავისებურებებები, გაანალიზებულია იდეოლოგიისა და რელიგიის როლი სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში. კავკასიის რეგიონის აქტუალური საკითხები გაშუქებულია ამ რეგიონის პოსტსაბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირების პირობებისა და გეოპოლიტიკური თავისებურებების გათვალისწინებით.

**Беридзе Т., Исмаилов Э., Папава В. Центральный Кавказ и экономика Грузии. Баку, «Нурлан», 2004, 246 с.** ნაშრომში განხილულია კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. ახლებურადად გააზრებული შეხედულებები კავკასიის შესახებ და მოცემულია კავკასიის ახალი განსაზღვრება. ახალი მიდგომის საფუძველზე გაანალიზებულია რეგიონში ინტეგრაციული პროცესების შესაძლო პერსპექტივები. გამოკვეთილია ამ პროცესებში საქართველოს განსაკუთრებული როლი. გაშუქებულია საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გამოცდილება. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლის შეფასებას.

**Гаджиев Ш. Азербайджан на пути к мировому сообществу: стратегия внешнеэкономического развития. Киев, «Експресс-об'ява», 2000, 504 с.** ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების თეორიასა და პრაქტიკას, რომელიც განხილულია აზერბაიჯანის კონკრეტულ მაგალითზე. სისტემური მიდგომის საფუძველზე გამოვლენილია საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი დეტერმინატები, პრინციპები და სტრუქტურული ელემენტები. ნაჩვენებია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ახალი საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების ტრანსფორმაციული თავისებურებები. ნაშრომში გაანალიზებულია აზერბაიჯანის საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების სპეციფიკური ფაქტორები და პირობები, რომლებიც გასათაღისწინებელია ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტების რეალიზაციის დროს.

**Гусейнов В. А. Каспийская нефть. Экономика и geopolитика. — М.: ОЛМА-ПРЕСС, 2002. - 380 с.** ნაშრომში გაანალიზებულია კასპიისპირა სახელმწიფოების სანავთობო პოლიტიკა მათი საერთაშორისო ურთიერთობების, რეგიონში ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციისა და პოსტსაბჭოთა კონფლიქტების ფონზე.

შეფასებულია ტერიტორიული კონფლიქტების მიზეზები და მათი გადაუჭრელობის გამო მიღებული შედეგები. გაშუქებულია რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების მთავარი ასპექტები, აშშ-ს “დიდი თამაში” კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, აგრეთვე რუსეთის პოლიტიკური შეცდომები.

## I.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის მიზეზები და თეორიული საფუძვლები

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საბჭოთა იმპერიის დაშლის ლოგიკური შედეგია, მაგრამ მისი შენარჩუნება არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ორივე ქვეყანაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სეპარატიზმის წინააღმდეგ დამანგრეველ ომში გადაიზარდა, რამაც ქვეყნები მძიმე ეკონომიკურ კრიზისში მოაქცია. ამ კრიზისიდან გამოსვლა ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს და ამიტომ სახელმწიფოთა თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოსათვის აზერბაიჯანი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია. ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება მიზანშეწონილია პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ ორ ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრირებისათვის აუცილებელი ხელსაყრელი ობიექტური წინაპირობები. კერძოდ, მათი თანამშრომლობის პერსპექტივები შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული:

- ორივე სახელმწიფო განეკუთვნება მცირე ქვეყანათა რიცხვს და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაა;
- ეკონომიკური განვითარების დონე და საბაზრო სიმწიფის ხარისხი;
- აქვთ საერთო საზღვარი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები;
- ახასიათებთ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა;
- აქვთ დაახლოებით ერთი და იგივე პრობლემები: ეკონომიკური, პოლიტიკური, ტერიტორიული მთლიანობის და სხვა;

- ერთობლივად მონაწილეობების TRACECA-ს, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის, ბაქო-თბილისი-სუფსის, ბაქო-თბილისი-ერზერუმის, Nabucco-ს, ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტებში;
- გააჩნიათ გეოპოლიტიკური ფაქტორით განმტკიცებული ტრადიციული კონკურენციული მახასიათებლები;
- ისინი არ განიხილებიან კონკურენტ ქვეყნებად და მათი თანამშრომლობა სინერგიულ ეფექტს უზრუნველყოფს;
- ორივე ქვეყანას შეუძლია აქტიური როლის შესრულება რეგიონული ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში;
- მჭიდრო თანამშრომლობით შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებში პოზიციების განმტკიცება;
- ერთობლივი ძალისხმევით შეუძლიათ მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიგრცეში დირსევული ადგილის დამკვიდრება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის ისტორიისა და არსებული სამეცნიერო კავშირების გათვალისწინებით, ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტებულ მიმართულებებად მიგვაჩნია:

- ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები, როგორც თანამშრომლობის ერთ-ერთი უძველესი და, ამასთან, დინამიკური ფორმა;
- თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისათვის და მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით ქვეყნებს აკავშირებს ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტები, როგორებიცაა: ბაქო-თბილისი-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენები, ბაქო-თბილისი-ერზერუმისა და ნაბუკო-ს გაზსადენები, აგრეთვე თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკის სფეროში;
- თანამშრომლობა ტრანსპორტის სფეროში. ორივე ქვეყანა დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტის (TRACECA) და ბაქო-თბილისი-ყარსი სარკინიგზო პროექტის მონაწილეა;
- თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში, რომელიც აბრეშუმის გზის აღდგენასა და ორივე ქვეყნის მდიდარ ტურისტულ პოტენციალს ეფუძნება;
- სამრეწველო-საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, რომელსაც აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის მრეწველობა შეუწყობს ხელს;

- თანამშრომლობა საბანკო-საფინანსო, განათლებისა და მეცნიერების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროებში;
- თანამშრომლობა უნივერსალური და საერთაშორისო ორგანიზაციების, რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების (ბისეკი, სუამი) ჩარჩოებში, აგრეთვე მუდმივი პოლიტიკური დიალოგი ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს, ფაქტობრივად, ყველა სფეროში შეუძლია თანამშრომლობა და ნებისმიერი მათგანი წარმატებული შედეგის მომტანი იქნება, მაგრამ ამჟამად, ჩვენი აზრით, მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ სფეროებზე: როგორებიცაა: ვაჭრობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ტურიზმი. სწორედ ამიტომ ჩვენი ნაშრომის კვლევის ობიექტი ამ სფეროებით შემოიფარგლება.

სახელმწიფოთა თანამშრომლობის სფეროებიდან ისტორიულად ყველაზე განვითარებული ფორმაა საერთაშორისო ვაჭრობა, ამიტომ პირველი თეორიები მისი მიზანშეწონილობის დასაბუთებასთანაა დაკავშირებული. საყოველთაოდ ცნობილია საერთაშორისო ვაჭრობის ისეთი კლასიკური თეორიები, როგორებიცაა: მერკანტილიზმი, აბსოლუტური (ა. სმითის) და შეფარდებითი უპირატესობის (დ. რიკარდოს), პექშერი-ოლინის, პექშერი-ოლინი-სამუელსონის და სხვა თეორიები. თანამედროვე თეორიებიდან აღსანიშნავია მასშტაბის ეფექტის, ტექნოლოგიური უთანაბრობის, სასიცოცხლო ციკლის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის (გ. პორტერის) და სხვა თეორიები.

როგორც ცნობილია, XV-XVIII საუკუნეებში მრავალი ქვეყნის სამეურნეო პოლიტიკის საფუძველი მერკანტილიზმი იყო. მერკანტილისტები მთავარ ყურადღებას უთმობდნენ საგარეო ვაჭრობას, რადგან, მათი აზრით, იგი ქვეყანას აძლევდა უპირატესობის მიღების საშუალებას. ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის დაგროვების მიზნით გამოიყენებოდა მკაცრი ზომები. ამ ეკონომიკურმა პოლიტიკამ მიიღო პროტექციონიზმის სახელმწიფდება. ცალკეული ქვეყნების აქტიური პროტექციონისტული პოლიტიკა იწვევდა უცხოელი პარტნიორების ანალოგიურ რეაქციას. სამრეწველო გადატრიალებისა და მსხვილ მანქანურ წარმოებაზე გადასვლის პირობებში საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებამ, XVIII საუკუნის ბოლოს სტიმული მისცა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებას. პროტექციონიზმის საწინააღმდეგო პოლიტიკის ეკონომიკური

არგუმენტების შედეგად შემუშავდა აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობების თეორიები.

ადამ სმითმა თავის ნაშრომში “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ”<sup>1</sup> ჩამოაყალიბა აბსოლუტური უპირატესობის თეორია, რომლის თანახმად ცალკეულ ქვეყანას კონკრეტული საქონლის უფექტიანად წარმოებისათვის უნდა ჰქონდეს აბსოლუტური უპირატესობა. ამასთან, იგი აღნიშნავდა, რომ ქვეყნის რეალური სიმდიდრე შედგება წარმოებული საქონლისა და მომსახურებისაგან. ა. სმითის თეორიით დიდი ეკონომიკური პოტენციალის (მრავალფეროვანი კლიმატური პირობებისა და ბუნებრივი რესურესების) მქონე ქვეყნები მთელ რიგ უპირატესობებს ფლობენ. ა. სმითის თეორია განავითარა დ. რიკარდომ, რომელმაც თავის ნაშრომში “პოლიტიკური ეკონომიისა და გადასახადების პრინციპები”<sup>2</sup> ჩამოაყალიბა შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ვაჭრობა მომგებიანია აბსოლუტური უპირატესობის არარსებობის პირობებშიც, კონკრეტულად კი მაშინ, როდესაც ქვეყნები სპეციალიზდებიან იმ საქონლით ვაჭრობაზე, რომელთა წარმოებაც მათ სხვა საქონელთან შედარებით ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ.

პროფ. გ. თოდუა თვლის, რომ “შეფარდებითი უპირატესობა მდგრადი განვითარების გარეშე არ არსებობს და, პირიქით, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. ამ ერთიანობაში თუ რომელიმე იქნება აქტიური მხარე, ეს დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური განვითარების თავისებურებებზე”<sup>3</sup>. შესაბამისად, პროფ. გ. თოდუა მიიჩნევს, რომ არსებობს მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი.

დ. რიკარდოს დამსახურებად უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ მან ყოველი ქვეყნისათვის პროდუქტის გაცვლის მიზანშეწონილი ფასის ზონა დაადგინა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მის თეორიაში საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედი მრავალი ფაქტორი არაა გათვალისწინებული. მაგალითად, მას არ უცდია განეხილა გეოგრაფიული ფაქტორი, ერის კულტურის დონე და ა. შ.

<sup>1</sup> სმითი ა. გამოკვლევები ადამიანთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, 1938.

<sup>2</sup> D. Ricardo. On the Principles of Political Economy and Taxation.

<http://www.econlib.org/library/Ricardo/ricP.html>

<sup>3</sup> გ. თოდუა. მდგრადი ეკონომიკისა და შეფარდებითი უპირატესობის ერთიანობის საყოველთაო კანონი. ქ., “ეკონომიკა”, 1996, № 12, გვ. 32

დ. რიკარდოს მიერ დადგენილი პროდუქტის გაცვლის მიზანშეწონილი ფასის ზონის გამოყენებითა და მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე ს. მილმა პროდუქტის ფასი განსაზღვრა და ინტერნაციონალური ღირებულების თეორია ჩამოაყალიბა. ამ თეორიის თანახმად, პროდუქტის გაცვლის ფასი განისაზღვრება ყოველი ქვეყნის მთლიანი ექსპორტით მისი მთლიანი იმპორტის ანაზღაურების შესაძლებლობის შესაბამის დონეზე.

ა. სმითის, დ. რიკარდოსა და ს. მილის მიერ განხორციელებული საგარეო ვაჭრობის ანალიზი ემყარება შრომითი ღირებულების თეორიას, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსები არ აღიარებენ. ამიტომ XX საუკუნის დასაწყისში ე. ჰექშერმა და ბ. ოლინმა ჩამოაყალიბეს წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია, რომლის თანახმად, წარმოებული საქონლის ღირებულება დამოკიდებულია წარმოების 3 ფაქტორის (შრომა, მიწა, კაპიტალი) გამოყენების შედეგად მიღებულ შემოსავალზე. საერთაშორისო გაცვლის მიზეზია წარმოების ფაქტორების ფარდობითი სიუხვე ან ფარდობითი იშვიათობა ანუ საერთაშორისო გაცვლა არის ჭარბი წარმოების ფაქტორების გაცვლა იშვიათ წარმოების ფაქტორებზე.

შეფარდებითი უპირატესობის თეორია მთლიანად ვერ ხსნის ამ უპირატესობის წარმოშობის მექანიზმს. იგი მომდევნო პერიოდში დამუშავდა სხვადასხვა მეცნიერთა გამოკვლევებში, სადაც მრავალგზის დასაბუთებულია, რომ საერთაშორისო გაცვლა ეკონომიკურად სავსებით ხელსაყრელია. იგი იძლევა იმის საშუალებას, რომ ეფექტური გახდეს, როგორც მთელი მსოფლიოს შესაძლებლობები, ასევე ცალკეული ქვეყნების წარმოების ეროვნული ფაქტორებიც ის დროთა განმავლობაში უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორებზე ფასების გათანაბრებას<sup>4</sup>.

წარმოების ფაქტორების განსხვავებული ღირებულება ამა თუ იმ საქონლის წარმოებას იმ ქვეყნაში ასტიმულირებს, სადაც მისი წარმოებისათვის საჭირო ფაქტორები ჭარბი და იაფია. წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორია გააღრმავა პ. სამუელსონმა, რომელმაც ჩამოაყალიბა შემდეგი თეორემა: წარმოების ფაქტორების ერთგვაროვნების, ტექნიკის იდენტურობის, სრულყოფილი კონკურენციისა და საქონლის სრული მობილურობის შემთხვევაში, საერთაშორისო გაცვლა ათანაბრებს წარმოების ფაქტორების ფასს. ამ თეორემას ე. ჰექშერის, ბ. ოლინისა და პ. სამუელსონის გვარების შესაბამისად HOS-თეორემა დაერქვა. HOS-

<sup>4</sup>დ. ძნელაძე. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 1977, გვ. 78

თეორემაში მნიშვნელოვანი გამარტივებებია გამოყენებული, ამიტომ მასში უურადღება არაა გამახვილებული წარმოების ფაქტორების ხარისხზე, მათ კომბინაციაზე, ბაზრის მახასიათებელ მაჩვენებლებზე და ა. შ. აღნიშნულის გამო, შემდგომი კვლევები ამ ფაქტორების გამოყენების კუთხით წარიმართა. მაგალითად, პ. ლეონტიევმა შრომასა და კაპიტალს შორის კავშირების შესწავლისას აღმოაჩინა, რომ აშშ-ს ყველაზე შრომატევადი დარგები ყველაზე იღბლიანი ექსპორტიორები არიან იმ დარგებთან შედარებით, რომლებიც ძირითადად იმპორტული საქონლის კონკურენციას განიცდიან. ვინაიდან აშშ ითვლება კაპიტალის დიდ მფლობელად (შრომით რესურსებთან შედარებით), პ. ლეონტიევის კვლევის შედეგი პარადოქსად იქნა მიჩნეული. ეს პარადოქსი პ. ლეონტიევმა პარტნიორებთან შედარებით მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით ახსნა. მან ჩამოაყალიბა კომპეტენციის თეორია, რომლის თანახმად ქვეყნები უფრო მეტი კვალიფიციური შრომის შემცველი პროდუქტების ექსპორტს ახორციელებენ.

ჰექშერი-ოლინის თეორიის მრავალჯერადი შემოწმებით დადგენილია, რომ ქვეყანათა ნაწილში საერთაშორისო ვაჭრობის აუცილებლობა ამ თეორიას ექვემდებარება, ნაწილში კი ლეონტიევის პარადოქსი მოქმედებს. მაგრამ წარმოების დაახლოებით ერთნაირი ხარჯებისა და წარმოების ფაქტორების დაახლოებით ერთნაირი ფასების შემთხვევაში, საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზის ახსნა საკმაოდ რთულია. ასეთი შემთხვევის ასახესნელად ჩამოყალიბებულია პროდუქტის დიფერენციაციის კონცეფცია, შიდადარგობრივი ფარდობითი უპირატესობების, ქვეყანათა მსგავსობის, შეძენილი უპირატესობებისა და სხვა თეორიები. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის მიზანშეწონილობის ახსნა რომელიმე ერთი თეორიით შეუძლებელია. ამასთან, ეკონომიკურ თეორიის არც ერთი ნაწილი არაა ისეთი წინააღმდეგობრივი, როგორიც საერთაშორისო ვაჭრობის თეორია და პოლიტიკაა.

XX საუკუნის ეკონომიკური აზრი ვითარდებოდა თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმის მომხრეთა დისკუსიების ფონზე. მათ შორის უპირატესობა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს ენიჭებოდა, თუმცა ცალკეულ პერიოდებში (მაგალითად, 1929-1933 წლების დიდი დეპრესიის, I და II მსოფლიო ომების პერიოდებში) პროტექციონიზმს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

XXI საუკუნის დასაწყისში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპმა მყარი პოზიცია დაიმკვიდრა, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისი

გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო რეგულირების (მეტ-ნაკლები ზომით) საკითხი აქტუალურია და მის გარეშე კრიზისის დაძლევა შეუძლებელია.

ნობელის პრემიის ლაურეატის პ. კრუგმანის აზრით, საერთაშორისო გაჭრობის თეორიის საფუძველში ჩადებულია შემდეგი “დიდი იდეები”<sup>5</sup>:

1. შეფარდობითი ხარჯების თეორია;
2. გაჭრობის პირობების განსაზღვრა ურთიერთმოთხოვნის საფუძველზე;
3. წარმოების ფაქტორების სიუხვესა და ინტენსიურობას შორის თანაფარდობა მოვაჭრე ქვეყნებში;
4. კაგშირი შიდა “დეფექტებსა” და საგარეო სავაჭრო პოლიტიკას შორის;
5. მზარდი უკუგებით განპირობებული თავისუფალი სპეციალიზაცია.

აქედან პირველი ორი პუნქტი კლასიკურ თეორიებს მიეკუთვნება. მესამე პუნქტი წარმოდგენილი თეორია შემუშავებულია მეოცე საუკუნის 30-იან წლებში და თანამედროვე საერთაშორისო გაჭრობის საფუძველს წარმოადგენს. მან ფაქტორიგად დ. რიკარდოს ფარდობითი ხარჯების თეორია შეცვალა.

მეოთხე პუნქტი პროტექციონისტული პოლიტიკის არსის მატარებელია. ამ თეორიის თანახმად, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ზომები დასმულ ამოცანებს ვერ წყვეტენ. ამიტომ ბაზრის “შიდა დეფექტების” და “შეცდომების” გამოსასწორებლად, საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ზომების (კერძოდ, საბაჟო ტარიფების) ნაცვლად, მიზანშეწონილია შიდა ზომების (გადასახადები, სუბსიდიები და ა. შ.) გამოყენება.

მეხუთე პუნქტი XX საუკუნის 80-იანი წლებში “გაჭრობის ახალი თეორიის” წარმოშობის საბაბი გახდა. ამასთან, იგი გარკვეულ გაუგებრობასთანაა დაკავშირებული. მზარდი უკუგება, შრომის საერთაშორისო დანაწილების ფაქტორისა და გაჭრობის ერთ-ერთი წყაროს როლში, ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში იყო აღიარებული. ამ ფაქტს ადასტურებს ბ. ოლინის ნაშრომი “რეგიონთაშორისი და საერთაშორისო გაჭრობა”.

XX საუკუნის 40-50-იან წლებში ეკონომიკურ თეორიაში მათემატიკური აპარატის გამოყენება დაიწყეს და ამას საფუძველი პ. სამუელსონმა ჩაუყარა. მან მათემატიკურ ენაზე ჩამოაყალიბა ბ. ოლინისა და მისი მასწავლებლის – ე. პექშერის იდეები. გაურკვეველი მიზეზების გამო, მან არ გაითვალისწინა მზარდი უკუგების არგუმენტი. ეს არგუმენტი შემდგომ განმეორებით პ. კრუგმანმა წამოაყენა. მაგრამ “გაჭრობის ახალი თეორიის” ბუმის დროს, ბ. ოლინისადმი

<sup>5</sup> Александр Куряев. Международная торговля. 26.02.04

მიძღვნილი ლექციის მომზადებისას პ. კრუგმანმა აღმოაჩინა, რომ მზარდი უკუგების ფაქტორის შესახებ პ. ოლინს თავის ნაშრომში ჰქონდა დაწერილი. ამ კუროზთან დაკავშირებით 1999 წელს პ. კრუგმანი წერს<sup>6</sup>: ”ნება მომეცით დავიწყო მაკომპრომენტირებელი აღსარებით: მანამდე, სანამ მე დავიწყებდი ამ სტატიაზე მუშაობას, მე არ წამიკითხავს ოლინის წიგნი “რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა”. მე ვვარაუდობ, რომ ჩემი შემთხვევა არაა რაღაც გამორჩეული: თანამედროვე ეკონომისტებს, რომლებსაც ასწავლეს მკაცრი ფორმალური (მათემატიკური) მოდელების ენაზე აზროვნება, როგორც წესი, არ ყოფნით მოთმინება უფრო მოდუნებული ეპოქების სიტყვიერი მონათხობის წასაკითხად. იმ ზომით, რომლითაც ჩვენ ვინტერესდებით იდეის ისტორიით, ჩვენ ვეყდნობით მთარგმნელებს, ისეთ გარდამავალ ფიგურებს, მაგალითად, როგორიცაა პოლ სამუელსონი, რომლებმაც გამოიტანეს მოდელები მათი წინამორბედების ლიტერატურული ძალისხმევიდან. და ნება მომეცით აღვნიშნო, რომ ოლინის კითხვა ორიგინალში არაა დიდი სიამოვნება: მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მომზადებული ეკონომისტი ჩემში მოუთმენლად ბორგავდა იმ ინტერესით, თუ ავტორი როდის გადავიდოდა საქმის არსზე ანუ მისი გაცისკროვნების იმ ბირთვამდე, რომლის საფუძველზეც იყო შემუშავებული მოდელები”. შესაბამისად, პ. კრუგმანის ამ აღსარებიდან ჩანს, რომ მათემატიკური აზროვნების ეკონომისტები პირველწყაროებს არ იცნობენ და ამის გამო არსებული თეორიების ანალიზის დროს არ ხდება იმის მითითება, რამდენად შეიძლება მცდარი იყოს საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორია, განსაკუთრებით კი ლიბერალური პოლიტიკის დაცვის თვალსაზრისით. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები, როგორც წესი, მუდამ ახორციელებენ მათოვის ხელსაყრელ ეკონომიკურ პოლიტიკას. მათოვის მისაღებია ვაჭრობის თავისუფლების პრინციპების აღიარება, რადგან მან ხელი უნდა შეუწყოს საკუთარი პროდუქციის შეუფერხებელ რეალიზაციას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამუშაო ძალის დასაქმებასა და ეკონომიკურ წინსვლას მათ ქვეყნებში.

ქვეყნების მიერ საგარეო ვაჭრობისაგან მიღებული სარგებელი იწვევს მოხმარების ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებულია ორი ფაქტორით: მოხმარების სტრუქტურის ცვლილებითა და წარმოების სპეციალიზაციით. ყოველ

---

<sup>6</sup> Paul Krugman. Was it all in Olin? (paper for Centennial celebration of Bertil Ohlin, Stockholm). October 1999. <http://web.mit.edu/krugman/www/#slate>

ქვეყანას შეუძლია სარგებლის მიღება საექსპორტო-საიმპორტო სპეციალიზაციისაგან, ნაკლებადტევად წარმოებაში შრომის გამოყენების შედეგად.

საგარეო ვაჭრობისაგან მიღებული სარგებელი ნაწილდება ორიგე ქვეყანაში ფასების (საექსპორტო და საიმპორტო) ცვლილების პირდაპირ პროპორციულად. სწორედ დ. რიკარდოს თეორიამ მისცა ბიძი ისეთი მაჩვენებლის გამოყენებას, როგორიცაა ვაჭრობის პირობები – საექსპორტო და საიმპორტო ფასების თანაფარდობა.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ანალიზის შედეგებით დადგენილია, რომ განვითარებადი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ზე მეტის ცვლილება საგარეო ვაჭრობის პირობებში მიმდინარე ცვლილებებზეა დამოკიდებული<sup>7</sup>. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის შიდა ფასის მიერ სიტუაციაზე საგარეო ვაჭრობის პირობების დამოკიდებულება მკვეთრად მცირდება ექსპორტის დაბალი დივერსიფიკაციისა და მის სტრუქტურაში ნედლეულისა და საწვავის დომინირების შემთხვევაში.

ქვეყანათა დარგობრივი სტრუქტურის განსხვავების გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეულ დანახარჯებს. რ. გერნონის სასიცოცხლო ციკლის თეორიის თანახმად, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე დიდი დანახარჯების მქონე დარგები კონკურენტებისათვის უცნობი ტექნოლოგიით აწარმოებენ სასიცოცხლო ციკლის ადრეულ სტადიაზე მყოფ პროდუქტს. სასიცოცხლო ციკლის შემდგომ სტადიებზე, პროდუქტის წარმოების მასობრივი ხასიათის გამო, მისი გატანა სხვა ქვეყნებში ხდება, რაც მოგების ზრდის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ საქონლის სასიცოცხლო ციკლები თავისი ხანგრძლივობის, სტრუქტურისა და გამოსახვის ფორმების მიხედვით, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ბაზარზე ყოფნის ხანგრძლივობა ერთი საქონლისათვის რამდენჯერმე მეტია ან ნაკლებია სხვა საქონლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ზოგიერთი საქონლის სასიცოცხლო ციკლში საერთოდ არ ფიქსირდება ესა თუ ის ეტაპი, ხოლო ზოგიერთი საქონლისათვის იგი შეიძლება უჩვეულოდ გაწელილი ან შემჭიდროებული იყოს.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიის საფუძველია შეფარდებითი ხარჯები, ანუ იგი, თავისი არსით, დ. რიკარდოს თეორიას ეხმაურება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მასში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული დანახარჯებია გათვალისწინებული.

<sup>7</sup> R. Glower. Growth Without Development. Northwestern Univ. Press. Evanston. III, 1966, p. 6.

შიგა ბაზარზე გამოვლენილი მოთხოვნილების საფუძველზე დამუშავებული ახალი პროდუქტის გასაღებას მისი მწარმოებელი, უპირველესად, თავისი ქვეყნის მსგავს ბაზარზე ცდილობს. ამაში მდგომარეობს ქვეყანათა მსგავსობის თეორიის არსი და რომლის შესაბამისად, განვითარებული ქვეყნების მომხმარებლებს, განვითარებადი ქვეყნების მომხმარებლებისაგან განსხვავებით, მაღალხარისხოვანი და ძვირი საქონლის ყიდვისადმი მეტი მიღრეკილება გააჩნიათ. საწარმოო და სამომხმარებლო საქონლისადმი არსებული მოთხოვნის მსგავსების გამო, ადგილი აქვს საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას.

მართალია, ეს თეორია ძირითადად ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს ეხება, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი სამართლიანია “მსგავსი” განვითარებადი ქვეყნებისადმი. თუ გავავლებთ პარალელებს, ვნახავთ, რომ მსგავსი ეკონომიკური განვითარებისა და გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ქვეყნებს შორის ვაჭრობას, მოსახლეობის მოთხოვნის სტრუქტურასთან ერთად, განაპირობებს შემოსავლის ოდენობის ერთგვაროვნებაც. “მსგავსი ქვეყნების” თეორიაზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, მეტი ყურადღება ექცევა პარტნიორ ქვეყანაში არსებულ პირობებს. თუ განვითარებული ქვეყნები პარტნიორის შეფასებისას უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ისეთ მომენტებს, როგორიცაა სახელმწიფო კონტროლის ხარისხი, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, გარანტირებული მიწოდების წყაროს ძიება, განვითარებად ქვეყნებთან სულ სხვა ფაქტორებს ენიჭება მეტი ყურადღება. მათ შორისაა: გეოფიზიკური მდგომარეობა (სატრანსპორტო ხარჯების შემცირების მიზნით), მსგავსი ისტორიული წარსული (როგორიც აყალიბებს მოთხოვნის განსაზღვრულ სახეს), ჩვევები, ტრადიციები და ა. შ.<sup>8</sup>

ჯ. ვაინერის თეორიის თანახმად<sup>9</sup>, მსოფლიო ვაჭრობა და შრომის საერთაშორისო დანაწილება მომგებიანია ყველა ქვეყნისათვის, ხოლო ფულადი დანახარჯები და ფასები რეალური ხარჯების პროპორციულია. ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა განისაზღვრება წარმოების შეფარდობითი ხარჯების საფუძველზე. დარიბი ქვეყნებისათვის საერთაშორისო ვაჭრობა უფრო მომგებიანია, ვიდრე მდიდარი ქვეყნებისათვის, ამიტომ მათ უარი უნდა თქვან პროტექციონისტულ პოლიტიკაზე. დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელო სუბსიდიები და საექსპორტო პრემიები მრეწველობის ზოგიერთი დარგისათვის.

<sup>8</sup> ე. ლეკაშვილი. საერთაშორისო ვაჭრობის ზოგიერთი თეორიის შესახებ. “ეკონომიკის აქტუალური საკითხები”. (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული) II გამოშვება, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977, გვ. 118

<sup>9</sup> Мировая экономика. Под редакцией Ю.А. Щербинина. М., 2007, с. 195

ჩვეულებრივ, ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაცია ხდება იმ საქონლის მიმართულებით, რომელთა წარმოებისათვის საჭიროა დაახლოებით ერთნაირი რესურსები და მანქანა-მოწყობილობა, ადამიანური რესურსები და ინსტიტუციური გარემო.

ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის გარდა, უკანასკნელ პერიოდში არსებითად იზრდება შეძენილი უპირატესობების როლი, რომელიც ახალი ტექნოლოგიების შემუშავებასა და დანერგვასთანაა დაკავშირებული. შეძენილი უპირატესობების მნიშვნელობა განხილულია ბრიტანელი პროფესორის ჯ. დანინგის მიერ შემუშავებულ ეკლექტიკურ პარადიგმაში<sup>10</sup>. ჯ. დანინგმა გააქციანა ტნკ-ების კვლევის პრინციპულად სხვადასხვა მიღების ცალკეული ელემენტები და დეტერმინანტული ფაქტორების შესაბამისად, გამოყო წარმოების შემდეგი 5 ტიპი:

1. წარმოებები, რომლებიც ვითარდებიან რესურსულ ბაზაზე კაპიტალის, ტექნოლოგიების, დამატებითი აქტივების, ბუნებრივი რესურსების, ინფრასტრუქტურის, ბაზრების ერთობლივი გამოყენების შედეგად;
2. წარმოებები, რომლებიც ვითარდებიან ბაზრის საფუძველზე და რომლებიც ერთობლივად ფლობენ კაპიტალს, ტექნოლოგიებს, ინფორმაციას. ამასთან, ისინი იყენებენ მენეჯმენტსა და ორგანიზაციულ გამოცდილებას, ახორციელებენ რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციას, მოქმედებაში შეჰვავთ ახალი საწარმოო სიმძლავრეები, იღებენ ეკონომიის ეფექტს წარმოების მასშტაბის გაფართოების, მატერიალურ და შრომით რესურსებზე გაწეული დანახარჯების შემცირების, სახელმწიფო პოლიტიკის მასტიმულირებელი დონისძიებების გატარების შედეგად;
3. წარმოებები, რომლებიც ეფუძნება პროდუქტების ან ტექნოლოგიური პროცესების რაციონალურ სპეციალიზაციას. ასეთ წარმოებებში შეხამებულია საერთაშორისო წარმოების ზემოაღნიშნული ორი ტიპი, მათი მახასიათებლები და თავისებურებები, აგრეთვე ბაზარზე შეღწევის, მასშტაბის ეკონომიისა და გეოგრაფიული დივერსიფიკაციის თავისებურებები. ამ ტიპის წარმოებებში ეკონომია განპირობებულია წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, შრომითი დანახარჯების შემცირების, რეციპიენტ ქვეყანაში საწარმოთა გაადგილების შედეგად;

<sup>10</sup> Гаджиев Ш. Азербайджан на пути к мировому сообществу: стратегия внешнеэкономического развития. Киев, «Експресс-об'яза», 2000, с. 169

4. წარმოებები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პროდუქტებით ვაჭრობასა და განაწილებასთან. ამ შემთხვევაში ეკონომიას ადგილი აქვს წარმოების ხარჯების შემცირებისა და ადგილობრივ ბაზრებზე დამკვიდრების, შემკვეთთან სიახლოვის, გაყიდვის შემდგომი მომსახურების ორგანიზაციის შედეგად;
5. წარმოებები, რომლებიც ყალიბდებიან ზემოთ აღნიშნული ოთხი ტიპის წარმოების კომბინაციის საფუძველზე. ამ ტიპის წარმოებებში ეკონომიის ჩამოთვლილ წყაროებთან ერთად, ადგილი აქვს ბაზრებისა და პორტფელური ინვესტიციების უპირატესობებით განპირობებულ ეკონომიას.

საერთაშორისო წარმოების სხვადასხვა ტიპების სინთეზის შედეგად ხდება შემდეგი სამი ჯგუფის უპირატესობათა რეალიზაცია: საკუთრების, წარმოების გაადგილებისა და ინტერნალიზაციის. ეს დამატებითი უპირატესობები აქტივების ერთობლივი გამოყენებისა და ტრანსნაციონალური მოქმედებების შედეგია.

წარმოების ფაქტორებით დაახლოებით ერთნაირი უზრუნველყოფის შემთხვევაში, ქვეყნები საერთაშორისო ვაჭრობისაგან სარგებელს პოულობენ საქმიანობის იმ სახეებში, რომლებშიც ადგილი ექნება მასშტაბის ეფექტს, ანუ წარმოების მოცულობის ზრდის შესაბამისად, მოხდება ხარჯების შემცირება პროდუქციის ერთ ერთეულზე. ამ პირობებში წარმოების ძირითადი ფაქტორების მქონე განვითარებული ქვეყნებისათვის ხელსაყრელია იმ საქონლით ვაჭრობა, რომელშიც წარმოების მასშტაბის ეფექტს აქვს ადგილი. საერთაშორისო ვაჭრობის ეს თეორია მასშტაბის თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი.

ს. პარისის თეორიის თანახმად, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები უნდა დასაქმდნენ ბუნებრივი რესურსების დამუშავებით, ხოლო განვითარებული ქვეყნები – სამრეწველო წარმოებით, რაც სტიმულირებული უნდა იყოს განვითარებული ქვეყნებიდან ექსპორტირებული კაპიტალით<sup>11</sup>.

საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება მოითხოვს, რომ ცალკეული ქვეყნების მონაწილეობამ მსოფლიო სამეურნეო კავშირებში შექმნას შედარებით ხელსაყრელი პირობები ეროვნული წარმოების განვითარებისათვის. ამასთან, ეროვნული ეკონომიკური კომპლექსი უნდა ისე აეწყოს, რომ მას რაც შეიძლება ნაკლებად შეეხოს მსოფლიოში წარმოქმნილი არახელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები<sup>12</sup>.

<sup>11</sup> Мировая экономика. Под редакцией Ю.А. Щербинина. М., 2007, с. 195

<sup>12</sup> ი. მესხია. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური

რა პოზიცია უნდა დაიკავოს ქვეყანამ ექსპორტის და იმპორტის მიმართ, როცა საკუთარი ეკონომიკა ჩამოყალიბების სტადიაშია, ხოლო მსოფლიო ბაზარზე უძლიერესი ქვეყნები ბატონობენ? საქართველოს საგარეო-ეკონომიკური და საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა “შეფარდებითი უპირატესობის” კონცეფციიდან, მრავალი უცხოური თეორიიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, არ შეესაბამება მის ეროვნულ ინტერესებს. ზემოთ აღწერილი თეორიებიდან საქართველოს დღევანდელი სიტუაცია ახლოსაა “გამაერთიანებელი ზრდის” კონცეფციასთან. საქართველოს ექსპორტი თრიენტირებულია სანედლეულო საქონლის ექსპორტზე, მაგრამ ნედლეულის ექსპორტზე მსოფლიო მოთხოვნა შეზღუდულად იზრდება; პირველადი პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნების სავაჭრო პირობები პერმანენტულად უარესდება; იზრდება “ნეოპროტექციონიზმი” სამრეწველო ნაწარმისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საზიანოდ, რომლის ექსპორტირებასაც ახდენენ განვითარებადი ქვეყნები. მაგრამ მსოფლიო ბაზრის არსებული მდგომარეობით სანედლეულო ექსპორტის აქტიური ზრდა მოსალოდნელი არ არის”<sup>13</sup>.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გაცვლის კლასიკური მოდელი ეფუძნება თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ რეალური სიტუაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადგილი აქვს არასრულყოფილ კონკურენციას. ასეთ პირობებში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან და მათ საერთაშორისო ვაჭრობა და, საერთოდ, საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა სხვადასხვა დონით სჭირდებათ. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით ფ. ფერრუმ ჩამოყალიბა საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორია, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ზოგიერთი ქვეყანა თითქმის მთლიანადად დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე, ზოგიერთი მათგანი კი მასზე ზემოქმედებას ახდენს. დაახლოებით იგივე აზრის მატარებელია დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და დამოკიდებულების კონცეფცია, რომელიც იძლევა მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურისა და ქვეყანათა სავაჭრო პოლიტიკის ახსნის შესაძლებლობას.

საერთაშორისო გაცვლაზე ამა თუ იმ ქვეყნის ზემოქმედების სხვადასხვა დონის გამო, ადგილი აქვს ე. წ. “სტრუქტურული უპირატესობის” მოვლენებს, რომლებიც განაპირობებენ მსოფლიო ბაზარზე ერთი ქვეყნის (ან ქვეყანათა ჯგუფის) ასიმეტრიულ მოქმედებებს. ამასთან, თანამედროვე პირობებში არც ერთი

საკითხები. ქ. “ეკონომიკა”, 1996, № 1-3, გვ. 13

<sup>13</sup> თ. ყანდაშვილი. საქართველოს ექსპორტი და მისი სტიმულირება. დისერტაცია. თბ., 2002, გვ. 23-24

ქვეყანა არ ისწოდებოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ყოველი მათგანი ცდილობს თავისი საგარეო საგაჭრო სტრუქტურის ჩამოყალიბებას ისეთი სახით, რომ იგი ნაკლებად იყოს დამოკიდებული მსოფლიო ბაზარზე.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები ადასტურებენ, რომ არათანასწორი ძალებისა და ინტერესების ურთიერთმოქმედების შედეგად, ქვეყნები ნამდვილად არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ფ. პერრუს ანალიზით, შრომის საერთაშორისო დანაწილება არათანაბარი ძალების, განსხვავებული ინტერესების მქონე ქვეყანათა სტრატეგიული მიმართულებების კონფრონტაციის შედეგია. ყოველივე ეს კი ძალიან შორსაა შეფარდებითი უპირატესობის მექანიკური თეორიიდან, რომელიც მხარს უჭერს და ამართლებს თავისუფალ ვაჭრობას. საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორიიდან გამომდინარე, არავითარი გამართლება არა აქვს თავისუფალ ვაჭრობას, რომლის შედეგად განვითარებადი ქვეყნები კიდევ უფრო დამოკიდებულნი იქნებიან განვითარებულ ქვეყნებზე. შესაბამისად, ეს უკანასკნელნი მოიპოვებენ კიდევ უფრო მეტ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობაში<sup>14</sup>.

ჩვენი აზრით, ქვეყანათა ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზების ახსნა რომელიმე ერთი ფაქტორით ან თეორიით შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა მრავალფაქტორიანი მოდელების გამოყენება, რომლებშიც სხვადასხვა პირობები იქნება გათვალისწინებული. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზები შეიძლება ავხსნათ ქვეყანათა მსგავსების თეორიით, აგრეთვე დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და დამოკიდებულების კონცეფციით. უკანასკნელ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორი, რომლის დროსაც ქვეყანათაშორისი ურთიერთობები ურთიერთმოთხოვნათა საფუძველზე ვითარდებიან.

საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა. იგი ზრდის ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულებას და ხელს უწყობს მათი თანამშრომლობის განვითარებას. ამასთან ერთად, უცხოური ინვესტიციების პრობლემა დღეს ყველაზე საჭირობოროტო. განვითარებული ქვეყნები, ეროვნულ ეკონომიკაზე კონტროლის დაკარგვის საშიშროების გამო, ცდილობენ უცხოური ინვესტიციების

<sup>14</sup> ყორდანაშვილი ლ. საერთაშორისო საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997, გვ. 40

შეზღუდვას. განვითარებადი ქვეყნები, ერთი მხრივ, შეშფოთებულები არიან უცხოელთა მიერ მათ ეკონომიკაში სახსრების დაბანდებით და, მეორე მხრივ, ინვესტიციების შემცირებით. ამიტომ განვითარებად ქვეყნებში უცხოური კაპიტალის შეტანა ძალზე რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემაა და გარკვეულ სიფრთხილეს საჭიროებს.

თანამედროვე ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანა, განვითარების დონის მიუხედავად, დაინტერესებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ოეციპიენტი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში უცხოური ინვესტიციების როლის შეფასების ერთ-ერთი მიღებობაა კ. ლეონტიევის კლასიკური დიფერენცირებული მოდელი. ამ მოდელის თანახმად და საბაზისო წლის ფაქტობრივი მდგომარეობის მიუხედავად, გარდატეხის წერტილის მიღწევა ეკონომიკური განვითარების ტემპის მიმართ შეუძლებელია მანამ, სანამ მიმდებ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების საშუალო წლიური ზრდის ტემპი დაახლოებით 5 % არ იქნება, ხოლო მომდევნო წლებში მისი მოცულობა ინტენსიურად უნდა იზრდებოდეს<sup>15</sup>.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. მიუხედავად ამისა, ქვეყანათა უმეტესობა საურგელი მოცულობის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ვერ ახერხებს.

1996 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მიერ მიღებულია დოკუმენტი “პარტნიორობა განვითარებისა და ზრდის მიზნით”<sup>16</sup>. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი თეზისი: ეკონომიკური ზრდის და განვითარების პროცესში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლიათ დადებითი როლი ითამაშონ. უკანასკნელ წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა. მას განიხილავენ იმ ინსტრუმენტად, რომელიც განაპირობებს გლობალურ მსოფლიო ეკონომიკაში სხვადასხვა ქვეყნის ინტეგრირებას წარმოების დონეზე, მთელი რიგი აქტივების – კაპიტალის, ტექნოლოგიების, მმართველობითი უნარ-ჩვევების გადაცემის საშუალებით, მათ შორის უცხოურ ბაზრებზე შეღწევის გათვალისწინებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, აგრეთვე, შედარებით ფართო ჩარჩოებში ასტიმულირებენ ეროვნული

<sup>15</sup> Леонтьев В. Экономическое эссе, исследования, факты и политика. М., 1990

<sup>16</sup> [http://www.unctad.org/en/docs/iteipc20083\\_en.pdf](http://www.unctad.org/en/docs/iteipc20083_en.pdf)

ეკონომიკის ზრდას ტექნოლოგიური პოტენციალისა და წარმოების განვითარების, ინოვაციური საქმიანობის, პირდაპირი და უკუკავშირების გაძლიერების გზით.

საინვესტიციო საქმიანობის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი მიზნებისა და ამოცანების მიღწევა შეუძლებელია ამ ბაზარზე არსებული მდგომარეობის გაუთვალისწინებლად. თავის მხრივ, თეორიულად და პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ საინვესტიციო ბაზრის მოცულობა და კონიუნქტურა უშუალოდაა დამოკიდებული იმ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელსაც ეს ბაზარი განეკუთვნება. მაკროეკონომიკური ფაქტორების რიცხვში შედის: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონე და სტაბილურობა, მისი შემდგომი ზრდის პერსპექტივები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა ფაქტორები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ როგორც საინვესტიციო საქმიანობისაგან მიღებულ შემოსავალზე, ასევე მის თანმხლებ რისკზე. საინვესტიციო საქმიანობაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენა გაანალიზებულია სამეურნეო ციკლის თეორიებში, რომელთა შორის აღსანიშნავია მონეტარული და ტექნოლოგიური თეორიები. მონეტარულ თეორიაში სამეურნეო რყევები საქონელზე მოთხოვნის ცვლილებებთანაა დაკავშირებული, ხოლო ტექნოლოგიური თეორიაში მთავარი აქცენტი გაკეთებულია ინვესტირების აქტივზარის გამომწვევ სიახლეებზე. ამ თეორიებში დასაბუთებულია სამეურნეო რყევათა გარდაუგალობა, რომლებიც ეკონომიკის განუსაზღვრელობის პირობებში მიმდინარე დინამიკური პროცესების „არაძირითადი“ პროდუქტის სახით განიხილება<sup>17</sup>. განუსაზღვრელობის პირობებში ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას ადამიანის ეკონომიკური ქცევა განაპირობებს. სწორედ ამიტომ ეს ფაქტორი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, მით უმეტეს ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საქართველო და აზერბაიჯანი.

ქართული და აზერბაიჯანული საზოგადოების ტრანსფორმაცია, საბაზო ეკონომიკაზე გადასვლა როგორი და საკმაოდ მტკიცნეული პროცესია, რომელიც საჭიროებს საკუთარი ქვეყნების რეალობის გათვალისწინებას. პოსტსაბჭოთა

<sup>17</sup> Jonson, H.G., Money, Trade and Economic Growth. 2d ed., Unwin Univ. Books, London, 1964; Meier, G.M., "The International Economics of Development: Theory and Policy. Harper and Row, New York, 1968; Bauer P.T., "Dissent on Development: Studies and Debates in Development Economics". Harvard, Cambridge, Mass., 1972, Millikan R., Rostow W. "A Proposal: Key to an Effective Foreign Policy". New York, 1976; Arab Resources: the Transformation of Society. L., 198, Galenson W., Leibenstein L. "Investment Criteria. Productivity and Economic Development." /"The Quarterly Journal of Economics", August 1955; Hirshman A. «Investment Policies and "Aualism" in Underdeveloped Countries» / "The American Economic Review", 1957, № 9

სივრცეში არსებულ ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ამ რეალობასთან ეკონომიკური რეფორმების არაადეპატურობის პრობლემის გაუთვალისწინებულობამ გამოიწვია დრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რომელთა შედეგები დღესაც მძიმე ტვირთად აწევს ორივე ქვეყნის მოსახლეობას.

ქართული მენტალიტეტის საფუძველია ქრისტიანობა, აზერბაიჯანულის – ისლამი. განსხვავებული რელიგიული საფუძვლის მიუხედავად, ორივე მენტალიტეტის ფორმირებაზე ზეგავლენა მოახდინა დასავლურმა ცივილიზაციამ და ადმოსავლურმა სულისკვეთებამ. აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბდა პარადოქსული თვისებების მქონე კავკასიური მენტალიტეტი, რომელიც ითვალისწინებს მსოფლმხედველობას “ისიც” და “ესეც”. ეს მენტალიტეტი მკვეთრად განსხვავდება დასავლურისაგან, რომლისათვისაც დამახასიათებელია მიდგომა “ან-ან”. კავკასიური მენტალიტეტის აღნიშნული თვისება მოსახლეობის განსაკუთრებულ ქცევას განაპირობებს და ამ რეგიონში მეურნეობის ორგანიზაციის განსაკუთრებულ ფაქტორის როლში.

კავკასიის რეგიონის მოსახლეობისათვის დამახასიათებელია შინაგანი ცხოვრების სიღრმე, პირადი თავისუფლების ნაწილობრივი მინდობა კოლექტივისათვის, სამეურნეო წარმატებაში არაეკონომიკური ფაქტორების დიდი როლი. კავკასიურ მენტალიტეტში დამოკიდებულება საკუთრებისა და დაგროვებისადმი უფრო უარყოფითია, ვიდრე დადებითი. გარდა ამისა, ქართულ და აზერბაიჯანულ კულტურაში წარმატება ობიექტური პროცესების, საკუთარი ძალისხმევის შედეგი კი არაა, არამედ უფრო პირადი კავშირების შედეგია ან “ღმერთისაგანაა ბოძებული”. ამასთან, თავისუფლებაში იგულისხმება იმის კეთება, რაც ადამიანს მოესურვება. მოსახლეობის უმეტესობისათვის არ არსებობს დრმა კავშირი ცნებათა ჯაჭვში “თავისუფლება-დამოუკიდებლობა-პასუხისმგებლობა”. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა სამართლებრივი ნორმების დარღვევა და, როგორც შედეგი – საზოგადოების კრიმინალიზაცია. უკანასკნელ პერიოდამდე საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი იყო, სადაც მაღალია ჩრდილოვანი, არალეგალური ეკონომიკის წილი: ეკონომიკური რეფორმების ცალკეულ წლებში იგი მთელი ეკონომიკის დაახლოებით 2/3-ს შეადგენდა<sup>18</sup>. ამასთან ერთად, ქვეყნის დარგობრივმა სტრუქტურამ დაკარგა ინდუსტრიული

<sup>18</sup> საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 2001, № 64, გვ. 49

ხასიათი და აგრარულ-სავაჭრო მიმართულება შეიძინა. ასეთი ცვლილება სერიოზული ფსიქოლოგიური გამოცდა აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის, რომელიც ისტორიულად სავაჭრო საქმიანობისათვის არ იყო განწყობილი. ეს არცად გასაკვირვი, რადგან ჯერ კიდევ შორეულ წარსულში პლატონი ვაჭრობას მიაკუთვნებდა იმ საქმიანობათა რიცხვს<sup>19</sup>, “რომელთაც აქვთ ადამიანების ცუდ ადამიანებად გადაქცევისაკენ ძლიერი მიღრეკილება”.

პლატონის აზრს იზიარებდა არისტოტელები<sup>20</sup>, რომელიც თვლიდა, რომ დასვენება ფილოსოფოსის ღირსებით (*otium cum dignitate*) ცხოვრების უფრო ღირსეული სახეა, ვიდრე ვაჭრის საქმიანობა, რომელსაც არ პყოფნის შინაგანი სიმშვიდე. მისი აზრით, გამორჩენისაკენ სწრაფვა უფრო უზნეობაა, ვიდრე მრუ-შობა. გამორჩენისაკენ და ზომაგადასული (გადაჭარბებული) სიამოვნებისაკენ სწრაფვის მთავარ მოტივებს იგი ხედავდა თავისი დროის მეწარმეთა (ვაჭრების, დაქირავებულთა, მკურნალთა, ექიმთა) საქმიანობაში, რომლებიც აწარმოებდნენ ფასიან მომსახურებას. მხოლოდ საბაზრო ურთიერთობათა განვითარებამ, ვაჭრობის ზრდამ, წარმოების სამრეწველო ფორმების გავრცელებამ განაპირობა მეწარმეობის პოზიტიური შეფასება. მენტალიტეტის ცვლილების ამ პერიოდში ფ. ბეკონი<sup>21</sup> ვაჭრებისა და ვაჭრობის შესახებ ამბობს, რომ ისინი არიან “ქვეყნის სიმდიდრის გენა პორტა”.

თ. პობსმა<sup>22</sup> ერთ-ერთმა პირველთაგანმა განიხილა მრეწველობა და ვაჭრობა სახელმწიფო პოლიტიკის საგნად. მისი აზრით, სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს ვაჭრობის, როგორც სოციალური სისტემის განვითარების ინსტრუმენტის ეფექტიანობას.

საბაზრო ურთიერთობათა მკაცრმა რეალობამ და გარდამავალი პერიოდის სიძნელეებმა ქართველი ხალხი აიძულა შეგუებოდა ახალ პირობებს და ვაჭრობა მთავარ საქმიანობად აერჩია.

ამჟამად ადამიანთა ქცევაზე სულ უფრო დიდ გავლენას ახდენს დასავლეთისათვის იმანენტური საბაზრო ეკონომიკური აზროვნების ელემენტები: მესაკუთრის გრძნობა, პირადი სამეურნეო დამოუკიდებლობა, ინიციატივა, პრაგმატიზმი, მოქნილობა, ადაპტირების უნარი, ფხიანობა, კონკურენციის

<sup>19</sup> Платон. Законы. Собрание соч. в 4 томах. Т. 4. М., 1994, с. 382

<sup>20</sup> Аристотель. Никомахова этика. Собрание соч. в 4 томах. Т. 4. М., 1983, с. 148-149

<sup>21</sup> Бэкон Ф. Опыты или наставления нравственные и политические. Соч. в 2 томах. Т. 2. М., 1972, с. 445

<sup>22</sup> Гоббс Т. Левиафан, или Материя, форма и власть государства церковного и гражданского. Соч. в 2 томах. Т. 2. М., 1991, с. 180-181, 192, 270

პირობებში მოქმედება და ა.შ. მაგრამ ადამიანის ეკონომიკური ქცევა, როგორც საქართველოში, ასევე აზერბაიჯანში, განსხვავდება დასავლეთელი ადამიანისაგან. ეკონომიკური ქცევის რაციონალიზმი დასავლეთეროპულ ვარიანტში უტოლდება სარგებლის მიღებისაკენ სწრაფვას არა ერთჯერადი შემთხვევითი აქტის შედეგად, არამედ შემოსავლებისა და დანახარჯების მუდმივი შედარების საფუძველზე და ეს ქცევის ნორმას წარმოადგენს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების შედეგად, საქართველოსა და აზერბაიჯანში რაციონალიზმის დასავლეთეროპული ვარიანტის აღმოცენება შეუძლებელი იყო. აქ ეკონომიკური ქცევა ხშირად ირაციონალურია და ეკონომიკური სარგებლიანობა იკარგება სუბიექტური აღქმის ზეგავლენითა და კოლექტიურ სულისკვეთებასთან თანამონაწილეობის გამო. საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ამ განმასხვავებელ თავისებურებას შეაქვს განუსაზღვრელობის მომენტები ეკონომიკურ არჩევანთან დაკავშირებულ სიტუაციებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კავკასიელი ადამიანის ქცევის მოდელირების დროს, ალბათ, უფრო მეტი ზომით უნდა გავითვალისწინოთ სუბიექტური რაციონალურობა, რადგან ეკონომიკური ქცევის საფუძველში კავკასიური მენტალიტეტისა და ეკონომიკური აზროვნების თავისებურებებია ჩადებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ეკონომიკური ქცევის განხილვისას, ამოსავალი უნდა იყოს დებულება რაციონალურობის პარადიგმის ცვლილებისა და სუბიექტურობის ფაქტორის შემოტანის შესახებ, რომელიც ვარაუდობს, რომ ინდივიდი თვითონ ახდენს არჩევანს ალტერნატივებს შორის და სარგებლიანობისა და დანახარჯების საკუთარ შეფასებაზეა ორიენტირებული.

“ეკონომიკური ქცევის” კატეგორიის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. მკვლევარები უმეტეს შემთხვევაში მას განსაზღვრავენ, ან როგორც მოგების მიღებაზე გამიზნულ რაციონალურ ქცევას ან ყველაზე მომგებიანი ალტერნატივის არჩევაზე გამიზნულ ქცევას. არჩევანში იგულისხმება მთელი რიგი შესაძლებლობების არსებობა. იგი დამოკიდებულია სხვადასხვა სარგებლის მქონე საქონლის ფასებსა და მისგან მიღებულ შემოსავალზე. ეკონომიკური ქცევის კატეგორიის ყველაზე მისაღებ ვარიანტად მიგვაჩნია ვ.ი. ვერხოვინის განმარტება<sup>23</sup> “ეკონომიკური ქცევა არის იმ სოციალური მოქმედებების სისტემა, რომლებიც, პირველი, დაკავშირებულები

<sup>23</sup> Виханский О.С. «Стратегический менеджмент», Москва, 1996

არიან სხვადასხვა ფუნქციებისა და დანიშნულების ეკონომიკურ ფასეულობათა (რესურსების) გამოყენებასთან და, მეორე, ორიენტირებულნი არიან მათი მიმოქცევის შედეგად მოგების (გასამრჯელოს, ჯილდოს) მიღებაზე. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეკონომიკური ქცევა არის რეალური შემოსავლის წარმოებასა და დასვენებას (“საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე” გამიზნულს) შორის იშვიათი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან განაწილებასთან დაკავშირებული ქცევა, რომელიც შეიცავს ეროვნულ და სამეურნეო ტრადიციების თავისებურებებზე დაფუძნებულ სპეციფიკურ ეკონომიკურ აზროვნებას. გარდა ამისა, განსაზღვრებაში გვინდა პრიორიტეტი მივცეთ არა მოგების მიღებას, არამედ ჯილდოს (სარგებლის) მიღებას სამეურნეო საქმიანობისაგან. ამასთან, ეს ჯილდო (სარგებლი) მუდამ ფასდება შემოსავლებისა და დანახარჯების საკუთარი შეფასების მიხედვით. ეს შეფასება დამოკიდებულია მათ განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე; ინსტიტუციურ და სოციოკულტურულ ჩარჩოებზე, რომლებშიც იმყოფებიან სუბიექტები; საზოგადოებაში მიღებულ ტრადიციებსა და ქცევის მოდუსების სტერეოიპებზე; მოცემულ ეკონომიკურ გარემოში მისაღებ კონკრეტულ პროცედურებსა და ოპტიმალური შედეგების მიღწევის ტექნოლოგიაზე.

ადამიანის ეკონომიკური ქცევა არის სუბიექტურ ოპტიმიზაციაზე გამიზნული ქცევა, რომელსაც ადგილი აქვს არსებული რესურსებისა და მათი გამოყენების შედეგად შესაძლო სარგებლის შედარების დროს. ამასთან, სარგებელი შეიძლება იყოს მატერიალურად საგრძნობი (ფული, საქონელი და ა.შ.) და არაეკონომიკური (ფსიქოლოგიური, სოციალური და ა. შ.). ასეთი განსაზღვრება გვაძლევს ეკონომიკურ სფეროში ადამიანის ქცევის ყველა სახის გაერთიანების საშუალებას.

ამგვარად, ეკონომიკური ქცევა ეკონომიკური განვითარების დამოუკიდებელ ფაქტორს არ წარმოადგენს. იგი დამოკიდებულია მთელ რიგ სიღრმისეულ ფაქტორებზე: ეკონომიკური კულტურისა და ეკონომიკური აზროვნების ფორმირების პირობებზე, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სისტემებში ჩამოყალიბებულ თავისებურებებზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანში საბაზრო ეკონომიკა ყალიბდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით, სამეურნეო მექანიზმის ფორმირების ერთი და იმავე კანონების საფუძველზე და იმის ვარაუდით, რომ ეს კანონები ყველგან

ერთნაირია. მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა ასეთი მიღებობის უსუსურობა: რეფორმების წარმატება შეუძლებელია განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და კონკრეტულ გარემოში ადამიანის ეკონომიკური ქცევის სპეციფიკის მკაფიო გაგების, ფაქტობრივად საქმიანობის ყველა ასპექტის – წარმოების ორგანიზაციის ხერხებიდან დაფინანსებისა და მართვის ფორმებამდე – რადიკალური გარდაქმნის გარეშე.

საბაზრო ეკონომიკაში საჭირო მოტივაციას კერძო საკუთრება იძლევა, რადგან იგი მესაკუთრებს აძლევს ბიზნესთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების კონტროლის უფლებას, აგრეთვე ამ გადაწყვეტილებების შედეგად მიღებული მოგების განკარგვის უფლებას. სწორედ პირადი ინტერესების გამო, მესაკუთრეებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფს მიზანშეწონილი და საზოგადოებრივად პროდუქტიული საქმიანობის დროს, რომლის საფუძველში ჩადებულია საზოგადოების სოციოკულტურული თავისებურებები. საბაზრო ურთიერთობების განვითარების შედეგად ქვეყანაში და ქვეყანათა შორის პროდუქტიული ბიზნეს-საქმიანობა ხორციელდება მზარდი განუსაზღვრელობის პირობებში. განუსაზღვრელობას ახასიათებს ისეთი თვისება, როგორიცაა ექსპანსიურობა. პოლიტიკური პროცესების განუსაზღვრელობა მყისიერად აისახება ეკონომიკაზე. იგი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ორგანიზაციების საქმიანობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ, შრომით და პირად ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ადამიანები იძულებულნი არიან შეცვალონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესი, მეტი დრო დაუთმონ სიტუაციების ანალიზს, გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება განვითარების განუსაზღვრელობის მოლოდინში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლი ქვეყანათა ორმხრივ ურთიერთობებში ძირითადად პოლიტიკური სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასა და თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნაში გამოიხატება. ამიტომ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება ძირითადად საქმიანი წრეების წარმომადგენლების აქტიურობაზე, მათ ინიციატივებსა და ორგანიზებულობაზეა დამოკიდებული. საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა განუსაზღვრელობის პირობებში უნდა გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განუსაზღვრელობის ფაქტორის

გათვალისწინება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესში, უდავოდ, აქტუალური და აუცილებელია.

### I.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიკური მდგრადირეობა

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანის რესპუბლიკა ახორციელებს დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის შექმნა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია. ორივე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ 2 ძირითადი ეტაპი: პირველი მოიცავს 1991-1995 წლებს და ხასიათდება წარმოების მკვეთრი დაცემითა და ქაოსით, მეორე ეტაპი, რომელიც დაიწყო 1996 წლიდან და დღემდე გრძელდება, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკის დინამიკური განვითარების პერიოდია. საქართველოს ეკონომიკაში მეორე ეტაპი შეიძლება 2 ქვეპერიოდად დაიყოს: “ვარდების რევოლუციამდელი” და “ვარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდები.

ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპის მთავარი ამოცანა იყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის გათვითცნობიერება და მისი დამკვიდრებისათვის ნაკლებად მტკიცნეული ობიექტური პირობების ჩამოყალიბება. პირველ ეტაპზე ეკონომიკური რეფორმები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ფასების ლიბერალიზაციით დაიწყო და “შოკური თერაპია” იყო გამოყენებული.

შრომის საკავშირო დანაწილებაში საქართველო დასპეციალებული იყო ჩაის, ციტრუსების, ღვინის, კონიაკის და სხვა საქონლის წარმოებაზე. საქართველოზე მოდიოდა ჩაის საკავშირო წარმოების 94 %, ციტრუსოვანი კულტურების 98 %, მარგანეცის მოპოვების 20 %, ელექტროენერგიის 0,9 % და ა. შ. აქედან გამომდინარე, მას უნდა შემოეტანა სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების პროდუქტები: მარცვლეული, ხორცი, კარაქი, მცენარეული ცხიმები და სხვა. პროდუქციის შეტანა-გატანის არსებულ სტრუქტურას საბჭოთა პერიოდში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მან სერიოზული ზიანი მიაყენა სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკას. სასიცოცხლო მნიშვნელობის კვების

პროდუქტების, ენერგიაშემცველებისა და საწარმოო ნედლეულის იმპორტირების აუცილებლობამ, მათი შესყიდვისათვის აუცილებელი სახსრების არარსებობის პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენა ისედაც არაკონკურენტუნარიანი მრეწველობა და მკვეთრად გააუარესა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა<sup>24</sup>.

პირველ ეტაპზე საქართველოში ხორციელდებოდა ზედმეტად ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რამაც ჰიპერინფლაცია განაპირობა. ამას დაერთო სამოქალაქო ომი და ეთნოკონფლიქტები. 1990 წელს ინფლაციის წლიურმა ტემპმა 3,3 % შეადგინა, 1991 წელს – 75,3 %; 1992 წელს – 746 %, 1993 წელს – 1037 %, 1994 წელს – 774 %. საქართველოს მსგავს ჰიპერინფლაციას არც ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში არ ჰქონია აღილი<sup>25</sup>.

1995 წლამდე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ლიბერალიზაციის პროცესს თან ახლდა ფასების მკვეთრი ზრდა. 1991 წელს სამომხმარებლო საქონლის ფასები 1990 წელთან შედარებით 2-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა, 1992 წელს 1991 წელთან შედარებით – 10,12-ჯერ, 1993 წელს 1992 წელთან შედარებით – 12,3-ჯერ, 1994 წელს 1993 წელთან შედარებით – 17,65-ჯერ<sup>26</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობისა და პოსტსაბჭოთა პრობლემების მიუხედავად, ორივე ქვეყანამ შეძლო კრიზისის დაძლევა და აღმავლობის გზაზე გადასვლა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიღწევები. მთავარ მიღწევად კი შეიძლება ჩაითვლოს განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების სრულიად ახალი – აზერბაიჯანული მოდელის ჩამოყალიბება. ამ მოდელის ოფიციალური რეალიზაციის საფუძველია ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა:

- აზერბაიჯანში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა (1997-2000 წწ.);
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2002-2005 წწ.);

<sup>24</sup> ლ. ყორდანაშვილი. საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. I, თბ., 2000, გვ. 293-305

<sup>25</sup> ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001, გვ. 168

<sup>26</sup> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები

- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2002-2006 წწ.);
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის დემოგრაფიული განვითარების კონცეფცია;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 2003-2005 წლებში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამა;
- სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2003-2003 წწ.);
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2004-2008 წწ.);
- აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საობობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების სახელმწიფო პროგრამა (2005-2015 წწ.);
- “საუძუნის კონტრაქტი”, 1994 წლის 20 სექტემბერი;
- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო ფონდის შექმნის შესახებ (1999 წ.);
- პოსტსაბჭოთა პერიოდში მიღებული სხვა დოკუმენტები.

საქართველოში ეკონომიკის ახალი მოდელი „გარდების რევოლუციის“ (2003 წლის 23 ნოემბერი) შემდეგ ყალიბდება. მან სტაბილური ეკონომიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს. მაგრამ ეს მოდელი არაა მდგრადი, რადგან ქვეყანა ისევ გარდამავალ ეტაპზე იმყოფება ანუ ქვეყანაში სრულფასოვანი საბაზო ეკონომიკა არ ჩამოყალიბებულა და ამიტომ სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება პრობლემებთანაა დაკაგშირებული. მართალია, საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტენდენციაა, მაგრამ ეს ფაქტობრივად ფორმალური ზრდაა წარმოების რეალური ზრდის გარეშე. ეკონომიკური ზრდა უნდა განვასხვავოთ ეკონომიკური განვითარებისაგან. ეკონომიკური განვითარება ღრმა და კომპლექსური პროცესია, რადგან იგი ასახავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობას და მის კეთილდღეობაში აისახება. მაგრამ ეს საქართველოში ჯერ არაა მიღწეული.

ქართული ეკონომიკური მოდელის რეალიზაციის საფუძველია შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ, 1991 წლის 9 აგვისტო;
- პრივატიზების სახელმწიფო პროცესი, 1992 წლის 11 აგვისტო;

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ, 1997 წლის 30 მაისი;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994 წლის 28 ოქტომბერი;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი იჯარის შესახებ, 1995 წლის 15 ივნისი;
- ბრძანებულება ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ, 1996 წლის 4 ივლისი;
- საქართველოს კანონი საინვესტიციო ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, 1996 წლის 12 ნოემბერი;
- საქართველოს კანონი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ, 1996 წლის 22 მარტი;
- საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და გაზის შესახებ, 1997 წლის 27 ივნისი;
- საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ, 1999 წლის 16 ივნისი;
- საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ, 2005 წლის 8 ივლისი;
- საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ, 2006 წლის 30 ივნისი.
- აგრეთვე, სხვა დოკუმენტები.

II ეტაპის ეკონომიკური რეფორმები ეკოლუციური ხასიათისაა. ამ რეფორმებმა (განსაკუთრებით კი 2005 წლის შემდეგ) აზერბაიჯანსა და საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით სწრაფად განვითარებადი ქვეყნების იმიჯი დაუმკვიდრა. ამის ძირითადი მიზეზებია: ეკონომიკური რეფორმების სისტემატიური ხასიათი; სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარების, როგორც მნიშვნელოვანი რესურსის ათვისებისა და გამოყენების შესაძლებლობა; მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაცია; საგადასახდო რეფორმა; ლიცენზირებისა და ნებართვების პროცედურების გამარტივება; პრივატიზაცია; კორუფციისაგან თავისუფალი გარემო და ბიზნესის კანონიერების მექანიზმების ამოქმედება; ხელსაყრელი საგაჭრო რეჟიმი და ა. შ.

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში I.1, აზერბაიჯანის – ცხრილში I.2. როგორც ამ ცხრილების მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი იყო


საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, %-ით წინა წელთან ცხრილი I.I.

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
მთლიანი შიდა პროდუქტი	102,6	111,2	110,5	103,1	102,9	101,8	104,8	105,5	111,1	105,9	109,6	109,4	112,4
სამრეწველო პროდუქცია	86	107	108	98	107	111	95	107	115	109	116	116,4*	114,5*
სოფლის მეურენეობის პროდუქცია	113	106	104	93	107	88	108	99	110	93	112	112	112,3*
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	151	106	152	180	49	97	111	118	191	118*	121*	108*	110*
ტვირთების გადაზიდვა	103	94	139	122	107	116	111	113	110	100,2	112	111 <sup>2)</sup>	...
საცალო საქონელბრუნვა	255	121	128	112	105	111	106	104	109	107	113	...	117,0 <sup>3)</sup>
სამრეწველო პროდუქციის მრავმოებელთა ფასების ინდექსები	...	...	...	102	116	106	104	106	102	105	108	111	111,6
სამომხმარებლო ფასების ინდექსები	263	139	107	104	119	104	105	106	105	106 <sup>1)</sup>	108 <sup>1)</sup>	109	109,2
ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში	81	136	107	78	100,1	121	112	116	136	143	125	97	120,1
ექსპორტი სხვა ქვეყნებში	147	123	145	83	154	148	89	102	133	135	144	131	141,4
იმპორტი დსთ-ს ქვეყნებიდან	58	170	126	79	84	102	111	115	127	177	152	141	132,3
იმპორტი სხვა ქვეყნებიდან	363	175	145	102	61	127	104	100,7	154	154	125	153	147,7

Georgo I.2.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, %-ით წინა წელთან

2007 წელს – 112,4 %, ხოლო აზერბაიჯანში – 2006 წელს – 134,5 %, ყველაზე დაბალი კი 1995 წელს: 102,6% საქართველოში და 88,2 % - აზერბაიჯანში (ცხრილები I.1, I.2 და ნახ. I.1).



ნახ. I.1. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები, %-ით წინა წელთან

საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელია ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილების ტენდენცია: მასში იზრდება მრეწველობის წილი. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აზერბაიჯანისათვისაა დამახასიათებელი, რადგან იგი ინდუსტრიული ქაყანაა. მას გააჩნია განვითარებული მრეწველობა და მექანიზებული მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. მის მეურნეობაში მნიშვნელოვანი აღგილი უკავია ნავთობისა და ნავთობგადამამუშავებელ, ქიმიურ, მანქანათმშენებლობის, სამთომომპოვებელ მრეწველობას და ფერად მეტალურგიას, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგებს. სოფლის მეურნეობა ძირითადად დასპეციალებულია მევენახეობასა და მებალჩეობაზე, მეთამბაქოებაზე, მებოსტნეობაზე, მეცხოველეობაზე, აბრეშუმის წარმოებაზე და ა.შ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, თუ 1996 წელს საქართველოს მშპ-ში მრეწველობის წილი 23,7 %-ს შეადგენდა, 2006 წელს იგი 25,9 %-მდე გაიზარდა. აზერბაიჯანის ეკონომიკაში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 62,3 და 68,9 %-ის ტოლია. საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ადგილი მომსახურების სფეროს უკავია. 2006 წელს მისმა წილმა მშპ-ში 60,6 % შეადგინა, აზერბაიჯანში კი მასზე მხოლოდ 24,5 % მოდის. მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო ბრუნვამ 3228,7 მლნ

ლარი შეადგინა. 2007 წელს ამ მაჩვენებლებმა შესაბამისად 3524,8 და 4362,1 მლნ ლარს მიაღწია. 2007 წელს მრეწველობის სფეროში დასაქმებული იყო 88398 ადამიანი, რაც 2006 წელთან შედარებით 1913 ადამიანით ანუ 2,1 %-ით ნაკლებია. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კი 2007 წელს 2006 წელთან შედარებით მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 4,8 %-ით გაიზარდა. 2007 წელს საქართველოს მრეწველობის სფეროში მოქმედებდა 3206 საწარმო, აზერბაიჯანში – 2729 ანუ სამრეწველო საწარმოთა რაოდენობით საქართველო უსწრებს აზერბაიჯანს. საქართველოში ერთ საწარმოზე საშუალოდ მოდის 1,099 მლნ ლარის პროდუქცია, აზერბაიჯანში – 7,43 მლნ მანათის (დაახლოებით 15 მლნ ლარის) პროდუქცია ანუ აზერბაიჯანის სამრეწველო საწარმოების წარმოების კონცენტრაციის დონე მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს სამრეწველო საწარმოებისას. 2007 წელს საქართველოს სამრეწველო საწარმოების ძირითადი კაპიტალის ღირებულებამ 2651,8 მლნ ლარი შეადგინა, აზერბაიჯანის – 24403 მლნ მანათი (დაახლოებით 48806 მლნ ლარი), საქართველოს სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულთა ხელფასი და გასამრჯელო მიმდინარე ფასებში 420.7 ლარია, ხოლო აზერბაიჯანის სამრეწველო საწარმოებში ერთ მუშაკის ნომინალური საშუალო თვიური ხელფასი 349.7 მანათია (დაახლოებით 700.0 ლარი) (ცხრილი I.3).

საქართველოს სამრეწველო წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში ძირითად როლს დამამუშავებელი მრეწველობა თამაშობს. 2007 წელს მასზე მოდის მთელი მრეწველობის 71,8 %, სამთომოპოვებითი მრეწველობა კი მხოლოდ 7,9 %-ს შეადგენს (მიმდინარე ფასებში). აზერბაიჯანში კი საწინააღმდეგო სურათია. აქ სამთომოპოვებითი მრეწველობა 2000 წლის ფასების მიხედვით აზერბაიჯანის მთელი მრეწველობის 68,0 % შეადგენს, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობა – 24,9 %-ს (ცხრილი I.4).

აზერბაიჯანში სამთომოპოვებითი მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო 1994 წლის 20 სექტემბერს მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან დადგებულმა ხელშეკრულებებმა ნავთობისა და გაზის მოპოვების ერთობლივი სამუშაოების განხორციელების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სამთომოპოვებით მრეწველობასთან ერთად ვითარდება მრეწველობის სხვა დარგებიც. უკანასკნელ წლებში ათვისებულ იქნა საკასო აპარატების, მიკროკალკულატორების, ტელეფონის აპარატების, საყოფაცხოვრებო ელექტრონებლსაწყოების, პლასტიკური კარ-ფანჯრების, სპეციალური მილების (ნავთობის ტრანსპორტირებისათვის) და სხვა საქონლის წარმოება. აღნიშნულის შედეგად მოხდა იმპორტის ჩანაცვლება და

აზერბაიჯანისა და საქართველოს მრეწველობის ძირითადი  
ეკონომიკური მაჩვენებლები

მაჩვენებლები\წელი	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
გამოშვებული პროდუქცია (ფაქტობრივ ფასებში), მლნ მანათი*	3640	4019	4982	5961	9290,5	15509,4	20277,4
გამოშვებული პროდუქცია (ფაქტობრივ ფასებში), მლნ ლარი**	1051,9	1228,1	1349,9	1754,2	2202,2	2757,3	3524,8
მოქმედი საწარმოების რაოდენობა*	1974	2357	2421	2439	2571	2664	2729
მოქმედი საწარმოების რაოდენობა**	3328	2988	3049	3433	4632	4139	3206
დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი*	200.2	176.9	170.9	175.3	179.3	184.3	193.1
დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი**	95,8	78,5	82,0	85,4	94,3	90,3	88,4
ნომინალური საშუალო თვიური ხელფასი ერთ მუშაკზე, მანათი*	87,2	113,6	137,1	187	213,2	260,9	349,7
დასაქმებულთა ხელფასი და გასამრჯელო, ლარი**	...	...	174,3	201,4	230,3	307,8	420,7
ძირითადი კაპიტალი, მლნ მანათი*	7262	9398	11944	15147	18231	21037	24403
ძირითადი კაპიტალი, მლნ ლარი**	2151,4	2205,2	2107,1	2164,8	1985,2	2124,8	2651,8
* - აზერბაიჯანი, **- საქართველო <b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

ამაღლდა საქმიანი აქტიურობა. ამჟამად ქვეყნის მრეწველობის სფეროში 63 სახელმწიფოს უცხოური ინგესტიციებით შექმნილია 200-მდე საწარმო. აგრეთვე იზრდება არასახელმწიფოებრივი სექტორის წილი. თუ 1995 წელს მის წილად მოდიოდა სამრეწველო წარმოების მხოლოდ 5,5 %, 2008 წელს მას 75 % შეადგინა. ნავთობისა და გაზის მრეწველობის დინამიკური განვითარება არასანავთობო სფეროების განვითარების საფუძველია და ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატს ქმნის.

საქართველოსა და აზერბაიჯანის სამრეწველო წარმოების  
დარგობრივი სტრუქტურა, %

	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
მრეწველობა - სულ	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის							
სამთომოპოვებითი მრეწველობა*	53,5	55,6	52,5	50,7	55,2	61,0	68,0
დამამუშავებელი მრეწველობა*	31,3	29,9	31,5	34,2	32,8	29,0	24,9
სამთომოპოვებითი მრეწველობა**	6,58	5,55	8,27	7,84	7,01	8,5	7,9
დამამუშავებელი მრეწველობა**	54,71	58,32	61,25	63,74	70,5	69,6	71,8
* - აზერბაიჯანი, **- საქართველო							
აზერბაიჯანისათვის - მთლიანი შედეგებით, 2000 წლის შესადარ ფასებში, საქართველოსათვის – მიმდინარე ფასებში							
წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებულმა კრიზისმა მოითხოვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის, მიწის რეფორმის დაუყოვნებელი განხორციელება და ამ საკითხში ახალი პოლიტიკის შემუშავება. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსახლეობის საკუთრებაში მიწის უსასყიდლოდ გადაცემამ. აგრარულ სფეროში ჩატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ამ სფეროს დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფას და სამეწარმეო გარემოს შექმნას. საპრივატიზაციო პოლიტიკის შედეგად სახელმწიფო საკუთრება კერძო საკუთრებით შეიცვალა.

2006 წელს აზერბაიჯანში სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა რაოდენობამ 1208,7 ათასი ადამიანი შეადგინა. აქედან 99,98 % კერძო მწარმოებელია, 0,02 % - სახელმწიფო. გარდა ამისა, 78 648 სააგარაკო მწარმოებელია. ამჟამად აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობაში ფუნქციონირებს 66,8 % ოჯახური, 32,8 % შინა და 0,2 % ფერმერული მეურნეობა.

2007 წელს საქართველოში დაფიქსირებულია 800 სასოფლო მეურნეობა. იგი მოიცავს ოჯახურ მეურნეობებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს. ეს უკანასკნელი აერთიანებს სხვა ტიპის მეურნეობებს, რომელთაც უძღვება ფონდი, კავშირი, სახელმწიფო დაწესებულება, საგანმანათლებლო დაწესებულება, რელიგიური დაწესებულება და სხვა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სასოფლო მეურნეობათა საერთო რაოდენობაში 0,13 % უკავია.

2007 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებულია 2318,3 მლნ მანათის (დაახლოებით 4636,2 მლნ ლარის) სოფლის მეურნეობის პროდუქცია, აქედან 1303,1 მლნ მანათის (დახლოებით 2606,2 მლნ ლარის) მემცენარეობის პროდუქციაა და 1015,2 მლნ მანათის (დაახლოებით 2030,4 მლნ ლარის) – მეცხოველეობის პროდუქცია. საქართველოში ამავე წელს წარმოებულია 2309,5 მლნ ლარის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, მათ შორის 1239,1 მლნ ლარის მემცენარეობის და 1037,9 მლნ ლარის მეცხოველეობის პროდუქცია (ცხრილი I.5).

#### ცხრილი I.5

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საქართველოსა და  
აზერბაიჯანში (ფაქტობრივ ფასებში, აზერბაიჯანისათვის – მლნ მანათი,  
საქართველოსათვის – მლნ ლარი)

	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
სოფლის მეურნეობა – სულ*	1060,7	1270,5	1366,5	1476,6	1732,1	1969,7	2318,3
სოფლის მეურნეობა – სულ**	1857,2	2022,9	2262,1	2183,9	2332,2	2131,3	2309,5
მათ შორის:							
მემცენარეობა*	617,7	774,1	807	874,8	988,2	1124,3	1303,1
მემცენარეობა**	782	968,3	1149,7	1047,9	1189,0	880,8	1239,1
მეცხოველეობა*	443	496,4	559,5	601,8	743,9	845,4	1015,2
მეცხოველეობა**	809,5	1013,0	1070,9	1095,4	1102,9	1218,0	1037,9
*აზერბაიჯანი, ** საქართველო							
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

2006 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულია 239 კგ მარცვლეული, 118 კგ კარტოფილი, 18 კგ ხორცი (დაკლულ წონაში), 108 კგ რძე. საქართველოში – შესაბამისად 74, 38, 23 და 162 კგ. აზერბაიჯანში მარცვლეულის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე 2006 წელს 2000 წელთან შედარებით 2,08-ჯერ გაიზარდა, კარტოფილის – თითქმის 6-ჯერ, ხორცის – 1,6-ჯერ, რძის – 1,4-ჯერ ანუ ამ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოებისათვის ზრდის ტენდენციაა დამახასიათებელი. მისგან განსხვავებით საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე 2006 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის 1,5-ჯერ შემცირდა მარცვლეულის წარმოება, 2-ჯერ – კარტოფილის წარმოება, 4 %-ით – ხორცის წარმოება. გაიზარდა (თითქმის 1,6-ჯერ)

მხოლოდ რძის წარმოება – 1995 წლის 102 კგ-დან 2000 წლის 146 კგ-მდე და 2006 წლის 162 კგ-მდე (ცხრილი I.6).


#### ცხრილი I.6

სოფლის მეურნეობის ცალკეული პროდუქტების წარმოება  
საქართველოსა და აზერბაიჯანში, მოსახლეობის ერთ სულზე, კგ

პროდუქტის სახეობა\წელი	აზერბაიჯანი			საქართველო		
	1995	2000	2006	1995	2000	2006
მარცვლეული	115	187	239	110	96	74
კარტოფილი	20	58	118	76	69	38
ხორცი (დაკლულ წონაში)	11	14	18	24	24	23
რძე	108	128	153	102	146	162
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული: 2007. ობ., 2008, გვ. 322						

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკების განვითარებაში სერიოზულ როლს უკავური ინვესტიციები თამაშობს. ამ ქვეყნებში ინვესტირების მთავარი მოტივებია: პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო და სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, უძველესი კულტურა და ტრადიციები, ლიბერალური საგადასახადო სისტემა, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა და სხვა. როგორც I.1 და I.2 ცხრილებიდან და ნახ. I.2-დან ჩანს, აზერბაიჯანში ინვესტირების პიკს აღგილი ჰქონდა 1996 წელს – 212 %, საქართველოში – 2003 წელს – 191 %).

2005 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 449,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წინა წელთან შედარებით იგი 10 %-ით შემცირდა. ეს შემცირება ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობის დამთავრებამ განაპირობა. 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 190 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო 2007 წელს კიდევ უფრო გაიზარდა და 1 682 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 492 მლნ აშშ დოლარით ანუ 41, 3 %-ით მეტია. ცხრილში I.7 მოცემულია ძირითადი ინვესატორი ქვეყნების წილი პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებში 2007 და 2008 წლების I ნახევრების მონაცემებით. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 2007 წელს უცხოელ ინვესტორთა პირველ სამეულში შედიოდნენ: დანია (16.9 %), ნიდერლანდები (14.7 %) და გაერთიანებული სამეფო (8.2 %). 2008 წლის



ნახ. I.2. ინგესტიციები ძირითად კაპიტალში, %-ით წინა წელთან

ანალოგიურ პერიოდში თავისი ადგილი შეინარჩუნა მხოლოდ ნიდერლანდებმა, ამასთან, 4.7 %-ით გაიზარდა ამ ქვეყნის წილი და 19.4 % გახდა. გაურთიანებული სამეფო გადავიდა მექქსე ადგილზე. მისი წილი 7.5 %-მდე შემცირდა. ამ პერიოდში ინგესტიციების ლიდერი გახდა არაბთა გაერთიანებული ემირატები, რომლის ინგესტიციების მოცულობამ 202,8 მლნ აშშ დოლარი და პირდაპირი უცხოური ინგესტიციების მთლიანი მოცულობის 21.2 % შეადგინა. 2007 წლის იანვარ-ივნისში აზერბაიჯანის ინგესტიციების წილად მოდიოდა 2.7 % და მან მეცხრე ადგილი დაიკავა, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში კი იგი ძირითადი ინგესტორების რიცხვში ადარ შევიდა (ცხრილი I.7). ამის მთავარი მიზეზი ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობის დასრულებაა.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინგესტიციების ძირითადი ნაწილი ევროკავშირის ქვეყნებიდანაა შემოსული. 2006 წელს ამ ქვეყნებიდან შემოვიდა 407,1 მლნ აშშ დოლარის ინგესტიცია, რაც წინა წელთან შედარებით 163,4 მლნ აშშ დოლარით მეტია. 2007 წელს მათმა მოცულობამ 876,6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 2,15-ჯერ გაიზარდა. 2008 წლის იანვარ-ივნისში ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსულმა ინგესტიციებმა 330,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი I.8).

საქართველოში ინგესტიციების სტრუქტურის ანალიზის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ მათ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა პრივატიზაცია ქსელურ ინდუსტრიებში, უძრავ ქონებაში (სასტუმროები), მძიმე მრეწველობაში ან ნედლეულის მოპოვებაში. პრივატიზების შედეგად მიღებული საინვესტიციო ნაკადები თავისი ბუნებით ერთჯერადია, თუ

ძირითადი ქვეყნების წილი საქართველოს პირდაპირ უცხოურ  
ინვესტიციებში, 2007 და 2008 წლების იანვარი-ივნისი

ქვეყნა	2007 წ.		2008 წ.	
	მოცულობა, მლნ აშშ დოლარი	წილი (%)	მოცულობა, მლნ აშშ დოლარი	წილი (%)
სულ	822,8	100	955,4	100
დანია	139,4	169	202,8	21.2
ნიდერლანდები	120,8	14.7	185,2	19.4
გაერთიანებული სამეფო	67,9	8.2	154,0	16.1
ვირჯინის კუნძულები	66,0	8.0	80,3	8.4
ყაზახეთი	52,4	6.4	76,2	8.0
აშშ	50,6	6.1	71,9	7.5
რუსეთი	49,3	6.0	34,9	3.6
თურქეთი	49,1	6.0		
აზერბაიჯანი	22,5	2.7		
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები <a href="http://www.statistics.ge/">http://www.statistics.ge/</a>				

მათ არ მოჰყება შემდგომი მსხვილი კაპიტალდაბანდებები. უძრავი ქონება, მძიმე მრეწველობა და ნედლეულის მოპოვება შედარებით ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას, ვინაიდან ისინი არ ზრდიან საწარმოო სიმძლავრეებს და დასაქმების დამატებითი ეკონომიკური ეფექტების შექმნის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. უძრავ ქონებასა და ქსელურ ინდუსტრიებში განხორციელებული კაპიტალდაბანდება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ინფრასტრუქტურაზე, მაგრამ წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ნაკლებეფექტიანია.

საქართველოში შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია. საშუალოვადიან პერსპექტივაში მათ უნდა დაემატოს კაპიტალდაბანდებები ისეთ წარმოებაში, რომელიც დასაქმებისა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს. პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა ისეთ დარგებში, როგორიც კვების პროდუქტების გადამუშავებაა – ღვინო, მინერალური წყლები/მინის წარმოება. საექსპორტო საქონლის გადამუშავებაში ინვესტიციების

ეკონომიკურის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი  
ინვესტიციები, მლნ აშშ დოლარი

ქვეყნები\წლები	2004	2005	2006	2007	2008 იანვარი- ივნისი
სულ	499,8	449,8	1190	2014.8	955.4
<b>ეკონომიკი</b>	<b>195,6</b>	<b>243,7</b>	<b>407.1</b>	<b>1132.7</b>	<b>330.1</b>
ავტომან	23,1	14,7	10.7	11.4	4.5
ჩეხეთი	0,3	1,2	15.0	227.9	0
დანია	0	0,3	42.5	158.1	0.2
დიდი ბრიტანეთი	87,9	132,9	186.8	145.5	71.9
ესპანეთი	0	0	0	3.6	5.5
ესტონეთი	0	0	0	0.6	0
გერმანია	5,1	5,0	20.4	57.0	25.7
ირლანდია	0,041	0,592	1.2	0	0.038
იტალია	32,4	22,8	47.2	15.2	4.1
კვიპროსი	21,3	47,5	40.1	148.6	9.7
ლუქსემბურგი	0,3	0,5	0.3	9.2	4.5
ნიდერლანდები	0	0,5	18.5	299.3	185.2
პოლონეთი	0	0,3	0.5	0	0.011
საბერძნეთი	2,2	2,2	2.5	1.3	4.8
საფრანგეთი	22,9	14,4	17.2	43.7	5.8
შვედეთი	0	0,1	0.2	6.8	1.4
უნგრეთი	0	0,3	0.3	1.0	0.7
ლატვია	0	0	0	3.1	0.7
ლიტვა	0	0	3.4	0.3	0
ბულგარეთი	0	0.07	0.3	0.02	0
ბელგია	0	0	0	1.6	0
ეკონომიკის წილი, %	39	54	33.9	56.2	34.5
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები					

ცალკეული შემთხვევები აღინიშნება საფეიქრო მრეწველობაში, საზოგადოდ, საქართველომ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ახალ მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში კაპიტალის მოზიდვაში, ანუ ისეთი გლობალურად მობილური ინვესტიციების მოზიდვა, რომელთა დაბანდებაც ბევრ ადგილას შეიძლება. არსებულ ინვესტიციებს განაპირობებს ისეთი ადგილობრივი ფაქტორები, როგორიცაა ბაზრის მოთხოვნა და რესურსების ხელმისაწვდომობა; ან კიდევ ისეთი განსაკუთრებული პროექტები, როგორიც მიღსადენის მშენებლობაა<sup>27</sup>.

დამოუკიდებლობის პერიოდში აზერბაიჯანის ეკონომიკაში ინვესტირებულია 38 მლრდ აშშ დოლარი. აქედან უცხოური ინვესტიციების წილად მოდის 27 მლრდ აშშ დოლარი. 2000-2006 წლებში ყველა სახის ფინანსური წყაროებიდან ძირითად კაპიტალში დაბანდებულია 26 მლრდ აშშ დოლარი. 2006 წელს – 8,1 მლრდ დოლარი. აქედან 37.8 % შიდა ინვესტიციებია, 62.2 % - უცხოური. 2007 წელს აზერბაიჯანის ეკონომიკაში ინვესტირებულია 11540,3 მლნ აშშ დოლარი, აქედან 6760,3 მლნ აშშ დოლარი ანუ 58.6 % უცხოური ინვესტიციაა. უცხოური ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი 6,6-ჯერ აღემატება საქართველოს. ამასთან, აზერბაიჯანისათვის დამახასიათებელია ინვესტიციების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების სტაბილური ზრდის ტენდენცია (ცხრილები I.9 და I.10).

საქართველოსა და აზერბაიჯანში უცხოური ინვესტიციების ნაკადების ინტენსიფიკაციის მიზნით, უპირველესად, უნდა შეიქმნას პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილური საინვესტიციო გარემო. საქართველოსა და აზერბაიჯანში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ფორმირების თეორიულ საფუძვლად შეიძლება განვიხილოთ ჯ. დანინგის მიერ შემუშავებული ეკლექტიკური პარადიგმა, რომელიც OLI-პარადიგმის (მოდელის) სახელწოდებითაა ცნობილი<sup>28</sup>. ამ პარადიგმით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზეზები აიხსნება შემდეგი წანამდლვრების დამთხვევით<sup>29</sup>:

- ფირმის წარმოების შესაძლებლობები და უპირატესობები – ფირმისათვის ხელსაყრელია ამ უპირატესობების ადგილზე გამოყენება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საფუძველზე საკუთარი წარმოების განვითარებით,

<sup>27</sup> 6. პაპაჩაშვილი 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინვესტიციების გლობალური ნაკადების ფონზე. საერთაშორისო საუნივერსიტეტო სამეცნიერო შრომების კრებული “საერთაშორისო ბიზნესი”, თბ., 2007, V ტომი, №1-4, გვ. 52-57

<sup>28</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Eclectic\\_paradigm](http://en.wikipedia.org/wiki/Eclectic_paradigm)

<sup>29</sup> <http://www.tisbi.ru/science/vestnik/2008/issue1/eq3.html>

ინგესტიციები აზერბაიჯანის ეკონომიკაში, 2000-2007 წწ.

	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
<b>ინგესტიციები ყველა წყაროს მიხედვით (უცხოური ინგესტიციების გათვალისწინებით)</b>							
მლნ მანათი	1289,8	2718,0	4249,2	5820,4	6733,4	7415,6	9902,7
მლნ აშშ დოლარი	1441,4	2796,6	4326,4	5922,7	7118,5	8300,4	11540,3
<b>უცხოური ინგესტიციები</b>							
მლნ მანათი	829,5	2172,0	3310,9	4496,4	4628,5	4514,2	5801,0
მლნ აშშ დოლარი	927,0	2234,9	3371,0	4575,5	4893,2	5052,8	6760,3
<b>შიდა ინგესტიციები</b>							
მლნ მანათი	460,3	546,0	938,3	1324,0	2104,9	2901,4	4101,7
მლნ აშშ დოლარი	514,4	561,7	955,4	1347,2	2225,3	3247,6	4780,0
<b>წყარო: აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები</b>							

გიდრე ნოუ-ჰაუსა და მისი უპირატესობების სხვა ელემენტების ექსპორტის განხორციელება;

- ფირმა იყენებს უცხოეთში პირდაპირი ინგესტიციების ფორმით იმ წარმოებებს, რომელთა განვითარება საზღვარგარეთ რაიმე მიზეზით მისთვის უფრო ხელსაყრელია.

OLI- პარადიგმის საფუძველია შემდეგი პირობები:

- ფირმების შეფარდებითი უპირატესობა, რომელიც წარმოდგენილია არამატერიალური აქტივების, კერძოდ, საკუთარი ტექნოლოგიების ან მართვასთან დაკავშირებული უპირატესობებით;
- ეროვნული შეფარდებითი უპირატესობები (ბაზრების ტევადობა, წარმოების დაბალი დანახარჯები, განვითარებული ინფრასტრუქტურა, პროფესიული გამოცდილება და ა.შ.);
- კონკურენცია ინგესტორებსა და რეციპიენტებს შორის.

აღსანიშნავია, რომ OLI-პარადიგმაში განსაკუთრებული უურადღება ეთმობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზოგად მაჩვენებლებს, მაგრამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განსხვავების გამო, ქვეყნის საინვესტიციო აქტივობა მხოლოდ შეფარდებითი უპირატესობით არ შეიძლება განისაზღვროს.

## უცხოური ინვესტიციები აზერბაიჯანში, მლნ აშშ დოლარი

	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
უცხოური ინვესტიციები, სულ	927,0	2234,9	3371,0	4575,5	4893,2	5052,8	6760,3
მათ შორის							
ფინანსური კრედიტები	262,9	223,0	238,3	293,0	698,4	983,5	1425,8
ნავთობის მრეწველობაში	546,1	1693,0	2972,4	4088,1	3799,9	3422,3	4176,3
ერთობლივი საწარმოები და საწარმოები უცხოური კაპიტალით	118,0	318,9	45,4	104,2	230,5	368,4	376,0
მათ შორის							
თურქეთი	31,6	55,6	17,1	80,1	96,2	136,6	139,1
აშშ	11,2	41,4	4,9	8,4	24,8	70,0	71,4
ირანი	2,9	2,7	-	-	1,2	17,5	18,0
გერმანია	1,7	1,7	-	2,1	21,5	17,4	17,6
რუსეთი	-	0,7	1,2	1,8	5,1	4,6	4,5
დიდი ბრიტანეთი	6,8	108,1	9,0	4,2	39,5	39,1	40,0
არაბთა გაერთიანებული ემირატები	2,8	0,2	4,4	4,4	5,7	18,3	18,8
შვეიცარია	-	-	-	-	0,5	2,7	2,6
საფრანგეთი	39,3	25,7	2,2	2,2	2,6	11,1	11,3
პორტუგალია	-	-	-	-	0,2	5,4	5,6
ჩინეთი	-	-	-	-	0,2	1,3	1,5
იტალია	-	-	-	-	4,6	2,8	3,0
პაკისტანი	-	-	-	-	-	3,1	3,0
ნორვეგია	-	31,6	-	-	-	-	-
იაპონია	16,4	23,7	-	-	-	-	-
სხვა ქვეყნები	5,3	27,5	6,6	1,0	28,4	38,5	39,6
ნავთობის ბონუსი	-	-	58,6	21,6	1,0	17,0	67,7
პორტუგალია ინვესტიციები	-	-	-	19,0	78,0	57,8	-
სხვა ინვესტიციები			56,3	49,6	85,4	203,8	714,0
წყარო: აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

იგი დამოკიდებულია ფაქტორთა ისეთ ფართო სპექტრზე, როგორებიცაა: ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სიტუაცია, კონკურენტული საინვესტიციო პოლიტიკა.


ჰარგარდის ბიზნესის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, კომპანიის საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებაში გადამწყვეტ როლს შემდეგი ოთხი ფაქტორი თამაშობს:

1. მაკროეკონომიკის ეფექტიანი მართვა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის შეთანხმებულ მოქმედებას, კონტროლს დაქვემდებარებულ ბიუჯეტს, დაბალ ან კლებად ინფლაციას, სავალუტო კურსის სტაბილურობას, დამოუკიდებელ ცენტრალურ ბანკს, რომელსაც შესაძლებლებლობა აქვს იმგვარად ცვალოს საპროცენტო განაკვეთი, რომ გააკონტროლოს ინფლაცია, შეინარჩუნოს ქვეყნის ვალუტის ღირებულება;
2. გრძელვადიანი უპირატესობები ბიზნესისათვის, ადგილობრივი ბაზრების განვითარების ისეთი დონე, რომელიც კაპიტალბრუნვის საშუალებას იძლევა;
3. მოგების მიღების პოტენციალი და მოგებისა და კაპიტალის გატანის შესაძლებლობები;
4. განვითარებული ინფრასტრუქტურა. ეს მოიცავს ტელეკომუნიკაციებისა და ავტომაგისტრალების, პორტების, აეროპორტების, ელექტროენერგიის გამომუშავებისა და სადისტრიბუციო სისტემის განვითარების სათანადო დონეს, აგრეთვე ნედლეულისა და მასალების მიღების შესაძლებლობებს ადგილობრივი წყაროებიდან ან საერთაშორისო ბაზრებიდან შედარებით მისაღები ტარიფებით<sup>30</sup>.


ქვეყნის სტაბილური საინვესტიციო გარემოს შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო რეზერვები. 2006 წლის ბოლოს აზერბაიჯანის საერთაშორისო რეზერვებმა 2005,4 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, საქართველოს – 930,8 მლრდ აშშ დოლარი (ნახ. I.3).

ცხრილში I.11 და ნახ. I.4 წარმოდგენილია ლარისა და მანათის გაცვლითი კურსების დინამიკა 2008 წლის იანვარ-ნოემბერში. როგორც მონაცემები

<sup>30</sup> როგორ შემოვიტანოთ საბაზრო ეკონომიკა ბიზნესში (კერძო მეწარმეობის განვითარების საერთაშორისო ცენტრი) „ეკონომიკური რეფორმები დღეს”, 1999, № 1, გვ. 23-24.



### ნახ. I.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთაშორისო რეზერვები, მლნ აშშ დოლარი



## ნახ. I.4. ლარისა და მანათის გაცვლითი კურსების დინამიკა 2008 წლის იანვარ-ნოემბრში

გვიჩვენებენ, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ლარისა და მანათის გაცვლითი კურსები შედარებით სტაბილურია. ლარისა და მანათის გაცვლითი კურსები უფრო მეტად ევროს მიმართ მერყეობენ, ხოლო დოლარის მიმართ მათი მერყეობის დიაპაზონი ნაკლებია. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნული გალუბების შედარებითი სტაბილურობა ეკონომიკის სტაბილურობასაც განაპირობებს.

ლარისა და მანათის გაცვლითი კურსების დინამიკა

2008 წლის იანვარ-ნოემბერში

თვე	აზერბაიჯანი		საქართველო	
	მანათის კურსი დოლარის მიმართ	მანათის კურსი ევროს მიმართ	ლარის კურსი დოლარის მიმართ	ლარის კურსი ევროს მიმართ
იანვარი	0,8451	1,2551	1,587	2,344
თებერვალი	0,8433	1,2801	1,554	2,35
მარტი	0,8319	1,3144	1,476	2,327
აპრილი	0,8292	1,2912	1,462	2,276
მაისი	0,8248	1,2798	1,444	2,234
ივნისი	0,8116	1,2808	1,418	2,232
ივლისი	0,8090	1,2612	1,408	2,197
აგვისტო	0,8134	1,1985	1,410	2,080
სექტემბერი	0,8070	1,1793	1,405	2,013
ოქტომბერი	0,8095	1,0361	1,421	1,871
ნოემბერი	0,8231	1,2210	1,650	2,135
<b>წყარო:</b> დსთ-ს სტატისტიკის სახელწიფო აღმინიჭების მონაცემები				

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2006 წელს საქართველოს მთლიანმა საგარეო ვალმა და დანახარჯებმა 1,964 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი I.12), ხოლო აზერბაიჯანის – 1,900 მლნ აშშ დოლარი (ცხრილი I.13). 1997 წელთან შედარებით საქართველოს საგარეო ვალის მოცულობა 135.4 %-ით გაიზარდა, აზერბაიჯანის – 137.4 %-ით. 2006 წელს საქართველოს საგარეო ვალის მომსახურებაზე დაიხარჯა 268 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ვალის 13.65 %), ხოლო აზერბაიჯანში – 242 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი ვალის 14.11 %). ამავე წელს საქართველომ ოფიციალური გრანტების სახით 147 მლნ აშშ დოლარი მიიღო (1997 წელთნ შედარებით თითქმის 3-ჯერ მეტი), აზერბაიჯანმა – 58 მლნ აშშ დოლარი, რაც საქართველოსთან შედარებით 2.5-ჯერ ნაკლებია. საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო ვალების და რესურსების ნაკადების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოსათვის დავალიანების პრობლემა ბევრად

საქართველოს საგარეო ვალი და რესურსების ნაკადები,  
მლნ აშშ დოლარი

მაჩვენებლები\წლები	1997	2006	2007
მოლიანი ვალი და დანახარჯები	1,450	1,964	...
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი	0	0	0
განვითარების საერთაშორისო სააგენტო	212	785	885
საგარეო ვალის მომსახურება, სულ	46	268	...
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი	0	0	0
განვითარების საერთაშორისო სააგენტო	1	10	13
წმინდა რესურსების ნაკადების სტრუქტურა			
ოფიციალური გრანტები	53	147	...
ოფიციალური კრედიტორები	94	-26	...
კერძო კრედიტორები	0	37	...
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (წმინდა შემოდინება)	243	1,060	...
საპორტფელო ინვესტიციები (წმინდა შემოდინება)	2	118	...
მსოფლიო ბანკის პროგრამა			
ვალდებულებები	155	58	55
დანახარჯები	64	76	72
ძირითადი გადასახდელები	0	4	7
წმინდა ნაკადები	64	76	72
გადასახდელი პროცენტები	1	6	6
წმინდა ტრანსფერები	63	67	59
<a href="http://www.worldbank.org/">http://www.worldbank.org/</a>			

უფრო სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს, ვიდრე აზერბაიჯანისათვის, რადგან ამ უკანასკნელის მშპ 3-ჯერ აღემატება საქართველოს მშპ-ს. გარდა ამისა, აზერბაიჯანის ეკონომიკის ზრდის ტემპი ასევე აღემატება საქართველოს ეკონომიკის ზრდის ტემპს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ფინანსური წრეები, ჩვეულებრივ, გაგებით ეკიდებიან მოვალე სახელმწიფოების პრობლემებს. მათ კარგად ესმით,

აზერბაიჯანის საგარეო ვალი და რესურსების ნაკადები,

მლნ აშშ დოლარი

მაჩვენებლები\წლები	1997	2006	2007
მთლიანი ვალი და დანახარჯები	508	1,900	...
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი	0	5	21
განვითარების საერთაშორისო სააგენტო	116	583	660
საგარეო ვალის მომსახურება, სულ	78	242	...
განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკი	0	1	1
განვითარების საერთაშორისო სააგენტო	0	8	11
წმინდა რესურსების ნაკადების სტრუქტურა			
ოფიციალური გრანტები	35	58	...
ოფიციალური კრედიტორები	27	53	...
კერძო კრედიტორები	8	-100	...
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (წმინდა შემოდინება)	1,115	-584	...
საპორტფელო ინვესტიციები (წმინდა შემოდინება)	0	1	...
მსოფლიო ბანკის პროგრამა			
ვალდებულებები	85	315	260
დანახარჯები	55	65	74
ძირითადი გადასახდელები	0	4	6
წმინდა ნაკადები	55	62	74
გადასახდელი პროცენტები	0	6	6
წმინდა ტრანსფერები	55	56	62
<a href="http://www.worldbank.org/">http://www.worldbank.org/</a>			

რომ დახარჯული კრედიტების დასაფარად თანხების შოვნა არც ისე ადვილია. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად სახელმწიფო ვალს იხდის იმ მოსაზრებით, რომ მიიღოს ახალი კრედიტი. მაგრამ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს უჭირს “დავალიანების ორმოდან” ამოსვლა. საქართველოს წინაშე დგას ეს საშიშროება, ამიტომ ამ თვალსაზრისით მას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სჭირდება კრედიტორისა და მოვალის ურთიერთობის სწორი სტრატეგიის შერჩევა.

## I.4. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობა სერიოზულ ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზას ემყარება. იგი ფაქტობრივად ორი ქვეყანის თანამშრომლობის ყველა სფეროს მოიცავს და მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა საქართველოს და აზერბაიჯანის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაცია. ამჟამად შექმნილი სამართლებრივი მექანიზმი მოწოდებულია ხელი შეუწყოს სახელმწიფოთა ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებას, უცხოური კაპიტალისა და სახელმწიფო სესხების მოზიდვას, სახელმწიფო პროგრამების ერთობლივად განხორციელებას და, საერთოდ, ორივე ქვეყნისათვის სტრატეგიულ ბიზნეს-სფეროებში თანამშრომლობას. ბუნებრივია, ორ ქვეყანას შორის გაფორმებული სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა სისტემატურ გადახედვას და სათანადო კორექტირებას საჭიროებს, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს ორმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკულ რეალობასთან.

1992 წლის 18 ნოემბერს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის გაფორმდა 100-ზე მეტი საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულება, შეთანხმება, დეპლარაცია თუ ოქმი<sup>31</sup>. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ხელმოწერილი “დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების ოქმი”, ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების ძირითადი საფუძველია. გარდა ამისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობისა და რეგულირების უმთავრესი საფუძველია 1996 წლის 8 მარტს ხელმოწერილი ხელშეკრულება “საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების განმტკიცების შესახებ”. შეთანხმება წარმოადგენს ორი ქვეყნის ურთიერთობაში მშვიდობისა და კეთილმეზობლობის დამყარებისა და განმტკიცების გარანტს. შეთანხმების თანახმად, ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა მათი ორმხრივი ურთიერთობის განმსაზღვრელი ძირითადი ატრიბუტია.

უშუალოდ ეკონომიკის სფეროში საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის გაფორმებული შეთანხმებებიდან უმთავრესი მარეგულირებელი იურიდიული დოკუმენტია 1996 წლის 8 მარტს ხელმოწერილი

<sup>31</sup> [http://www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=334&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=334&lang_id=GEO)

“შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საგაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ” და “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ”. ეს ორი შეთანხმება იძლევა ორ ქვეყანას შორის საგაჭრო პროცესების გამარტივებისა და საქონელბრუნვის შემდგომი ზრდის ხელშემწყობ პირობებს და ეკონომიკური თანამშრომლობის დინამიკურად განვითარების საერთო კანონზომიერებათა მარეგულირებელ მექანიზმს.

“შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ” ადასტურებს მხარეთა ეკონომიკური თანამშრომლობის თავისუფლებისაკენ სწრაფვას. ეს შეთანხმება ეყრდნობა მხარეების მიერ კარგად გაცნობიერებულ აზრს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშევსების შესახებ. გათვალისწინებულია ამ ორ ქვეყანაში არსებული კავშირები, თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე ურთიერთშორის საგაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისკენ სწრაფვა.

საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე არც ერთი მხარე არ დაუშვებს ამ შეთანხმების მოქმედების ქვეშ მოქცეული საქონლის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაბეგვრას შიდა გადასახადებით და მოსაკრებლებით, რომლებითაც იბეგრება შიდა წარმოების ანალოგიური საქონელი ან საქონელი, რომელიც წარმოშობილია მესამე ქვეყანაში. ასევე, ამ შეთანხმების მოქმედების ქვეშ მოქცეული იმპორტის ან ექსპორტის მიმართ რაიმე სპეციალური მოთხოვნების შემოღებას, რომელიც ანალოგიურ შემთხვევაში არ გამოიყენება შიდა წარმოების ანალოგიური საქონლის, ან მესამე ქვეყნების ტერიტორიებიდან წარმოშობილი საქონლის მიმართ. ანალოგიურად დისკრიმინაციული ზომები არ იქნება გამოყენებული მეორე მხარის ტერიტორიიდან წარმოშობილი საქონლის შენახვის, გადაზიდვის, დასაწყობების, გადატანის და ა. შ. მიმართ.

მხარეები ვალდებული არიან თავი შეიკავონ ურთიერთვაჭრობაში რაოდენობრივი შეზღუდვების, ან მათი ეკვივალენტური ზომების შემოღებისაგან. თუმცა მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ რაოდენობრივი ან სხვა სპეციალური შეზღუდვები ცალმხრივად, მხოლოდ ზომიერ ფარგლებში და მკაცრად

განსაზღვრული დროით. ამასთან, მოცემულ შეზღუდვებს უნდა ჰქონდეს განსაპუთრებული ხასიათი. მათი გამოყენება შესაძლებელია ტარიფებისა და გაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში განსაზღვრულ შემთხვევებში. არასანქცირებული საქონლის რეექსპორტი მესამე ქვეყანაში დასაშვებია იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს წერილობითი თანხმობით და პირობებით, სადაც წარმოიშვა ეს საქონელი.

ხელშემკვრელმა მხარეებმა რეგულარულად უნდა გაცვალონ ინფორმაცია ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონებსა და ნორმატიულ აქტებზე. ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების სატარიფო და არასატარიფო მოწერიების ზომების, სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლისა და საბაჟო პროცედურების გატარების გასაადგილებლად, ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ცხრანიშნა სასაქონლო ნომენკლატურა<sup>32</sup>.

მხარეებმა უნდა უზრუნველყონ თავისუფალი ტრანზიტის პრინციპების დაცვა, რომელიც რეგულირდება შეთანხმებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის სატრანზიტო გადაზიდვების პრინციპების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია 1993 წლის 19 მაისს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებას ხელი შეუწყო საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის შექმნამ. ამ კომისიის პირველი სხდომის ოქმი ხელმოწერილია 2004 წლის 11 ივნისს, მეორე – 2005 წლის 18 ივნისს და მესამე – 2006 წლის 17 ივნისს. საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მუშაობამ დააჩქარა ორი ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური პროექტების რეალიზება და ხელი შეუწყო სხვადასხვა სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას.

სხვადასხვა სფეროებში საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის გაღრმავებას ხელს უწყობს, აგრეთვე, 1996 წლის 8 მარტს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ისეთი შეთანხმებები, როგორებიცაა: “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საწარმოო კოოპერაციის შესახებ” და “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში თანამშრომლობის შესახებ”, 1997 წლის 18 თებერვლის

<sup>32</sup> [http://www.mfa.gov.ge/files/59\\_185\\_336257\\_Geo-Az.FTAGeo.pdf](http://www.mfa.gov.ge/files/59_185_336257_Geo-Az.FTAGeo.pdf)

“შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ნავთობისა და გაზის სფეროში თანამშრომლობის შესახებ”, “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ”, “დეკლარაცია საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ”, 1997 წლის 27 დეკემბრის “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამრეწველო საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ”,

ინვესტირების სტიმულირების მიზნით, 1996 წლის 8 მარტს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა “შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ”. აზერბაიჯანის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი სესხის დროულად გადაუხდელობის გამო, 2006 წლის 17 აგვისტოს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი იქნა “შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოს ვალის რესტრუქტურიზაციის შესახებ”.

საქართველო და აზერბაიჯანი ტერიტორიულად ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანზიტო რეგიონში მდებარეობენ, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის სფეროში მათ შორის სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით, ორ ქვეყანას შორის გაფორმებულია შემდეგი დოკუმენტები:

- ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ზოგიერთი არსებული მიღსადენი საშუალებების სრულყოფისა და განახლების, ახალი მიღსადენი საშუალებების შექმნისა და ამ საშუალებებით ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შესახებ (ხელმოწერილია 1996 წლის 8 მარტს);
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო ნაოსნობის შესახებ (ხელმოწერილია 1996 წლის 8 მარტს);
- შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის სარკინიგზო ტრანსპორტის საქმიანობის კოორდინაციის შესახებ (ხელმოწერილია 2004 წლის 14 ივნისს);

- ოქმი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტსა და აზერბაიჯანის სამოქალაქო ავიაციის სახელმწიფო კონცერნს შორის სამოქალაქო ავიაციის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ (ხელმოწერილია 2004 წლის 14 ივნისს);
- შეთანხმება ბაქო-თბილისი-ყარსი ახალი სარკინიგზო ხაზის შესახებ (სამმხრივი შეთანხმება) (ხელმოწერილია 2007 წლის წლის 7 თებერვალს);
- შეთანხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის “ბაქო-თბილისი-ყარსი” ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის რეალიზაციის ფარგლებში მარაბდა-თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობებისა და პრინციპების შესახებ (ხელმოწერილია 2007 წლის წლის 7 თებერვალს).

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოქმედებს უვიზო რეეიმი, რაც ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტების გარდა, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებულია ორმხრივი თანამშრომლობის მარეგულირებელი მთელი რიგი ხელშეკრულებები. მათ შორისაა შეთანხმებები კავშირგაბმულობის, სპორტის, ტურიზმის, განათლების, მეცნიერების, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის დარგში ტექნიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ.

## II თავი. საქართველო და აზერბაიჯანი გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში

### II.1. საქართველოსა და აზერბაიჯანის აღგილი და როლი მსოფლიო სამეურნეო სისტემაში

მსოფლიო სამეურნეო სისტემა საწარმოო-საგაჭრო, საკრედიტო-საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობებისა და წარმოების ფაქტორების საერთაშორისო დანაწილების საფუძველზე მოქმედი ეროვნული მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების (ფირმების, ბანკების, სახელმწიფოთა კავშირების) ერთობლიობაა. მისი ორგანიზაციის ფორმაა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები – ეროვნულ მეურნეობათა სამეურნეო კავშირების სისტემა, რომლის ძირითადი სახეებია:

- საქონლისა და მომსახურების გაცვლა;
- წარმოების ფაქტორების მოძრაობა;
- კაპიტალის მოძრაობა (მიგრაცია).

მსოფლიო სამეურნეო სისტემა ეფუძნება საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ ეროვნული სახელმწიფოების, ეკონომიკური გაერთიანებების, იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკურ ურთიერთობებს. მსოფლიო სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება.

მსოფლიო სამეურნეო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპი არსებითად განსხვავდება წინა ეტაპებისაგან, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვალა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყანათა და საწარმოთა მონაწილეობის ხასიათი, ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ, გაიზარდა ტნკების საქმიანობის მასშტაბები და ჩამოყალიბდა სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ფორმები.

თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემა ვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე, რომლის საფუძველზე ყალიბდება გლობალური ეკონომიკა, ჩნდება პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, იცვლება ბაზარზე საქმიანობის წესები გლობალური მონოპოლიების ბატონობისა და მათ საქმიანობაზე სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობის შესუსტების გამო,

ყალიბდება ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, სულ უფრო ღრმავდება განსხვავება ქვეყანათა ტექნოლოგიური განვითარების დონეებში.

თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ნებისმიერი ქვეყნის ადგილი და როლი მთელი რიგი ფაქტორებით განისაზღვრება. მათგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ეროვნული ეკონომიკის განვითარების დონე და დინამიკა;
- ეროვნული ეკონომიკის თავისუფლებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის დონე;
- საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა პროგრესულობა და განვითარების დონე;
- საერთაშორისო სამეურნეო ცხოვრების პირობებთან ეროვნული ეკონომიკების შეგუების (ადაპტაციის) უნარი და ერთდროულად მასზე სასურველი მიმართულებით ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობა.

გლობალურ ეკონომიკაში ქვეყნების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნით ხორციელდება. მსოფლიო ბანკის მიერ ქვეყნები წლიური სულადობრივი შემოსავლის მაჩვენებლით 4 ჯგუფადაა დაყოფილი<sup>33</sup>:

1. დაბალშემოსავლიანი ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 936 აშშ დოლარი და მასზე ნაკლებია;
  2. საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 936-დან 3 705-მდე აშშ დოლარს შორის მერყეობს;
  3. საშუალოზე მაღალშემოსავლიანი ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 3 706-დან 11 455-მდე აშშ დოლარს შორის მერყეობს;
  4. მაღალშემოსავლიანი ქვეყნები, რომელთა მთლიანი შიდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 11 456 აშშ დოლარს აღემატება;
- მსოფლიო ბანკის ამ კლასიფიკატორით საქართველო და აზერბაიჯანი საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში შედიან.

ეკონომიკური თავისუფლების დონით ქვეყნები იყოფა 5 ჯგუფად<sup>34</sup>:

<sup>33</sup> [www.worldbank.org](http://www.worldbank.org)

<sup>34</sup> <http://www.heritage.org/index/Ranking.aspx>

1. თავისუფალი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური თავისუფლების დონე 100-80 ქულას შეადგენს;
2. ძირითადად თავისუფალი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური თავისუფლების დონე 79.9-70.0 ქულებს შორის მერყეობს;
3. ზომიერად თავისუფალი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური თავისუფლების დონე 69.9-60.0 ქულებს შორის მერყეობს;
4. ძირითადად არათავისუფალი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური თავისუფლების დონის დიაპაზონი 59.9-50.0 ქულებს შორისაა;
5. დათრგუნული ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური თავისუფლების დონე 49.9-0 ქულას შეადგენს.

ეკონომიკური თავისუფლების დონით საქართველო შედის ძირითადად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში (69.8 ქულა), ხოლო აზერბაიჯანი – ზომიერად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში (58.0 ქულა). ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგები მოცემულია ცხრილში II.6.

გაერო სისტემატურად ახორციელებს ქვეყნების კლასიფიკაციას ადამიანური პოტენციალის განვითარების დონის მიხედვით<sup>35</sup>. ყველა ქვეყანა, რომლებისთვისაც ხდება ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის გაანგარიშება, იყოფა 3 ჯგუფად:

1. ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალი დონის ქვეყნები. მათი ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი 0,8-1,0 შეადგენს;
2. ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო დონის ქვეყნები. მათი ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი 0,5-0,799 შორის მერყეობს;
3. ადამიანური პოტენციალის განვითარების დაბალი დონის ქვეყნები. მათი ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი 0,5-ზე ნაკლებია.

ასეთი კლასიფიკაციის შედეგები ყოველწლიურად ქვეყნდება მოხსენებაში “ადამიანური პოტენციალის განვითარების შესახებ” (Human Development Report). 2007/2008 წლების მოხსენებაში წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, 2005 წელს საქართველო ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსით (0,754) 96-ე ადგილზეა, ხოლო აზერბაიჯანი (0,746) – 98-ე ადგილზე (ცხრილი II.2).

საქართველოსა და აზერბაიჯანის ადგილი და როლი თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ჯერ სრულად არაა გააზრებული და გაანალიზებული. უპირველესად, ჩნდება შემდეგი კითხვები: შესაძლებელია თუ არა

<sup>35</sup> Human Development Report, 2007/2008

ამ ქვეყნის სუვერენული განვითარება? რა ინტერესი აქვთ მსოფლიოს უმსხვილეს სახელმწიფოებს სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი? რა ადგილი უკავია საქართველოსა და აზერბაიჯანს გლობალურ სამყაროში? შესაძლებელია თუ არა სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა? და ა.შ.

საქართველო და აზერბაიჯანი მცირე ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნებიან. საქართველოს ფართობი 69,7 ათასი კვ კმ-ია, აზერბაიჯანის – 86,6 ათასი კვ კმ. ქვეყნის ფართობის ზომით აზერბაიჯანსა და საქართველოს მსოფლიო ოეიტინგში 2007 წელს 119-ე და 127-ე ადგილები უკავიათ, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობით – შესაბამისად 94-ე და 117-ე ადგილები. მყიდველობითუნარიანობის პარიტეტით აზერბაიჯანის მთლიანმა შიდა პროდუქტმა 2007 წელს 65 470 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მსოფლიოში 76-ე ადგილი დაიკავა. მისმა ოეალურმა ზრდამ 23,4 %-ს მიაღწია და ეს მსოფლიოში პირველი მაჩვენებელია ანუ მშპ-ის ოეალური ზრდის მაჩვენებლით აზერბაიჯანი მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოა. საქართველომ მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოში 117-ე ადგილი დაიკავა, ხოლო მისი ზრდის ტემპით – მე-10. აზერბაიჯანში მოსახლეობის ერთ სულზე მოდის 7700 დოლარი, საქართველოში – 4700 დოლარი, ანუ აზერბაიჯანში ერთ სულ მოსახლეს 1,64-ჯერ უფრო მეტი შემოსავალი აქვს, ვიდრე საქართველოში მცხოვრებ ადამიანს. სამუშაო ძალით აზერბაიჯანი მსოფლიოში 69-ე ქვეყანაა, ხოლო უმუშევრობის დონით – 54-ე. საქართველო ამ მაჩვენებლებით შესაბამისად 116-ე და 144-ე ადგილებზეა. 2007 წელს ინფლაციის დონით (16,6%) აზერბაიჯანი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საქართველოს (9,2%). ამის გამო მსოფლიო ოეიტინგში აზერბაიჯანი ამ მაჩვენებლით 215-ე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო საქართველო – 188-ეზე. სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპით აზერბაიჯანი მსოფლიოში მეორე ადგილზეა, საქართველო – მეცხრეზე. ექსპორტის მოცულობით საქართველო და აზერბაიჯანი 128-ე და 68-ე ადგილებზე არიან, იმპორტის მოცულობით 109-ე და 103-ე ადგილები უკავიათ. საგარეო ვალის მოცულობით აზერბაიჯანი 130-ე ადგილზეა, საქართველო – 105-ეზე (ცხრილი II.1).

საბჭოთა კავშირის დაშლისა და სუვერენული პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩამოყალიბების შედეგად, მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუქა არსებითად შეიცვალა. ამ ცვლილებების ფონზე მკვეთრად გაძლიერდა წინააღმდეგობა მსხვილ

ცხრილი II.1

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ძირითადი  
მაჩვენებლები და მსოფლიო რეიტინგები, 2007

მაჩვენებლები	აზერბაიჯანი		საქართველო	
	სიდიდე	პოზიცია მსოფლიოში	სიდიდე	პოზიცია მსოფლიოში
ფართობი, კვ კმ	86600	119	69700	127
მოსახლეობა, ათასი ადამიანი, 2008წ. ივლისი.	8178	94	4631	117
მშპ (მყიდველობით უნარიანობის პარიტეტი), მლნ \$	65470	76	20500	117
მშპ-ის რეალური ზრდა (%)	23.40	1	12.40	10
მშპ მოსახლეობის 1 სულთვე, \$ (მყიდველობით უნარიანობის პარიტეტი)	7700	114	4700	143
სამუშაო ძალა, ათასი ადამიანი	5243	69	2020	116
უმუშევრობის დონე, %	4.30	54	13.60	144
ინფლაციის დონე, % (სამომხმარებლო ფასებში)	16.60	215	9.20	188
ინვესტიციები (%-ით მშპ-თან)	28.00	32	29.50	25
სამრეწველო პროდუქციის ზრდა, %	25.00	2	13.00	9
ექსპორტი, მლნ \$	21270	67	1970	128
იმპორტი, მლნ \$	6045	103	4790	109
საგარეო ვალი, მლნ \$	2399	130	4500	105
<b>წყარო:</b> <a href="https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html">https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html</a>				

სახელმწიფოებს შორის და ეს ყველაზე მკაფიოდ სამხრეთ კავკასიაში გამოიკვეთა. კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის მთავარი მოთამაშენი არიან: აშშ, რუსეთი, ევროკავშირის ქავები, თურქეთი, ირანი. ყოველ მათგანს თავისებურად წარმოუდგენია საკუთარი როლი კავკასიის რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფასა და მსოფლიო თანამეგობრობაში ამ რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის საკითხი. ამის გამო, ამჟამად სამხრეთი კავკასია ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური რეგიონია მსოფლიოში.

რუსეთის მეზობლობა და მისი ამბიცია იყოს მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო, სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოსა და აზერბაიჯანის უკერენულ არსებობას. რუსეთი კავკასიას თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს და

ამას რეგიონში მისი ისტორიული არსებობით ხსნის. ამ პოზიციიდან გამომდინარე, იგი ცდილობს რეგიონში თავისი ინტერესების შენარჩუნებას ნებისმიერი ხერხით.

რუსეთის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან დიდი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით გამოირჩევა. ეს განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- სამხრეთ კავკასიას რეგიონში აქვს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა. იგი მდებარეობს მთელი ევროპის უსაფრთხოების სივრცის საზღვარზე. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ესაზღვრება რუსეთს, თურქეთსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას.
- საქართველოსა და აზერბაიჯანს აქვთ ცენტრალური აზიის სატრანზიტო კვანძის უმნიშვნელოვანების უპირატესობა და ეს ხელს უწყობს (ან შეიძლება შეუშალოს) აღმოსავლეთსა და დასავლეთს, დასავარაუდო სამხრეთსა და ინდოეთის ოკეანეს შორის, კომუნიკაციის განვითარებას. აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტი, როგორიცაა გეოპოლიტიკური ტრანზიტი, რომელიც ამ ქვეყნების ცენტრალური როლის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია მომავალი ევრაზიის გლობალურ მოდელებში.
- აზერბაიჯანის რესპუბლიკა ფლობს ნავთობისა და გაზის მარაგს, რომლის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება საქართველოზე გამავალი ნავთობსადენები და გაზსადენი.
- აშშ-ის აქვს თავისი ინტერესი ახლო და შუა აღმოსავლეთში და ცდილობს გააფართოოს თავისი გავლენის სფერო ბალკანეთიდან ცენტრალურ აზიამდე თურქეთის, სამხრეთ კავკასიისა და ირანის გავლით.
- ირანის ისლამური რესპუბლიკის პოლიტიკური რეჟიმი არ შეესაბამება აშშ-ის სტრატეგიულ მიზნებს, ამიტომ ირანის წინააღმდეგ ტარდება “იზოლაციისა და შეჩერების” პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ირანის საგარეო ეკონომიკური კავშირებისათვის დაბრკოლებების შექმნასა და მისი მოწინააღმდეგებისათვის სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური დახმარებების გაწევას, საკუთარი შეიარაღებული ძალების დისლოკაციას ირანის ტერიტორიის მახლობლად. ამ მიზნით აშშ დიდ ინტერესს იჩენს სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი. თავის მხრივ, ირანი აძლიერებს თავის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს და ამ მიზნით აღნიშნულ სფეროებში ააქტიურებს თანამშრომლობას რუსეთთან, ჩინეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან და სხვა ქვეყნებთან. გარდა ამისა, ირანი

დაინტერესებულია ახლო და შუა აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ინტეგრაციული პროცესების განვითარებით. მას სურს გახდეს არა მარტო რეგიონის ლიდერი სახელმწიფო, არამედ უნდა, რომ იყოს მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების რიცხვში.

უკანასკნელ პერიოდამდე დასავლეთის ქვეყნები ფრთხილად რეაგირებდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ რუსეთის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე, მაგრამ რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ ჩამოყალიბებულ რთულ და მრავალასპექტიან სიტუაციაში რუსეთი თავისი მიზნების განხორციელებისაგან უკან არ დაიხევს და ნებისმიერი საშუალებით დაიცავს თავის ინტერესებს ამ რეგიონში. რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები კი მისი საზღვრების მთელ პერიმეტრზე ლოკალურ კონფლიქტებს გამოიწვევს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი აშშ-ის ინტერესებსა და დსტ-ში რუსეთის როლზეა დამოკიდებული ამ რეგიონში ომისა და მშვიდობის საკითხის გადაჭრა. დღეს კავკასიამ არსებითად გააფართოვა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საზღვრები. აქედან გამომდინარე, საქართველომ და აზერბაიჯანმა უნდა იზრუნონ, რომ ეს შესაძლებლობები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. ორივე ქვეყანას საკმარისი პოტენციალი (გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები) გააჩნია მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში დირსეული ადგილი დასამკვიდრებლად.

## II.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის ბიზნეს-გარემოს დახასიათება

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე სხვადასხვა ფაქტორი და პირობა ზემოქმედებს, რომელთა ერთობლიობა ბიზნეს-გარემოს ქმნის. ბიზნეს-გარემოში ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედების დონე დამოკიდებულია ქვეყანასა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, ეკონომიკის ლიბერალიზაციის დონეზე, კონკურენტული გარემოს ხარისხზე, არსებული ნორმებისა და სტანდარტების, სხვადასხვა მარეგულირებელი წესების, პოლიტიკის, კულტურული, ტექნიკური და სხვა ფაქტორების დაახლოების დონეზე. ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედების დონე მით უფრო ძლიერია, რაც უფრო

ფართოა ბიზნეს-საქმიანობის მასშტაბები და სფეროები, ბიზნეს-წრეების ეკონომიკური აქტიურობა.

ბიზნესზე ზემოქმედების ხასიათით ბიზნეს-გარემოში მოქმედი ფაქტორები ორი ჯგუფისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორები. I ჯგუფის ფაქტორები ბიზნესზე უშუალო გავლენას ახდენენ (მაგალითად, სხვადასხვა კანონები), ხოლო II ჯგუფის ფაქტორები უშუალოდ ბიზნესზე არ არიან გამიზნულნი, მაგრამ მასზე ზემოქმედებენ. მაგალითად, პოლიტიკური ცვლილებები, ეკონომიკის მდგომარეობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვა პროცესები არაპირდაპირი სახით სერიოზულად ზემოქმედებენ ბიზნეს-საქმიანობაზე.

კონტროლის შესაძლებლობის დონით ბიზნესის გარემოში მოქმედი ფაქტორები და პირობები შეიძლება იყოს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი. კონტროლირებად ფაქტორებს მიეკუთვნება ის ფაქტორები და პირობები, რომელთა მართვა ფირმას შეუძლია (მაგალითად, ფირმის მართვის სტრუქტურა, წარმოებისა და რელიზაციის ფორმების შერჩევა, რეკლამა და ა.შ.), ხოლო არაკონტროლირებადია ის ფაქტორები და პირობები, რომლებიც ფირმის მხრიდან რეგულირებას არ ექვემდებარებიან. მაგალითად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკა, პოლიტიკა, სახელმწიფო მმართველობა, მომხმარებლები, კონკურენტები, და სხვა. ბიზნესის გარემოში მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა დროთა განმავლობაში იცვლება, ამიტომ მათი განხილვა უნდა მოხდეს დინამიკასა და ურთიერთკავშირში. წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფა შეუძლებელია.

ფირმის მიმართ დამოკიდებულებით განასხვავებენ ბიზნესის შიდა და გარე გარემოს. ბიზნესის შიდა გარემო მოიცავს ფირმის სამეურნეო მექანიზმს, მის მიზნებსა და ამოცანებს, ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფს ადგილმდებარეობისა და საქმიანობის სფეროს მიუხედავად, წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას, ფირმაში მომუშავე ადამიანებს მათი უნარების, მოთხოვნილებებისა და კვალიფიკაციის ჩათვლით.

ფირმის ირგვლივ მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა, რომელიც მოქმედებს მის საქმიანობაზე და განაპირობებს მასზე რეაგირების აუცილებლობას, ბიზნესის გარე გარემოს წარმოადგენს. მას ახასიათებს გარკვეული თვისებები: ურთიერთდამოკიდებულება, მრავალსახეობა, დინამიკურობა და განუსაზღვრელობა<sup>36</sup>.

<sup>36</sup> ლ. ყორდანაშვილი. საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები. თბ., 2006, გვ. 79-80.

ბიზნესზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების მრავალფეროვნების გამო, პრაქტიკაში მიღებულია მათი დაჯგუფების პრინციპი. ბიზნეს-გარემოს შესწავლისას, ჩვეულებრივ, ძირითადი აქცენტი სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ადამიანისეული და კულტურული გარემოს ანალიზზე კეთდება.

სამართლებრივი გარემო ბიზნეს-საქმიანობაზე მოქმედი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან მისი შესწავლით შესაძლებელია ქვეყანათა სამართლებრივი ურთიერთობის, ბიზნესისა და საზოგადოების კავშირურთიერთობათა და ურთიერთდამოკიდებულებათა შეცნობა.

საქართველოსა და აზერბაიჯანში მოქმედებს სამოქალაქო (კოდიფიცირებული) სამართლის სისტემა, რომელიც ეფუძნება კოდექსში თავმოყრილ კანონების კომპლექსს. როგორც ცნობილია, ისლამი არეგულირებს ცხოვრების ყველა მხარეს, მათ შორის რელიგიასთან ნაკლებად დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებსაც კი. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი მუსულმანური ქვეყანაა, აქ, ისევე როგორც საქართველოში, უზენაესია კონსტიტუციური სამართალი. ორივე ქვეყანაში გამიჯნულია კანონშემოქმედებითი, სახელმწიფო მართვისა და იურისდიქციის ფუნქციები.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობა, უპირველესად, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგულირდება. ბიზნესის წარმოების პროცესზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სხვა ქვეყნებთან საქმიანი ურთიერთობების დროს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული კანონმდებლობაც. საქართველოსა და აზერბაიჯანის ბიზნეს-თანამშრომლობის პროცესში გასათვალისწინებელია კანონი მეწარმეთა შესახებ, შრომითი კანონმდებლობა, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, საბაჟო და საგადასახადო კოდექსები, კანონები გარემოს დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, კერძო საკუთრების მარეგულირებელი კანონმდებლობა და ა. შ.

2005 წელს საქართველოში ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელშიც მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო განაკვეთები<sup>37</sup>. საგადასახადო სისტემაში მოხდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები: 2007 წელს

<sup>37</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი. 2008 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით. [www.taxdep.ge/default.aspx?tbmain=209](http://www.taxdep.ge/default.aspx?tbmain=209). უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 23.03.2008

გადასახადების რაოდენობა 7-მდე შემცირდა. აქედან 5 არის სახელმწიფო და 2 ადგილობრივი. სახელმწიფო გადასახდებში შედის: საშემოსავლო გადასახადი, აქციზი, დღგ, საბაჟო და მოგების გადასახადი. ადგილობრივი გადასახდები განისაზღვრება მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ. 2008 წელს 20%-იანი სოციალური გადასახადი, რომელსაც იხდიდა ბიზნესი და საშემოსავლო გადასახადი 12 %-ის ოდენობით, გაერთიანდა ერთიან 25%-იან საშემოსავლო გადასახადში. 2008 წლის პირველი იანვრიდან კორპორაციული მოგების გადასახადი 20-დან 15%-მდე შემცირდა, დივიდენდები განთავისუფლდა ამ გადასახადისაგან. 18%-იანი დღგ არის აუცილებელი იმ მეწარმეებისათვის, რომელთა წლიური ბრუნვა აჭარბებს 100 ათას ლარს. ექსპორტი, საერთაშორისო გადაზიდვები, ტურიზმი და სხვა მომსახურება ნულოვან დღგ-ს ექვემდებარება. ქვეყანაში მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის მოთხოვნები იმ მიზნით, რომ არ შეიზღუდოს ბიზნესის განვითარება. ლიცენზიების რაოდენობა 98 %-ით შემცირდა, გაუქმდა 756 სახის ლიცენზია.

2007 წელს საქართველოში გაუქმდა 2006 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებაში არსებული კანონი საბაჟო ტარიფების შესახებ და მისი ძირითადი დებულებები საგადასახადო კოდექსში გადავიდა. საქართველოს კანონმდებლობით დღგ და სააქციზო გადასახადი თანაბრად მოქმედებს როგორც იმპორტზე, ისე ადგილობრივ პროდუქციაზე. ქვეყანას გააჩნია დაბალი საიმპორტო ტარიფები. 16 სატარიფო განაკვეთი 3 განაკვეთამდებარებული და ისინი 0-დან 12 %-მდე საზღვრებშია მოქცეული (0, 5 და 12 %). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 %-ზე (დარჩენილია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და საშენ მასალებზე). ადარ არსებობს სეზონური ტარიფები. ადარაა განსხვავება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. ასევე გამარტივდა საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატის გაცემის წესები. ამ სერთიფიკატის მისაღებად ადარაა საჭირო საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი ექსპერტიზის აქტის წარდგენა.

საქართველოში არაა გათვალისწინებული რაოდენობრივი (კვოტები, სატარიფო კვოტები) და სხვა არასატარიფო ბარიერები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. ლიცენზირებადია მხოლოდ ზოგიერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქიმიური ნაწარმი, ზოგიერთი სახეობის სამედიცინო

პროდუქცია, იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების, რადიაქტიური მასალების სამრეწველო ნარჩენების იმპორტი.

ექსპორტი საქართველოდან არ იძეგრება. აკრძალულია პულტურულ ფასეულობათა საქონლის ექსპორტი საქართველოდან, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნუსხის მიხედვით.

ვაჭრობის ლიბერალიზაციის ზემოაღნიშნული ღონისძიებების შედეგად საქართველოში მოხდა საშინაო ბაზრის ტოტალური გახსნა და ამასთან, შეიქმნა უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალიზაციისკენ გადადგმული ეს ნაბიჯები ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არქონის პირობებში დამდუპველი და დამანგრეველია. ადგილობრივი ბაზრის გახსნის შედეგად ქვეყანაში განადგურდა მრავალი ტრადიციული დარგი (მაგალითად, მსუბუქი და კვების მრეწველობები), ხოლო მათ ნაცვლად ახალი წარმოებები ფაქტობრივად არ შექმნილა.

საქართველოსაგან განსხვავებით, აზერბაიჯანი ზომიერ ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს, თუმცა საქართველოს მსგავსად, რესპუბლიკაში გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის მოთხოვნები<sup>38</sup>. 2002 წლის 3 სექტემბრიდან აქ გაუქმებულია ლიცენზიები კომერციული საქმიანობის სახეობათა უმეტესობაზე. ლიცენზიის მიღებას საჭიროებს: საბანკო საქმიანობა, სადაზღვევო საქმიანობა, აუდიტი, გადაზიდვები, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საქმიანობა. ლიცენზიები გაიცემა 5 წლის ვადით მისი ვადის გაგრძელების უფლებით. აგრეთვე ცვლილებებია შეტანილი საგადასახადო სისტემაში: საწარმოთა და დაწესებულებებითა მოგების გადასახადის გადახდა პროგრესიული სისტემიდან გადაყვანილია პროპორციულზე და გადასახადის კოეფიციენტი 35 %-დან თანდათან დაყვანილია 24 %-მდე, დღგ 28 %-დან შემცირებულია 18 %-მდე, ლიკვიდირებულია ზოგიერთი სახის გადასახადი მოგებიდან. ფიზიკური პირების გადასახადის მაქსიმალური ზომა 55 %-დან დაყვანილია 35 %-მდე.

აზერბაიჯანის კანონმდებლობით რესპუბლიკაში აღიარებულია რამდენიმე საბაჟო რეჟიმი ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის მიმართ. უცხოელი ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია: ტრანზიტი, საბაჟო მოსაკრებლები, საბაჟო ამბარი, საბაჟო ზონაში შესვლა და იქიდან გამოსვლა.

აზერბაიჯანში იმპორტირებულ საქონელზე დაწესებულია ადვალური საბაჟო ტარიფი 0 – 15 %. სააქციზო გადასახადი დაწესებულია ზოგიერთ საქონელზე

<sup>38</sup> <http://www.customs.gov.az/>

(თამბაქო და ალკოჰოლიანი ნაწარმი). აზერბაიჯანში მიღებულია დღგ-ს პრინციპი, რომლის ზომა ამჟამად 18 %-ს შეადგენს. დღგ-ით დაბეგვრას ექვემდებარება საქონლის საბაჟო ღირებულება (საბაჟო რეჟიმის შესაბამისად, მათ შორის, საბაჟო ტარიფი და სააქციზო გადასახადი). ზოგიერთი სახის საქონელზე დღგ არაა გათვალისწინებული ან იგი 0 %-ს შეადგენს. ექსპორტი (მეტალის ექსპორტის გარდა) განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან. საქონლის განაწილების ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ მონარდების, მათ აგენტებსა და სუბმონარდების საბაჟო ტარიფების გადახდისა და შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ ნავთობისა და გაზის მრეწველობის საქონლის ექსპორტირება და იმპორტირება. საქონლის განაწილების ხელშეკრულების რეჟიმში იმპორტზე გათვალისწინებულია 0%-იანი დღგ.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები. თანამედროვე პირობებში ეს სისტემები მჭიდროდ არიან დაკავშირებულები და მათი განცალკევება ფაქტობრივად შეუძლებელია. საქართველო და აზერბაიჯანი საპრეზიდენტო დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიცხვს განეკუთვნებიან. მათი ეკონომიკური სისტემები შერეული სახისაა: კერძო საკუთრება შეხამებულია სახელმწიფო საკუთრებასთან და ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფო გარკვეულ როლს თამაშობს. ორივე ქვეყნის განვითარებას ხელს უშლის: ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, სუსტი ვალუტა, ინფლაცია, საგარეო ვალი, სიღარიბე და ზოგიერთი სხვა პრობლემა.

ადამიანური პოტენციალის განვითარების დონით საქართველო და აზერბაიჯანი შედიან ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო დონის ქვეყნების ჯგუფში. ამ მაჩვენებლით ისინი ჩამორჩებიან აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების ადამიანური პოტენციალის განვითარების საშუალო დონეს, მაგრამ უმნიშვნელოდ უსწრებენ საშუალო მსოფლიო დონეს. საქართველოს უმაღლესი მაჩვენებელი აქვს მოზრდილი მოსახლეობის (15 და მეტი ასაკის) წიგნიერების დონის მიხედვით, მაგრამ მოსახლეობის ერთ სულზე მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე გაანგარიშებული მშპ-ის მოცულობით იგი თითქმის 1,5-ჯერ ჩამორჩება აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელს, 2,83-ჯერ – აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნების საშუალო დონეს და 2,84-ჯერ – საშუალო მსოფლიო დონეს. აღნიშნულის შედეგად მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ისა და ადამიანური პოტენციალის განვითარების

ინდექსის რეიტინგების სხვაობა უკეთესი აქვს აზერბაიჯანს (4), ვიდრე საქართველოს (24). სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით საქართველო აღემატება როგორც აზერბაიჯანს, ისე აღმოსავლეთ ევროპისა და დასთანის ქვეყნებისა და მსოფლიოს საშუალო დონეს (ცხრილი II.2).

ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამოგრაფიული გარემო, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, ბაზრის კონიუნქტურაზე და ა.შ. ურბანიზაცია ცვლის თანაფარდობას სასაქონლო და ნატურალურ მოხმარებას შორის და ა.შ.

გაეროს მონაცემებით,<sup>39</sup> 1975 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4,9 მლნ ადამიანს, 2005 წელს იგი 4,4 მლნ-მდე შემცირდა. პროგნოზით 2015 წლისათვის კიდევ კლებაა მოსალოდნელი და საგარაუდოდ იგი 4,2 მლნ იქნება. 1975-2005 წლისათვის კიდევ კლებაა მოსალოდნელი და საგარაუდოდ იგი -0,3 % შეადგენდა, 2005-2015 წლისათვის კი -0,7 % იქნება. 1975 წელს მოსახლეობის 49,5 %-ს ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა, 2005 წელს - 52,2 %, ხოლო 2015 წელს 53,8 % იქნება. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 2005 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 18,9 %-ია, 65 და მეტი ასაკის - 14,3 %. 2015 წელს კი ეს მაჩვენებლები შესაბამისად 15,9 და 14,4 % იქნება. ფერტილობის საერთო მაჩვენებელი 1975-2002 წლებში 2,6 შეადგენდა, 2000-2005 წლებში კი 1,5-მდე შემცირდა.

დემოგრაფიული თვალსაზრისით უკეთესი მდგომარეობაა აზერბაიჯანში. 1975 წელს რესპუბლიკის მოსახლეობა შეადგენდა 5,7 მლნ ადამიანს, 2005 წელს იგი 8,4 მლნ-მდე გაიზარდა. მოსახლეობის ზრდაა მოსალოდნელი 2015 წლისათვის. საგარაუდოდ ამ პერიოდისათვის აზერბაიჯანში 9,0 მლნ ადამიანი იქნება. 1975-2005 წლისათვის კი მოსახლეობის წილიური ზრდის ტემპი 1,3 % იყო, 2005-2015 წლისათვის კი 0,8 % იქნება. 1975 წელს მოსახლეობის 51,9 %-ს ქალაქის მოსახლეობა შეადგენდა, 2005 წელს - 51,5 %, ხოლო 2015 წელს 52,8 % იქნება. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 2005 წელს 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 25,3 %-ია, 65 და მეტი ასაკის - 7,2%. 2015 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად 20,6 და 6,8 % იქნება. ფერტილობის საერთო მაჩვენებელი 1975-2002 წლებში 4,3 შეადგენდა, 2000-2005 წლებში კი 1,7-მდე შემცირდა ანუ ამ პერიოდში ფერტილობის მაჩვენებლით აზერბაიჯანი საქართველოს მიუახლოვდა.

<sup>39</sup> Human Development Report, 2007/2008

## ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი, 2005 წელი

	საქართველო	აზერბაიჯანი	აღმოსავლეთი ეკონომიკური და დაცვითი მსოფლიო	
ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის მნიშვნელობა	0,754	0,746	0,808	0,743
დაბადებისას მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი)	70,7	67,1	68,6	68,1
მოზრდილი მოსახლეობის (15 და მეტი ასაკის) წერა-კითხვის ცოდნის (წიგნიერების) დონე, % 1995-2005 წწ.	100,0	98,8	99,0	78,6
დაწყებით, საშუალო და უმაღლეს ასწავლებლებში მოსწავლეთა მოლიანი მაჩვენებელი (%)	76,3	67,1	83,5	67,8
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (მყიდველობით-უნარიანობის პარიტეტით, აშშ დოლარი)	3365	5016	9527	9543
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი	0,761	0,702	0,726	0,718
განათლების დონის ინდექსი	0,914	0,882	0,938	0,750
მშპ-ის ინდექსი	0,587	0,653	0,761	0,761
მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის რეიტინგი (მყიდველობით-უნარიანობის პარიტეტით, აშშ დოლარი) მინუს ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის რეიტინგი	24	4		
წყარო: Human Development Report, 2007/2008				

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა აფართოებს ბიზნესის შესაძლებლობებს, მაგრამ, ამასთან, იქმნება გარკვეული პრობლემები, რადგან საქმიანობა მოცემულ ქვეყნისათვის უცხო გარემოში გადადის. ამასთან, ეს ორი ქვეყანა სხვადასხვა კულტურისა და რელიგიური მრწამსის წარმომადგენელია.

აღნიშნულის გამო, საჭიროა ისეთი გარემოებების გათვალისწინება, რომლებიც ნორმალურ კულტურათაშორის ურთიერთობებს განაპირობებენ. საზღვრების გადაკვეთით ბიზნესის წარმოება საჭიროებს სხვა კულტურის გაგებასა და გათავისებას.

გლობალიზაციის და ინტერნაციონალიზაციის პროცესების მიუხედავად, ამჟამად სხვადასხვა კულტურათა წინააღმდეგობას აქვს ადგილი, რის გამოც ამ ფაქტორს უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. თუმცა, ჩვენი აზრით, ბიზნეს-გარემოში მოქმედი რომელიმე ფაქტორის ან პირობის აბსოლუტიზაცია მიუღებელი უნდა იყოს. თანამედროვე პირობებში ბიზნესზე მოქმედი ყველა ფაქტორი და პირობა უნდა განვიხილოთ ერთიანი სისტემის, კომპლექსის სახით, რომელშიც ისინი ცვლადების სახით გვევლინებიან. ამა თუ იმ ბიზნეს-გარემოში თითოეული მათგანის (ცვლადის) მნიშვნელობა განსხვავებულია. ამიტომ მთავარი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რომელ მათგანზე უნდა იყოს აღებული ორიენტაცია, ადამიანისეული რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე გამიზნული ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრატეგიის შემუშავების დროს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის პროცესში გასათვალისწინებელია რელიგიური მრწამსი. აღსანიშნავია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმირებაში შეუფასებელი როლი სწორედ რელიგიამ ითამაშა.

ეკონომიკასა და კულტურას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოსავლენად მრავალი პროექტია განხორციელებული. ფართომასშტაბიანი პროექტით (მასში 117 ქვეყანაა გამოკვლეული) ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ქვეყნები, რომელთა ისტორიასა და კულტურაში დომინირებს პროტესტანტიზმი, იუდაიზმი და კონფუციზმი, უფრო უკეთეს სოციალურ და ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევენ, ვიდრე კათოლიკური, ისლამური და მართლმადიდებლური ქვეყნები. დამტკიცებულია, რომ სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული, ინსტიტუციონალიზებული რელიგია ხელს უწყობს იმ სოციალური წესრიგის შენარჩუნებას, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს<sup>40</sup>.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ბანკის ეგიდით ხორციელდება პროექტი Doing Business, რომლის ჩარჩოში ყოველწლიურად ხდება ქვეყნების ბიზნეს-გარემოს

<sup>40</sup> ლ. ეორღანაშვილი. რელიგიის გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაზე. <http://www.press.tsu.ge/GEO/cignebi/human/human.html>

შესწავლა და მათი რეიტინგების დადგენა<sup>41</sup>. ამ პროექტით ქვეყნების ბიზნეს-გარემოს შესწავლა წარმოებს შემდეგი 10 მაჩვენებლის მიხედვით:<sup>42</sup>

1. ბიზნესის წამოწყება (კომპანიის დაფუძნება);
2. მშენებლობაზე ნებართვის მიღება;
3. მუშა-მოსამსახურეთა დაქირავება;
4. საკუთრების რეგისტრაცია;
5. კრედიტის მიღება;
6. ინვესტორების ინტერესების დაცვა;
7. გადასახადების გადახდა;
8. საერთაშორისო გაჭრობის წარმოება;
9. კონტრაქტების შესრულება;
10. ბიზნესის (კომპანიის) დახურვა.

მსოფლიო ბანკის კვლევებით დადგენილია საქართველოს ბიზნეს-გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. გარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, 2007 წელს საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივით მე-18 ადგილზეა მსოფლიოში (ცხრილი II.3). საქართველოს უკეთესი ბიზნეს-გარემო აქვს, ვიდრე ევროპავმირის ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არიან: გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია და სხვა. მას, აგრეთვე, საუკეთესო რეიტინგი აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. საქართველოს მაღალი რეიტინგი აქვს კომპანიების დაფუძნების (მე-10 ადგილი), ლიცენზირების (მე-11 ადგილი), მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების (მე-4 ადგილი), საკუთრების რეგისტრაციის პირობების (მე-11 ადგილი) მხრივ. იგი საშუალო დონეზეა საერთაშორისო გაჭრობის წარმოების პირობების მიხედვით, მაგრამ არასახარბიელო მდგომარეობაა კომპანიების დახურვის (ბიზნესიდან გამოსვლის) (105-ე ადგილი), გადასახადების გადახდის (102-ე ადგილი), კრედიტების მიღებისა (48-ე ადგილი) და კონტრაქტების შესრულების (42-ე ადგილი) მხრივ.

ბიზნესის წარმოების სიმარტივით აზერბაიჯანი 96-ე ადგილზეა მსოფლიოში. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მას ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს. აზერბაიჯანს შედარებით კარგი მაჩვენებლები აქვს კრედიტების მიღებისა (26-ე ადგილი) და კონტრაქტების შესრულების (30-ე ადგილი) მხრივ. ამ უკანასკნელი მაჩვენებლით იგი საქართველოსაც კი უსწრებს. დანარჩენი მაჩვენებლების მხრივ კი რესპულიკაში არასახარბიელო მდგომარეობაა. მაგალითად, საერთაშორისო

<sup>41</sup> <http://www.doingbusiness.org/>

<sup>42</sup> [http://russian.doingbusiness.org/Documents/DB2009\\_Overview\\_Russian.pdf](http://russian.doingbusiness.org/Documents/DB2009_Overview_Russian.pdf)

გაჭრობის წარმოების რეიტინგში აზერბაიჯანი 173-ე ადგილზეა, ლიცენზირებით – 159-ე ადგილზე, გადასახადების გადახდით – 141-ე ადგილზე და ა. შ. (ცხრილი II.3).

ცხრილში II.4 მოცემულია ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი საერთაშორისო გაჭრობის წარმოების პირობების მიხედვით. როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ექსპორტისათვის საჭიროა 8 დოკუმენტი, აზერბაიჯანში – 9. საქართველოდან ექსპორტისათვის საჭიროა 12 დღე, ხოლო იმპორტისათვის – 14 დღე. აზერბაიჯანისათვის ეს მაჩვენებლები 56-56 დღეს შეადგენს, რაც თითქმის 5-ჯერ აღემატება საქართველოსას. ექსპორტის დირექტულება 1 კონტეინერზე გაანგარიშებით აზერბაიჯანში 2,64-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში, იმპორტის – 2,67-ჯერ.

საქართველოს ბიზნეს-გარემოს არსებითი ცვლილებების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, მისი ხარისხის რეიტინგი 2007 წელს საკმაოდ დაბალია (ცხრილი II.5). ამ რეიტინგში საქართველოს მხოლოდ მე-100 ადგილი უკავია, ხოლო აზერბაიჯანს – 81-ე. აღსანიშნავია, რომ 2006 წელს საქართველო 92-ე ადგილზე იყო, აზერბაიჯანი – 73-ეზე. სიტუაციის ასეთი გაუარესების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ 2007 წელს 2006 წელთან შედარებით რეიტინგში მონაწილე ქვეყანათა რიცხვი 6 ქვეყნით გაიზარდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი ცვლილება ვერ ფარავს რეიტინგულ ცვლილებას. შესაბამისად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ბიზნეს-გარემოში მომხდარი ცვლილებების დადებითად შეფასება შეუძლებელია.

ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლება. The Heritage-ს შეფასებით, 2008 წელს ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო 32-ე ადგილზეა და მას 69,8 ქულა აქვს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მასზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს ესტონეთს (მე-13 ადგილი და 76,4 ქულა), ლიტვას (30-ე ადგილი და 70 ქულა) და სომხეთს (31 ადგილი და 69,9 ქულა). აზერბაიჯანი იმყოფება 99-ე ადგილზე – 58,0 ქულა. 2007 წელთან შედარებით საქართველომ გაიუმჯობესა მდგომარეობა 0,5 ქულით, ხოლო აზერბაიჯანმა – 2,6 ქულით. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შემადგენელი ელემენტებიდან საქართველოსა და აზერბაიჯანს ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს შრომის თავისუფლების თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლით საქართველო (99,4 ქულა) და აზერბაიჯანი (87,0 ქულა) უსწრებენ I ადგილზე მყოფ პონქონგს (86,3 ქულა). საქართველოს შედარებით მაღალი

Georgo II.3

# ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი ბიზნესის წარმოების პირობების მიმზიდველობით

ქვეყანა	ბიზნესის წარმოების სიმარტივე	კომპანიის დაფუძნება	ლიცენზირება	მუშაობისამსახურეთა დაქირავება	საკუთრების რეგისტრაცია	კრედიტის მიღება	ინვესტორების ინტერესების დაცვა	გადასახადების გადახდა	საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება	კონტრაქტების შესრულება	კომპანიების დახურვა
გაერთ. სამეფო	6	6	54	21	19	1	9	12	27	24	10
შვედეთი	14	22	17	107	7	36	51	42	6	53	19
საქართველო	18	10	11	4	11	48	33	102	64	42	105
გერმანია	20	71	16	137	47	3	83	67	10	15	29
საფრანგეთი	31	12	17	144	159	36	64	82	25	14	32
სომხეთი	39	47	73	48	2	36	83	143	118	64	42
აზერბაიჯანი	96	64	159	80	56	26	107	141	173	30	75
რუსეთი	106	50	177	101	45	84	83	130	155	19	80

Georgo II.4

ზოგიერთი ქვეყნის რეიტინგი საერთაშორისო ვაჭრობის

## წარმოების მიხედვით

ქვეყანა	დოკუმენტები ექსპორტისა- თვის (რაოდენობა)	დრო ექსპორტისა- თვის (დღე)	ექსპორტის დირებულება (აშშ დოლარი ერთ კონტეინერზე)	დოკუმენტები იმპორტისათვის (რაოდენობა)	დრო იმპორ- ტისათვის (დღე)	იმპორტის დირებულება (აშშ დოლარი ერთ კონტეინერზე)
გაერთ.სამეცნ	4	13	940	4	13	1 267
გერმანია	4	7	740	5	7	765
საფრანგეთი	4	11	1 028	5	12	1 148
შვედეთი	4	8	561	3	6	619
საქართველო	8	12	1 105	7	14	1 105
სომხეთი	7	30	1 165	8	24	1 335
აზერბაიჯანი	9	56	2 715	14	56	2 945
რუსეთი	8	36	2 050	13	36	2 050
იაპონია	4	10	989	5	11	1 047
აშშ	4	6	960	5	5	1 160

ცხრილი II.5

ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხის რეიტინგი

ქვეყანა/ეკონომიკა	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001
აშშ	1	1	1	2	2	1	2
გერმანია	2	3	3	4	5	3	5
ფინეთი	3	2	2	1	1	2	1
იაპონია	10	8	9	11	20	16	17
ჰონკონგი	10	11	13	12	18	19	18
ესტონეთი	26	24	24	24	26	26	26
ჩინეთი	57	58	47	44	43	44	50
რუსეთი	70	71	60	57	59	53	56
აზერბაიჯანი	81	73	-	-	-	-	-
საქართველო	100	92	86	-	-	-	-
სომხეთი	106	89	-	-	-	-	-
ჩადი	127	111	98	93	-	-	-
წყარო: <a href="http://www.gcr.weforum.org">http://www.gcr.weforum.org</a>							

მაჩვენებლები აქვს ბიზნესის თავისუფლების (86,6 ქულა), ფისკალური თავისუფლებისა (86,8 ქულა) და ვაჭრობის თავისუფლების კუთხით, აზერბაიჯანს – ფისკალური თავისუფლების (79,7 ქულა), ვაჭრობის თავისუფლებისა (78,4 ქულა) და სახელმწიფო ზომის (77,5 ქულა) მაჩვენებლებში. საქართველოსა და აზერბაიჯანს ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ კორუფციისაგან თავისუფლებისა (შესაბამისად 34,0 და 21,0 ქულა) და საკუთრების წესების (შესაბამისად 35,0 და 25 ქულა) მხრივ (ცხრილი II.6). აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაღალი რეიტინგის მიუხედავად (იგი აზერბაიჯანს 67 ერთეულითა და 11,8 ქულით უსრულებს), როგორც I.3 პარაგრაფში აღინიშნა, აზერბაიჯანს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს (ცხრილები I.1 და I.2).

ცხრილი II.6

ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი

რანგი	ქვეყანა	ქვეყნა	ცვლილება წინა წელ- თან შედა- რებით	ბიზნე- სის თავი- სუფ- ლება	გაჭ- რო- ბის თავი- სუფ- ლება	ფისპა- ლური თავი- სუფ- ლება	სახელ მწიფო ზომა	მონე- ბარუ- ლი თავი- სუფ- ლება	ინვეს- ტი- რების თავის- უფ- ლება	ფინან- სური თავი- სუფ- ლება	საბუთ რების წესები	კორუ- ფციი- საგან თავის- უფ- ლება	შრო- მის თავი- სუფ- ლება
1	პონკონგი	90,0	+0,3	92,7	95,0	93,4	93,1	86,2	90,0	90,0	90,0	83,0	86,3
2	სინგაპური	87,1	-0,2	98,3	92,0	91,1	93,8	86,8	80,0	50,0	90,0	93,0	98,1
3	ავსტრალია	82,6	+0,4	90,5	84,8	61,4	64,3	84,7	80,0	90,0	90,0	86,0	94,7
6	აშშ	80,7	-0,3	91,9	86,8	67,5	59,6	84,0	80,0	80,0	90,0	72,0	95,1
10	დიდი ბრიტანეთი	79,0	-0,5	89,8	85,8	61,0	40,3	80,4	90,0	90,0	90,0	84,0	78,6
13	ესტონეთი	76,4	-1,5	75,9	85,8	81,5	67,3	79,7	90,0	80,0	90,0	65,0	48,5
19	იაპონია	72,8	-0,2	85,8	82,0	67,5	61,1	93,6	60,0	50,0	70,0	75,0	82,5
30	ლიბერ	70,0	-1,0	82,4	85,8	87,6	65,3	75,8	70,0	80,0	50,0	48,0	54,6
31	სომხეთი	69,9	0	83,7	86,4	90,0	89,7	77,8	70,0	70,0	35,0	30,0	66,3
32	საქართველო	69,8	+0,5	86,6	80,6	86,8	74,6	70,9	70,0	60,0	35,0	34,0	99,4
99	აზერბაჯანი	58,0	+2,6	74,6	78,4	79,7	77,5	66,3	30,0	40,0	25,0	21,0	87,0
146	რუსეთი	50,8	+1,0	54,0	60,8	78,9	70,6	65,5	30,0	40,0	25,0	23,0	60,0
152	უკრაინა	48,8	-2,2	40,5	84,0	77,0	39,0	68,1	30,0	40,0	30,0	27,0	52,4
179	ჩრდილოეთი კორეა	2,0	-1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	10,0	0,0	5,0	5,0	0,0

წყარო: <http://www.heritage.org/index/Ranking.aspx>

## II.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა

უკანასკნელ წლებში საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საკითხი აქტიური მსჯელობის საგანი გახდა, რადგან გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ბაზარზე წარმატების უზრუნველყოფა მის გარეშე შეუძლებელია.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განმარტებით, კონკურენტუნარიანობა არის კომპანიების, დარგების, რეგიონებისა და ქვეყნების (ერების) უნარი შემოსავლებისა და ხელფასების შედარებით მაღალი დონე და ამავე დროს, დარჩნენ დია საერთაშორისო კონკურენციისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი კონკურენტუნარიანობას განმარტავს როგორც იმ ფაქტორთა ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში შესაძლო შრომის მწარმოებლურობის დონესა და განვითარების ხარისხს. კონკურენტუნარიანი იქნება ეკონომიკა, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს უზრუნველყოფს.

მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სამეცნიერო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია საბაზრო მეურნეობისა და ლია საზოგადოების უპირატესობათა გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რის შედეგად კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი ქვეყნები და კომპანიები ერთვებიან. დია ეკონომიკის პირობებში ფორმალურად ყველა ქვეყანას აქვს თანაბარი უფლება იყოს მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, მაგრამ ქვეყანათა განვითარების ასიმეტრიულობის გამო, რეალური სურათი სულ სხვანაირად გამოიყურება. პოლიტიკურად გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, თავიანთი მდგომარეობის გამო, იღებენ ს. წ. “განვითარების რენტას” და მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ სტრატეგიული ლიდერობის ხარჯზე. ისინი აყალიბებენ დღის წესრიგს მთელი მსოფლიოსათვის, ზემოქმედებენ სხვა ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, განსაზღვრავენ მათი განვითარების მიმართულებებს, თანხებს ახდევინებენ სტანდარტების, ინფორმაციის, იდეების და ა. შ. გამოყენებაზე და სხვა. ამის საპასუხოდ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და რეგიონები იხდიან “ჩამორჩენილობის რენტას” თავიანთი ბუნებრივი რესურსებით,

ადამიანისეული კაპიტალით, ეკოლოგიური კვოტებით და ა. შ.<sup>43</sup>

კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებას ქვეყნებისა და ბიზნესის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა განაპირობებს. სწორედ ამიტომ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში საქართველოსა და აზერბაიჯანის სრულფასოვანი ინტეგრირების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ყურადღება ამ ქვეყნების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას უნდა დაეთმოს.

თეორიული დებულებები კონკურენციული ბრძოლის მამოძრავებელი ბალების შესახებ ჩამოყალიბდა კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიკი, რომლის თანახმადაც კონკურენცია მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგს და იზღუდება მარტოოდენ სუბიექტური მიზეზების ზეგავლენით. კლასიკური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომებში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა მხოლოდ საფასო კონკურენციას. მეოცე საუკუნის შუა სანებში მოსაზრებებმა კონკურენციის არსის შესახებ თავი მოიყარა სამი მოდელის ჩარჩოში: სრულყოფილი კონკურენცია, მონოპოლია და ოლიგოპოლია. კონკურენციის პროცესის წარმატებით მართვისა და მასში გამარჯვების უნარს შეიძლება ვუწოდოთ კონკურენტუნარიანობა<sup>44</sup>.

მსოფლიო მასშტაბით კონკურენციული ბრძოლის გამწვავებამ წარმოქმნა განსხვავებული მოსაზრებები კონკურენციაში გამარჯვების მიზეზებისა და მიღწეული წარმატებების შენარჩუნების შესახებ. ისინი კლასიკური თეორიის თანახმად იყო: ბუნებრივი რესურსები, იაფი სამუშაო ძალა, სარგებლის განაკვეთის დაბალი დონე, ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობა და სამთავრობო პოლიტიკა<sup>45</sup>.

უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა ახალი თეორიები და მიღგომები საერთაშორისო კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ. ერთ-ერთი სერიოზული გამოკვლევა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის შესახებ განახორციელა მ. პორტერმა, რომელმაც ჩამოაყალიბა “ერების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორია”. მ. პორტერის თეორიაში გამოყოფილია

<sup>43</sup> ლ. ყორდანაშვილი. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში. თსუ შრომების სერია “ეკონომიკა”, თბ., 2004, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №3-4, გვ. 101-111

<sup>44</sup> გაგნიძე ი. კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ქვეყნებში. “გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები”. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 49

<sup>45</sup> იქმე, გვ. 49

ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის 4 ძირითადი და 2 დამხმარე პარამეტრი<sup>46</sup>, რომელთა საფუძველზე ყალიბდება კონკურენციული რომბი.

მ. პორტერის მიერ კონკურენტული უპირატესობის ძირითად პარამეტრებად გამოყოფილია:

1. ფაქტორული პირობები;
2. მოთხოვნის პირობები;
3. მომიჯნავე (მახლობელი) და მომსახურე დარგები;
4. ფირმის სტრატეგია და კონკურენცია.

დამხმარე პარამეტრების როლში გამოდიან სახელმწიფო (მთავრობა) და შემთხვევა.

მ. პორტერის აზრით, ქვეყნების კონკურენტული უპირატესობის ფორმირებაში ფაქტორულ პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით, იგი თვლის, რომ ამ ფაქტორებს ქვეყნები მემკვიდრეობით კი არ იღებენ, არამედ ისინი იქმნება. მ. პორტერი ასევე მიიჩნევს, რომ საერთაშორისო კონკურენციაში წარმატებას განსაზღვრავენ არა იმდენად წარმოების ფაქტორები, არამედ ის გარემოება, თუ სად და რამდენად პროდუქტიულად გამოიყენება ეს ფაქტორები. იგი ასევე ასკვნის, რომ ქვეყანა ვერ იქნება კონკურენტუნარიანი ყველა დარგში ან თუნდაც მათ უმრავლესობაში, რომ გარკვეულ დარგებში ქვეყნები წარმატებას აღწევენ იმის გამო, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მათი ქვეყნისშიდა პირობები უკეთესი და პერსპექტიულია სხვებთან შედარებით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისშიდა ბაზარზე კონკურენტების არსებობას. მ. პორტერი უარყოფს წარმოების კონკურენციის პოტენციურ სარგებლიანობას სახელმწიფოს მხარდაჭერით დაცულ ერთ ეროვნულ ფირმაში, რადგან ასეთი ფირმა შრომის დაბალი მწარმოებლურობისა და რესურსების უყაირაოო გამოყენების გამო, არაეფექტიანი იქნება. სამაგიეროდ ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტიანია შიდა ბაზარზე კონკურენციის გამძაფრება, რადგან ამ შემთხვევაში ფირმას ეძლევა საქონლის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა. საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა მჭიდრო კავშირშია ადგილობრივ პირობებთან. კონკურენციის სტრატეგიის შემუშავებისას ფირმამ უნდა გაითვალისწინოს ორი ძირითადი მოქმედი:

1. დარგის სტრუქტურა, რომელშიც მოქმედებს ფირმა;
2. ფირმის პოზიცია მოცემულ დარგში.

<sup>46</sup> Портер М. Международная конкуренция. - М., 1993

მ. პორტერის აზრით, ეკონომიკის ნებისმიერი დარგში კონკურენციის არსი გამოიხატება შემდეგი 5 ძალით:

1. ახალი კონკურენტების გაჩენის საშიშროება;
2. საქონლის ან მომსახურების შემცვლელების გაჩენის საშიშროება;
3. მაკომპლექტებელი და სხვა ნაწარმის მიმწოდებელთა შევაჭრების უნარი;
4. მყიდველთა შევაჭრების უნარი;
5. მეტოქეობა უკვე არსებულ კონკურენტთა შორის<sup>47</sup>.

ამ 5 ძალის მნიშვნელობა განსხვავებულია დარგებისა და ქვეყნების მიხედვით, რადგან ყოველ მათგანს ახასიათებს განსხვავებული სტრუქტურა და უნიკალურობა. ამასთან, ფირმები საკუთარი სტრატეგიით ზემოქმედებენ ამ სტრუქტურაზე და ამა თუ იმ ცვლილებას იწვევენ.

მ. პორტერმა სხვადასხვა ქვეყნის 100-ზე მეტი დარგის კონკურენტუნარიანობის წყაროებისა და მათი პოზიციების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ საერთაშორისო ბაზრებზე მყარი პოზიციების მქონე ერთი დარგის ფირმები, როგორც წესი, კონცენტრირებულია ერთ ქვეყანაში, ზოგჯერ – ერთი ქვეყნის ერთსა და იმავე რეგიონშიც კი. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ერთი ან რამდენიმე ფირმა, ჩვეულებრივ, თავის წარმატებასა და ეფექტიანობას ახლომდებარე და მასთან დაკავშირებულ მომწოდებლებზე, მომხმარებლებსა და კონკურენტებზეც ავრცელებს. სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ჯგუფებისა და ეკონომიკური აგენტების ერთობლიობას, მ. პორტერმა კლასტერი უწოდა (ამის შესახებ იხ. პარაგრაფი III.4).

მსოფლიო ბაზარზე ქვეყნები კონკურენტუნარიანობას აღწევენ იმ დარგებში, რომელშიც კონკურენტული უპირატესობის დეტერმინანტები უფრო ხელსაყრელია. ამასთან ერთად ადსანიშნავია, რომ ცალკეული ქვეყნების კონკურენტული უპირატესობების დეტერმინანტთა დახასიათებით შესაძლებელია ქვეყნის მიერ კონკურენტუნარიანობის მიღწევის ტრაქტორიის ამა თუ იმ ზომით განსაზღვრა.

კ. კრუგმანი გამოყოფს ქვეყნის კონკურენტული ზრდის შემდეგ სტადიებს: ზრდა ბუნებრივი რესურსების, ინვესტიციების, ინვაციების და, ბოლოს, სიმდიდრის საფუძველზე. ამასთან, იგი ასკვნის, რომ გლობალური კონკურენციის შედეგად ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობა იზრდება.

კ. კრუგმანის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის თეორიას კრიტიკულად მიუდგა ჯ. დანიგი. იგი მ. პორტერის მოდელის ნაკლოვანებად

<sup>47</sup> Портер М. Международная конкуренция. - М., 1993

მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მასში არაა გათვალისწინებული დამოკიდებულება (კაგშირი) ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და კონკურენტუნარიანობის ეროვნულ “რომბს” შორის. ჯ. დანინგის აზრით, “რომბი” არასაკმარისად აფასებს ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ საზღვრის სხვადასხვა მხარეს განხორციელებულ, დამატებული ღირებულების შემქმნელ, სხვადასხვა საქმიანობას შორის იმ გაზრდილ ურთიერთქმედებას, რაც ეროვნული კონკურენტული უპირატესობის რომბის ყველა კომპონენტზე პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს<sup>48</sup>. ამიტომ იგი აკეთებს დასკვნას მ. პორტერის “რომბი” ტრანსნაციონალური ბიზნეს-საქმიანობის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ.

პ. პერსტი და გ. ტომპსონი<sup>49</sup> საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საკითხების განხილვისას იყენებენ ორ მიდგომას:

1. ადგილობრივი ინტერესების მიდგომა, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ადგილობრივი წყაროების ანალიზს;
2. გეოეკონომიკური მიდგომა, რომელიც ემყარება საერთაშორისო სისტემაში სამი ძირითადი აქტორის (აშშ, ევროკავშირი, იაპონია) სტრატეგიულ ურთიერთობებს.

პ. პერსტსა და გ. ტომპსონს გაანალიზებული და შეჯერებული აქვთ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კონკურენტუნარიანობის ორი მთავარი მიმართულება: 1. გაყიდვის უნარი, რომელიც სავაჭრო ბალანსზეა ორიენტირებული და 2. ადგილმდებარეობის მიმზიდველობა, რომელშიც კონკურენტუნარიანობის უმთავრეს საზომად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება. შედეგად ისინი აკეთებენ დასკვნას, რომ ორივე მიდგომა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშემაგრებელია, ამიტომ ისინი ერთიანობაში უნდა იყოს განხილული.

ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის რეიტინგებს განსაზღვრავს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია. მათ შორის აღსანიშნავია მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგები.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (ქ. ლოზანა, შვეიცარია) ეროვნული ეკონომიკების (ქვეყნების) კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად იყენებს 323 მაჩვენებელს, რომლებიც დაჯგუფებულია

<sup>48</sup> Dunning, J. H. (1993), “Internationalizing Porter’s diamond”, Management International Review, Special Issue, 1993-2.

<sup>49</sup> ტომპსონი გ., პერსტი პ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი. თბ. 2005

კონკურენტუნარიანობის ოთხ უმთავრეს ფაქტორად. თავის მხრივ, ყოველი მათგანი იყოფა 5 სუბფაქტორად. ფაქტორები და სუბფაქტორები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

1. ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ფასდება 79 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: შიდა ეკონომიკა, საერთაშორისო გაჭრობა, საერთაშორისო ინვესტიციები, დასაქმება, ფასები.

2. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ეფექტიანობა, რომელიც ფასდება 72 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: საზოგადოებრივი ფინანსები, ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული მოწყობა, ბიზნესის კანონმდებლობა, სოციალური სტრუქტურა.

3. ბიზნესის ეფექტიანობა, რომელიც ფასდება 71 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: მწარმოებლურობა, შრომის ბაზარი, ფინანსები, მენეჯმენტი, წილი გლობალიზაციაში;

4. ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, რომელიც ფასდება 101 კრიტერიუმის მიხედვით და მოიცავს შემდეგ სუბფაქტორებს: ძირითადი ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სამეცნიერო ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა და გარემოს მდგომარეობა, განათლება.

მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის რეიტინგში საქართველო და აზერბაიჯანი ჯერ არ განიხილება.

კონკურენტუნარიანობის ყველაზე მრავალმხრივი მაჩვენებელი შემუშავებულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ. იგი ყოველწლიურად აანალიზებს ქვეყნების/ეკონომიკების და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგებს<sup>50</sup>, რომელიც ქვეყნდება კონკურენტუნარიანობის გლობალურ მიმოხილვაში (Global Competitiveness report). ქვეყნების რეიტინგი გაიანგარიშება როგორც სტატისტიკური მონაცემების, ასევე, მმართველების გამოკითხვის (Executive opinion Survey) საფუძველზე. ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის დასახასიათებლად გამოიყენება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index – GCI), ხოლო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად – ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index - BCI). აღსანიშნავია,

<sup>50</sup> <http://www.weforum.org>

რომ მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსების გაანგარიშება 2005 წლიდან დაიწყო, ხოლო აზერბაიჯანის – 2006 წლიდან.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2007-2008 წლებში გაანგარიშებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 131 ქვეყანას შორის ლიდერია აშშ, რომელსაც 5.67 ქულა აქვს. 5.62 ქულით მეორე ადგილზეა შვეიცარია. მესამე ადგილი უკავია დანიას – 5.55 ქულა. აზერბაიჯანი 4.07 ქულით 66-ეზე ადგილზე იმყოფება და საქართველოს 24 ერთეულით უსწრებს. საქართველოს აქვს 3.83 ქულა და 90-ე ადგილი უკავია. რეიტინგში ბოლო 131-ე ადგილზეა ჩადი – 2.78 ქულა (ცხრილი II.7).

ცხრილი II.7

#### გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ქვეყანა/ეკონომიკა	GCI 2007-2008		GCI-ს 2007-2008 რეიტინგი 2006 წლის ქვეყნებს შორის	GCI 2006- 2007
	რეიტინგი	ქულა		
აშშ	1	5,67	1	1
შვეიცარია	2	5.62	2	4
დანია	3	5.55	3	3
შვედეთი	4	5.54	4	9
გერმანია	5	5.51	5	7
იაპონია	8	5.43	8	5
ჰონგ კონგი	12	5.37	12	10
ესტონეთი	27	4.74	27	26
ჩინეთი	34	4.57	34	35
რუსეთი	58	4.19	55	59
აზერბაიჯანი	66	4.07	62	62
საქართველო	90	3.83	83	87
სომხეთი	93	3.76	85	80
ჩადი	131	2.78	122	121
წყარო: <a href="http://www.gci.weforum.org">http://www.gci.weforum.org</a>				

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი მაკროეკონომიკური სტაბილურობა ახასიათებს აზერბაიჯანს, რომელიც ამ მაჩვენებლით 23-ე ადგილზეა (5.69 ქულა). მას ასევე მაღალი მაჩვენებლები აქვს შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (4.48 ქულა), ბიზნესის სოფისტიკაციაში (3.84 ქულა) და ინოვაციებში (3.36 ქულა). საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს ინფრასტრუქტურის (2.92 ქულა), ტექნოლოგიური მზადყოფნის (2,56 ქულა), ბაზრის ზომის (2.49 ქულა), ინოვაციების (2,65 ქულა) მხრივ (ცხრილი II.8).

BCI ინდექსი სინთეზური მაჩვენებელია, რომელიც მოიცავს ბიზნეს-გარემოს ხარისხს, კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების შეფასებას. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის 2007 წლის რეიტინგი 127 ქვეყნის მიხედვითაა გაანგარიშებული, 2006 წელს კი მათი რაოდენობა 121 ქვეყნით შემოიფარგლებოდა. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის 2007 წლის რეიტინგში I ადგილზეა აშშ. მას ეს ადგილი 3 წლის განმავლობაში უცვლელად უკავია. მეორე ადგილზეა გერმანია, მესამეზე – ფინეთი, რომელიც 2001, 2003 და 2004 წლებში პირველ ადგილზე იყო.

პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე კონკურენტუნარიანია ესტონეთის ბიზნესი, რომელიც რეიტინგში 26-ე ადგილზეა. რუსეთს 58-ე ადგილი უკავია, აზერბაიჯანს – 78-ე, საქართველოს – მე-100, სომხეთს – 108-ე (ცხრილი II.9). განსხვავება საქართველოს GCI-სა და BCI-ს ინდექსებს შორის 10 ერთეულია ანუ საქართველოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობა ჩამორჩება ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. აზერბაიჯანისათვის ეს სხვაობა 12 ერთეულია.

ქვეყნებისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში ქვეყნების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ამასთან ერთად იცვალება ქვეყნების ადგილი ეკონომიკისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში. როგორც ცხრილი II.9-ის მონაცემებიდან ჩანს, 2007 წელს 2005 წელთან შედარებით, საქართველოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი გაუარესდა: ქვეყანამ 86-ე ადგილიდან მე-100 ადგილზე გადაინაცვლა და ეს მოხდა ბიზნეს-გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პირობებში. კერძოდ, ეროვნული ბიზნეს-გარემოს ხარისხით საქართველო მე-100 ადგილზეა (ცხრილი II.5), ხოლო კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხის რეიტინგში მას 93-ე ადგილი უკავია (ცხრილი II.10).

თანამედროვე საერთაშორისო კონკურენციისათვის დამახასიათებელია არნახული სიმძაფრე და დინამიზმი, რის გამოც ქვეყნებს საერთაშორისო

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის  
მაჩვენებლები

მაჩვენებლები	რეიტინგი 131 ქვეყანას/ ეკონომიკას შორის			ქველა (7-დან)		
	1*	2**	3***	1*	2**	3***
<b>GCI 2007-2008</b>	<b>66</b>	<b>90</b>	<b>93</b>	<b>4.07</b>	<b>3.83</b>	<b>3.76</b>
<b>სუბინდექსი A. ძირითადი მოთხოვნები</b>	<b>65</b>	<b>87</b>	<b>91</b>	<b>4.41</b>	<b>4.07</b>	<b>4.05</b>
1. დაწესებულებები	83	86	96	3.64	3.62	3.40
2. ინფრასტრუქტურა	60	83	87	3.58	2.92	2.85
3. მაკროეკონომიკური სტაბილურობა	23	93	57	5.69	4.49	4.98
4. ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	103	82	99	4.73	5.26	4.96
<b>სუბინდექსი B. ეფექტუანობის გამაძლიერებლები</b>	<b>84</b>	<b>90</b>	<b>101</b>	<b>3.65</b>	<b>3.55</b>	<b>3.36</b>
5. უმაღლესი განათლება და ტრეინინგები	89	86	95	3.51	3.59	3.35
6. სასაქონლო ბაზრის ეფექტუანობა	95	83	104	3.82	3.95	3.71
7. შრომის ბაზრის ეფექტუანობა	46	28	40	4.48	4.75	4.54
8. ფინანური ბაზრის სოფისტიკაცია (გამოცდილება)	91	84	110	3.88	3.98	3.59
9. ტექნოლოგიური მზადყოფნა	83	103	104	2.92	2.56	2.55
10. ბაზრის ზომა	71	108	111	3.29	2.49	2.42
<b>სუბინდექსი C. ინოვაციები და ფაქტორების სოფისტიკაცია</b>	<b>68</b>	<b>119</b>	<b>103</b>	<b>3.60</b>	<b>2.90</b>	<b>3.06</b>
11. ბიზნესის სოფისტიკაცია	80	123	115	3.84	3.14	3.26
12. ინოვაციები	54	110	94	3.36	2.65	2.87
1* - აზერბაიჯანი, 2** - საქართველო, 3*** - სომხეთი						
<b>წყარო:</b> <a href="http://www.gcr.weforum.org">http://www.gcr.weforum.org</a>						

## ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ქვეყანა/ეკონომიკა	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001
აშშ	1	1	1	2	2	1	2
გერმანია	2	2	3	3	3	3	5
ფინეთი	3	3	2	1	1	2	1
იაპონია	10	8	7	11	13	15	16
პონგ კონგი	12	12	15	13	20	19	18
ესტონეთი	26	25	26	25	27	26	26
ჩინეთი	57	59	48	44	42	44	50
რუსეთი	71	73	61	58	61	55	57
აზერბაიჯანი	78	72	-	-	-	-	-
საქართველო	100	92	86	-	-	-	-
სომხეთი	108	91	-	-	-	-	-
ჩადი	127	111	98	93	-	-	-
წყარო: <a href="http://www.gcr.weforum.org">http://www.gcr.weforum.org</a>							

კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარეშე მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრება არ შეუძლიათ. გარდა ამისა, გლობალიზაციამ შეცვალა ურთიერთობათა სისტემა კორპორაციებისა და შიგაკორპორაციულ დონეებზე. მართალია, ბაზრის კანონი გულისხმობს ინტენსიურ კონკურენტულ ბრძოლას, მაგრამ ცივილიზებული ბაზრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ფირმათა მცირე ნაწილი ცდილობს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევას თავისი კონკურენტების ლიკვიდაციის ხარჯზე. თანამედროვე ეტაპზე ფირმის კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში მთავარ ხელოვნებად ითვლება მძაფრი და უაზრო კონკურენციის თავიდან აცილების უნარი. ბაზრის კონიუნქტურის სწრაფი ცვლილებების პირობებში არც ერთ ფირმას არ შეუძლია ლიდერობის შენარჩუნება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამიტომ უაზრო მეტოქეობასთან დაკავშირებული ხარჯების აცილების მიზნით, ფირმები იყენებენ სტრატეგიული თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას. ეს, თავის მხრივ, აძლიერებს მათ პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე და თვით ბაზრების მონოპოლიზაციის დონეს. მონოპოლიზაციის პროცესებს, ასევე,

## კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების ხარისხის რეიტინგი

ქვეყანა/ეკონომიკა	2007	2006	2005	2004	2003	2002	2001
აშშ	1	1	2	1	1	1	1
გერმანია	2	2	1	2	2	2	4
ფინეთი	9	9	8	5	3	3	3
იაპონია	6	3	3	4	6	8	9
პონგრენგი	16	15	15	17	23	21	19
ესტონეთი	35	34	32	33	34	32	32
ჩინეთი	54	59	45	39	40	38	46
რუსეთი	77	77	70	65	64	60	62
აზერბაიჯანი	72	67	-	-	-	-	-
საქართველო	93	93	85	-	-	-	-
სომხეთი	115	94	-	-	-	-	-
ჩადი	127	113	99	94	-	-	-
წყარო: <a href="http://www.gcr.weforum.org">http://www.gcr.weforum.org</a>							

აღრმავებს საწარმოო-ტექნიკური კავშირების ინტერნაციონალიზაცია. ამ კავშირების ფირმის შიდა ბრუნვაში მოქცევის შედეგად მსოფლიო ეკონომიკის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოებით 1/4-ს) შეუძლია თავისუფალი კონკურენციის რეჟიმში ფუნქციონირება. ამასთან, საერთაშორისო კონკურენცია, ფაქტობრივად, ლოკალიზებულია მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ქვეყნების ჩარჩოებში. კონკურენცია მძაფრდება ამ ქვეყანათა ჯგუფების პორიზონტალურ დონეებზე, რომელთა შორის ზღვარი სულ უფრო მეტად დრმავდება და ერთი დონიდან მეორეზე გადასვლა ანუ ვერტიკალური მოძრაობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება<sup>51</sup>. შესაბამისად, საქართველოსა და აზერბაიჯანს თავიანთი კონკურენტუნარიანობის ამაღლება ერთობლივი ძალისხმევით უფრო ადვილად შეუძლიათ და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა მთავრობებმა ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოები უნდა განახორციელონ.

<sup>51</sup> ლ. ყორდანაშვილი. კლასტერები – ქართული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის საშუალება. ბიზნესი და კანონმდებლობა. 2008, ივლისი-აგვისტო, გვ. 77-80

### **III თავი. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებში**

#### **III.1. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანი დამოუკიდებელ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას ახორციელებს და მსოფლიო ბაზრებზე ღირსეული ადგილების დამკვიდრებას ცდილობენ.

2007 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 6456,9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ცხრილი III.1), რაც წინა წელს 124.9 %-ით აღემატება, მაგრამ საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე უფრო სწრაფად იზრდება იმპორტის მოცულობა. მისმა მოცულობამ 5216,7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ცხრილი III.2) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 141,7 %-ით აღემატება. საქართველოს ექსპორტი ამ პერიოდში მხოლოდ 124,9 %-ით გაიზარდა. ამის შედეგად მისმა მოცულობამ 1240,2 მლნ აშშ დოლარი ანუ მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 19.2 % შეადგინა, ხოლო იმპორტის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 80.8 %-ია. ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი მხოლოდ 23.8 %-ს შეადგენს (იმპორტი ექსპორტს 4,2-ჯერ აღემატება). საქართველოს ექსპორტის მოცულობა საგარეო სავაჭრო სალდოზე 3.2-ჯერ ნაკლებია. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის მიუხედავად, საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითია და არ იზრდება ექსპორტით იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი. 2007 წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 3976,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2007 წელს ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 23 ქვეყანასთან (145,8 მლნ. აშშ დოლარი), ნაცვლად 28 ქვეყნისა და 109,2 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა წინა წელს. სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობის ზრდის პირობებში არ იზრდება ქვეყანათა რაოდენობა, რომელთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბრუნვა აქვს. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 100 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტი 4122,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (2006 წელს მას უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 104 ქვეყანასთან ჰქონდა და მათთან მთლიანი დეფიციტი 2850,8 მლნ აშშ დოლარს უტოლდებოდა). 2007 წელს ქვეყანას დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 23 ქვეყანასთან (2006 წელს

ცხრილი III.1.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა,  
1994-2007 წწ., მლნ აშშ დოლარი

წლები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
1994	419,8	151,2	268,0	-116,8
1995	542,8	151,2	391,6	-240,4
1996	885,5	198,8	686,7	-487,9
1997	1183,3	239,8	943,5	-703,7
1998	1071,2	189,0	883,2	-694,2
1999	863,3	240,7	622,6	-381,9
2000	1033,0	324,0	709,0	-385,1
2001	1070,9	317,6	753,3	-435,7
2002	1079,2	347,8	731,4	-383,6
2003	1606,4	465,3	1141,1	-675,8
2004	2494,8	646,9	1847,9	-1201,0
2005	3357,6	866,7	2490,9	-1624,2
2006	4674,3	993,1	3681,2	-2688,1
2007	6456,9	1240,2	5216,7	-3976,5
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები				

მხოლოდ 11 ქვეყანასთან პქონდა). ამ წელს აქტიური სავაჭრო სალდოს მოცულობა 145,8 მლნ აშშ დოლარია. აღსანიშნავია, რომ წინა პერიოდთან შედარებით ექსპორტის მოცულობის ზრდის მიუხედავად, ქვეყნის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა არ იცვლება.<sup>52</sup>

1994-2007 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპს აღილი პქონდა 1996 წელს (163.2 %), ექსპორტის – 2004 წელს (139.0 %), იმპორტის – 1996 წელს (175.4 %). 2007 წელს 1994 წელთან შედარებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 419,8-დან 6456,9 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 15.4-ჯერ გაიზარდა, ექსპორტი – 151,2-დან 1240,2 მლნ აშშ დოლარამდე ანუ

<sup>52</sup> <http://www.economy.ge/allfiles/trade%20turnover%202008>

8.2-ჯერ, იმპორტი – 268,0-დან 5216,7 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 19.5-ჯერ (ცხრილი III.2).

ცხრილი III.2.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპები,  
%-ით წინა წელთან, 1995-2007 წწ.

წლები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
1995	129.3	100.0	146.1
1996	163.2	131.5	175.4
1997	133.6	120.6	137.4
1998	90.5	78.8	93.6
1999	80.5	127.4	70.5
2000	119.6	134.6	113.9
2001	104,0	96.2	107.6
2002	100.8	109.5	97.3
2003	148.9	133.8	156.0
2004	155.3	139.0	161.9
2005	134.6	134.0	134.8
2006	139.2	114.6	147.8
2007	138.1	124.9	141.7
<b>წყარო:</b> გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე			

აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2007 წელს 11771.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტის წილად მოდის 5713.5 მლნ აშშ დოლარი ანუ ქვეყნის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 48.5 %, ხოლო იმპორტის – 6058.2 მლნ აშშ დოლარი ანუ 51,5 %. საქართველოსაგან განსხვავებით, უკანასკნელ წლებში აზერბაიჯანისათვის დამასასიათებელია დადებითი სავაჭრო საღდო. 2007 წელს მისმა მაჩვენებელმა 344.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2006 წელს – 1105.5 მლნ აშშ დოლარი (ცხრილი III.3).

1991-2007 წლებში აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის კველაზე მაღალ ტემპს ადგილი ჰქონდა 2000 წელს (148.4 %), ექსპორტის – 2003 წელს (157.7 %), იმპორტის – 2000 წელს (187.7 %) (ცხრილი III.4). 2007 წელს 1991

ცხრილი III.3

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო სავაჭრო ბრუნვის  
დინამიკა, 1991-2007 წწ., მლნ აშშ დოლარი

წელი	ბრუნვა	იმპორტი	ექსპორტი	ბალანსი
1991	4002.2	1881.2	2121.0	239.8
1992	2423.8	939.8	1484.0	544.2
1993	1353.5	628.8	724.7	95.9
1994	1430.6	777.9	652.7	-125.2
1995	1304.9	667.7	637.2	-30.5
1996	1591.9	960.6	631.3	-329.3
1997	1575.7	794.4	781.3	-13.1
1998	1682.6	1076.5	606.1	-470.4
1999	1965.6	1035.9	929.7	-106.2
2000	2917.3	1172.1	1745.2	573.1
2001	3745.3	1431.1	2314.2	883.1
2002	3832.9	1665.5	2167.4	501.9
2003	5216.6	2626.2	2590.4	-35.8
2004	7131.4	3515.9	3615.5	99.6
2005	8558.4	4211.2	4347.2	136.0
2006	11638.9	5266.7	6372.2	1105.5
2007	11771.7	5713.5	6058.2	344.7

**შემთხვევა:** აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო  
კომიტეტის მონაცემები

წელთან შედარებით აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 4002.2-დან 11771.7 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 2,9-ჯერ გაიზარდა, ექსპორტი – 1881.2-დან 5713.5 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 3-ჯერ, იმპორტი – 2121.0-დან 6058.2 მლნ აშშ დოლარამდე ანუ 2.9-ჯერ (ცხრილები III.3 და III.4).

საქართველოსა და აზერბაიჯანის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები, თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და, ამასთან, დინამიკური ფორმაა, მაგრამ ამ თანამშრომლობამ თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში სათანადო სამართლებრივი ბაზითაა განმტკიცებული (იხ. პარაგრაფი I.3).

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ზრდის  
ტემპები, %-ით წინა წელთან, 1992-2007 წწ.

წელი	ბრუნვა	იმპორტი	ექსპორტი
1992	60.6	50.0	70.0
1993	55.8	66.9	48.8
1994	105.7	123.7	90.1
1995	91.2	85.8	97.6
1996	122.0	143.9	99.1
1997	99.0	82.7	123.8
1998	106.8	135.5	77.6
1999	116.8	96.2	153.4
2000	148.4	113.1	187.7
2001	128.4	122.1	132.6
2002	102.3	116.4	93.7
2003	136.1	157.7	119.5
2004	136.7	133.9	139.6
2005	120.0	119.8	120.2
2006	136.0	125.1	146.6
2007	101.1	108.5	95.1
<b>წყარო:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები			

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოსათვის აზერბაიჯანი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2007 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის იგი მეოთხე ადგილზეა და მასზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 8,0 %, ექსპორტის 11,1 % და იმპორტის 7,3 %. ამ წელს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორების სამეულში არიან: თურქეთი, რომელზეც მოდის მისი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 13,9 %, ექსპორტის 13,9 % და იმპორტის 14,0 %; უკრაინა – შესაბამისად 10,4; 7,6 და 11,0 %; რუსეთი – შესაბამისად 9,8; 4,3 და 11,1 % (ცხრილი III.5). 2006 წელს აზერბაიჯანი მესამე ადგილზე იყო და მის წილად მოდიოდა საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 8,8 %, ექსპორტის 9,5 % და იმპორტის 8,7%. 2008 წლის იანვარი-

ცხრილი III.5

საქართველოს ძირითადი საგაჭრო პარტნიორები, 2007 წელი

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%
სულ:	1 240 184,4	100	5216702,0	100	6456 886,5	100
თურქეთი	171 770,6	13.9	727906,0	14.0	899 676,6	13.9
უკრაინა	94 169,3	7.6	574 906,0	11.0	669 075,3	10.4
რუსეთი	53 014,1	4.3	578 838,3	11.1	631 852,4	9.8
აზერბაიჯანი	137 321,3	11.1	381 952,0	7.3	519 273,2	8.0
გერმანია	56 155,9	4.5	387 326,6	7.4	443 482,6	6.9
აშშ	149 561,3	12.1	203 891,4	3.9	353 452,7	5.5
ბულგარეთი	59 357,3	4.8	184 049,7	3.5	243 407,0	3.8
არაბთა გაერთიანებული ემირატები	18 638,3	1.5	214 721,3	4.1	233 359,5	3.6
ჩინეთი	8 272,5	0.7	206 709,4	4.0	214 981,9	3.3
თურქმენეთი	26 338,5	2.1	149 901,8	2.9	176 240,3	2.7
დანარჩენი პარტნიორი	465 585,4	37.5	1 606499,5	30.8	2 072085,0	32.1
ქვეყნები სულ:						
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები						

ცხრილი III.6

აზერბაიჯანის ძირითადი საგაჭრო პარტნიორები, 2007 წელი  
(ათასი აშშ დოლარი)

ქვეყნები	ბრუნვა	%	იმპორტი	%	ექსპორტი	%	საგაჭრო ბალანსი
სულ ქვეყნების მიხედვით	1176688,2	100	5708573,5	100	6058308,7	100	349735,2
თურქეთი	1680819,6	14,3	624496,6	10,9	1056323,0	17,4	431826,4
რუსეთი	1529756,5	13,0	1002704,2	17,6	527052,3	8,7	-475651,9
იტალია	1081761,3	9,2	140832,8	2,5	940928,5	15,5	800095,7
ირანი	539966,8	4,6	105235,7	1,8	434731,1	7,2	329495,4
აშშ	496600,3	4,2	268404,2	4,7	228196,1	3,8	-40208,1
უკრაინა	494742,3	4,2	465554,2	8,2	29188,1	0,5	-436366,1
გერმანია	490724,2	4,2	470993,0	8,3	19731,2	0,3	-451261,8
გაერთიანებული სამეფო	413989,5	3,5	410906,1	7,2	3083,4	0,1	-407822,7
საქართველო	406711,3	3,5	62930,8	1,1	343780,5	5,7	280849,7
ისრაელი	400688,3	3,4	30842,5	0,5	369845,8	6,1	339003,3
<b>წყარო:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

სექტემბრის მონაცემებით, აზერბაიჯანმა, როგორც საქართველოს უმსხვილესმა საგაჭრო პარტნიორმა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამ პერიოდში აზერბაიჯანის წილმა საქართველოს საგარეო საგაჭრო ბრუნვაში 10,9 %, ექსპორტის 13,4 % და იმპორტის 10,2 % შეადგინა.

საქართველო აზერბაიჯანის ძირითადი საგაჭრო პარტნიორების რიცხვში შედის და მათ შორის მეცხრე ადგილზე იმყოფება. მის წილად მოდის აზერბაიჯანის საგარეო საგაჭრო ბრუნვის 3,5 %, ექსპორტის 5,7 % და იმპორტის 1,1 %. აზერბაიჯანის ძირითადი საგაჭრო პარტნიორების პირველ სამეულში შედიან: თურქეთი, რომელზეც მოდის მისი საგარეო საგაჭრო ბრუნვის 14,3 %, ექსპორტის 17,4 % და იმპორტის 10,9 %; რუსეთი – შესაბამისად 13,0; 8,7 და 17,6 %; იტალია – შესაბამისად 9,2; 15,5 და 2,5 % (ცხრილი III.6).

აზერბაიჯანს ძირითადი საგაჭრო პარტნიორების ათეულიდან უარყოფითი საგაჭრო ბალანსი აქვს რუსეთთან – 47565,9 ათასი აშშ დოლარი, აშშ-თან – 40208,1 ათასი აშშ დოლარი, უკრაინასთან – 436366,1; გერმანიასთან – 451261,8 ათასი აშშ დოლარი და გაერთიანებულ სამეფოსთან – 407822,7 ათასი აშშ დოლარი. აზერბაიჯანს დადებითი საგაჭრო სალდო აქვს საქართველოსთან. მისი მოცულობა 280849,7 ათას აშშ დოლარს შეადგენს. აზერბაიჯანის საგარეო საგაჭრო ბრუნვა საქართველოსას თითქმის 2-ჯერ აღემატება, ექსპორტი – 5-ჯერ, იმპორტის მოცულობა კი თითქმის უტოლდება და ეს იმ დროს, როდესაც აზერბაიჯანის მოსახლეობა თითქმის 2-ჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობას.

საქართველო 2000 წლის 14 ივნისიდან არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი, ხოლო აზერბაიჯანი მასში მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსითაა წარმოდგენილი<sup>53</sup>. საქართველო ლიბერალურ საგარეო საგაჭრო პოლიტიკას ახორციელებს და ამას ხელს უწყობს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქართველო ევროკავშირის ქვეყნებთან და თურქეთთან **GSP+** რეჟიმით ვაჭრობს. **GSP+** რეჟიმს თითქმის მთლიანად ნულამდე დაყავს საბაჟო ტარიფები ევროკავშირის ბაზარზე საქონლის იმპორტირებისას, მხოლოდ სოფლის მეურნეობის გარკვეულ პროდუქციაზე არ არის განულებული სატარიფო ბარიერები. ევროკავშირი **GSP+** რეჟიმს ისეთ ქვეყნებს ანიჭებს, რომლებსაც ნაკლებად დივერსიფიცირებული

<sup>53</sup> <http://www.wto.org/>

საექსპორტო წარმოება გააჩნიათ და, ამასთან, ევროკავშირის იმპორტში ამ ქვეყნების პროდუქციის წილი 1%-ს არ აღემატება. ანუ ეს ისეთი ქვეყანა უნდა იყოს, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე კონკურენციის თვალსაზრისით სახიფათო არ იქნება. ამ რეჟიმით სარგებლობენ, აგრეთვე, ის ქვეყნები, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირისათვის მისაღები სოციალური და გარემოს დაცვითი პოლიტიკის გატარებას.

GSP+-ის მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა საერთაშორისო სტანდარტებთან შრომითი კოდექსისა და გარემოს დაცვითი კანონმდებლობის მიახლოება. საქართველომ ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოები განახორციელა, რის შედეგად მან ეს რეჟიმი შეირჩუნა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის GSP+-ის სქემით გათვალისწინებული საქონლის ფართო ჩამონათვალის მიუხედავად, მასში საქართველოსათვის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია (მაგალითად, ღვინო) არაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, ქართული პროდუქცია არათუ საერთაშორისო, არამედ საშინაო ბაზარზეც კი ვერ ახერხებს დამკვიდრებას. შედეგად საქართველოს ექსპორტის მოცულობა უმნიშვნელოა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით<sup>54</sup>, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს 136-ე და 107-ე ადგილები უკავია, აზერბაიჯანს – 78-ე და 101-ე. მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველო – 108-ე და 122-ე ადგილებზეა, აზერბაიჯანი – მე-100 და 70-ზე. საქართველოს ექსპორტის თითქმის ნახევარს სამრეწველო პროდუქცია შეადგენს. მის წილად მოდის 44,6 %. მეორე ადგილზეა აგრარული პროდუქცია – 26,1 %. საწვავისა და მინერალური პროდუქციის წილად მოდის 23,1 %. აზერბაიჯანის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია საწვავი და მინერალური პროდუქცია – 90,5 %. სამრეწველო პროდუქციაზე მოდის 3,7 %, აგრარული პროდუქციაზე – 5,2 %. საქართველო იმპორტში ძირითადი ადგილი სამრეწველო პროდუქციას უკავია. მის წილად მოდის 59,8 %. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს – 77,6 %. საქართველოს იმპორტში მნიშვნელოვანი წილი (18,6 %) საწვავსა და მინერალური პროდუქციაზე მოდის, აზერბაიჯანის იმპორტში კი მისი წილი მხოლოდ 4,5 %-ია.

1995 წელს საქართველოს ექსპორტის 62,5 % და იმპორტის 40,1 % დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა, ხოლო 2002 წელს ეს მაჩვენებლები შემცირდა

<sup>54</sup> <http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCCountryPFView.aspx?Language=E&Country=GE>  
[http://www.wto.org/english/thewto\\_e/acc\\_e/a1\\_azerbaijan\\_e.htm](http://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/a1_azerbaijan_e.htm)

(განსაკუთრებით – ექსპორტი) და შესაბამისად 48,3 და 38,8 % შეადგინა. სამაგიეროდ გააქტიურდა ვაჭრობა მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან.

დსთ-ის ქვეყნებში სავაჭრო ბრუნვის შემცირება არაა მარტო საქართველოსათვის დამახასიათებელი ტენდენცია. როგორც ცხრილის III.7 მონაცემები გვიჩვენებენ, 2002 წელს დსთ-ის შიდა სავაჭრო ბრუნვის წილმა მთლიანი ბრუნვის 26 % შეადგინა და ეს 1995 წელთან შედარებით 8,4 %-ით ნაკლებია. აღნიშნული ტენდენცია დსთ-ის ყველა ქვეყნისათვისაა დამახასიათებელია (მცირე გამონაკლისია ტაჯიკეთი, რომლის შიდა ინტეგრციული ბრუნვა, მართალია, 2001 წლიდან მცირდება, მაგრამ იგი 1995 წლის დონეს მაინც აღემატება). 2006 წელს აზერბაიჯანის ექსპორტის 14,6 % და საქართველოს ექსპორტის 41,8 % მოდიოდა დსთ-ის ქვეყნებზე.

2007 წელს აზერბაიჯანის ექსპორტის წილი დსთ-ის ქვეყნებში 18,2 %-მდე გაიზარდა, სამაგიეროდ შემცირდა იმპორტის მოცულობა დსთ-ის ქვეყნებიდან – 2006 წლის 39,8 %-ის ნაცვლად იგი მხოლოდ 33,3 %-ია. აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის წილი 2007 წელს 4,0 %-ით შემცირდა და 37,8 % შეადგინა. ასევე 38,1-დან 35,5-მდე შემცირდა საქართველოს იმპორტი დსთ-ის ქვეყნებიდან (ცხრილი III.8).

დსთ-ის ქვეყნებს, რუსეთის გარდა, ურთიერთვაჭრობაში ახასიათებს უარყოფითი სავაჭრო სალდო. 2007 წელს აზერბაიჯანის უარყოფითმა სალდომ 798,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, სომხეთის – 732,7 მლნ აშშ დოლარი, ბელორუსის – 7766,2 მლნ აშშ დოლარი, საქართველოს – 1384,5 მლნ აშშ დოლარი, ყაზახეთის – 6634,0 მლნ აშშ დოლარი, ყირგიზეთის – 957,1 მლნ აშშ დოლარი, მოლდოვას – 783,4 მლნ აშშ დოლარი, ტაჯიკეთის – 1290,7 მლნ აშშ დოლარი, უკრაინის – 7014,3 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რუსეთის დადებითმა სალდომ – 22737,5 მლნ აშშ დოლარი. მთლიანობაში დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობამ 2007 წელს 191950,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 131 %-ით აღემატება 2006 წლის მოცულობას. 2007 წელს დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტისა და დსთ-ის ქვეყნებიდან იმპორტის ყველაზე მაღალი ტემპები დამახასიათებელია სომხეთისათვის – შესაბამისად 167 და 156 %, ყირგიზეთისათვის – 150 და 154 %, უკრაინისათვის – 147 და 127 % (ცხრილი III.9).

ცხრილების III.8 და III.9 ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, დსთ-ის ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში ამ ქვეყნების ურთიერთვაჭრობის წილი ნახევარზე ნაკლებია, ხოლო მთლიანად დსთ-ის ქვეყნების ექსპორტში მათი წილი 18 %-ს შეადგენს,

**დსთ-ს და მსოფლიოს სხვა ქვეყნების წილი თანამეგობრობის  
ცალკეული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პრუნვის  
მთლიან მოცულობაში, 1995-2002 (%)**

ქვეყანა\წელი	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002
<b>აზერბაიჯანი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	39,3 60,7	39,6 60,4	46,3 53,7	37,8 62,2	27,3 72,7	20,9 79,1	17,8 82,2	23,3 76,7
<b>სომხეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	53,3 46,7	35,4 64,6	35,0 65,0	27,7 72,3	23,4 76,6	20,8 79,2	25,2 74,8	27,0 73,0
<b>ბელორუსი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	64,7 35,3	66,2 33,8	70,0 30,0	68,6 31,4	62,9 37,1	65,5 34,5	65,3 34,7	62,5 37,5
<b>საქართველო</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	46,2 53,8	45,0 55,0	40,4 59,6	34,8 65,2	39,6 60,4	36,7 63,3	39,6 60,4	41,9 58,1
<b>ყაზახეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	61,1 38,9	60,3 39,7	49,2 50,8	43,2 56,8	33,3 66,7	36,2 63,8	39,6 60,4	32,4 67,6
<b>ყირგიზეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	66,9 33,1	65,5 34,5	57,5 42,5	49,5 50,5	42,0 58,0	47,8 52,2	45,1 54,9	45,8 54,2
<b>მოლდოვა</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	65,3 34,7	64,0 36,0	59,3 40,7	52,5 47,5	47,2 52,8	42,9 57,1	46,8 53,2	44,9 55,1
<b>რუსეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	22,6 77,4	23,2 76,8	22,3 77,7	21,8 78,2	18,5 81,5	18,6 81,4	18,2 81,8	17,0 83,0
<b>ტაჯიკეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	46,8 53,2	49,6 50,4	50,5 49,5	49,6 50,4	61,4 38,6	64,0 36,0	56,0 44,0	50,4 49,6
<b>თურქეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	51,6 48,4	60,6 39,4	57,0 43,0	39,3 60,7	-	-	-	-
<b>უზბეკეთი</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	40,0 60,0	27,0 73,0	30,2 69,8	26,2 73,8	-	-	-	-
<b>უკრაინა</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	59,3 40,7	58,1 41,9	49,3 50,7	44,3 55,7	42,7 57,3	43,9 56,1	42,2 57,8	38,2 61,8
<b>დსთ-სულ</b> დსთ-ს ქვეყნები სხვა ქვეყნები	34,4 65,6	34,9 65,1	32,9 67,1	31,5 68,5	27,7 72,3	28,4 71,6	28,0 72,0	26,0 74,0
<b>წერტილი:</b> Внешняя торговля стран Содружества Независимых государств. Статистический справочник предварительных итогов. Статкомитет СНГ. М., 2003								

დსთ-ის ქვეყნების ურთიერთგაჭრობა და სხვა ქვეყნების წილი  
ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში, 2006-2007 წწ., %

დსთ-ის ქვეყნები	ექსპორტი				იმპორტი			
	დსთ-ში		სხვა ქვეყნებში		დსთ-დან		სხვა ქვეყნებიდან	
	2006	2007	2006	2007	2006	2007	2006	2007
აზერბაიჯანი	14,6	18,2	85,4	81,8	39,8	33,3	60,2	66,7
სომხეთი	21,6	30,7	78,4	69,3	31,8	33,1	68,2	66,9
ბელორუსი	43,6	46,1	56,4	53,9	64,9	66,3	35,1	33,7
საქართველო	41,8	37,8	58,2	62,5	38,1	35,5	61,9	64,5
ყაზახეთი	14,6	16,7	85,4	83,3	46,7	44,6	53,3	55,4
ყირგიზეთი	47,7	50,0	52,3	50,0	57,7	63,1	42,3	36,9
მოლდოვა	40,3	41,0	59,7	59,0	37,9	36,1	62,1	63,9
რუსეთი	14,0	14,9	86,0	85,1	16,2	14,9	83,8	85,1
ტაჯიკეთი	13,3	15,6	86,7	84,4	63,8	61,9	36,2	38,1
თურქეთი	..	..	..	..	..	..	..	..
უზბეკეთი	..	..	..	..	..	..	..	..
უკრაინა	33,0	37,8	67,0	62,2	44,8	42,2	55,2	57,8
დსთ-სულ	18	19	82	81	31	29	69	71

წყარო: <http://cis.minsk.by/main.aspx?uid=13378>

დსთ-ის ქვეყნებიდან იმპორტში – 19 %-ს. დსთ-ის ქვეყნების ექსპორტზე ყველაზე ნაკლებად არიან დამოკიდებული: ტაჯიკეთი – 13,3 %, რუსეთი – 14,0 % და აზერბაიჯანი – 14,6 %, ხოლო იმპორტზე – რუსეთი – 14,9 %, ტაჯიკეთი – 15,6 % და ყაზახეთი – 16,7 %. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების თანამშრომლობა ვაჭრობის სფეროში ვერ იძლევა სათანადო შედეგს: ძლიერია დეზინტეგრაციული განწყობილება, ყველა ქვეყანა დასავლეთზე ორიენტაციას ამჯობინებს და პარტნიორებს დსთ-ს საზღვრებს გარეთ ეძებს. მათი საბოლოო მიზანი ევროპულ და აზიურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. გარდა ამისა, ქვეყნებს არ გააჩნიათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მუშაობის გამოცდილება და განვითარებული ეკონომიკური სექტორი, რის გამოც მათი ეკონომიკური პრობლემები ხშირად პოლიტიკურ სარჩევლს იძენს. ეს, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე და ხელს უშლის ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას. მიუხედავად ამისა, დსთ-ის ცალკეული ქვეყნების ურთიერთობანამშრომლობა საკმაოდ ეფექტურია. ამის ნათელი მაგალითია საქართველო და აზერბაიჯანი.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აზერბაიჯანის რესპუბლიკა ქვეყნის უმსხვილესი პარტნიორების პირველ ხუთეულში შედის. ყველაზე მაღალი

Եթողո III.9

დსთ-ის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის მოცულობა, 2007 წ.

დსთ-ის ქვეყნები	მლნ აშშ დოლარი				%-ით 2006 წელთან		2006 წ.	%-ით 2005 წელთან
	სულ	ექსპორტი	იმპორტი	სალდო	ექსპორტი	იმპორტი	ექსპორტი	იმპორტი
აზერბაიჯანი	3003,5	1102,4	1901,1	-798,7	119	91	103	145
სომხეთი	1442,3	354,8	1087,5	-732,7	167	156	113	133
ბელორუსი	30228,8	11231,3	18997,5	-7766,2	130	131	122	130
საქართველო	2323,3	469,4	1853,9	-1384,5	120	132	97	141
ყაზახეთი	22564,6	7965,3	14599,3	-6634,0	143	132	137	136
ყირგიზეთი	2091,3	567,1	1524,2	-957,1	150	154	125	146
მოლდოვა	1884,0	550,3	1333,7	-783,4	130	131	77	113
რუსეთი	82419,1	52578,3	29840,8	22737,5	124	133	130	118
ტაჯიკეთი	1748,7	229,0	1519,7	-1290,7	123	138	104	127
თურქეთი	...	...	...	...	...	...	...	...
უზბეკეთი	...	...	...	...	...	...	...	...
უკრაინა	44244,7	18615,2	25629,5	-7014,3	147	127	118	119
დსთ-სულ	191950,3	93663,1	98287,2	-4624,1	131	130	126	124

(მეორე) ადგილი მას 1996 წელს ეპავა, შვიდჯერ იყო მესამე ადგილზე, ოთხჯერ – მეოთხეზე და ორჯერ – მეხუთეზე (ცხრილი III.10).

ცხრილი III.10

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადგილი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო  
პარტნიორ ქვეყნებს შორის (1994-2003 წწ.)

წლები	ადგილი	სავაჭრო ბრუნვა, %-ით ჯამთან
1994	4	7,8
1995	3	11,1
1996	2	11,6
1997	3	12,1
1998	3	8,8
1999	5	7,2
2000	4	7,6
2001	3	8,4
2002	3	10,4
2003	5	6,9
2004	4	7,3
2005	3	9,4
2006	3	8,8
2007	4	8,1

**წერტილი:** ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის  
სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

როგორც ცხრილების III.11 და III.12 მონაცემები გვიჩვენებენ, წლების განმავლობაში საქართველოს აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს და ამასთან ერთად, მას ზრდის ტენდენცია ახასიათებს. 2003 წელს ქვეყნის მთლიანმა იმპორტმა 1141 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამ წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტირებული პროდუქციის წილი საქართველოს იმპორტის მთლიან მოცულობაში 8,22% იყო. მართალია, ეს წინა წელთან შედარებით თითქმის 2 %-ით ნაკლებია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იმპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან აბსოლუტურ მაჩვენებლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ 2000 წელს იგი 56287 ათასი დოლარი იყო, 2003 წელს მან 93791 ათას დოლარს მიაღწია ანუ 1,7-ჯერ გაიზარდა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზრდის ტემპები წლების მიხედვით განსხვავებულია. იმპორტისაგან განსხვავებით საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. 2001 და 2003 წლებში იგი მკვეთრად შემცირდა და, შესაბამისად, წინა წლების 49,6 და 56,9 % შეადგინა, ხოლო 2002 წელს კი ზრდას ჰქონდა

### ცხრილი III.11

საქართველოსა და აზერბაიჯანის საგაჭრო ბრუნვა 2000-2007 წწ.

ათასი აშშ დოლარი

წელი	ექსპორტი	იმპორტი	საგაჭრო ბრუნვა
2000	20336,1	56142,6	76508,7
2001	9975,8	73208,5	83184,3
2002	29282,0	80301,6	109583,6
2003	16439,7	93729,9	110169,6
2004	25327,2	156397,9	181725,1
2005	83447,8	233419,9	316867,7
2006	92355,0	318485,9	410840,9
2007	137321,3	381952,0	519273,2
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები			

ადგილი არა მარტო წინა წელთან, არამედ 2000 წელთან შედარებითაც.

საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სხვადასხვა სასაქონლო ჯგუფებს მოიცავს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოცემულ სტატისტიკურ კრებულში “საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2000-2003“ 97 დასახელებითაა წარმოდგენილი.

ცხრილში III.13 მოცემულია მხოლოდ უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები. როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, სასაქონლო ჯგუფების პოზიციები წლების მიხედვით მერყეობს. მაგალითად, 2000 წელს პირველი სამი პოზიცია შემდეგ სასაქონლო ჯგუფებს ეკავათ: თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები – 4179,9 ათასი აშშ დოლარი (20,8 %); ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები – 3285,0 (16,3 %); შაქარი და საკონდიტორო ნაწარმი შაქრისაგან – 2669,9 ათასი აშშ დოლარი (13,3 %); 2001 წელს: შაქარი და საკონდიტორო ნაწარმი შაქრისაგან – 2710,1 ათასი აშშ დოლარი (27,2 %); სასუქები – 1354,1 ათასი აშშ დოლარი (13,6 %); ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები – 781,2 ათასი აშშ დოლარი (7,8 %); 2002 წელს: საფრენი აპარატები და მათი ნაწილები – 12792,1 ათასი აშშ დოლარი (43,7 %);

Georgo III.12

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობების  
მირთადი მაჩვენებლები (ათასი აშშ დოლარი)

Georgo III.13

საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უმსხვილესი  
სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2000-2003 წწ.

სასაქონლო ჯგუფის დასახელება	წლები				%-ით ჯამთან			
	2000	2001	2002	2003	2000	2001	2002	2003
საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, სულ	20124,6	9975,8	29279,0	16654,2	100,0	100,0	100,0	100,0
ფქვილ-ბურღულეული მრეწველობის პროდუქცია; ალაო; სახამებელი; ხორბლის წებოვანი	1426,6	91,1	-	-	7,1	0,9	-	-
ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები	303,2	86,4	475,1	139,8	1,5	0,9	1,6	0,8
შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან	2669,9	2710,1	3079,8	1901,8	13,3	27,2	10,5	11,4
მზა პროდუქტები პურეული მარცვლოვანებისაგან; ფქვილეული საკონდიტრო ნაწარმი	160,6	148,2	134,8	193,0	0,8	1,5	0,5	1,2
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და მმარი	726,4	731,2	1318,3	2022,6	3,6	7,3	4,5	12,1
თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცვლელები	4179,9	46,2	241,3	-	20,8	0,5	0,8	-
მინერალურისაწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები	506,2	-	5405,9	1643,2	2,5	-	18,5	9,9
ფარმაცევტული პროდუქცია	705,6	752,4	541,6	685,1	3,5	7,5	1,8	4,1
სასუქები	1394,5	1354,1	1164,1	1745,6	6,9	13,6	4,0	10,5
პოლიმერული მასალები, პლასტმასები და მათი ნაწარმი	362,6	343,7	903,8	395,8	1,8	3,4	3,1	2,4
მინა და მისი ნაწარმი	534,3	651,9	107,5	358,3	2,7	6,5	0,4	2,1

ცხრილი III.13-ის გაგრძელება									
შავი ლითონები	78,7	49,6	295,5	174,4	0,4	0,5	1,0	1,0	
შავი ლითონის ნაწარმი	804,9	361,1	233,2	535,7	4,0	3,6	0,8	3,2	
ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები	3285,0	781,2	418,3	1883,7	16,3	7,8	1,4	11,3	
ელექტრონული მანქანები და მოწყობლობები, მათი ნაწილები და საკუთხოები	653,1	156,5	143,1	417,3	3,2	1,6	0,5	2,5	
ლოკომოტივები, მოძრავი შემადგენლობა და მათი ნაწილები: საგზაო მოწყობილობები	373,9	150,9	240,7	715,2	1,8	1,5	0,8	4,3	
მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობისა	81,2	195,8	269,5	2109,4	0,4	2,0	0,9	12,7	
საფრენი აპარატები და მათი ნაწილები	-	7,5	12792,1	108,5	-	-	43,7	0,7	
<b>წყარო:</b> საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2000-2003, ობ., 2004, გვ. 21-24									

მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები – 5405,9 ათასი აშშ დოლარი (18,5 %); შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან – 3079,8 ათასი აშშ დოლარი (10,5 %); 2003 წელს: მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობისა – 2109,4 ათასი აშშ დოლარი (12,7 %); ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და მმარი – 2022,6 ათასი აშშ დოლარი (12,1 %); შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან – 1901,8 ათასი აშშ დოლარი (11,4 %). 2000-2003 წლების განმავლობაში მხოლოდ ერთადერთი სასაქონლო ჯგუფი – შაქარი და საკონდიტრო ნაწარმი შაქრისაგან – მუდმივად შედის პირველ სამეულში, თუმცა მისი ექსპორტის მოცულობა შემცირდა და 2003 წელს მან წინა წლის 61,8 % და 2000 წლის 41,2 % შეადგინა.

საქართველოს ექსპორტში მაღალი წილითაა წარმოდგენილი მანქანათმშენებლობის ისეთი პროდუქცია, როგორიცაა, მაგალითად, ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები; ლოკომოტივები, მოძრავი შემადგენლობა და მათი ნაწილები, საგზაო მოწყობილობები; ელექტრონული მანქანები და მოწყობლობები, მათი ნაწილები და საკუთნოები და ა. შ.

ცხრილში III.14 მოცემულია 2005-2007 წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. როგორც ამ ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2005-2007 წლებში აზერბაიჯანში საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელთა შორის პირველ ადგილზეა ცემენტი, რომლის მოცულობამ 2005 წელს 17,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს – 28,8 მლნ აშშ დოლარი, 2007 წელს – 59,5 მლნ აშშ დოლარი. 2005 წელს მეორე ადგილზე იყო სატვირთო ავტომობილები – 3,65 მლნ აშშ დოლარი, 2006 წელს – სამკურნალო საშუალებები (3,1 მლნ აშშ დოლარი), რომლის მოცულობა წინა წელთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა; 2007 წელს – სისხლი ადამიანის, ცხოველების – 9 მლნ აშშ დოლარი.

აზერბაიჯანში საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სასაქონლო ჯგუფია სპირტიანი სასმელები, რომლის მოცულობამ 2005 წელს 0,64 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2006 წელს მისი მოცულობა 1,78-ჯერ გაიზარდა და 1,78 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო 2007 წელს იგი კიდევ 91 %-ით გაიზარდა და 3,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი III.14

საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უმსხვილესი  
სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2005-2007 წწ., მლნ აშშ დოლარი

დასახელება	წლები			ზრდა, %		
	2005	2006	2007	2005	2006	2007
ფრინელის ხორცი	0,29	0,1	1	-	-18,1	9-ჯერ
მინერალური წყლები	1,1	1,3	1,8	83,3	178,1	38,5
სპირტიანი სასმელები	0,64	1,78	3,4	128,5	-	91,0
ელექტროენერგია	0,6	1,21	2,6	-	-	114,9
ცემენტი	17,7	28,8	59,5	5,6-ჯერ	62,7	106,6
სამკურნალო საშუალებები	1,03	3,1	8,2	12-ჯერ	2-ჯერ	1,65-ჯერ
სატერიო ავტომობილები	3,65	1,71	1	3-ჯერ	-53,1	-41,5
გემის დრეკ-ამწები	-	0,09	2,4	-	-	25,7-ჯერ
მანქანათმშენებლობის ნაწილები	0,21	0,34	0,86	-	61,9	1,5-ჯერ
სისხლი ადამიანის, ცხოველების	-	1,54	9	-	-	4,8-ჯერ
სულ	25,2	40,0	89,8	-	-	-
დანარჩენი პროდუქცია	58,2	52,3	47,2	-	-	-
მთლიანი ექსპორტი	83,4	92,3	137,0	-	-	-
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები						

ცხრილში III.15 წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ იმპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ძირითადად ერთი სასაქონლო ჯგუფით შემოიფარგლება. ესაა მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები. ამ სასაქონლო ჯგუფის წილი 2000-2003 წლებში 82,6-დან 89,2 %-მდე მერყეობდა. სხვა სასაქონლო ჯგუფები (100-მდე დასახელების) კი უმნიშვნელო წილით იყო წარმოდგენილი. 2003 წელს აზერბაიჯანზე მოდიოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მთლიანი იმპორტის 74,1 %, 2002 წელს – 75,4 %, 2001 წელს – 72 %; 2000 წელს – 62,8 %, 2007 წელს 2000 წელთან შედარებით გაზისა და ნავთობპროდუქტების წილი აზერბაიჯანის მთლიან იმპორტში 9,4 %-ით გაიზარდა და 72,2 % შეადგინა. (ცხრილი III.16). ამ წელს გაზის იმპორტი წინა წელთან შედარებით 15,5 - ჯერ გაიზარდა, რაც რუსეთიდან იმპორტირებული გაზის მოცულობის შემცირებამ განაპირობა.

Georgo III.15

საქართველოს იმპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფების მიერთვით, 2000-2003 წწ., ათასი აშშ დოლარი

სასაქონლო ჯგუფის დასახელება	წლები				%-ით ჯამთან			
	2000	2001	2002	2003	2000	2001	2002	2003
იმპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სულ	56287,2	73216,2	80357,1	93791,3	100,0	100,0	100,0	100,0
პურეული მარცვლოვანები	1037,9	2,5	83,6	267,7	1,8	0,0	0,1	0,3
ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცვილები	361,9	1057,3	1066,8	828,1	0,6	1,4	1,3	0,9
მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმოვანი ნივთიერებები; ცვილები	46490,0	65174,0	71699,6	81376,9	82,6	89,0	89,2	86,8
არაორგანული ქიმიის პროდუქტები; ლითონების რადიოაქტიური ელემენტების ნაერთები	1526,9	1110,9	1542,0	500,8	2,7	1,5	1,9	0,5
პოლიმერული მასალები, პლასტმასები და მათი ნაწარმი	910,8	888,5	731,2	1430,5	1,6	1,2	0,9	1,5
შავი ლითონები	3,1	71,3	397,3	1502,4	0,0	0,1	0,5	1,6
შავი ლითონის ნაწარმი	892,8	174,0	112,5	88,7	1,6	0,2	0,1	0,1
ატომური რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები	1164,0	943,5	365,9	941,8	2,1	1,3	0,5	1,0

საქართველოს იმპორტი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან უმსხვილესი  
სასაქონლო ჯგუფების მიხედვით (2005-2007 წწ.)

დასახელება	წლები			ზრდა, %		
	2005	2006	2007	2005	2006	2007
ნავთობპროდუქტები	185,3	232,5	171,6	40,4	25,5	-26,0
გაზი	3,3	5,7	93,7	65,0	72,7	15,4-ჯერ
ნავთობის გადამუშავების ნარჩენები	5,6	5,7	10,6	60,0	1,4	87
ელექტროენერგია	0,6	0,2	2,4	-	-73,3	14-ჯერ
გოგირდმჟავა, ოლეუმი	0,4	0,5	1,1	33,3	25,0	120
ეთილენის პოლიმერები	-	2,1	2,4	-	-	14
ანაცერი, ქატო	0,33	4,5	8,5	153,8-ჯერ	12,7-ჯერ	88
ავეჯი	1,59	3,4	4,9	133	113,0	44
გემის ამწევები, ამწევები	-	-	2,6	-	-	-
მავთულები, კაბელები	-	1,6	2,3	-	-	43
შაქარი	-	12,0	15,6	-	-	30
სულ	197,4	268,2	315,7	-	-	-
დანარჩენი იმპორტი	35,6	50,8	66,3	-	-	-
მთლიანი იმპორტი	233,0	319,0	382,0	-	-	-
<b>წყარო:</b> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები						

ყოველწლიური ზრდის ტენდენცია ახასიათებს, აგრეთვე, ნავთობპროდუქტების იმპორტს, რადგან აზერბაიჯანი მისი ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებელია. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოსათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან სათბოძენერგეტიკის სფეროში, მაგრამ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იმპორტის ზრდა საშიშია ნებისმიერი ეკონომიკისათვის შედეგი მიზეზების გამო:

1. უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს წარმოქმნა, რასაც ამჟამად აქვს ადგილი. ეს, თავის მხრივ, იწვევს საგარეო დაფინანსების აუცილებლობას (საგარეო ვალის ზრდას) ან საკუთარი აქტივების გაყიდვის აუცილებლობას, კაპიტალის შემოტანის მიზნით;
2. ქვეყნის მიერ ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა ან გარე სამყაროზე დამოკიდებულების გაძლიერება;

3. შეუძლებელი ხდება ეკონომიკის განვითარება და მაღალი ტემპებით ზრდა.

როგორც ცნობილია, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იმპორტის 30 %-იანი წილი ის საზღვარია, რომლის დროსაც დამოუკიდებელი ქვეყნები ვისიმე გავლენის ქვეშ ექცევიან. საქართველო ამ საზღვარს მიუახლოვდა და თუ მას სურს დამოუკიდებელი მეურნეობის შენარჩუნება, უნდა იფიქროს ექსპორტის განვითარებასა და იმპორტის ჩანაცვლებაზე. სხვა ქვეყნებთან, მათ შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, თანამშრომლობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოსა და აზერბაიჯანს სერიოზული მიღწევები აქვთ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების სფეროში და პერსპექტივაში მოსალოდნელია ამ მიღწევების გაფართოება.

### **III.2. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში**

საქართველოსა და აზერბაიჯანის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია ამ ქვეყნების კონკურენტული უპირატესობაა და იძლევა ტრანსპორტის სფეროში მათი თანამშრომლობის შესაძლებლობას. საქართველოსა და აზერბაიჯანის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა – კასპიისა და შავი ზღვის პორტები, სარკინიგზო და საავტომობილო სისტემა, ნავთობისა და გაზის მიღსადენები, აეროპორტები – მსოფლიოს უდიდესი ბაზრებისა და რეგიონების დამაკავშირებელი საშუალებაა.

თავის მხრივ, საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობას ენერგეტიკის სფეროში აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის მარაგები განაპირობებს. ამასთან, თანამშრომლობის ეს სფერო უშუალოდად დაკავშირებული ტრანსპორტის სფეროსთან, რადგან უმსხვილესი ენერგეტიკული კრონექტების რეალიზაცია ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას საჭიროებს.

ამჟამად აზერბაიჯანის ნახშირწყალბადების მარაგები ყველა კატეგორიის მიხედვით 4 მლრდ ტონაზე მეტია, რის შედეგად ეს ქვეყანა უმსხვილესი სანავთობო რეგიონების რიცხვში შედის. 2007 წელს აზერბაიჯანში წარმოებულია 860 მლნ ნომინალური აშშ დოლარის ნავთობის პროდუქცია, აქედან ექსპორტირებულია 521 მლნ ნომინალური აშშ დოლარის პროდუქცია. პროგნოზის

თანახმად, 2010 წლისათვის მათი მოცულობა შესაბამისად 1300 და 476 მლნ ნომინალური აშშ დოლარი იქნება. 2007 წელს ნავთობის სექტორიდან მიღებული შემოსავალი აზერბაიჯანის მშპ-ის 19,7 %-ია, ხოლო 2010 წლისათვის იგი 43,3 % მიაღწევს. 2003 წელს ქვეყნის შემოსავლების მთლიან მოცულობაში ნავთობის სექტორიდან მიღებული შემოსავალი 42 % იყო, 2007 წელს კი 59 %-ს მიაღწია (ცხრილი III.17).

### ცხრილი III.17

აზერბაიჯანი: ენერგია და ეკონომიკა, მლნ ნომინალური აშშ დოლარი

	2003	2004	2005	2006	2007	2010
ნავთობის პროდუქცია*	320	319	441	648	860	1300
ნავთობის ექსპორტი*	215	204	314	521	721	476
პუი-სულ	3285	3556	1680	-219	-4750	476
პუი ნავთობის სექტორში	3246	3461	1459	-573	-5198	366
შემოსავალი ნავთობის სექტორიდან	886	946	1337	2921	5272	19417
წილი მთლიან შემოსავალში (%)	42	38	39	51	59	-
წილი მშპ-ში (%)	-	-	9,8	15,0	19,7	43,3
სანავთობო ფონდის აქტივები	816	972	1394	1936	3093	36387

\* ათასი ბარელი დღეში;

წყარო: Oil Production source: US Energy Information Administration, Short Term Energy Outlook Other Indicators from IMF, Article IV Consultation, Staff Report, No. 07/191. June 2007.

სწორედ ნავთობის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა ხელი შეუწყო დამოუკიდებელობის მოპოვების შემდეგ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. ეროვნული ეკონომიკის სტიმულირების მთავარ გზად ბუნებრივი ნახშირწყალბადების ექსპორტი იქცა. შესაბამისად, გაჩნდა ამ ექსპორტის კუთხით პოტენციურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა. დაიწყო კასპიის ენერგორესურსების სატრანზიტო მარშრუტების შემუშავება. 1994 წლის 20 სექტემბერს ბაქოში ხელმოწერილი იქნა “პროდუქციის გაყოფის შესახებ” ტიპის შეთანხმება<sup>55</sup>, რომელიც ითვალისწინებდა “აზერი”, “ჩირაგი” და “გიუნეშლი” საბაზოების

<sup>55</sup> [http://www.heydar-aliyev.org/index\\_ru.jsp](http://www.heydar-aliyev.org/index_ru.jsp)

დამუშავებას. ეს შეთანხმება თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, “საუკუნის კონტრაქტის” სახელმწოდებით “მოინათლა”. ამ შეთანხმების ტექსტი მოიცავს 400 გვერდს და იგი 4 ენაზეა გაფორმებული. მასში მონაწილეობა მიიღო 8 ქვეყნის (აზერბაიჯანი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, თურქეთი, ნორვეგია, იაპონია, საუდის არაბეთი) 13 კომპანიამ (ამოკო, ბიპი, მაკდერმოტი, იუნოკალი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო კომპანია, ლუკოილი, სტატოილი, ექსონი, თურქია პეტროლერი, პენზოილი, იტოჩუ, რემკო, დელტა).

“საუკუნის კონტრაქტი” საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანის “ახალ სანავთობო სტრატეგიას”<sup>56</sup>. აზერბაიჯანის “აზერი-ჩირაგი-გიუნეშლი” საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის ექსპორტირებისათვის გადაწყდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის მშენებლობა, რომლითაც აზერბაიჯანული ნავთობი ევროპის ქვეყნებს მიეწოდება. 1999 წლის 18 ნოემბერს სტამბოლის სამიზნე თურქეთის, საქართველოს, თურქმენეთის, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ლიდერებმა ნავთობის ძირითადი საექსპორტო მილსადენის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის მთავრობათაშორის შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ამით პროექტში ჩაერთვნენ კასპიის ნავთობის ძირითადი მარაგის მფლობელი ქვეყნები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის მთავრობათაშორისი შეთანხმების პროექტის პაკეტით დარეგულირდა ყველა იმ ქვეყნის უფლებები, ინტერესები და ვალდებულებები, რომელთა ტერიტორიაზე მილსადენის გავლა იყო დაგეგმილი.

პროექტის რეალიზაციისათვის 2002 წლის 1 აგვისტოს კაიმანის კუნძულებზე დაფუძნდა ნავთობსადენი კომპანია **BTC Co.** მისი აქციონერები არიან<sup>57</sup>:

**BP** – ბრიტანული ნავთობკომპანია – პროექტის ოპერატორი (30,1%);

**SOCAR** – აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანია (25%);

**UNOCAL** – ამერიკული ნავთობკომპანია (8,9%);

**STATOIL** – ნორვეგიის სახელმწიფო სანავთობო კომპანია (8,71 %);

**TRAO** – თურქეთის სახელმწიფო სანავთობო კომპანია (6,53%);

**ENI** – იტალიური ნავთობკომპანია (5%);

**TOTAL/FINA/ELF** – ფრანგული ნავთობკომპანია (5%);

**ITOCHU** – იაპონური ნავთობკომპანია (3,4%);

<sup>56</sup> [http://www.heydar-aliyev.org/index\\_ru.jsp](http://www.heydar-aliyev.org/index_ru.jsp)

<sup>57</sup> <http://socar.az/projects-en.html>

INPEX – იაპონური ნავთობკომპანია (2,5%);

CONOCO PHILLIPS – ამერიკული ნავთობკომპანია (2,5%);

AMERADA HESS – ამერიკული ნავთობკომპანია (2,36%).

პროექტის კრედიტორები არიან: აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მთავრობები, საკრედიტო სააგენტოები, რომელთაც მასალებისა და მოწყობილობების მიწოდების დამფინანსებელ კომერციულ ბანკებს მისცეს გარანტიები, აგრეთვე 15 ბანკისაგან შექმნილი სინდიკატი, რომელშიც წამყვან როლს ABN AMRO, Citigroup, Mizuho და Societe Generale თამაშობენ.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და ძირადდირებული პროექტია. იგი აშენებულია უახლესი ტექნოლოგიებით. მისი მშენებლობა დაიწყო 2003 წლის აპრილში. საწყისი გეგმით აზერბაიჯანული ნავთობით დატვირთული პირველი გემი ჯეიპანიდან უნდა გასულიყო 2005 წლის მარტში, მაგრამ ნავთობსადენის მშენებლობა გაჭიანურდა და საბოლოო ჯამში პირველი გემი ჯეიპანიდან მხოლოდ 2006 წლის 2 ივნისს გავიდა. ნავთობსადენის შევსება 2005 წლის მაისში დაიწყო. იმავე წლის ოქტომბერში საქართველოს მონაკვეთი ოფიციალურად გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტების მონაწილეობით. 2006 წლის მაისში ნავთობსადენის შევსება დასრულდა. მთლიანობაში მასში 10 მლნ ბარელი ნავთობი დაიტუმბა.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის ოფიციალური გახსნა გაიმართა თურქეთში 2006 წლის 13 ივლისს. ცერემონიას დაესწრენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის საექსპორტო მილსადენის მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. მისი მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პრობლემებს, რის შედეგად პროექტის საწყისი დირექტორები 2,95 მლრდ აშშ დოლარიდან 4,3 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო საბანკო კრედიტების პროცენტების გათვალისწინებით მან 5 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. პროექტის გამვირება შემდეგი მიზეზებით იყო განპირობებული:

1. გაიზარდა ფასები სამშენებლო მომსახურებაზე, რაც დაკავშირებული იყო ნავთობისა და სხვა ენერგიაშემცველების ფასების ზრდასთან;
2. დამატებითი ხარჯები გაჩნდა საქართველოსა და თურქეთის მონაკვეთების მშენებლობისას. კერძოდ, ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების წამოჭრის შედეგად, სხვადასხვა პერიოდში (მან მთლიანობაში

45 დღე შეადგინა) შეჩერდა სამშენებლო სამუშაოები და გარემოს დაცვით სამუშაოებზე დაახლოებით 100 მლნ აშშ დოლარი იქნა გამოყოფილი;

3. თურქეთის მონაკვეთზე მუშაობისას BTC Co ნავთობსადენი კომპანიის აქციონერებს დამატებით მოუხდათ 333 მლნ აშშ დოლარის გამოყოფა. პროექტის თურქელი მონაკვეთის მშენებარე თურქელმა კომპანია BOTAS-მა ხარჯების გაზრდა ახსნა, ერთი მხრივ, ზოგიერთ ადგილზე პროექტის დიზაინის ცვლილებების აუცილებლობით, რომელიც შემკვეთის – BP-ის მითითებით განხორციელდა და, მეორე მხრივ, გარემოს დაცვითი სამუშაოებით.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის მილსადენი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნავთობსადენია მსოფლიოში. მისი სიგრძეა 1768 კმ. აქედან აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადის 443 კმ, საქართველოზე – 249 კმ და თურქეთის რესპუბლიკაზე – 1076 კმ. ნავთობსადენის ექსპლოატაციაში შეევანის დღიდან 2007 წლის ბოლომდე ჯეიპანის პორტიდან ექსპორტირებულია 796 555 ტონა აზერბაიჯანული ნავთობი.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისათვის. კერძოდ<sup>58</sup>:

- მილსადენის გაყვანით საქართველო ყოველწლიურად მიიღებს 90 მილიონი აშერიკული დოლარის შემოსავალს.
- მილსადენის მშენებლობაში დასაქმდა ათასობით საქართველოს მოქალაქე და შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურები.
- საქართველო კიდევ უფრო მოექცა დასავლეთის ინტერესების სფეროში.
- გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და მნიშვნელობა, რამაც გამოიწვია ახალი ინვესტიციების მოზიდვა.
- გაიზარდა დასავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური შხარდაჭერა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციას.
- ნავთობის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს საერთო პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეროვნული ინტერესების განსაზღვრის პროცესშიც.

<sup>58</sup> აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის მონაცემები

ექსპერტთა გათვლებით, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის ოპერირების 40 წლის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტი სატარიფო შემოსავლების სახით მიიღებს<sup>59</sup>:

- 2005-2009 წწ. – 112 მლნ აშშ დოლარი.
- 2010-2020 წწ. – 566 მლნ აშშ დოლარი.
- 2021-2029 წწ. – 568 მლნ აშშ დოლარი.
- 2030-2034 წწ. – 371 მლნ აშშ დოლარი.
- 2035-2039 წწ. – 417 მლნ აშშ დოლარი.
- 2040-2044 წწ. – 464 მლნ აშშ დოლარი.

1999 წლის 17 აპრილს დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ისტორიაში მოხდა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. აზერბაიჯანის, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების მონაწილეობით ექსპლოატაციაში შეყვანილი იქნა ბაქო-სუფსის ნავთობსადენი და საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ტერმინალი სუფსა. ბაქო-სუფსის ნავთობსადენის სიგრძეა 837 კმ, დიამეტრი 530 მმ. სუფსის პორტიდან დაიწყო აზერბაიჯანული ნავთობის გატანა მსოფლიო ბაზარზე და იგი პირველად ჩრდილოეთის ნაცვლად დასავლეთისაკენ მიემართა. 2007 წლის ბოლოსათვის ამ მიმართულებით ტრანსპორტირებულია 45 542 ათასი ტონა ნავთობი. თუ 1997 წელს აზერბაიჯანში მოპოვებული იყო 9 მლნ ტონა ნავთობი, 2007 წელს მისმა მოცულობამ 40 მლნ-ს გადააჭარბა.

ექსპერტთა შეფასებით, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის რენტაბელობა უზრუნველყოფილი იქნება ყოველდღიურად 130-150 ათასი ტონა ნავთობის მოპოვების შემთხვევაში. ნავარაუდევია, რომ აზერბაიჯანული ნავთობის ამ დონის მიღწევა შესაძლებელია ყაზახეთის ნავთობის ექსპორტით. ყაზახეთის აქტაუ-პორტიდან ნავთობი (წელიწადში 3 მლნ ტონა) ტანკერებით უნდა მიეწოდოს ბაქოში. შემდგომში ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენით ყაზახეთის ნავთობის ექსპორტი უნდა გაიზარდოს 10-25 მლნ ტონამდე. ამ მიმართულებით ყაზახეთის ნავთობის ექსპორტის რენტაბელობის შემთხვევაში, კასპიის ზღვის ფსკერზე დაიწყება ნავთობსადენის მშენებლობა. ბაქო-თბილისი-ჯეიპანის საერთაშორისო კონსორციუმის 4 აქციონერი – ფრანგული Total, ამერიკული ConocoPhillips, იაპონური Inpex და იტალიური ENI მზად არიან დააბანდონ 4 მლრდ აშშ დოლარი ყაზახეთის სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციაში, რათა უზრუნველყოფილი

<sup>59</sup> საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაციის მონაცემები

იქნეს ნავთობის სტაბილური მიწოდება აზერბაიჯანში. პროექტი სახელმწოდებით “ყაზახეთის კასპიური სატრანსპორტო სისტემა” ითვალისწინებს ყაზახეთის ტერიტორიაზე კაშაგანის საბადოდან პორტ კურიკამდე 800 კმ ნავთობსადენის მშენებლობას, ნავთობტერმინალებისა და საზღვაო გადაზიდვების სისტემის, აგრეთვე გადასავალი პუნქტის შექმნას. Total, ENI, ConocoPhillips და Inpex ერთობლივად დააფინანსებენ პროექტს “ყაზახეთის კასპიური სატრანსპორტო სისტემა”.

ახალი სანავთობო სტრატეგიის რეალიზაციის, ნავთობის მრეწველობაში სერიოზული ინვესტიციების მოზიდვის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით, 1999 წელს აღმოჩენილი იქნა გაზის კონდენსატის მდიდარი საბადო “შაჰდენიზი”. ამ აღმოჩენამ საფუძველი ჩაუყარა აზერბაიჯანის გაზის მრეწველობის განვითარებასა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობას.

2001 წლის 12 მარტს თურქეთში აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება აზერბაიჯანიდან თურქეთში გაზის მიწოდების, გაყიდვისა და ყიდვის შესახებ, ხოლო 2001 წლის 19 სექტემბერს ქ. ბაქოში ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის შესახებ. ამით შაჰდენიზის საბადოსა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის აქციონერებმა დაიწყეს აზერბაიჯანული გაზის ექსპორტის პროექტის რეალიზაცია.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის სიგრძე აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე ერთად აღებული 685 კილომეტრს შეადგენს. პროექტის რეალიზაციისათვის ნავთობკომპანიებმა 2,9 მილიარდ აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიცია განახორციელეს. გაზსადენის სისტემის გამტარუნარიანობა წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია. 2007 წლის 3 ივლისს შაჰდენიზის საბადოდან მოპოვებული გაზის კონდენსატი ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მეშვეობით თურქეთის გაზსადენების სისტემაში მიეწოდა და ამით საფუძველი ჩაუყარა დასავლეთის ბაზრებზე აზერბაიჯანული გაზის მიწოდებას<sup>60</sup>.

ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის გაუმჯობესებას, რადგან ქვეყანა წელიწადში 1,5 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს უსასყიდლოდ მიიღებს. ეს ორჯერ აღემატება

<sup>60</sup> აზერბაიჯანის სახელმწიფო სანავთობო კომპანიის მონაცემები

საქართველოს მოხმარების დღეგანდელ დონეს. გარდა ამისა, საქართველოს ეძლევა ყოველწლიურად შეღავათიან ფასებში 0,5 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შესყიდვის უფლება. ექსპერტთა გათვლებით, სავარაუდოდ, ქვეყნის ბიუჯეტის მიერ მისაღები ნომინალური შემოსავალი 40 წლის მანძილზე 7 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ანუ წელიწადში საშუალოდ 175 მილიონი დოლარი იქნება<sup>61</sup>.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის გაღრმავებაში მნისვნელოვან როლს შეასრულებს ნაბუკო-ს (Nabucco) პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გაზსაღენის მშენებლობას კასპიის რეგიონიდან თურქეთის გავლით ევროპაში (უკირველესად, ავსტრიასა და გერმანიაში) გაზის მისაწოდებლად. ესაა რუსეთის ალტერნატიული მარშრუტი, რომლის სავარაუდო სიგრძეა 3,3 ათასი კმ, სიმძლავრე – 26-32 მლრდ კუბ. მეტრი გაზი წელიწადში. პროექტის დირექტულება 7,9 მლრდ ევროდაა შეფასებული. პროექტის რეალიზაციაში მონაწილეობენ:

- OMV Gas GmbH (ავსტრია);
- BOTAS (თურქეთი);
- Bulgargaz (ბულგარეთი);
- S.N.T.G.N. Transgaz S.A. (რუმინეთი);
- MOL Natural Gas Transmission Company Ltd. (უნგრეთი);
- RWE AG (გერმანია).

2004 წელს წარმოდგენილი ნაბუკო-ს საწყისი პროექტი ითვალისწინებდა ირანიდან გაზის მიწოდებას, მაგრამ 2006 წელს ირანის ატომური პროგრამის ირგვლივ წარმოშობილი უთანხმოების გამო, პროექტი შეიცვალა და იგი თურქმენეთის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გაზის მიწოდებას დაეფუძნა.

ნაბუკო-ს გაზსაღენის მშენებლობის დაწყება ნავარაუდევია 2010 წლის ბოლოს და იგი 2013 წელს უნდა დამთავრდეს. მისმა ამოქმედებამ უნდა უზრუნველყოს ევროპის ბაზარზე გაზის მიწოდების დივერსიფიკაცია და რუსეთზე მისი დამოკიდებულების შემცირება.

ნავთობსადენებისა და გაზსაღენის მშენებლობამ მთლიანად შეცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია რეგიონში. აზერბაიჯანმა საქართველოსა და თურქეთთან ერთად მსოფლიოს უჩვენა ეფექტიანი რეგიონული თანამშრომლობის

<sup>61</sup> საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კორპორაციის მონაცემები

მაგალითი, ევროპის ერთიანი ინტეგრირებული ენერგეტიკული სისტემის ფარგლებში. უმსხვილესი ენერგეტიკული პროექტების განხორციელება შესაძლებელი გახდა სამივე ქვეყნის ძალისხმევითა და აშშ-ის თანადგომით, მსოფლიოს წამყვანი ფინანსური სტრუქტურების ფინანსური მხარდაჭერით.

აზერბაიჯანის ახალი სანავთობო სტრატეგიის რეალიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჰ. ალიევის ბრძანებით 1999 წლის 29 დეკემბერს შექმნილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სანავთობო ფონდი<sup>62</sup>. მისი შექმნის ძირითადი მიზანია თაობათა შორის სანავთობო სიმდიდრის სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფა, ხოლო მთავარი ამოცანა მომავალი თაობისათვის სანავთობო შემოსავლების დაგროვებაა. აგრეთვე არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ახლანდელი თაობის სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება. ფონდის დაარსების დღიდან 2008 წლის 2 სექტემბრამდე ფონდში მთლიანად შემოსულია 13655,9 მლნ მანათი ანუ 16135,8 მლნ აშშ დოლარი. აქედან 337,2 მლნ მანათი (დაახლოებით 343,7 მლნ აშშ დოლარი) ფონდის სახსრების მართვისაგან მიღებული შემოსავალია. აღნიშნულ პერიოდში 4851,8 მლნ მანათი (დაახლოებით 5627,5 მლნ აშშ დოლარი) ანუ შემოსული თანხების დაახლოებით 35,5 % გამოიყენება ინვესტიციებისათვისა და სოციალური მიმართულების პროექტების დასაფინანსებლად, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტში ტრანსფერების სახით. ამავე დროს სანავთობო ფონდის მიერ მოგებიდან გადასახადისა და სხვა გადასახადების სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 33,0 მლნ მანათია შეტანილი<sup>63</sup>.

1993 წელს ბრიუსელის კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა ტრასეკას პროექტს, რომლის მონაწილე ქვეყნები არიან: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უკრაინა, მონდოლეთი. ამ პროექტში საქართველო და აზერბაიჯანი საკვანძო როლს თამაშობენ. პროექტის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობას, აღტერნატიული სატრანსპორტო და სატრანზიტო კომუნიკაციებით მათ დაკავშირებას მსოფლიო ბაზებთან, აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვას, საწარმოო კოოპერირებას, ტურიზმის განვითარებას და ა.შ.

ტრასეკა ევროკავშირის პროექტია, რომელიც ხორციელდება ტასისის ფინანსური მონაწილეობით “ტექნიკური დახმარება დამოუკიდებელი ქვეყნების

<sup>62</sup> <http://www.oilfund.az/az>

<sup>63</sup> საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მონაცემები

თანამეგობრობისათვის". ამ პროექტის ჩარჩოში მიმდინარეობს თანამშრომლობა ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მიზნით და რეალურად ხორციელდება ტრასეკას მონაწილე ქვეყნების სატრანსპორტო სისტემის რეაბილიტაცია. პოზიტიური ძვრებია მიღწეული სარკინიგზო, საგზაო და საზღვაო ინფრასტრუქტურების განვითარებისა და მოდერნიზაციის მხრივ. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 53 ტექნიკური დახმარებისა და საინვესტიციო პროექტი და ევროპაგშირის მხრიდან გაწეულმა დახმარებამ 156,78 მილიონი ევრო შეადგინა<sup>64</sup>. აღნიშნულის მიუხედავად, ტრასეკას დერეფანი არაეფექტურიანად გამოიყენება. 2007 წლიდან შეინიშნება ნედლი ნავთობის გადაზიდვების შემცირების ტენდენცია. ამის მიზეზი ტრასეკას დერეფნის საქართველოსა და აზერბაიჯანის უბნებზე გადაზიდვებში ჩართული კომერციული სტრუქტურების მიერ ტარიფების ცალმხრივად მომატებაში უნდა ვეძიოთ. მაგალითად, ყაზახეთიდან ამ დერეფნის მიმართულებით ნედლი ნავთობის გადაზიდვის ჯამურმა ტარიფმა ტონაზე შეადგინა 35,7 აშშ დოლარი. ამით გადაზიდვების მოცულობა ყოველთვიურად საშუალოდ 200-300 ათასი ტონით შემცირდა. შემცირებული ნავთობნაკადი რუსეთის (ასტრახანი) და ირანის (ნეკა) მიმართულებით გადანაწილდა, სადაც შესაბამისად 31,5 და 27 აშშ დოლარია ტონაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნისათვის ასეთი სტრატეგიული ტვირთნაკადის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს გარკვეული ბერკეტები უნდა გააჩნდეს<sup>65</sup>. წინასწარი მონაცემებით, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ყოველწლიურად პოტენციალურად დაკარგული მშრალი ტვირთების ჯამური მოცულობა 6,7 მლნ ტონას აღწევს<sup>66</sup>.

ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე. იგი ძირითადად თურქეთისა და აზერბაიჯანის დაფინანსებით ხორციელდება. რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობისათვის გამოყოფილი უპროცენტო კრედიტი საქართველომ რკინიგზის ექსპლოტაციის შემოსავლებიდან თანდათანობით უნდა გადაიხადოს. აღნიშნული პროექტების რეალიზაცია ხელს უწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანის

<sup>64</sup> <http://www.oilfund.az/az>

<sup>65</sup> პ. ცაგარეიშვილი. სრულად ვიყენებთ "ტრასეკას" დერეფნის პოტენციალს? ქ. საქართველოს ეკონომიკა, 2007, № 8, გვ. 50

<sup>66</sup> იქვე, გვ. 52

სატრანსპორტო სისტემების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას და ტვირთბრუნვის ზრდას.

2007 წელს საქართველოს საერთო სარგებლობის ყველა სახის ტრანსპორტით გადაზიდულია 49830,4 ათასი ტონა ტვირთი, მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტით გადატანილია 22230,2 ათასი ტონა, საავტომობილო ტრანსპორტით – 27561,2 ათასი ტონა, საზღვაო ტრანსპორტით – 37,9 ათასი ტონა და საჰაეროთი – 1,1 ათასი ტონა. გადაზიდული ტვირთების მოცულობაში საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე შესაბამისად 55,3 და 44,6 % მოდის. 2007 წელს 2001 წელთან შედარებით საქართველოს საერთო სარგებლობის ყველა სახის ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობა 1,5-ჯერ გაიზარდა, მათ შორის სარკინიგზო ტრანსპორტით – 1,7-ჯერ, საავტომობილო ტრანსპორტით – თითქმის 1,4-ჯერ, საზღვაო ტრანსპორტით – 1,24-ჯერ, საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდული ტვირთების მოცულობა კი 8,4 %-ით შემცირდა (ცხრილი III.18).

### ცხრილი III.18

ტვირთის გადატანა საქართველოს საერთო სარგებლობის  
ტრანსპორტის სახეების მიხედვით, ათასი ტონა

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2001	33241,3	13209,6	20000,0	30,5	1,2
2002	37488,3	14951,5	22500,0	35,5	1,3
2003	41081,4	16558,7	24500,0	21,4	1,3
2004	41149,8	15424,4	25700,0	23,9	1,5
2005	45971,5	18986,7	26959,3	23,9	1,6
2006	49946,6	22643,3	27261,3	40,4	1,6
2007	49830,4	22230,2	27561,2	37,9	1,1

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

2001-2007 წლებში საქართველოს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა ტრანსპორტის სახეების მიხედვით ცვალებადი ტენდენციით ხასიათდება. ტვირთბრუნვის ყველაზე მაღალ მაჩვენებლს ადგილი ჰქონდა 2006 წელს, როდესაც მან 81114,2 მლნ ტონა-კმ-ს მიაღწია, მაგრამ 2007 წელს მან 7645,5 მლნ ტონა-კმ შეადგინა და 2006 წელთან შედარებით 6,1 %-ით შემცირდა. მათ

შორის სარკინიგზო გადაზიდვები შემცირდა 6.4 %-ით, საზღვაო გადაზიდვები – 9.1 %-ით, საჰაერო – 2.8 %-ით. მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა (1.4 %) საავტომობილო გადაზიდვები (ცხრილი III.19).

ცხრილი III.19

**საერთო სარგებლობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა  
ტრანსპორტის სახეების მიხედვით, მლნ ტონა-კმ**

წლები	სულ	მათ შორის			
		სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2001	5077,3	4480,6	520,0	74,0	2,7
2002	5768,7	5074,5	543,0	148,3	2,9
2003	6194,7	5538,5	562,0	91,5	2,7
2004	5505,1	4862,0	570,0	69,6	3,5
2005	6777,7	6127,1	578,0	69,0	3,6
2006	81142,2	7393,2	586,1	131,0	3,9
2007	7645,5	6927,5	594,3	120,1	3,6

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

2007 წელს აზერბაიჯანის ტვირთბრუნვამ სატრანსპორტო და არასატრანსპორტო სექტორებში 78837 მლნ ტონა-კმ შეადგინა, აქედან სატრანსპორტო სექტორში გადაზიდულია 78007 მლნ ტონა-კმ ანუ აზერბაიჯანის ტვირთბრუნვის 98.9 %. აზერბაიჯანის ტვირთბრუნვაში ძირითადი დატვირთვა მოდის მიღსადენებზე, რომელთა მეშვეობით სატრანსპორტო სექტორში 2007 წელს გადაზიდულია 52305 მლნ ტონა-კმ ტვირთი, რაც მთლიანი ტვირთბრუნვის 64.6 %-ს შეადგენს. თავის მხრივ, მიღსადენებში ძირითადი ადგილი ნავთობსადენებს უკავია – სატრანსპორტო სექტორში 97.3 %, ხოლო მთლიანად სატრანსპორტო და არასატრანსპორტო სექტორებში – 98 % (ცხრილი III.20).

აზერბაიჯანის ტვირთბრუნვისათვის დამახასიათებელია სისტემატური ზრდის ტენდენცია. 2007 წელს მისმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 159,7 % შეადგინა. აზერბაიჯანის ტვირთბრუნვის ზრდაში მთავარ როლს მიღსადენები თამაშობენ, განსაკუთრებით კი ნავთობსადენები, რომელთათვის 2006 და 2007 წლებში ზრდის განსაკუთრებით მაღალი ტემპებია დამახასიათებელი. კერძოდ, 2006 წელს 2005 წლითან შედარებით ნავთობსადენების ტვირთბრუნვა სატრანსპორტო სექტორში

ტვირთბრუნვა აზერბაიჯანის სატრანსპორტო და  
არასატრანსპორტო სექტორებში, მლნ ტონა-კმ

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ	24032	26232	28292	29406	33566	49368	78837
სატრანსპორტო სექტორი	18 447	20 277	22 291	23283	26534	43294	78007
სარკინიგზო	6 141	6 980	7 719	7 536	9628	11 059	10375
საზღვაო	5 744	6 077	6 555	6 771	7521	8 043	5989
საჰაერო	76	84	204	315	310	291	204
მილსადენები	1 643	1 602	1 572	1 696	1539	15679	52305
ნავთობსადენები	717	648	649	655	624	14690	50892
გაზსადენები	926	954	923	1 041	914	989	1413
საავტომობილო	4 843	5 534	6 241	6 965	7536	8222	9134
არასატრანსპორტო სექტორი	5 585	5 955	6 001	6 123	7032	6074	830
სარკინიგზო	89	57	69	74	60	90	82
ნავთობსადენები	5 229	5 605	5 630	5 736	6638	5638	390
საავტომობილო	267	293	302	313	334	346	358

**წყარო:** აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები

23,5-ჯერ გაიზარდა, 2007 წელს 2006 წელთან შედარებით – 2,5-ჯერ. ეს ძირითადად ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის ამოქმედებასთანაა დაკავშირებული (ცხრილი III.21).

2007 წელს ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო კორიდორის აზერბაიჯანულ სექტორში გადაზიდულია 47939 ათასი ტონა ტვირთი, რაც 164.8 %-ით აღემატება 2000 წლის მაჩვენებელს და 10.2 %-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. გადაზიდული ტვირთების მთლიან მოცულობაში სატრანზიტო ტვირთი 11014 ათას ტონას ანუ მხოლოდ 23 %-ს შეადგენს. 2007 წელს სატრანზიტო ტვირთბრუნვამ 12697 მლნ ტონა შეადგინა, რაც 2006 წელთან შედარებით 10.9 %-ით ნაკლებია და მთლიანი ტვირთბრუნვის 38.8 %-ია.

აზერბაიჯანის ძირითადი ტრანსპორტის ტვირთბრუნვის  
ზრდის ტემპები, %-ით წინა წელთან

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
სულ	117,3	109,2	107,9	103,9	114,1	147,1	159,7
სარკინიგზო-სულ	106,7	113,0	110,7	97,7	127,3	115,1	93,8
სატრანსპორტო სექტორი	106,4	113,7	110,6	97,6	127,8	114,9	93,8
არასატრანსპორტო სექტორი	130,9	64,0	121,1	107,2	81,1	150,5	91,4
საზღვაო	110,6	105,8	107,9	103,3	111,1	106,9	74,5
საჰაერო	74,7	110,5	2.4 გ	154,4	98,4	93,8	70,3
მილსადენები-სულ	123,7	104,9	99,9	103,2	110,0	2.6-ჯერ	2.5-ჯერ
ნავთობსადენები	123,1	105,2	100,4	101,8	113,6	2.8-ჯერ	2.5-ჯერ
სატრანსპორტო სექტორი	111,0	90,4	100,2	100,9	95,3	23.5-ჯერ	3.5-ჯერ
არასატრანსპორტო სექტორი	124,9	107,2	100,4	101,9	115,7	84,9	6,9
გაზსადენები	127,7	103,0	96,8	112,8	87,8	108,2	142,8
საავტომობილო-სულ	134,4	114,0	112,3	111,2	108,1	108,9	110,8
სატრანსპორტო სექტორი	137,9	114,3	112,8	111,6	108,2	109,1	111,1
არასატრანსპორტო სექტორი	92,4	109,7	103,1	103,6	106,7	103,7	103,5
<b>შეართ:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

2007 წელს ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო დერეფნით გადაყვანილია 179.5 მლნ მგზავრი, ხოლო მგზავრთბრუნვამ 3855 მლნ მგზავრი-კმ შეადგინა. 2006 წელთან შედარებით ეს ორი მაჩვენებელი შესაბამისად 109.6 და 110.4 %-ით გაიზარდა. ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო დერეფნით ტვირთების გადაზიდვებისაგან 2007 წელს აზერბაიჯანმა მიიღო 210.2 მლნ მანათი მოგება, ხოლო მგზავრთა გადაყვანიდან – 25.9 მლნ მანათი. 2000-2007 წლებსი ამ ორივე მაჩვენებელს ზრდის ტენდენცია ახასიათებს (ცხრილი III.22).

ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ამჟამად ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო დერეფნის პოტენციური შესაძლებლობები სრულად

სატრანსპორტო საქმიანობა ევროპა-კავკასია-აზია სატრანსპორტო  
დერეფანში (აზერბაიჯანული სექტორი), 2000-2007 წწ.

მაჩვენებლები\წლები	2000	2002	2003	2004	2005	2006	2007
ტვირთების გადაზიდვა, ათასი ტონა	29091	36120	40927	40794	46741	48807	47939
მათ შორის: სატრანზიტო	8572	16387	18837	15244	15051	12006	11014
ტვირთბრუნვა, მლნ ტონა	8405	10801	12394	11482	13446	13881	12697
მათ შორის: სატრანზიტო ტვირთბრუნვა	3626	7310	8284	6706	6680	5378	4927
გადაყვანილი მგზავრები, მლნ მგზავრი	152.1	154.6	156	158.2	158.7	163.8	179.5
მგზავრთბრუნვა, მლნ მგზავრი-კმ	3049	3046	3142	3348	3423	3493	3855
მოგება ტვირთბრუნვისაგან, მლნ მანათი	113.9	149.9	178.9	166.3	191.7	198.7	210.2
მოგება მგზავრთბრუნვა, მლნ მანათი	19.3	21.8	22.2	22.5	22.8	23.2	25.9
<b>შეართ:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

არაა გამოყენებული. ამიტომ ამ მიმართულებით საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს.

აღსანიშნავია, რომ ორი ქვეყნის თანამშრომლობას ტრანსპორტის სფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ სფეროს განვითარებაში, არამედ, აგრეთვე, ტურიზმის, ვაჭრობის და სხვა სფეროების განვითარების თვალსაზრისით.

### III.3. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში

ტურიზმი ასრულებს ერთ-ერთ წამყვან როლს მსოფლიო ეკონომიკაში. მასზე მოდის მსოფლიოს მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 1/10. ეკონომიკის ეს დარგი სწრაფი ტემპებით ვითარდება და უკანასკნელ პერიოდში იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან ბიზნეს-საქმიანობად იქცა.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით<sup>67</sup>, 2007 წელს  
საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობამ 898 მილიონს მიაღწია. 2006 წელთან  
შედარებით მათი რაოდენობა 52 მილიონით გაიზარდა. 2005 წელს მსოფლიოში  
აღირიცხა 803 მლნ ტურისტი, 2000 წელს – 681 მლნ, 1990 წელს – 441 მლნ.

2007 წელს ეკროპაზე მოდიოდა მსოფლიო ტურისტული ბაზრის 53.5 % და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების 51 %, აზიისა და წყნარი ოკეანეთის რეგიონზე – შესაბამისად 20.6 და 22 %, ამერიკაზე – 4.7 და 20 %, აფრიკაზე – 7.9 და 3 %, შესაბამისად 13.4 და 4 %. 2007 წელს მსოფლიოში ტურიზმისაგან მიღებულმა შემოსავლებმა 856 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

1950-2007 წლებში ტურიზმის სფეროს ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა 7 % შეადგინა, საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული წლიური შემოსავლები კი საშუალოდ 12 %-ით იზრდებოდა. საერთაშორისო ტურისტთა ნახევარზე მეტი დასვენების მიზნით მოგზაურობდა.

ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში ტურიზმის დიდი მნიშვნელობის გამო, საქართველოსა და აზერბაიჯანში ამ სფეროს განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტული ორიენტაცია. გეოპოლიტიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნების ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ფაქტორი არის “აბრეშუმის გზის” – ევრაზიის დერეფნის პროექტის განხორციელება. დიდი აბრეშუმის გზის განახლება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს იმ ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული კომუნიკაციის განვითარებაში, რომელ ქვეყნებზეც ეს დერეფნა გადის. ეკონომიკური და კულტურული ფასეულობების ინტენსიური ურთიერთგაცვლა საერთაშორისო ტურიზმის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

საერთაშორისო ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ტენდენციასა და ტექნოლოგიურ ასპექტს გლობალიზაცია წარმოადგენს. უკანასკნელი პერიოდში ეკონომიკების გლობალიზაცია მიმდინარეობდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში კომპანიების აქტიურად ჩართვის წყალობით. ტურისტული ბიზნესი კი საჭიროებს მცირე საწყის ინვესტიციებს, მათი დაბრუნების სწრაფი

<sup>67</sup> <http://www.unwto.org/index.php>

პირობით, ტურისტული მომსახურების სტაბილური მოთხოვნითა და შემოსავლიანობის მაღალი დონით.

თანამედროვე პირობებში, დიდი ქალაქების და ინდუსტრიული ცენტრების მცხოვრები უპირატესობას ანიჭებენ “მწვანე” ან ეკოლოგიურ ტურიზმს დაუბინძურებელი ფლორისა და ფაუნის მქონე რაიონებში. მომავალი 10 წლის განმავლობაში ბაზარი გაივსება “მგრძნობიარე” სახის ტურისტული პროდუქტით, სახელდობრ, ეკოტურიზმით, რომლის მიზანიც იქნება ხელუხლებელ ტერიტორიებში ფლორის და ფაუნის ძიება. ეკოტურიზმის მიმართ მზარდი ინტერესი მოიცავს ყველა ასპექტს: სასოფლო-სამეურნეო ტურიზმი, ან ტურიზმი ქალაქებარეთ, ”ფერმერი”, ”ნაპირი”, ”ბუნების დაცვა” და სხვა. დღესდღეობით ევროპელებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ეროვნული ნაკრძალების ვიზიტი. ამ კონტექსტში საქართველოსა და აზერბაიჯანში ჩნდება საერთაშორისო ტურიზმის ახალი შესაძლებლობები, რადგან ორივე ქვეყანა ფლობს მდიდარ ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს, იაფ მუშახელს და კვალიფიციურ პერსონალს.

მდიდარი ბუნებრივი პოტენციალის მიუხედავად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ბუნება ზოგჯერ მიუდგომელია. ერთობლივ თანამშრომლობას კი რამდენადმე შეუძლია ამ პრობლემის კომპენსირება. 2001 წლის ივლისში ბაქოში ქართველი და თურქი ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა სოციალური გარემოს პრობლემებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელზეც განიხილეს აზერბაიჯანის ტბების მდგომარეობა. აფშერონის ტბის ანალიზი საკმაოდ მძიმე იყო: ის არ აკმაყოფილებდა ტბის პარამეტრებს. ამავე სიტუაციაში აღმოჩნდა აზერბაიჯანის ტბების 40 %. ტბის დრმულები გამოიყენებოდა სოჯახო მეურნეობებისა და ნავთობის ნარჩენების ნაგავსაყრელად. ტბის წყლის დაუნდობელმა გამოყენებამ განაპირობა წყლის ქიმიური შედგენილობის შეცვლა, ტბის დამარილება და ხშირ შემთხვევაში მისი ამოშრობა.

სამწუხაროდ, მეცნიერებმა დაადგინეს ტბების მდგომარეობის უარყოფითი გავლენა ტბის სამკურნალო ტალახზე. მოსახლეობას არ გააჩნია ინფორმაცია სამკურნალო ტალახის სწორად, ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე გამოყენების შესახებ. საქართველოსა და აზერბაიჯანში ფსიქოთერაპია საერთოდ არ განვითარებულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თუმცა იგი ფაქტობრივად შემოსავლის მიღების პოტენციური წყაროა. ეკოლოგიური საკითხები ხალხს უფრო მეტად შეაწუხებს მომავალში, ვიდრე დღეს. თავის მხრივ, გარესამყაროს

მგრძნობელობის ზრდა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას ბუნებრივი რესურსების დასაცავად.

აზერბაიჯანში განხორციელდა კასპიის ეკოლოგიური პროგრამების მხარდამჭერი პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა კასპიის ზღვის არსებული და პოტენციური პრობლემების, მისი ბიომრავალფეროვნების, ნავთობის ჩაღვრის შედეგად ეკოლოგიის დაბინძურების საშიშროების და ა.შ გამოკვლევასა და გამოვლენას. საქართველოს ბუნებრივი გარემოც განიცდის დაბინძურების საშიშროებას. შესაფერისი ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნება წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას და მოითხოვს დიდ დანახარჯებს. სიძვირისა და ელიტარულობის გამო, ეკოტურიზმა შეიძლება ვერ დაიკავოს ბაზრის დიდი სეგმენტი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს პრუდუქტი ხდება ძალიან მნიშვნელოვანი იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იმიჯის შეცვლას ცდილობენ. 1991 წელს კანარის კუნძულებზე ჩატარებულ ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეკოტურიზმი არ უნდა შემოიფარგლოს რამდენიმე ექსპერიმენტით და ტურიზმის განვითარების ძირითადი ფაქტორი უნდა გახდეს.

საქართველო განსხვავდება თავისი უნიკალური ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით. კერძოდ, საქართველოში 340 დასასვენებელი ადგილია და აქედან 102 უკვე გამართულად მუშაობს. აზერბაიჯანში მასობრივი ტურიზმის საფუძველს ზღვის და მთის კურორტები წარმოადგენს. კასპიის ზღვის უზარმაზარ სამკურნალო მახასიათებლებს შეუძლია დააინტერესოს უცხოელი ტურისტები. აზერბაიჯანში ტურისტების მოზიდვის თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევამ, რომლის ძირითადი ასპექტები ტურისტების მხრიდან ყურადღების მიქცევა და აზერბაიჯანის მასპინძლობის შესაძლებლობები იყო, გამოავლინა, რომ რესპუბლიკას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის: ლანდშაფტი, მატერიალური კულტურის მონუმენტები და წარმოების თანამედროვე ცენტრები, მეცნიერება და კულტურა. მაგრამ მათი გამოყენება არ ხდება შესაძლებლობების ფარგლებში. აზერბაიჯანის კლიმატური პირობებიც უნიკალურია. ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ 11 კლიმატური ზონიდან აქ 9 არის წარმოდგენილი. გუბა-ს, გუსარ-ის და კავკასიის მთების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული შესაძლებლობების მთის სპორტის ტურიზმის განვითარებისათვის. აქ ადგილობრივი ალპინისტები სხვადასხვა სახის ორგანიზაციებს ფლობენ, მაგრამ მთის სპორტის ტურიზმისათვის სპორტული კომპლექსების შექმნა და უცხოელი

Ծյრისტების მოზიდვა ამ ტერიტორიებზე, მხოლოდ დიდი ინვესტიციებით არის შესაძლებელი.

აზერბაიჯანსა და საქართველოს გააჩნია მრავალი დასასვენებელი კურორტი. აქ შესაძლებელია არა მარტო ზაფხულის სეზონის რეკრეაციული და დასასვენებელი სახლების აშენება, არამედ ზამთრის სეზონისთვისაც, რასაც ხელს უწყობს კავკასიის მთების ძირას უამრავი თვალწარმტაცი ადგილის არსებობა.

რეგიონის ისტორიით დაინტერესება შეიძლება გახდეს ძალიან დიდი მოტივი ამ ადგილების მოსანახულებლად და, მაშასადამე, ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტის წარმოსაშობად. როგორც ცნობილია, საქართველოს ტურისტული ბაზრის პოტენციალს უკავშირდება 35 ათასი ისტორიული მონუმენტი, საიდანაც 5 ათასი მთავრობის მფარველობის ქვეშაა. 1994 წელს 4 მათგანი UNESCO-ს მიერ შეტანილია მსოფლიოს ფასეულობათა რიცხვში: საქართველოს უძველესი დედაქალაქი – მცხეთა, როგორც ქალაქი მუზეუმი, გელათის სამონასტრო კომპლექსი (XI საუკუნე), ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI საუკუნე) და უშგულის არქიტექტურული ასამბლეა.

აზერბაიჯანს გააჩნია ძალიან დიდი პოტენციალი ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისთვის – უძველესი ქალაქები, სასახლეები, მავზოლეუმები, მეჩეთები, კოშკები, უძველესი ოაზისები. აქ დაცულია 6 ათასზე მეტი ისტორიული მონუმენტი. აზერბაიჯანის ხელოვნებისა და არიტექტურის უამრავ მონუმენტს შორის წარმოდგენიალია ისეთი მარგალიტები, როგორიცაა გობუსტანი (Gobustan) – უზარმაზარი ქვის გალერეა, რომელიც მიეკუთვნება ძვ. წ. 7-8 ათასწლეულს და აღწევს შეკვეთურის ბოლომდე; მეიდანის კოშკი ბაქოში (XII საუკუნე); შირვანშაჰის სასახლე ბაქოში (XV საუკუნე); ცეცხლთაყვნისმცემლების ტაძარი “ათეშგაჰი” (Ateshgah) ბაქოს გარეუნბანში; მომინე-ჰათუნის (Momine-hatun) მავზოლეუმი ნახიჩევანში, დამკრძალავი აკლდამა – სამგლოვიარო მეჩეთი “დირი ბაბა” (“Diri Baba”) მარაზაში და ა.შ.

აზერბაიჯანული არქიტექტურა სამართლიანად იკავებს თავის ადგილს მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში. მრავალი შემორჩენილი მონუმენტი ხასიათდება ტექნიკური და მხატვრული ოსტატობის მაღალი დონით, მისი არქიტექტურული შესახედაობის სიდიადითა და ორიგინალურობით.

კავკასიის რეგიონში ტურისტების მიმოსვლის დიდი შესაძლებლობა არსებობს. საქართველოსა და აზერბაიჯანს გააჩნია განსაკუთრებული ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული თავისებურებები, აგრეთვე ეკონომიკური

განვითარების მსგავსი პარამეტრები, რომლებიც გამოყენებულია შვედი ეკონომისტის ლინდერის მიერ 1961 წელს შემოთავაზებულ ქვეყანათა მსგავსების თეორიაში, რომელსაც, აგრეთვე, მოთხოვნის თეორიას უწოდებენ. ამ თეორიის თანახმად<sup>68</sup>, ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის სიდიდე დამოკიდებულია შიდა მოთხოვნაზე. შიდა ბაზარზე მოთხოვნის წარმოშობის შემდეგ ქვეყანა აწარმოებს ახალ პროდუქტს, რომელსაც შემდეგ მსგავს ბაზრებზე ავრცელებს. ტურისტების საერთაშორისო გაცვლა დამოკიდებულია მოთხოვნასა და ტურისტული პროდუქციის დიფერენციაციაზე. ტურისტები საზღვარს იმიტომ კვეთენ, რომ ნახონ თავიანთი ქვეყანისაგან განსხვავებული საგნები და ეს მსგავს ქვეყნებს შორის ტურისტების ორმხრივ გაცვლას განაპირობებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი იდენტურ რესურსებს ფლობენ. ექსპერტები ამას უწოდებენ “მოთხოვნას მრავალფეროვნებაზე”, რომელიც ეფუძნება გეოგრაფიულ, კულტურულ და სხვა სპეციფიკურ განსხვავებებს. შიდა ტურიზმზე მაღალი მოთხოვნის დონე ქმნის ატმოსფეროსა და სასურველ პირობებს საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის.

ტურიზმის ზრდის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია სამთავრობო პოლიტიკა. საბჭოთა კავშირში ტურიზმი ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად არ იყო მიჩნეული. ითვლებოდა, რომ ის მხოლოდ არაპროდუქტიულ ინდუსტრიაზე ახდენდა გავლენას. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის შიდა, სოციალური ტურიზმი სავაჭრო კავშირების მეშვეობით განვითარდა და მისი ღირებულება იმ ფასის 1/10-ს შეადგენდა, რასაც უცხოელი ტურისტები იხდიდნენ.

დღეს ტურიზმი, როგორც სოციალური ინფრასტრუქტურის შიდადარგობრივად დივერსიფიცირებული კომპლექსი, ეკონომიკაზე გავლენის ფართო მასშტაბით ხასიათდება. ტურისტები ხარჯავენ ფულს სასტუმროებში, რესტორანებში, ტრანსპორტზე და ა.შ. ამგვარად, ადგილი აქვს ეკონომიკაში სხვადასხვა სახის შემოსავლის მიღებას და ამიტომ ეს შეიძლება განისაზღვროს, როგორც ეკონომიკაზე პირდაპირი გავლენა.

საერთაშორისო ტურიზმი ეკონომიკის სხვა დარგების საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ნაკადების აქტიური გენერატორია. აზერბაიჯანსა და საქართველოში ტურიზმის განვითარება, მისი თანამედროვე

<sup>68</sup> Папирян Г. А. Международные экономические отношения. Экономика туризма. М., 2000, с. 20.

დონის მიუხედავად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ორივე ქვეყანა ფლობს საკმაოდ კვალიფიციურ პერსონალს ამ სფეროს განვითარებისათვის, თუმცა განათლება და პროფესიული ტრეინინგი მომავალში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდება. ამის აუცილებლობა იმითაა განპირობებული, რომ ტურიზმი არის და იქნება უფრო მეტად მაღალტექნოლოგიური, კომუნიკატელური სფერო, სადაც მომუშავეები უნდა იყვნენ კარგად განათლებულები, მეგობრულები, პროფესიულად მომზადებულები, უნდა ფლობდნენ რამდენიმე ენას და ესმოდეთ ტურისტების ბუნება. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, განათლების პრობლემაც ტურიზმის სამთავრობო პოლიტიკის კომპეტენციაში შედის.


დღეისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში ტურიზმი განვითარებადი სექტორია და ტურისტული ინდუსტრიის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე უმნიშვნელოა. იგი მთავრობის მიერ ეკონომიკის მოცემული სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილის ადგავატურია, რომელიც ფინანსდება ნარჩენის პრინციპით, ისევე როგორც სოციალური სფეროს დანარჩენი სექტორები. ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობამ, მომსახურების დაბალმა ხარისხმა, ტრანსკავკასიაზე, როგორც მაღალი რისკის მქონე რეგიონზე ურყოვმა წარმოდგენამ განაპირობა ის ფაქტი, რომ მსოფლიო ტურისტების 1%-ზე ნაკლები სტუმრობს კავკასიის რეგიონს. საერთო ჯამში საერთაშორისო ტურიზმი საქართველოსა და აზერბაიჯანის მასშტაბით სათანადო დონეზე არაა განვითარებული. ეს პირველ რიგში პოლიტიკურ დესტაბილიზაციას უკავშირდება. აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების შედეგად 300 ათასზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და დაახლოებით 80 ათასი ჩასახლდა სანატორიუმებში, სასტუმროებში, დასასვენებელ სახლებსა და კურორტებზე. აზერბაიჯანში ტურიზმის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია მთიანი ყარაბახის კონფლიქტი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერთიანობა დარღვეულია, სუვერენული უფლებები არ მოიცავს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიას. აღსანიშნავია ის, რომ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით, აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ტურისტული ნაკადები მსოფლიოში 36%-ით შემცირდა.

საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წელს საქართველოს სტუმრობდა 298,5 ათასი ადამიანი, აქედან 176,4 ათასი დსო-ს ქვეყნებიდან და 122,1 ათასი კი სხვა ქვეყნებიდან. 2006 წელს წინა წელთან


შედარებით ტურისტების რიცხვი 3,7 ათასით შემცირდა, მათ შორის დსო-ს ქვეყნებიდან – 7,6 ათასით. ტურისტების რაოდენობა ძირითადად შემცირდა აზერბაიჯანსა და სომხეთში: შესაბამისად 4,7 და 13,4 ათასით. ტურისტების რიცხვი რუსეთიდან და უკრაინიდან გაიზარდა: შესაბამისად 8,7 და 2,5 ათასით. ტურისტების რიცხვი გაიზარდა ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: აშშ, ავსტრია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, საფრანგეთი, ჩინეთი და ა.შ. იმავე პერიოდში 317,2 ათასმა მოქალაქემ დატოვა საქართველო, რაც 11,3 ათასით აღემატება 2005 წლის მაჩვენებელს. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ტურისტული მომსახურებიდან მიღებულმა მთლიანმა შემოსავალმა 2006 წელს 645,9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც მშპ-ის 8,9 %-ს უტოლდება.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვი იზრდება. 2007 წლის იანვარი-ნოემბრის პერიოდში საქართველოს სტუმრობდა 944759 უცხოელი ტურისტი, რაც 95%-ით აღემატება გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს. ტურისტების ძირითადი ნაწილი ჩამოდიოდა ევროპის ქვეყნებიდან. 2007 წლის იანვრიდან სექტემბრამდე საქართველოს ესტუმრა 13155 ტურისტი ამერიკის კონტინენტიდან. ამასთან აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტურისტების საერთო რიცხვის ზრდის მიუხედავად, საქართველოში შემცირდა რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების რიცხვი. ამის მიზეზად ქართველები, რუსეთის მიერ ორ ქვეყანას შორის პირდაპირი სატრანსპორტო მიმოსვლის შეზღუდვას ასახელებენ, რაც რუსებისათვის საქართველოში დასვენებას ნაკლებად კომფორტულს ხდის. 2006 წლის მანძილზე მთავრობის მიერ ტურისტული ბიზნესის განვითარებაში ჩადებულმა ინვესტიციამ 5 მლნ ლარი (დაახლოებით 2,5 მლნ აშშ დოლარი) შეადგინა.

ნახ. III.1 წარმოდგენილია 2000-2006 წლების საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა, ხოლო ნახ. III.2 – აზერბაიჯანში ჩასული ტურისტების რაოდენობა. 2006 წელს საქართველოს ეწვია 983 000 ტურისტი, 2005 წელს მათი რიცხვი 560 000 იყო. 2006 წელს აზერბაიჯანში ჩავიდა 1259000 ტურისტი, 2005 წელს – 1261000 ტურისტი. როგორც ამ მონაცემებიდან და III.1 და III.2 გრაფიკებიდან ჩანს, 2006 წელს საქართველოში ჩამოსული ტურისტების რაოდენობა გაიზარდა, აზერბაიჯანში კი შემცირდა.



ნახ. III.1. საქართველოში ჩამოსული ტურისტების რიცხვი, 2000-2006 წწ.



ნახ. III.2. აზერბაიჯანში ჩასული ტურისტების რიცხვი, 2000-2006 წწ.

აზერბაიჯანში ტურისტების ჩასვლის ძირითადი მიზეზია საქმიანი ვიზიტები და ეს ვიზიტები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2006 წელს საქმიანი ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვია 1141200 ადამიანი, რაც წინა წელს 101.7 %-ით აღემატება, ხოლო 2000 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. 2006 წელს 2005 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ გაიზარდა მოგზაურობის მიზნით ჩასულ პირთა რაოდენობა, ხოლო პირადი მიზნით ჩასულთა რაოდენობა 32.4 %-ით შემცირდა. აზერბაიჯანში პირადი მიზნით ჩასული ტურისტების პიგს ადგილი

პქონდა 2004 წელს, როდესაც მათმა რაოდენობამ 84700-ს მიაღწია, 2006 წელს იყო საქმიანი ვიზიტებისა და მოგზაურობების პიკი (ცხრილი III.23).

ცხრილი III.23

### აზერბაიჯანში ტურისტების ჩასვლის მიზეზები

ჩამოსვლის მიზეზი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
პირადი	61000	42500	66700	53300	84700	120200	81300
საქმიანი	606000	718000	724000	987200	1087800	1121900	1141200
მოგზაურობა	14000	6500	2300	25500	24500	18900	36500
ჯამი	681000	767000	793000	1066000	1197000	1261000	1259000
<b>წყარო:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები							

როგორც ცხრილი III.24-ის მონაცემებიდან ჩანს, აზერბაიჯანის სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებსა და მოტელებში ტურისტების გაჩერების მთავარი მიზეზი ასევე საქმიანი ვიზიტებია. 2006 წელს აზერბაიჯანის სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებსა და მოტელებში ამ მიზეზით გაჩერებული ტურისტების რაოდენობამ 151 174 შეადგინა და წინა წელთან შედარებით 106.5 %-ით გაიზარდა, ხოლო 2002 წელთან შედარებით – თითქმის 3-ჯერ. 2002-2006 წლებში ასევე თითქმის 3-ჯერ გაიზარდა დასვენებისა და გართობის მიზნით გაჩერებულთა რიცხვი, ხოლო მკურნალობის მიზნით ჩასულთა რიცხვი კი თითქმის 15-ჯერ (ცხრილი III.24).

ცხრილი III.24

### აზერბაიჯანის სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებსა და მოტელებში გაჩერებული ტურისტების ჩამოსვლის მიზეზები (ადამიანი)

ჩამოსვლის მიზეზი	2002	2003	2004	2005	2006
დასვენება, გართობა	32036	17798	57649	79594	99348
საქმიანი ვიზიტი	52893	102648	104184	141933	151174
მკურნალობა	1022	1652	8986	17701	15118
სხვა	31931	24134	42455	24830	25977
<b>წყარო:</b> აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემები					

უკანასკნელ წლებში საქართველოში ტურიზმის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებისა და მისი განვითარების მიზნით განხორციელებული ლონისძიებების გამო, ქვეყანაში ტურიზმის სფეროს განვითარების დინამიკა არსებითად შეიცვალა. დამოუკიდებელმა საქართველომ პირველად მოიპოვა შესაძლებლობა ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს უმასპინძლოს, მაგრამ ეს ინფრასტრუქტურის კარგი მდგომარეობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

დეკლარირებული მონაცემებით, 2007 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 324 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება (ორგანიზაცია)<sup>69</sup>, რომელთა ადგილობრივი ერთეულების რიცხვი (უშუალოდ სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები) 339 ერთეულით განისაზღვრა. გამოსაკვლევი 445 სასტუმროდან და სასტუმროს ტიპის დაწესებულებიდან მოქმედია 72.8 პროცენტი (324 საწარმო), ფუნქციონირება შეწყვიტა 10.8 პროცენტმა, დროებით არ მუშაობს 3.8 პროცენტი, საქმიანობა შეიცვალა 3.4 პროცენტმა, ხოლო სხვა მიზეზებზე მოდის 9.2 პროცენტი. ქვეყანაში დაფიქსირებული მოქმედი 324 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებიდან 7.4 პროცენტი სახელმწიფო საკუთრებაშია, ხოლო 92.6 პროცენტი (300 საწარმო) – კერძო საკუთრებაში. კერძო საკუთრების საწარმოებიდან 95.3 პროცენტი ადგილობრივ ფიზიკურ და/ან იურიდიული პირებზე მოდის, ხოლო 4.7 პროცენტი – უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირებია<sup>70</sup>.

საინტერესოა სასტუმროების დიფერენცირება სართულების მიხედვით. 339 სასტუმროდან (ადგილობრივი ერთეულები) 64 სასტუმრო ერთ სართულიანია, 112 – ორ სართულიანი, 87 – სამსართულიანი, 36 – ოთხ სართულიანი, 14 – ხუთ სართულიანი, 24 – ექვსიდან ათ სართულამდე, ხოლო 2 – ათზე მეტ სართულიანი.

2007 წლის დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 35 სასტუმრო ემსახურებოდა იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებშიც განთავსებული იყო 8191 კაცი. აღნიშნული 35 სასტუმროდან მხოლოდ 10-მა ერთეულმა მიიღო 11253 სტუმარი (25 სასტუმრო მხოლოდ იძულებით გადაადგილებულ პირებს ემსახურებოდა). 339 სასტუმროდან მხოლოდ 65-ს გააჩნია რესტორანი. რესტორნის გარეშე ფუნქციონირებს 267 სასტუმრო და 7 სასტუმროს ტიპის დაწესებულება.

<sup>69</sup> იგულისხმება დარეგისტრირებული, სასტუმროს ან სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობით მოქმედ საწარმოთა რაოდენობა. აღნიშნული გამოკვლევა არ მოიცავს ოჯახურ სასტუმროებს (რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი).

<sup>70</sup> საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კვლევის შედეგები

სასტუმროებში სტუმართა საერთო რაოდენობამ 2007 წლის განმავლობაში 282361 კაცი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 65266 კაცით (30.1 პროცენტი) აღემატება. აღნიშნული მაჩვენებლის გაანალიზება ჩამოსვლის მიზნის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს: რეკრეაციასა და დასვენებაზე მოდის 28.0 პროცენტი, საქმიანი და პროფესიული მიზნითაა ჩამოსული 48.1 პროცენტი, მკურნალობის მიზნით – 0.5 პროცენტი, სხვა მიზნებზე კი 23.4 პროცენტი მოდის.

სტუმართა 63.3 პროცენტი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო 36.7 პროცენტი საზღვარგარეთის. საზღვარგარეთიდან ჩამოსულთა 68.5 პროცენტი საქმიანი და პროფესიული მიზნითაა ჩამოსული, რეკრეაციისა და დასვენების მიზნით – 18.2 პროცენტი, სხვა მიზნით ჩამოსულია 13.1 პროცენტი, ხოლო სამკურნალოდ – მხოლოდ 0.2 პროცენტი.

საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრების საერთო რაოდენობიდან 36.4 პროცენტი ევროპავშირის ქვეყნებიდანაა, 25.8 პროცენტი – დსო-ს ქვეყნებიდან, ხოლო 37.8 პროცენტი სხვა ქვეყნებზე მოდის.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის ძირითად პრობლემებს მიეკუთვნება:

- უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის შემოსავლის უპრეცენდენტო შემცირება და მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დაბალი დონე;
- კურორტების გაძარცვა და დანგრევა საომარი მოქმედებების გამო;
- ტურისტული ობიექტების უმრავლესობა საბჭოთა სტანდარტებითაა აშენებული და არ შეესაბამება მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს;
- ბიუჯეტის კრიზისი და სოციალური ფონდების არ არსებობა;
- მარკეტინგული კვლეულების ჩატარების სირთულეები, ფინანსური რესურსების არქონის გამო;
- თანამედროვე საინფორმაციო-სარეგისტრაციო სისტემის არარსებობა;
- ტურისტული პროდუქტების რეკლამის არასაკმარისობა;
- სასტუმროებში ადგილების შეზღუდულობა;
- განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, მათ შორის გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
- ენის პრობლემა;
- არასასურველო საინვესტიციო გარემო, რომელიც მოითხოვს ჯეროვანი გადაწყვეტილებების მიღებას. აზერბაიჯანსა და საქართველოში

ინვესტიციების განხორციელება არის სახიფათო და სიტუაცია კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც არ არსებობს კაპიტალის უკან მიღების გარანტიები, შეუძლებელი ხდება გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელება და საქმიანობის დაგეგმვა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის განვითარება ძირითადად უცხოეთში გამგზავრებაზეა ორიენტირებული. უთვალავი ტურისტული სააგენტო უპირატესობას ანიჭებს თანამემამულების საზღვრებს გარეთ გაყვანას და ამ მიმართულებით არის დაკავებული, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ცდილობს უცხოელი ტურისტების მოზიდვას საკუთარ ქვეყანაში. გარდა ამისა, ახალი სააგენტოების უმრავლესობა ცდილობს ბაზრის უკვე არსებული სეგმენტიდან მიიღოს შემოსავალი, ვიდრე შექმნას ახალი ფირმა და ბაზარს შესთავაზოს ახალი პროდუქტი. არადა მათი წარმატებული საქმიანობა მხოლოდ ახალი პროდუქტის შეთავაზებითაა შესაძლებელი.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მომავალი პირდაპირ არის დაკავშირებული ეკონომიკის ამ პრიორიტეტული დარგის განვითარებისთვის ეროვნული მარკეტინგული კონცეფციის შემუშავებასა და მის საფუძველზე სამთავრობო პოლიტიკის გატარებასთან.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტული ბიზნესის გლობალიზაციისათვის აუცილებელია ეფექტიანი სტრატეგია. მან უნდა უზრუნველყოს ახალი მიღწევებისა და მეთოდების დანერგვა. მაგალითად, სტრატეგიული ალიანსების, რომლებიც შეიძლება მრავალი ფორმით დაფუძნდეს – ერთობლივი საწარმოები, ფრენჩაიზინგული შეთანხმებები და სხვა. სტრატეგია უნდა შეესაბამებოდეს გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს კულტურულ განსხვავებებს ადგილობრივ და გლობალურ დონეზე.

ტურისტული რესურსების ახალი დეფინიცია, ტურიზმის პრიორიტეტული სახეების ჩვენება და რეკლამირება აუცილებელია იმისთვის, რომ ფუნქციური კლასიფიკაციის საფუძველზე მოხდეს მათი მძიმე მდგომარეობის შეცვლა, საქართველოსა და აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი საკურორტო პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება საქართველოსა და აზერბაიჯანის დაცული ტერიტორიების ბაზაზე, სასოფლო ტურიზმის შემოღება. დაბოლოს, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა და ამ სფეროსათვის სპეციალისტების მომზადება.

ტურისტული პროდუქტის პროექტის შექმნა საბითუმო ბაზრობებზე ან გამოფენებზე მის წარმოდგენამდე დაახლოებით ორი წლით ადრე იწყება. ტურისტული ბაზრის სეგმენტაცია ხდება ორი მეთოდის გამოყენებით: სოციალურ-დეოგრაფიული, რომელიც ტურისტების პერსონალურ მახასიათებლებს აღწერს (ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება და შემოსავალი) და ფსიქოგრაფიული, რომელიც განაპირობებს ტურისტების ცხოვრების წესს, მათ საქმიანობას, ინტერესებსა და შეხედულებებს. ამ ორ მეთოდს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი მეთოდი განსაზღვრავს ტურისტების ქცევის ძირითად განსხვავებებს (ის ანალიზისათვის უფრო მარტივი და შესრულებადია), მეორე მეთოდი კი განსაზღვრავს, თუ რატომ შეაჩერა ამა თუ იმ ტურისტმა თავისი არჩევანი კონკრეტულ პროდუქტზე და რატომ აკეთებს ის ამას. მოცემული მეთოდით ანალიზის დროს მკვლევარები არა მარტო აღწერენ ტურისტებს, არამედ მათი ქცევის ახსნასაც ცდილობენ. ფსიქოგრაფიული და სოციალურ-დემოგრაფიული მეთოდები ერთმანეთს ავსებს. ხშირად ტურისტების გამოკითხვისას მკვლევარების მიერ შედგენილი კითხვარები ძალიან ბევრ სოციალურ-დემოგრაფიულ პარამეტრს შეიცავს.

ფსიქოგაფიული მეთოდი შეგვიძლია მივაკუთვნოთ დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურში “შთამომავლობად” წოდებულ სეგმენტაციას, სადაც მიზნობრივი სეგმენტი წინასწარ არ არის ცნობილი და უამრავი სტატისტიკური მეთოდიდან, კლასტერული და სხვა სტატისტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს. აქ ვხვდებით სოციალურ-დემოგრაფიული მეთოდისგან განსხვავებულობას არასტანდარტული სახის ტურისტების სხვადასხვა კატეგორიების კვლევისას, რომლებიც ბაზრის მკვლევარებისგან მოითხოვენ გამოკვლევებისა და გამოკითხვის გზით სხვადასხვა საწყისი სუბიექტური ზომების მიღებას. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის სხვა სექტორებისგან განსხვავებით, ტურიზმის სექტორში ბაზრის ფსიქოგრაფიული სეგმენტაცია, სიძვირიდან გამომდინარე, მისი განვითრების მხოლოდ საწყისი ფაზაა. მრავალი ტუროპერატორი სარეკლამო კატალოგებში იშვიათად აღნიშნავს კლიენტთა ჯგუფებს შორის განსხვავებას და ძირითადად სანახაობისა და სასტუმროების აღწერით შემოიფარგლება.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაზრის ფსიქოგრაფიული სეგმენტაციის მარკეტინგული უპირატესობა, ტურისტულ ფირმებს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც გამოიყენება დაგეგმვისათვის, განვითარებისათვის, ტურისტული პროდუქტის წინ წაწევისა და ბაზარზე

განაწილებისათვის. აგრეთვე, პოტენციური კლიენტის აღმოჩენისათვის, რათა ტურისტული პროდუქტის წინ წაწევასა და მარკეტინგულ პრემეიბში დახარჯული ფულადი რესურსები უფრო ეფექტიანად იქნეს გამოყენებული. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფო ტურისტულ ორგანიზაციებში, სადაც ტურისტული პროდუქციის რეკლამირებისა და წინ წაწევისათვის ფულადი რესურსები ძალიან შეზღუდულია.

კლიენტის მოტივაციის წინასწარი შესწავლის გარეშე, შეუძლებლია ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა და ბაზარზე მისი შეთავაზება. ყველაზე მნიშვნელოვანია ტურისტების სურვილების დაკმაყოფილება და დადებითი ტურისტული შთაბეჭდილებებით მათი უზრუნველყოფა.

საჭიროა საგულდაგულოდ იქნეს შესწავლილი სხვადასხვა სიტუაციაში ადამიანთა ქცევის მოდელები, რაც კარგი წინაპირობა იქნება გადაწყვეტილების მიღების მოტივაციისათვის, დასვენების სახეებისა და მგზავრობის მიმართულების არჩევისათვის, პარტნიორებისა და ტურისტული ფირმების არჩევისათვის. “fly in ointment”-ის კანონი (ბუზი მალამოში=ერთმა ბილწმა თაგვმა ასკოკიანი ქვევრი წაბილწაო) უზადოდ მოქმედებს ტურიზმში და უმნიშვნელო შეცდომაც კი საკმარისია იმისთვის, რომ კარგად მომზადებული მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები დაიკარგოს.

ტურისტული მოგზაურობის მოტივი მრავალია და ძირითადად დამოკიდებულია: ასაკზე, გონიერივი განვითარების კოეფიციენტზე (I.Q), გადახდისუნარიანობაზე. ამას ემატება საზოგადოების ფენა და სხვა მრავალი ფაქტორი. მოგზაურობის მოტივაციის ცვლილება იწვევს უარყოფით შედეგებს იმ ტურისტული ფირმებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ბაზარზე ტურისტული პროდუქტის მიწოდებას. ტურისტების ხასიათის, მოდის, საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის და სხვა მრავალი ფაქტორის უგულებელყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტურისტთა მოტივაციაზე, განსაზღვარავს ტურისტული ნაკადების მიმართულებას, იწვევს კლიენტთა დაკარგვას და ტურისტული საქმიანობისათვის ეკონომიკურ სიძნელეებს წარმოშობს. პონქონგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში დიდ ტურისტულ ცენტრს წარმოადგენდა, მაგრამ 1997 წელს მასზე ჩინეთის იურისდიქციის გავრცელებამ უარყოფითად იმოქმედა და შეამცირა ტურისტული ნაკადები ამ მეგაპოლისში, რამაც მოცემულ რეგიონში ტურისტული სფეროს კრიზისი გამოიწვია. აუცილებელია გქონდეს პროფესიული მიდგომა, დიდი გამოცდილება ტურისტების გადახდისუნარიანი

მოთხოვნის პროგნოზირებაში, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, რომელიც განსაზღვრავს ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრების წესს.

ამგვარად, ინტეგრაციის პროცესების ფონზე, ძირეული ფსიქოლოგიური მაგალითების კონტექსტში, საქართველოსა და აზერბაიჯანში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ახალი, ეფექტიანი შესაძლებლობები შეიქმნება. ეს, თავის მხრივ, ამ ქვეყნებს მისცემს შესაძლებლობას შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და მსოფლიო ბაზარზე ღირსეული პოზიციები დაიკავონ.

ქვეყნების, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის სფეროებს მიმზიდველობასა და განვითარების დონეზე წარმოდგენას იძლევა მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი, რომელსაც განსაზღვრავს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. ქვეყნების რეიტინგი ეფუძნება მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსს – Travel & Tourism Comititiveness Index (TTCI), რომლის სუბინდექსებია:

- I. მოგზაურობისა და ტურიზმის მარეგულირებელი სტრუქტურა;
- II. მოგზაურობისა და ტურიზმის ბიზნესის გარემო და ინფრასტრუქტურა;
- III. მოგზაურობისა და ტურიზმის ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები.

სუბინდექსები, თავის მხრივ, 14 ფაქტორს მოიცავს. აქედან პირველ და მეორე სუბინდექსებში შედის 5-5 ფაქტორი, მესამეში – 4.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებულ მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგში წარმოდგენილია 130 ქვეყანა. ამ რეიტინგში ტურიზმის მიმზიდველობის ოვალსაზრისით ყველაზე კონკურენტუნარიანი ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: შვეიცარია (5.63 ქულა), ავსტრია (5.43 ქულა), გერმანია (5.41 ქულა), ავსტრალია (5.34 ქულა), ესპანეთი (5.30 ქულა), გაერთიანებული სამეფო (5.28 ქულა), აშშ (5.28 ქულა), შვედეთი (5.27 ქულა), კანადა (5.26 ქულა) და საფრანგეთი (5.23 ქულა), ხოლო ყველაზე არამიმზიდველი ქვეყნები არიან: ჩადი (2.48 ქულა), ლოსოტო (2.82 ქულა), ბურუნდი (2.91 ქულა), ბანგლადეში (2.93 ქულა), კამერუნი (2.99 ქულა), ნიგერია (3.03 ქულა), ბურკინა ფასო (3.04 ქულა), მოზამბიკი (3.05 ქულა), მავრიტანია (3.10 ქულა) და ეთიოპია (3.18 ქულა).

პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ტურიზმის თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველია ესტონეთი (26-ე ადგილი და 4,85 ქულა), ლატვია (45-ე ადგილი და 4,34 ქულა) და რუსეთი (64-ე ადგილი და 4,04 ქულა). საქართველოს ამ რეიტინგში 3,83 ქულით 72-ე ადგილი უკავია, ხოლო აზერბაიჯანს – 3,72 ქულით 79-ე ადგილი (ცხრილი III.25).

ცხრილი III.25

მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2008 წ.

ინდექსი და სუბინდექსები	საქართველო		აზერბაიჯანი	
	რანგი	ქულა	დანგი	ქულა
მოგზაურობებისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი	72	3,83	79	3,72
I. მოგზაურობისა და ტურიზმის მარეგულირებელი სტრუქტურა	46	4,84	62	4,49
I.1. პოლიტიკის განმსაზღვრელი წესები და რეგულატორები	68	4,22	72	4,14
I.2. გარემოს მარეგულირებელი წესები	54	4,62	101	4,01
I.3. დაცულობა და უსაფრთხოება	37	5,60	43	5,46
I.4. ჯანმრთელობა და ჰიგიენა	42	5,58	49	5,22
I.5. მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა	72	4,19	101	3,63
II. მოგზაურობებისა და ტურიზმის ბიზნესის გარემო და ინფრასტრუქტურა	94	2,95	79	3,24
II.1. საპარტნერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	105	2,33	79	2,69
II.2. სახმელეთო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	76	3,42	52	4,15
II.3. ტურისტული ინფრასტრუქტურა	90	2,44	92	2,37
II.4. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა	90	2,10	84	2,27
II.5. ფასების კონკურენტუნარიანობა	78	4,47	62	4,72
III. მოგზაურობებისა და ტურიზმის ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები	85	3,70	105	3,44
III.1. ადამიანური რესურსები	47	5,07	54	5,04
III.2. მოგზაურობისა და ტურიზმისადმი ეროვნული დამოკიდებულება	37	5,15	69	4,75
III.3. ბუნებრივი რესურსები	116	2,22	110	2,31
III.4. კულტურული რესურსები	71	2,36	99	1,66

წყარო: <http://www.weforum.org/en/initiatives/gcp/TravelandTourismReport/index.htm>

მოგზაურობისა და ტურიზმის მარეგულირებელი სტრუქტურით საქართველო 46-ე ადგილზეა (4.84. ქულა), აზერბაიჯანი – 62-ეზე (4.49 ქულა), მოგზაურობებისა და ტურიზმის ბიზნესის გარემოსა და ინფრასტრუქტურით ქვეყნები 94-ე (2,95 ქულა) და 79-ე (3,24 ქულა) ადგილებზე არიან, მოგზაურობებისა და ტურიზმის ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსებით – შესაბამისად 47-ე (5,07 ქულა) და 54-ე (5,04 ქულა) ადგილებზე.

საქართველოსა და აზერბაიჯანს ყველაზე ცუდი შეფასება აქვთ ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით. ამ ფაქტორით საქართველოს 116-ე ადგილი უკავია (2,22 ქულა), აზერბაიჯანს – 110-ე (2,31 ქულა). საქართველოს ცუდი მდგომარეობა აქვს, აგრეთვე, საპატიო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის (105-ე ადგილი და 2,33 ქულა), ტურისტული ინფრასტრუქტურის (90-ე ადგილი და 2,44 ქულა), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (90-ე ადგილი და 2,10 ქულა), ფასების კონკურენტუნარიანობის (78-ე ადგილი და 4,47 ქულა) ფაქტორებში, აზერბაიჯანს კი გარემოს მარეგულირებელი წესების (101-ე ადგილი და 4,01 ქულა), მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობის (101-ე ადგილი და 3,63 ქულა), კულტურული რესურსების (99-ე ადგილი და 1,66 ქულა) მხრივ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის სფეროს პრიორიტეტულობის აღიარების მიუხედავად, ამ ფაქტორს მხოლოდ 72-ე ადგილი (4,19 ქულა) უკავია. ამიტომ ეს გარემოება სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტულ-რეკრეაციული ინდუსტრიის განვითარებასთვის საჭიროა:

- ტურისტული რესურსების ხელახლი შეფასება;
- სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ქვეყნების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლება;
- საერთაშორისო ბაზარზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურისტული რესურსების შესახებ ფართო სარეკლამო საქმიანობის ორგანიზაცია.

საქართველოსა და აზერბაიჯანში ტურიზმის განვითარება სერიოზულ სარეკლამო კამპანიას საჭიროებს. ამის გამო არსებითად უნდა გაიზარდოს სარეკლამო ბიუჯეტები და სარეკლამო კომპანიების საქმიანობის მასშტაბები. დღის წესრიგში უნდა დადგეს რეკლამის ახალი ფორმების, მისი გავრცელების ახალი საშუალებების, ახალი სარეკლამო სტრატეგიების შემუშავების აუცილებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეკლამის ბაზარი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საერთო ეკონომიკური გავითარების ინდიკატორია. როგორც წესი, რეკლამის ბაზრისა და მშპ-ის ზრდის ტემპები დაახლოებით ერთნაირია. მაგალითად, ახალი ათასწლეულის პირველ წლებში დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის რეკლამის ბაზრები სტაგნაციას განიცდიდნენ, რაც ეკონომიკის საერთო სიტუაციას ასახავდა.

XXI საუკუნის დასაწყისში ტურისტული რეკლამის მსოფლიო ბაზრის ძირითადი ტენდენციებია: რეცესია, კონცენტრაცია და ეკოლუცია.

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებამ გავლენა იქნია რეკლამის ბაზარზე, რადგან მძიმე სიტუაციაში, როგორც წესი, კომპანიები რეკლამის ხარჯებს ამცირებენ. რეკლამის ბაზრის რეცესია დაიწყო XX საუკუნის ბოლოს – ინტერნეტ-კომპანიების საფონდო “ბუშტის გასკდომის” გამო. ამას შემდგომ დაემატა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, რომელმაც სერიოზულად შეარყია მასობრივი ინფორმაციული საშუალებების ფინანსური მდგომარეობა. ტერორისტული აქტების შემდეგ წამყვანმა ტელეარხებმა და გაზეთებმა შეამცირეს ან საერთოდ მოხსნეს რეკლამა და ადგილი დაუთმეს პირდაპირ ჩართვებსა და მოვლენების ანალიზს. “სამოქალაქო სოლიდარობის” ამ აქტმა ტრაგიკული მოვლენების მხოლოდ პირველ კვირაში მედიასექტორს 1 მლრდ დოლარის ზარალი მოუტანა.

რეკლამის სფეროს კონცენტრაცია და გლობალიზაცია დროის მოთხოვნილებებითაა განპირობებული და მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციას ასახავს. თავის მხრივ, ეს პროცესი მედია ინდუსტრიის ეკოლუციითაა განპირობებული. თეორიულად, რაც უფრო დიდია სააგენტო, მით უფრო ეფექტიანად ემსახურება იგი კლიენტებს, რადგან მას შეუძლია დაბალი ფასების უზრუნველყოფა და მომსახურების მიმზიდველი პაკეტის შეთავაზება. სრული ციკლის ნებისმიერი სარეკლამო სააგენტო ორ ძირითად ნაწილს შეიცავს: კრეატიულსა და მედიურს. პირველი ნაწილის ქვედანაყოფების ფუნქციაა შემოქმედებითი საქმიანობა, მედიურის – რეკლამის განთავსება, მასობრივი ინფორმაციული საშუალებების ანალიზი და კლიენტთა სარეკლამო სტრატეგიების დაგეგმვა. თანამედროვე პირობებში მედია-ნაწილს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ათიოდე წლის წინ მას თითქმის არ აქცევდნენ ყურადღებას.

მძაფრი კონკურენციის პირობებში სარეკლამო კომპანიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა დახვეწილი სარეკლამო სტრატეგიების გამოყენება. უკანასკნელი გამოკვლევებით დადგენილია, რომ ბაზრის გაჯერების პირობებში

ტრადიციულ რეკლამას აღიქვამს მომხმარებელთა მხოლოდ 4-5%, ხოლო ერთტიპური საქონლის მზარდი კონკურენცია მხოლოდ ართულებს სიტუაციას.

რეკლამა უურნალებსა და გაზეთებში საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ხოლო მათი ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია. აღნიშნულის გამო, ამჟამად სულ უფრო მეტი უურადღება ექცევა ინტეგრირებულ რეკლამას, რომელიც გულისხმობს საერთო იდეასა და დიზაინს პროდუქტის წინ წაწევის უველა სახისათვის. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, დიალოგ-მარკეტინგის ფართო გავრცელებას ანუ მომხმარებლებთან ინდივიდუალურ მუშაობას. დიალოგ-მარკეტინგის ფართო გავრცელება განპირობებულია ბიზნესის წარმოების პირობების ტრანსფორმაციით. ინტერნეტმა ბიზნესი გაიყვანა განვითარების ახალ საფეხურზე, რომელზეც, ერთი მხრივ, კომპანიებმა მიიღეს მომხმარებელთა მაქსიმალური აუდიტორია და, მეორე მხრივ, მომხმარებლებს მიეცათ შესაძლებლობა მწარმოებლებს შეატყობინონ თავიანთი ინდივიდუალური არჩევანის შესახებ. დიალოგ-მარკეტინგი იძლევა მომხმარებლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ამასთან, მომხმარებელი გრძნობს, რომ მწარმოებლისათვის მისი აზრი მნიშვნელოვანია. დასავლეთში სულ უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ქ. წ. ვირტუალური რეკლამა, რომელიც დაკავშირებულია ვიდეოგამოსახულების ახალი ტექნიკის გამოყენებასთან.

სწრაფი ტექნიკ ვითარდება ინტერნეტი, რომელიც შეიქრა ეკონომიკის უველა სფეროში, მათ შორის ტურისტულ ბიზნესშიც. ინტერნეტში გაჩნდა ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები, ტურისტული მომხახურების დაჯავშნის სისტემები და სხვა სახის, მათ შორის სარეკლამო მომხახურება. პოტენციურ ტურისტებს მიეცათ ტურის დამოუკიდებელი ფორმირების, ტურისტული პროდუქტის შეძენის, სასტუმროების დაჯავშნის, ელექტრონული ანგარიშების შესაძლებლობა. მათ ასევე შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნის, ამინდის პროგნოზის, სასტუმროების ფასების, ტრანსპორტის მიმოსვლის მარშრუტების შესახებ და ა.შ. ექსპერტების აზრით, 2010 წლისათვის ინტერნეტის მეშვეობით გაიყიდება 300 მლრდ აშშ დოლარის ტურისტული მომხახურება.

რეკლამის გავრცელების ახალ არხებთან ერთად, აუცილებელია სარეკლამო კომპანიების სრულყოფა. ინფორმაციის დიდი ნაკადების პირობებში ძალიან ძნელია მომხმარებლისათვის მიზნობრივი შეტყობინების მიწოდება. ამასთან, დასავლეთის ქვეყნების მომხმარებლებს მობეზრდათ ტელევიზისა და პრესის სტერეოტიპული რეკლამა. ითვლება, რომ მომხმარებლის “ნდობის ეფექტის” ამაღლება შეიძლება

არატრადიციული სახის, მაგალითად, ემოციური რეკლამით. ეს უკანასკნელი იძლევა მომხმარებელთა არჩევანზე ეფუქტიანი ზემოქმედების შესაძლებლობას, რადგან ადამიანის ტვინი უფრო სწრაფად ამუშავებს სურათებსა და სახეებს და ეს შეუცნობელ დონეზე ხდება.

ტრადიციული ემოციური რეკლამა ეფუძნება დადებითი ემოციების გამომწვევ სიუჟეტებს (ბედნიერება, სიყვარული, მეგობრობა და ა. შ.), მაგრამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება არასასიამოვნო შეგრძნებების, შიშის, უკმაყოფილების, ზიზღის გამომწვევი მოტივები. რეკლამის მენეჯერები ამას უწოდებენ “პროვოკაციის სტილს”. პროვოკაციულ რეკლამაში ფართოდ იყენებენ აკრძალულ თემებს, ადამიანის ქვენა გრძნობებს, რაც ხშირად საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევს. პროვოკაციული რეკლამა დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, რომელთაც უყვართ წესების დარღვევა და ტრადიციების უარყოფა.

ექსპერტთა აზრით, ახალგაზრდებზე კარგად მოქმედებს ე.წ. მოვლენებზე დაფუძნებული რეკლამა. გრძნობის ორგანოებით (სმენით, მხედველობით, შეგრძნებით) აღქმული შთაბეჭდილება შეიძლება სწრაფად გაქრეს მეხსიერებიდან, ამიტომ ეს შთაბეჭდილება უნდა განმტკიცდეს რაიმე მოვლენით. ხშირად ამგვარი მოვლენები უკავშირდება საქონლის პრეზენტაციას ბაზრობებსა და გამოფენებზე.

მომხმარებლებზე ზემოქმედების ტრადიციული საშუალებების სრულყოფისა და ახალი საშუალებების შექმნის პირობებში, ტურისტული პროდუქტის რეკლამირებისას მიზანშეწონილია ე. წ. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენება.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები სრულიად ახალი მიდგომაა საქონლის გავრცელების მთელი კომპლექსის მიმართ, რადგან მასში გაერთიანებულია ფინანსები, მენეჯმენტი და იდეები. ამ შემთხვევაში მწარმოებლისა და მომხმარებლის ურთიერთობათა დამყარებაზე, სასურველი ორმხრივი მიზნობრივი აუდიტორიის შექმნაზე ორიენტირებული მრავალი ტრადიციული საქმიანობა ერთიანდება “ერთი სასურავის ქვეშ”, ყოველი მათგანისათვის თავისი მოდელის შერჩევით. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების წარმოშობის მიზეზია მომხმარებლების მიერ სხვადასხვა არხით მიღებული ყველა ინფორმაციის ინტეგრირების აუცილებლობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთი ინტეგრირების შედეგად მიღებული წარმოდგენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. ამიტომ უკეთესი შედეგის

მისადებად უფრო მიზანშეწონილია მომხმარებელზე დადებითი შედეგის მომტანი ინტეგრირებული ინფორმაციით ზემოქმედება.

1999-2000 წლებში სხვადასხვა ბაზრის ლიდერებმა გააერთიანეს რეკლამის, საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR), პირდაპირი გაყიდვების, გავრცელებისა (პრომოუშენების) და ფირმისშიდა ურთიერთობების განყოფილებები კომუნიკაციების დეპარტამენტში, რომელიც, როგორც წესი, ექვემდებარება წამყვან შემსრულებელ დირექტორს. ასეთი გაერთიანებების მიზეზი გახდა ის, რომ მასობრივ რეკლამაზე გაწეული ხარჯები, გაუთავებელი პრომოუშენები და გამყიდველთა უზარმაზარი არმია შედეგს არ იძლეოდა.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების გამოყენების პირობებში სარეკლამო მომსახურების მსოფლიო ბაზარზე მთავარი დატვირთვა დივერსიფიცირებულ მარკეტინგულ სუპერჯგუფებზე მოდის. მათ უნდა უზრუნველყონ მომსახურების ფართო სპექტრი – ტრადიციული ბეჭდვითი პრესიდან ინტერნეტში ინტერაქტიურ მარკეტინგამდე და მსოფლიო მედია-ბაზარზე განვითარების სტრატეგიის დამუშავებამდე. მხოლოდ ასეთი მიღგომით იქნება შესაძლებელი ტურისტული ბაზრის განვითარება.

### **III.4. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები**

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების განხილვისას, უპირველესად, მხედველობაში უნდა მივიღოთ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები. როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციაა გლობალიზაცია, რომელსაც XXI საუკუნის დასაწყისში მოტივაციის საკუთარი სისტემა და მამოძრავებელი ძალები გააჩნია. იგი აყალიბებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს და განსაზღვრავს ეროვნული მუურნეობების “თამაშის წესებს”.

გლობალიზაცია, თავისი არსით, კაცობრიობის შესაძლებლობათა განვითარების უალტერნატივ სტრატეგია და მსოფლიო მეურნეობის განვითარების ახალი ეტაპია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას ერთიან საწარმოო ზონად და ერთიან ბაზრად გარდაქმნის. ანუ იქმნება მსოფლიო ეკონომიკური თანამეგობრობის ერთიანი სისტემა, სადაც თავისუფლად მოძრაობს შრომა, კაპიტალი, საქონელი და მომსახურება.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის გლობალიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტებია:

- საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი ზრდა;
- კაპიტალის მოძრაობის ინტენსიუფიკაცია;
- ფინანსური სახსრების კონცენტრაცია;
- გლობალური პროცესების მართვაში საერთაშორისო ორგანიზაციების ახალი როლი და ა. შ.

გლობალიზაცია ხელს უწყობს დია საზოგადოების ჩამოყალიბებას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასა და გავრცელებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას და ა. შ.

გლობალიზაციის ზეგავლენით XXI საუკუნეში ყალიბდება ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელი, რომელიც ინფორმაციურ ეკონომიკას ეფუძნება. მასში წამყვან როლს თამაშობს ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული და ტექნიკური ტექნოლოგიები.

გლობალიზაციას ქვეყნებზე აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ზემოქმედება. დადებითი ეფექტი ძირითადად ვლინდება შემდეგი სახით: არსებული რესურსების უფრო რაციონალური გამოყენება, გასაღების ბაზრების გაფართოება, შედარებით მაღალეფებიან დარგებში წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება და ა.შ.

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენა ქვეყნებზე, უპირველესად, გამოიხატება მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამძაფრებაში, რაც იწვევს ცალკეული საწარმოების გაკოტრებას ან მთლიანად დარგების განადგურებას, უმუშევრობის დონის ამაღლებას, სიღარიბის ზრდას და ა. შ. გლობალიზაციის საწინააღმდეგოდ გამოდის, აგრეთვე, გრძელვადიანი მოქმედების ისეთი ობიექტური ფაქტორი, როგორიცაა რეგიონალიზაციისაკენ ეროვნული ეკონომიკებისა და სახელმწიფოების გაძლიერებული სწრაფვის ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება „უსაზღვრებო“ და თავისი სტრუქტურით „ერთხაზოვანი“ გლობალური სამყაროს შექმნის იდეას. ამავე დროს, გლობალიზაციის პირობებში რეკონსტრუქციის (გარდაქმნის) პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს (მაგალითად, თანამედროვე ჩინეთსა და ინდოეთში), რომ დასავლური კულტურის ინსტრუმენტული კომპონენტების ათვისებით (მატერიალური წარმოების სტრუქტურის, ინფორმაციის გადაცემის მეთოდების, ეკონომიკური ინსტიტუტებისა და განათლების ტიპის მიხედვით), ბევრ

ქვეყანას არ სურს დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტების ბრმად კოპირება და უარის თქმა თავისი კულტურის ეგზისტენციალურ საწყისებზე, „სულზე“ – რელიგიურ შეგნებაზე, პიროვნების თვითშეგნებისა და ადამიანურ ურთიერთობათა, სასიცოცხლო აზრის ჩვეულ ფორმებზე.<sup>71</sup>

დღეისათვის გლობალურ ეკონომიკას მკაცრი მარეგულირებელი მექანიზმი არ გააჩნია, ამიტომ იგი ვითარდება, ერთი მხრივ, საბაზრო ანარქიის (ეს, უპირველესად, სავალუტო და საფინანსო სისტემებს ეხება) პროცესებისა და, მეორე მხრივ, ოლიგორქიის ტენდენციების გაძლიერების პირობებში.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგები განაპირობებენ ეროვნულ ეკონომიკათა დაცვის აუცილებლობას, ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდასა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლებას, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას.

მსოფლიო თანამეგობრობაზე გლობალიზაციის პროცესების გავლენა ფასდება გლობალიზაციის ინდექსით, რომელსაც განსაზღვრავს კომპანია A.T. Kearney ქურნალ Foreign Policy-სთან ერთად. ამ ინდექსს ანგარიშობენ 12 პოზიციის მიხედვით, რომელიც შემდეგ 4 კატეგორიაშია დაჯგუფებული:

1. ეკონომიკური ინტეგრაცია;
2. პირადი კონტაქტების ინტენსიურობა ადამიანთა შორის;
3. პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა;
4. კავშირგაბმულობის ტექნიკური სისტემების განვითარება.

2007 წელს გლობალიზაციის ინდექსი გაანგარიშებულია 72 ქვეყნის მიხედვით, რომელთა წილად მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 97 % და პლანეტის მოსახლეობის 88 %. 2007 წლის ყველაზე გლობალიზებულ ქვეყნად მიჩნეულია სინგაპური. ამ ქვეყნის გარდა, პირველი ათეულში შედიან: ჰონკონგი, ნიდერლანდები, შვეიცარია, ირლანდია, დანია, აშშ, კანადა, იორდანია, ესტონეთი. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამ რეიტინგში ჯერ არ განიხილებიან<sup>72</sup>.

გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი, ობიექტური და შეუქცევადი პროცესია, რომელიც ზრდის ქვეყნების კავშირულთიერთობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის დონეს. თავის მხრივ,

<sup>71</sup> Федотова В. Г. Типология модернизаций и способы их изучения. Вопросы философии, 2000, №4.

<sup>72</sup> <http://www.foreignpolicy.com/>

ინტერაციონალიზაციის პროცესების განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობა:

- შრომის საერთაშორისო დანაწილება მისი ორი ორგანიზაციული ფორმის – სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავების საფუძველზე;
- გლობალური მსოფლიო ბაზრის ფორმირება;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპი კავშირგაბმულობასა და სატრანსპორტო საშუალებებში;
- მრეწველობასთან შედარებით საერთაშორისო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის წინმსწრები ტემპები.

ეკონომიკურ დიტერატურაში განასხვავებენ ფორმალური და რეალური ინტერნაციონალიზაციის ცნებებს. ფორმალურ ინტერნაციონალიზაციად მიჩნეულია ისეთი სახელმწიფოთაშორისი კავშირები, რომლის დროსაც საწარმოთა განვითარების პარამეტრების შეთანხმება არ ხდება. მართალია, ამ შემთხვევაში ქვეყნები პროდუქციას ერთმანეთისათვის აწარმოებენ, მაგრამ ანალოგიურ დარგებში მათი საქმიანობის შედეგები განსხვავებულია. თავის მხრივ, რეალური ინტერნაციონალიზაციის დროს ადგილი აქვს ეკონომიკური პარამეტრების გათანაბრებას. მსოფლიო მასშტაბით რეალური ინტერნაციონალიზაცია არ არსებობს. განვითარების თანამედროვე დონეზე იგი მხოლოდ რეგიონული ინტეგრაციის ჩარჩოშია შესაძლებელი. ამის გამო გაჩნდა სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ახალი ფორმა – ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელიც ორი და მეტი სახელმწიფოს ეროვნულ მეურნეობათა დაახლოების, ურთიერთშეგუებისა და შერწყმის ობიექტური და მიზანმიმართული პროცესია. ინტეგრაციული პროცესების შედეგად ყალიბდება მსხვილი რეგიონული ინტეგრაციული სტრუქტურები, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის დამოუკიდებელი ცენტრების სახით ვითარდებიან<sup>73</sup>.

რეგიონალიზმი შეიძლება განვიხილოთ შემდეგი სახით:

- რეგიონალიზმი, როგორც პროცესი, რომელიც გულისხმობს არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთქმედების გაზრდას. იგი, უპირველესად,

<sup>73</sup> ლ. ყორდანაშვილი. საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. I, თბ., 2000, გვ. 293-305

ეკონომიკური აქტიურობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ასევე მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირს.

- რეგიონული ცნობიერება და იდენტურობა, როდესაც ისტორიული, კულტურული და სოციალური ტრადიციების თანმთხვევა თვალსაჩინოს ხდის გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას.
- რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოთაშორისო კოოპერაცია: სახელმწიფოებმა ან მთავრობებმა, საერთო პრობლემების გადაწყვეტისათვის, შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებებსა და მოახდინონ მოქმედებათა კოორდინაცია, რათა “დაიცვან და გააძლიერონ სახელმწიფო და მთავრობის ძალაუფლება”.
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად რეგიონალიზმის ყველაზე საერთო ფორმას წარმოადგენს. მთავრობები და ბიზნესის ინტერესები ხელს უწყობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, რაც იწვევს ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას.
- ოთხი პირველი პროცესის კომბინაციამ უნდა გამოიწვიოს მტკიცე და კონსოლიდირებული რეგიონული გაერთიანების წარმოქმნა. ამგვარად, პოლიტიკურად უმაღლეს დონეზე დაკავშირებულმა დაჯგუფებამ შეიძლება იტვირთოს უმნიშვნელოვანები როლი როგორც შიდა გარემოში, ისე შიდა პოლიტიკაში<sup>74</sup>.

ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად შესაძლებელია უფრო მაღალი საწარმოო-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიღწევა.

ინტეგრაციის წანამდგრებად მიჩნეულია:<sup>75</sup>

- ინტეგრირებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებისა და საბაზო სიმწიფის ხარისხის სიახლოვე;
- ინტეგრირებადი ქვეყნების გეოგრაფიული სიახლოვე, უმეტეს შემთხვევაში საერთო საზღვარი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირები;

<sup>74</sup> გ. სანიკიძე, ნ. კილურაძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბ., 2001, გვ. 162

<sup>75</sup> Киреев Алексей. Международная экономика. часть I, М., 1997, гв. 362-363

- განვითარების, დაფინანსების, ეკონომიკის რეგულირების, პოლიტიკური თანამშრომლობის და ა. შ. სფეროებში ქვეყანათა წინაშე არსებული ეკონომიკური და სხვა პრობლემების მსგავსება;
- დემონსტრაციული ეფექტი;
- დომინოს ეფექტი.

რეგიონული ინტეგრაციისათვის დამახასიათებელია ქვეყნების მშვიდობიანი ინტეგრირების მეთოდიკა, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ასეთ დაჯგუფებებში გამოიყოფა „პარტიზანული პოლიტიკის“ გამტარებელი ქვეყნები, რომლებსაც გაერთიანებაში დისბალანსი შეაქვთ. ინტერესთა დისბალანსის გამო ხშირად ბლოკი იშლება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რეკომპოზირებას აქვს ადგილი. ამ შემთხვევაში კ. წ. “package deals” საფუძველზე წევრი ქვეყნების მეთაურები იწყებენ მოლაპარაკებებს ახალი რეჟიმებისა და დადგენილებების მიღების თაობაზე.

ინტეგრაციული პროცესების თეორეტიკოსი დ. მიტრენი ინტეგრაციულ პროცესს განმარტავს შემდეგი სახით: ინტეგრაციის პირველ ფაზად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფოთა შორის ბარიერების მორდვევა, ქვეყანათა ეკონომიკური პროდუქტიულობის შესაბამისი საერთო პოლიტიკის შემუშავება-რეგულირებასა და სარგებლიანობის განაწილებასთან დაკავშირებით. ინტეგრაციის მეორე ფაზას წარმოადგენს პოზიტიური ინტეგრაციის ფაზა, რომელიც გულისხმობს სარგებლის პარიტეტულ განაწილებას ისეთი სახით, როდესაც ყველა ქვეყანა მოგებაშია და არავინ რჩება წაგებული. დ. მიტრენის აზრით, ინტეგრაციული ბლოკების უმთავრესი ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა, რეგიონალური უსაფრთხოების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეს საკანონმდებლო-მარეგულირებელი ორგანოს მეშვეობით უნდა დარეგულირდეს.

ინტეგრაციული პროცესები ეკონომიკური რეგიონალიზმის განვითარებას უწყობს ხელს. ამის შედეგად ქვეყანათა ცალკეული ჯგუფები ვაჭრობის ურთიერთხელსაყრელ პირობებს ქმნიან, შემდგომ ეტაპებზე კი რეგიონის შიგნით წარმოების ფაქტორების თავისუფალ მოძრაობას უზრუნველყოფენ.

ეკონომიკური რეგიონალიზმისათვის დამახასიათებელია პროტექციონისტური ნიშნები. მიუხედავად ამისა, იგი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების ნებატიურ ფაქტორად არაა მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე, სანამ მისი მონაწილე ქვეყნები მესამე ქვეყნებს ნაკლებად ხელსაყრელ სავაჭრო

პირობებს არ შეუქმნიან. ანუ ეკონომიკურმა რეგიონალიზმა, რომელიც ამარტივებს ერთი ჯგუფის ქვეყანათა შორის ეკონომიკურ კავშირებს, არ უნდა გაართულოს ეკონომიკური ურთიერთობები დანარჩენ ქვეყნებთან. შესაბამისად, რეგიონალიზმი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების დადებით ფაქტორად ითვლება იმ მომენტამდე, სანამ იგი ვაჭრობას დანარჩენ მსოფლიოსთან პრობლემებს არ უქმნის.

თანამედროვე ეტაპზე სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების შედეგად, ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების აქსიომად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნისათვის სხვადასხვა შედეგის მომტანია (იგი ძირითადად ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურება და სუსტი სახელმწიფოების არსებობას პრობლემებს უქმნის), თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემამ აქტუალურობა დაკარგა. აღნიშნულის გამო, ქვეყანათა ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია.

ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციამ ფართო გავრცელება XX საუკუნის 70-იანი წლების შუა სანებში დაიწყო. ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, რომელიც წარმოიშვა მომსახურებაზე საქონლის გაცვლის მნიშვნელობის ამაღლების შედეგად. XXI საუკუნის დასაწყისში მომსახურებისა და დარგთაშორისი პროდუქციის გაცვლამ მსოფლიო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვის ნახევარს გადააჭარბა და სწორედ ამ ფენომენმა შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების სახელწოდება მიიღო.

უკანასკნელ პერიოდში ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის იდეა დაედო საფუძვლად მრავალი განვითარებული ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალურ დოქტრინებს.

ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ამ კონცეფციის ერთ-ერთი წარმომადგენელია პოლანდიელი ეკონომისტი კ. ნუვერპუზე, რომელიც ამ იდეის დასასაბუთებლად იყენებს ყველა ქვეყნისათვის საერთო ეკოლოგიურ ფაქტორებს:

1. გარემოს არამდგრადობა;
2. დედამიწის ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა და ამოწურვადობა.

მისი აზრით, რადგან არსებობს განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება განვითარებადი ქვეყნების ნედლეულზე, ხოლო განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება განვითარებულ ქვეყნებზე ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და ფაქტორების მხრივ, ამიტომ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება და “ურთიერთზეწოლა”. შრომის საერთაშორისო დანაწილებაც სწორედ ამ გარემოებებზე უნდა იყოს აგებული. შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების ამ კონცეფციას მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდა.

პარგარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომისტი რ. კუპერი ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას სხვადასხვა ასპექტში განიხილავს. მისი აზრით, არსებობს ურთიერთდამოკიდებულების 4 სახე:

1. სტრუქტურული, როდესაც ქვეყნები იმდენად არიან დამოკიდებულნი და ურთიერთგახსნილები, რომ ცვლილება ერთი ქვეყნის ეკონომიკაში აუცილებლად მეორეზე აისახება;
2. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროს მიზნების ურთიერთდამოკიდებულება;
3. ეკონომიკური განვითარების გარე ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება;
4. პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება.

აღიარებული ფაქტია, რომ გარკვეული დაშვებების პირობებში რ. კუპერის თეორია საკმაოდ პოზიტიურად და მკაფიოდ გამოხატავს მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების ტენდენციას. აღნიშნულის გამო, დღეს ქვეყანათა ეკონომიკური ზრდა და მდგრადი განვითარება მჭიდრო სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია. სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მცირე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, როგორებიც არიან საქართველო და აზერბაიჯანის რესპუბლიკა.

საქართველოსა და აზერბაიჯანში მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესები და მათი გეოპოლიტიკური მდებარეობა არსებითად ცვლის სახელმწიფოთა ურთიერთობას გარე სამყაროსთან. შესაბამისად, მხედველობაშია მისაღები ამ ურთიერთობის მექანიზმი და მასზე გლობალიზაციის პროცესების ზემოქმედება.

მსოფლიოს ეკონომიკური მთლიანობის ფორმირების ტენდენცია ძირითადად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და საგარეო ფაქტორების როლის ამაღლების შედეგია. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა კარდინალურად შეცვალა წარმოებისა და გაცვლის პროცესები, ხელი შეუწყო სამეურნეო ცხოვრების

ინტერნაციონალიზაციას, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკური რესურსების ერთობლივ გამოყენებაზე, გლობალური პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა დიდი ხანია ცდილობდა ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მაგრამ მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში გამოიკვეთა ახალი ტენდენციები წარმოების ინტერნაციონალიზაციის სფეროში. სწორედ ამ პერიოდში მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ დაიწყო ინტეგრაციის ეტაპზე გადასვლა. პირველი ასეთი გაერთიანება დასავლეთ ევროპაში ჩამოყალიბდა და დღეს იგი რეგიონული ინტეგრაციის ნიმუშად გვევლინება.

GATT/WTO-ს მონაცემებით, XX საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიოში აღირიცხებოდა 18-20 ინტეგრაციული დაჯგუფება, 80-იან წლებში მათი რიცხვი 5-6-მდე შემცირდა, რადგან მათი უმეტესობა უმოქმედო აღმოჩნდა. XX საუკუნის 90-იან წლებში კი ევროგაერთიანების მაგალითმა გამოიწვია ე.წ. “დემონსტრაციული ეფექტი” და აგორდა ინტეგრაციის ახალი ტალღა – ინტეგრაციულ დაჯგუფებათა რაოდენობამ 30-ს გადააჭარბა<sup>76</sup>. ინტეგრაციული პროცესები ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანი აქტიურად ჩაერთვნენ ინტეგრაციულ პროცესებში. ორივე ქვეყანა გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის – დსთ-ის (2008 წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის და სუუამ-ის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) – ამჟამად სუამ-ის (უზბეკეთი გავიდა ამ გაერთიანების შემადგენლობიდან) წევრი. ამ ინტეგრაციულ გაერთიანებებში რეალური ეკონომიკური ინტეგრაციის ობიექტური პირობები არაა ჩამოყალიბებული, რადგან მასში შემავალმა ქვეყნებმა ინტეგრაციის პრიორიტეტულობა ჯერ ვერ გაითავისეს. ამასთან, საქართველოსა და აზერბაიჯანის მონაწილეობით შექმნილი რეგიონული გაერთიანებების წილი მსოფლიო მაჩვენებლებში უმნიშვნელოა. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები გარკვეულწილად ამ ინტეგრაციული გაერთიანებების ჩარჩოებში განხორციელებულ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული.

<sup>76</sup> The Economist, 1995, Sept. 16, p. 24.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (შზეთ – BSEC) დაარსების ინიციატორია თურქეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი თურგუთ ოზალი. მან ალიანსის შექმნის იდეა 1990 წლის აგვისტოში წამოაყენა, ხოლო ოფიციალურად იგი შავი ზღვის აუზის 11 ქვეყნის (ალბანეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, თურქეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) მიერ სტამბოლის დეკლარაციის ხელმოწერით 1992 წლის 25 ივნისს გაფორმდა.

BSEC-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანია თანამშრომლობის ყველა სტრატეგიული მიმართულების მოცვა. ამ მხრივ, შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამშრომლობა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის დარგებში, რაც განპირობებულია აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე და დაგეგმილი გლობალური მნიშვნელობის პროექტების არსებობით. 2008 წლის 10 აპრილს ქ. ოდესაში გამართულ შზეთ-ის წევრი ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრაზე მიღებულია დეკლარაცია "Joint Declaration on Cooperation in the Sphere of Transport in the BSEC Region", რომლითაც განისაზღვრა ინტენსიური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- მულტიმედიური გადაზიდვები;
- ლოგისტიკური ცენტრებისა და საზღვაო პორტების განვითარება;
- საერთაშორისო ნორმებთან შეესაბამისი წესების შემუშავება და საგტომობილო მიმოსვლის გააქტიურება<sup>77</sup>.

ამასთანავე, BSEC-ის რეგიონი მიმზიდვებია ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ტელეკომუნიკაციების, მცირე და საშუალო საწარმოების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგებში თანამშრომლობის თვალსაზრისით.

ამჟამად თანამშრომლობა BSEC -ის ჩარჩოში მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. ენერგეტიკა;
2. ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარება;
3. მცირე და საშუალო ბიზნესი;
4. ტურიზმი;
5. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
6. ტრანსპორტი;
7. კომუნიკაციები;
8. სტატისტიკა და ინფორმაციის გაცვლა;
9. მეცნიერება და ტექნოლოგიები;
10. გარემოს დაცვა;
11. განათლება;
12. ჯანდაცვა და ფარმაცევტიკა;
13. სოფლის მეურნეობა;
14. საგანგებო სიტუაციები;

<sup>77</sup> [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=525](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=525)

15. ბანკები და ფინანსები; 16. ინსტიტუციური განახლებისა და მყარი თვითმმართველობის საკითხები; 17. საბაჟო საქმე; 18. კულტურა; 19. საორგანიზაციო საკითხები<sup>78</sup>.

BSEC-ი ინტენსიურად ავითარებს ურთიერთობებს ევროკავშირთან. მისი მხრიდან 1999 წელს ქ. თბილისში მიღებულია BSEC-ევროკავშირის პლატფორმა, ხოლო 2007 წელს ქ. სტამბოლში – სამუშაო დოკუმენტი BSEC-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ, რასაც ევროკავშირის მხრიდამ მოჰყვა "Black Sea Synergy Initiative" დოკუმენტის მიღება (2007 წელი, ქ. ბრიუსელი). ევროკავშირში ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანების შემდეგ ეს ორგანიზაცია უფრო მზარდ დაინტერესებას გამოხატავს BSEC-ის მიმართ, რადგანაც დღეისათვის ევროკავშირის საზღვრები უკვე უშუალოდ შავი ზღვის რეგიონზე გადის<sup>79</sup>.

თანამშრომლობა BSEC-ის ჩარჩოში მასში მონაწილე ქვეყნებს აძლევს საშუალებას, რომ გამოიმუშაონ საერთო ხედვა ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, ერთობლივად განსაზღვრონ რეგიონის განვითარების ძირითადი მიმართულებები, უზრუნველყონ უკეთესი საერთო მომავალი დემოკრატიის პრინციპების დამკვიდრებითა და მართვის სრულყოფით, დაამკვიდრონ და განამტკიცონ ურთიერთნდობა.

სუამ-ის ჩარჩოში საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა დაიწყო ამ ორგანიზაციის შექმნის დღიდან. სუამ-ის საკონსულტაციო ფორუმი დაფუძნდა 1997 წლის 10 ოქტომბერს ოთხი ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) მონაწილეობით, რომელსაც 1999 წლის 10 ოქტომბერს შეუერთდა უზბეკეთი და ეს ორგანიზაცია სუუამ-ად ტრანსფორმირდა, თუმცა შემდგომ უზბეკეთი გავიდა ამ გაერთიანებიდან. 2006 წლის 22-23 მაისს ქ. კიევში ჩატარებულ სუამ-ის მორიგ სამიტზე სუამ-ის გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა ახალი ორგანიზაცია სახელწოდებით "დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია". ამასთან ერთად, სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით შენარჩუნებულია გაერთიანების ადრე არსებული აბრევიატურა – სუამ-ი, რომელიც ახალი ორგანიზაციის გაფართოების შემთხვევაშიც კი იქნება გამოყენებული.

სუამ-ის ფარგლებში თანამშრომლობა ხორციელდება შემდეგ სფეროებში:

1. ენერგეტიკა (კოორდინატორი – უკრაინა);
2. ტრანსპორტი (კოორდინატორი – საქართველო);

<sup>78</sup> [http://www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=470&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=470&lang_id=GEO)

<sup>79</sup> [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=525](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=525)

3. საგაჭრო-ეკონომიკური ((კოორდინატორი – უკრაინა);
4. საინფორმაციო ტექნოლოგიები (კოორდინატორი – მოლდოვას რესპუბლიკა);
5. კულტურა, მეცნიერება და განათლება (კოორდინატორი – საქართველო);
6. ტურიზმი (კოორდინატორი – მოლდოვას რესპუბლიკა);
7. ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა (კოორდინატორი – აზერბაიჯანის რესპუბლიკა)<sup>80</sup>.

ადსანიშნავია, რომ სუამ-ის ოთხივე ქვეყანა არის BSEC-ის მონაწილე და, შესაბამისად, მათი თანამშრომლობის მთელი რიგი ასპექტები ამ ორი გაერთიანების ჩარჩოებში დუბლირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რამდენიმე ორგანიზაციის წევრობა არაეფექტურია მიგვაჩნია, რადგან ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაჭრელად მეტი რესურსი იხარჯება. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით დათ უფრო მიმზიდველი გაერთიანებაა, ვიდრე სუამ-ი. მისი ეკონომიკური პოტენციალი შედარებით გაცილებით დიდია, რადგან დათ-ის ბაზარი მასშტაბურია, ბუნებრივი რესურსები მრავალფეროვანია, არსებობს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების მეტი შესაძლებლობები და ა. შ. თუმცა პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის ეს გაერთიანება მიუღებელია.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა “ევროპული სამეზობლო პოლიტიკის”<sup>81</sup> ჩარჩოში. “ევროპული სამეზობლო პოლიტიკა” ევროკავშირის პოლიტიკური კურსია, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის “მეგობართა სარტყელს” შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ურთიერთდაახლოების პროცესის განვითარებას. ამ პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს მონაწილე ქვეყნებში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, კეთილდღეობის ზრდას. საქართველოსა და აზერბაიჯანზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა.

ექსპერტთა დიდი ნაწილი სამეზობლო პოლიტიკას ევროკავშირთან დაახლოებისა და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის უნიკალურ

<sup>80</sup> [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=129&info\\_id=1525](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=129&info_id=1525)

<sup>81</sup> <http://www.eu-integration.gov.ge/geo/enp.php>

შესაძლებლობად განიხილავს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის გაფართოების პროცესთან პირდაპირ არაა დაკავშირებული, 2004 წლის მაისში ევროკავშირში ცენტრალური ევროპისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის 10 ახალი სახელმწიფოს მიღებას ამ პოლიტიკის შედეგად განიხილავენ. ევროკავშირის ინტერესი აღმოსავლეთ ევროპელი მეზობლების მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანების შემდეგ, როდესაც ევროკავშირის საზღვრებში შავი ზღვის დასავლეთი სანაპიროც მოექცა და საქართველოს ევროკავშირთან საზღვაო საზღვარი გაუჩნდა.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე საქართველო-ევროკავშირს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებისას, საქართველოს მიერ დაისვა საკითხი საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობის თაობაზე. ამ შეთანხმების მიღწევა მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება ქვეყნის საგაჭრო-ეკონომიკურ პოლიტიკაში, ვინაიდან ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოსთან ორმხრივი სარგებლიანობის პრინციპზე დამყარებული შეთანხმება, უპირველესად, საგარეო საგაჭრო ბრუნვის ზრდას განაპირობებს<sup>82</sup>.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს კანონის უზენაესობის განმტკიცება, დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება და მმართველობის სრულყოფა, მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ასევე სოციალური განვითარების, ენერგეტიკისა და ტრანსპორტის, რეგიონალური თანამშრომლობის საკითხები.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობა 2006 წლიდან თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადავიდა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც უფრო მჭიდრო და მიზანმიმართულ თანამშრომლობას გვთავაზობს, თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებთან. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ერთობლივად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, სადაც განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კერძოდ, მაქსიმუმ ხუთ წელზე გათვლილ სამოქმედი გეგმაში განათლებისა და მეცნიერების სფეროში შემდეგი მიმართულებები იკვეთება:

<sup>82</sup> <http://www.eu-integration.gov.ge/geo/enp.php>

- ევროპის კალეგის სივრცის მოთხოვნების მიხედვით მეცნიერების სფეროს რეფორმირება;
  - უმაღლესი განათლების რეფორმების გაგრძელება „ბოლონიის პროცესის“ პრინციპების შესაბამისად;
  - პროფესიული განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნა;
  - განათლების და მეცნიერების სისტემაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.<sup>83</sup>
- ანალოგიური მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა აზერბაიჯანსა და ევროპავშირს შორის.

ადსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, აგრეთვე, აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ევროპავშირის ფარგლებში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაზე, რომელიც, საქართველისტთა შეფასებით, შეიძლება სამეზობლო პოლიტიკის გაგრძელებად ან მის ჩანაცვლებად შეფასდეს. ამ პროგრამაში მონაწილეობა კი საქართველოსა და აზერბაიჯანს ევროპავშირის სტრუქტურებში ინტეგრირების შანსს მისცემს, თუმცა ევროპავშირის სივრცეში საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტეგრირება საკმაოდ რთული იქნება, რადგან ევროპავშირი უახლოეს წლებში თავისი საზღვრების გაფართოებას არ აპირებს. გარდა ამისა, ევროპავშირში ინტეგრირებისათვის კანდიდატ ქვეყანას უნდა გააჩნდეს კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიული ინსტიტუტები და მყარი ეკონომიკური პარამეტრები. ამის მიღწევა საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის არც ისეთი იოლი იქნება. ეკონომიკურად და პოლიტიკურად შედარებით სტაბილური თურქეთისათვისაც კი წლების განმავლობაში მიუღწევადია ევროპავშირში ინტეგრირება. შესაბამისად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია ინტეგრაციის ვექტორსა და მის სიღრმეზე. BSEC-ისა და სუამ-ის რეგიონული გაერთიანებების ჩარჩოში თანამშრომლობის გარდა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები უშუალოდ ამ რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის შესაძლებლობების ჭრილში უნდა განვიხილოთ.

ევროპულ და მსოფლიო ეკონომიკურ სტრუქტურებზე ორიენტაციის მიუხედავად, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის რეალიზაციის პირობებში

<sup>83</sup> ლ. მაისურაძე. ევროპავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

<http://www.mes.gov.ge/index.php?module=publication>

ნათლად გამოიკვეთა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სწრაფვა ერთიანი ეკონომიკური სივრცის, უპირველესად, თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოსაყალიბებლად. ანუ კავკასიის სუბიექტების მომავალი, მათი მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა, ინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, რეგიონული ინტეგრაციული კავშირის შესაქმნელად დაცული უნდა იქნეს ინტეგრაციის ეტაპების თანამიმდევრობა: თავისუფალი ვაჭრობის ზონა – საბაჟო კავშირი – საერთო ბაზარი – ეკონომიკური კავშირი – პოლიტიკური კავშირი.

ამასთან, რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნისას მხედველობაშია მისაღები მსოფლიო ბანკის სპეციალისტებისა და მკვლევარების მიერ ჩამოსაყალიბებული შემდეგი კრიტერიუმები<sup>84</sup>:

- რეგიონულმა სავაჭრო შეთანხმებებმა გამონაკლისის გარეშე ეკონომიკის ყველა დარგი უნდა მოიცვას;
- გარდამავალი პერიოდი 10 წელს არ უნდა აღემატებოდეს და ცალკეულ დარგებში ვაჭრობის ლიბერალიზაციის მკვეთრად განსაზღვრულ გრაფიკს უნდა მოიცავდეს;
- შედარებით ხელსაყრელი რეჟიმის პირობებში ვაჭრობის ლიბერალიზაცია წინ უნდა უსწრებდეს, ან თან უნდა სდევდეს ნებისმიერი ახალი ინტეგრაციული დაჯგუფების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საწყისი ტარიფები საკმაოდ მაღალია;
- საბაჟო კავშირის ფარგლებში შემოღებული ერთიანი საბაჟო ტარიფი არ უნდა აღემატებოდეს ყველაზე მცირე ტარიფს შესაბამის დარგში, თუნდაც ყველაზე დაბალ ტარიფს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში;
- ინტეგრაციულ შეთანხმებებში ახალი წევრების მიღების წესები ძალიან ლიბერალური უნდა იყოს და მათ გაფართოებას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს;
- საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა უნდა იყოს გამჭვირვალე და დაჯგუფების შიგნით პროტექციონიზმის იარაღს არ უნდა წარმოადგენდეს;
- სწრაფად უნდა მოხდეს ინტეგრაციის დაბალი ფორმებიდან უფრო განვითარებულ ფორმებზე გადასვლა, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოების

<sup>84</sup> <http://www.worldbank.org/>

ფაქტორების რაციონალურ გამოყენებასა და გადანაწილებას უზრუნველყოფს;

- ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის შემდეგ მის წევრებს შორის ანტიდემპინგური წესები არ უნდა იყოს გამოყენებული, ხოლო მესამე ქვეყნებთან ურთიერთობაში მკაცრად განსაზღვრული და გამჭვირვალე წესები უნდა არსებობდეს.

საქართველო და აზერბაიჯანი კავკასიის შემადგენელი ნაწილია და მათი მომავალი, უპირველესად, ამ რეგიონის განვითარებასთანაა დაკავშირებული. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭიროა მის მშენებლობაში კავკასიის ყველა სუბიექტის აქტიური ჩაბმა, რეგიონის შიდა და საერთაშორისო ხასიათის პრობლემების გადაჭრა. რეგიონის შიდა პრობლემებს შორის მთავარია სეპარატიზმის დაძლევა, კავკასიის ყველა სუბიექტის გრძელვადიანი და მიმდინარე ინტერესების შეთანმება, კავკასიის განვითარების ერთიანი კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება შრომის რეგიონის შიდა დანაწილებისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის პრინციპებს. საერთაშორისო ასპექტში კი უნდა შემუშავდეს გარე სამყაროსთან კავკასიის ურთიერთობის ისეთი პოლიტიკა, რომელიც შეარბილებს გარე (დეზინტეგრაციული) ძალების უარყოფით ზემოქმედებას და უზრუნველყოფს მსოფლიო სამეურნეო სტრუქტურებში კავკასიისათვის ოპტიმალურად მისაღებ ინტეგრაციას. რეგიონში არსებული სხვადასხვა პრობლემის გამო, კავკასიის ინტეგრაციულ დაჯგუფებაში მისი ყველა სუბიექტის მონაწილეობა გამორიცხულია, ამიტომ პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის გაღრმავება. ამ ორ ქვეყანას გააჩნია ეკონომიკური თანამშრომლობისა და ინტეგრირების აუცილებელი წინაპირობები<sup>85</sup>.

ჩვენი აზრით, რეგიონის, და უპირველესად, საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტეგრაცია კლასტერული მიდგომის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რადგან სწორედ იგი იძლევა რესურსების გაერთიანებისა და მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევის შესაძლებლობას.

<sup>85</sup>ლ. ყორდანაშვილი. საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. I, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000, გვ. 293-305, ლ. ყორდანაშვილი. კავკასიის ერთიანი ბაზარი: რეალობა და პერსპექტივები, ეკონომიკის აქტუალური საკითხები” (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), V ნაწილი, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 3-10

როგორც II.3 პარაგრაფში აღინიშნა, კლასტერის ცნება ეკონომიკურ მეცნიერებაში მ. პორტერმა შემოიტანა. იგი კლასტერს განსაზღვრავს, როგორც გარკვეულ სფეროში მოქმედ, გეოგრაფიულად მეზობელ, ურთიერთშემავსებელ და ურთიერთდაკავშირებულ კომპანიათა ჯგუფს (მიმწოდებლები, მწარმოებლები და სხვა), მათთან საქმიან ურთიერთობაში მყოფ ორგანიზაციებთან (საგანმანათლებლო დაწესებულებები, სახელმწიფო მართვის ორგანოები, ინფრასტრუქტურის კომპანიები) ერთად. იგი აღნიშნავს, რომ კლასტერის ფორმირებისას მასში არსებული ყველა წარმოება ურთიერთმხარდაჭერას განიცდის. სარგებელი ვრცელდება კავშირების ყველა მიმართულებით. აქტიური კონკურენცია ერთ დარგში ვრცელდება კლასტერის ყველა სხვა დარგზე<sup>86</sup>.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მ. პორტერის მიერ შემოთავაზებული კლასტერის ზემოთ მოყვანილი განმარტება არასრულყოფილია. მაგალითად, ფ. კუკი თვლის, რომ ამ განმარტებაში კლასტერი სტატისტიკური მოდელის სახითაა წარმოდგენილი და მასში დინამიკური პროცესი არაა ასახული. ამიტომ იგი გვთავაზობს შემდეგ განმარტებას<sup>87</sup>: „კლასტერი არის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთობებით დაკავშირებული გეოგრაფიულად კონკურენტრირებული ფირმების ჯგუფი, რომელიც ბიზნესის ზრდისაკენ მიმართულ ადგილობრივ დამხმარე ინფრასტრუქტურას მოიცავს და რომელიც სპეციფიკურ საბაზო სფეროში კონკურენციასა და თანამშრომლობაზეა დაფუძნებული.”<sup>88</sup>

კლასტერების განვითარების დონეზეა დამოკიდებული ქვეყანათა მოსახლეობის ცხოვრების დონე და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. სწორედ ამიტომ კლასტერული სტრატეგია კონკურენტუნარიანობის ამაღლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტადაა მიჩნეული. პარგარდის ბიზნეს-სკოლის მონაცემებით, აშშ-ის ეკონომიკაში დასაქმებულთა 32 %-ზე მეტს (საბიუჯეტო სექტორის გარდა) კლასტერები უზრუნველყოფენ, შვედეთში – 39%-ს. შრომის მწარმოებლურობა ასეთ სექტორებში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე 44 %-ით მეტია. უფრო მეტიც, კლასტერული

<sup>86</sup> Портер М. Международная конкуренция. - М., 1993, с. 172

<sup>87</sup> Philip Cooc, Clusters as KEY determinants of Economic Growth. Center for Advances Studies. University of Wales, Cardiff, 2001.p.23-24

<sup>88</sup> ე. სეფაშვილი. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია. საერთაშორისო საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი”, თბ., 2007, V ტომი, №1-4, გვ. 23-37

სექტორი არის ლოკალური ბაზრის მომსახურე სექტორების განვითარების მამოძრავებელი ძალა<sup>89</sup>.

კლასტერები სხვადასხვა სახისაა, ამიტომ მათი სისტემატიზაციის მიზნით კლასიფიკაცია ხორციელდება. ხშირად კლასტერები ერთდროულად რამდენიმე ნიშანს ატარებენ და ეს მათ კლასიფიკაციას ართულებს.

პირობითად კლასტერები შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

- გეოგრაფიული კლასტერები. მათ შემადგენლობაში შემავალი ფირმები და კომპანიები, ძირითადად, ერთ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობენ.
- პორიზონტალური კლასტერები, როდესაც რამდენიმე დარგი ან სექტორი უფრო მსხვილი კლასტერის შემადგენლობაში შედის.
- გერტიკალური კლასტერები, რომლებიც საწარმოო ჯაჭვის მიხედვით იქმნება.
- ტექნოლოგიური კლასტერები. ესაა დარგების ერთობლიობა, რომლებიც ერთსა და იმავე ტექნოლოგიას იყენებენ.
- ფოკუსირებული კლასტერები. ისინი იქმნება ერთი ცენტრის – ბირთვი საწარმოს, კვლევითი ინსტიტუტის ან სასწავლო დაწესებულების ირგვლივ.

კლასტერების განხილვისას ჩვეულებრივ გამოყოფები 2 ურთიერთშემავსებელ სტრატეგიას<sup>90</sup>:

1. არსებულ კლასტერებში ცოდნის გამოყენების ამაღლებაზე გამიზნული სტრატეგიები;
2. კლასტერების შიდა თანამშრომლობის ახალი ქსელების შექმნაზე გამიზნული სტრატეგიები.

ამ სტრატეგიების რეალიზაცია სხვადასხვა სახისა და ზომის კლასტერებში და შესაბამისი კლასტერული პოლიტიკის ჩარჩოშია შესაძლებელი. კლასტერის ზომა (ტერიტორიული მასშტაბი) შეიძლება იყოს ლოკალური (წერტილოვანი), ან მთელი ქვეყნის, ან რამდენიმე გეოგრაფიულად ახლომდებარე ქვეყნის ფარგლებში. კლასტერის წარმატება დამოკიდებულია ბაზარზე და არა სახელმწიფოს გადაწყვეტილებაზე. კლასტერის განვითარების საწყის ეტაპზე, როგორც მ. პორტერი მიიჩნევს, სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა არის ინფრასტრუქტურის

<sup>89</sup> Кластеры в России будут развиваться по дирижистской, а не по либеральной модели. [www.allmedia.ru](http://www.allmedia.ru), Идрисов А. «Стратегия развития региона».- Интернет-ресурс: сайт Агентства финансовой информации «Консультант», <http://www.dinform.ru/newanalit>

<sup>90</sup> ე. ბარათაშვილი, ბ. ძიძიკაშვილი, ბ. ნადარეიშვილი, ჯ. ზარანდია, კ. ციმინგია. კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში. ჟ. საქართველოს ეკონომიკა, 2007, № 10, გვ. 71

გაუმჯობესება და არახელსაყრელი პირობების აღმოფხვრაა, ხოლო შემდგომში მისი როლი ინოვაციების განვითარების ხელშეწყობაში უნდა გამოიხატოს.

კლასტერის ცენტრში, ჩვეულებრივ, ერთი ან რამდენიმე ძლიერი კომპანიაა, რომლებიც ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. სწორედ ამ კონკურენციით კლასტერები განსხვავდებიან კარტელებისა და ფინანსური ჯგუფებისაგან.

მსოფლიო პრაქტიკაში კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციისათვის გამოიყენება ლიბერალური და დირიჟისტული მოდელები. ლიბერალური კლასტერული პოლიტიკა ეფუძნება საბაზო ურთიერთობებს, დირიჟისტული კი წამყვან როლს სახელმწიფო თამაშობს. ჩვენი აზრით, რეგიონული ინტეგრაციისა და კლასტერების ფორმირების საწყის ეტაპზე მიზნშეწონილია დირიჟისტული კლასტერული პოლიტიკის გამოყენება, რადგან ამ ეტაპზე რეგიონული ინტეგრაციის პროექტის განხორციელება და კლასტერების ფორმირება, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე, წარმოუდგენელია. ადმინისტრაციული ფუნქციების გარდა, სახელმწიფო უნდა გამოვიდეს ახალი იდეების რეალიზატორის როლში. სწორედ კლასტერებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მდგრადი ეკონომიკური ზრდის უველა ძირითადი ინსტრუმენტის გაერთიანება, მისი რეალიზაცია კი, უპირველესად, საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში უნდა მოხდეს. აზერბაიჯანისათვის ასეთ დარგად გვევლინება ნავთობისა და გაზის მოპოვება-წარმოება, საქართველოსათვის კი, უპირველესად, ნავთობისა და გაზის ტრანზიტი.

კლასტერების ჩამოყალიბების დადებით მხარეებს მიეკუთვნება:

- კლასტერის სუბიექტების ინტეგრაცია კავშირულობისათა ინტენსიფიკაციის საფუძველზე და შედეგად, წარმოების მასშტაბის, აგლომერაციისა და სინერგიის ეფექტების მიღება, აგრეთვე ტრანსაქციური ხარჯების მინიმიზაცია;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საქმიანობის სფეროების გაფართოება და განვითარების თვისებრივად ახალ დონეზე გადასვლა;
- ერთიანი სივრცის (ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ეკონომიკური) ჩამოყალიბება და მართვის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა;
- რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარება და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ჩვენი აზრით, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის არსებული დონისა და სფეროებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კატეგორიის კლასტერები:

1. “ძლიერი კლასტერები”, რომელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ნავთობისა და გაზის მოპოვება-წარმოება, ენერგეტიკა და ტრანსპორტი;
2. “მდგრადი კლასტერები”, რომელთაც უნდა მივაკუთვნოთ ქიმიური მრეწველობა, მშენებლობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, მსუბუქი და კვების მრეწველობა, ტურიზმი;
3. “პოტენციური კლასტერები” – მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ჯანდაცვა, განათლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბიზნესის მომსახურება, ინოვაციები და სხვა.

ძლიერი კლასტერების კატეგორიისათვის დამახასიათებელია ინტენსიური ურთიერთკავშირების რთული სტრუქტურა ერთობლივი პროექტების ჩარჩოებში, დარგთაშორისი კავშირები, კარგად დაბალანსებული ძირითადი და დამხმარე წარმოებები, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მაღალი დონე და კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

მდგრადი კლასტერები უზრუნველყოფენ მისი ყველა ელემენტის დადებით დინამიკას, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგი აგლომერაციის ეფექტს არ იძლევა.

პოტენციურ კლასტერებს ახასიათებს არასრულყოფილი სტრუქტურა და მისი ცალკეული ელემენტების განვითარების დაბალი დონე, მაგრამ, ამასთან, მათ გააჩნიათ კონკურენტული უპირატესობის პოტენციალი, რომელიც მომავალში მათ ძლიერი ან მდგრადი კლასტერების კატეგორიაში გადაიყვანს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში კლასტერების როლის განხილვისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამ მიმართულებით ქართველი მეცნიერების მიერ განხორციელებული კვლევები. მაგალითად, პროფ. ი. გაგნიძე აღნიშნავს, რომ “კავკასიის ქვეყნების განვითარებისა და ეკონომიკების ერთმანეთთან ინტეგრაციის მიზნით, ვფიქრობთ, სასურველია ეკონომიკის განვითარება განხილული იქნეს ისეთი კლასტერების აგებით, როგორიცაა: სატრანსპორტო (გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის გამო, რომელიც ჯერ კიდევ აბრეშუმის გზის მიერ იქნა აღიარებული: სარკინიგზო, მაგისტრალური, საჰაერო, მილსადენი, გაზსადენი) და ტურიზმის (ეკოტურიზმი, რეკრეაციული ტურიზმი, პილიგრიმული) და სხვა, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდება მრავალ სხვა კლასტერს... ტურიზმის კლასტერის აგება ცალკე

რომელიმე ქვეყანასა და სამივეში ერთად, გამოიწვევს ბიძგს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ეკონომიკური საქმიანობის გასაშლელად. ამავე დროს, ტურიზმის როგორც მხოლოდ დარგის განხილვა, ტურისტული პროდუქტებისთვის დამახასიათებელი ურთიერთშევსების გამო (მაგ: ტურისტული საგანგილოები, ტუროპერატორების და ტურისტული მარშუტების სახით), შეზღუდულია და ვერ იქნება სასურველი სწრაფი და ეფექტური შედეგების მომცემი, როგორიც ტურისტული კლასტერის საშუალებით ამ სფეროს მართვაა... ვფიქრობთ, საინტერესოა განხილული იქნეს მრავალფეროვანი სატრანსპორტო კლასტერი, რომელიც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე ისეთი შემადგენელი ნაწილებით, როგორიცაა: ტრანსპორტის თითოეული სახის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებით განახლება და მომსახურება, სარემონტო სამუშაოებისა და მარაგნაწილების მომარაგების ფირმები, შესაბამისი სამთავრობო და სასწავლო დაწესებულებების მოქმედების კოორდინაცია და სწავლების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, ერთიანი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და სხვა მრავალი მიმართულებით ძალისხმევის გაერთიანება, რთულ პოლიტიკურ პროცესებსაც დაარეგულირებდა კავკასიის ხალხებს შორის”.<sup>91</sup>

პროფ. ლ. ყორდანაშვილი თვლის, რომ “კლასტერული პოლიტიკის რეალიზაცია, უპირველესად, ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებში უნდა მოხდეს. ერთ-ერთი ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც დიდ როლს თამაშობს როგორც ქვეყნის, ისე მისი ცალკეული რეგიონების მდგრად განვითარებასა და სოციალურად ორიენტირებული საბაზო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, აქ არსებობს კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციის განსაკუთრებული წინაპირობები: აგროსამრეწველო კომპლექსისათვის დამახასიათებელია კლასტერის ზოგიერთი ნიშანი და მისი ტრანსფორმაცია საბაზო ეკონომიკის პრინციპებისა და ახლებური ხედვის განვითარებას საჭიროებს... კლასტერების სახით რეგიონებში უნდა ჩამოყალიბდეს მწყობრი სისტემა წარმოებიდან მომხმარებლამდე, მაქსიმალური ეფექტის მომცემი დარგებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ოპტიმალური თანაფარდობით, კონკურენციის მაღალი დონითა და ძლიერი ბირთვით, რომლის როლს მსხვილი ფირმა შეასრულებს. კლასტერში, ერთი მხრივ, შერწყმული უნდა იყოს

<sup>91</sup>ი. გაგნიძე. კლასტერების როლი კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამოცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 85-88

კონკურენცია და, მეორე მხრივ, კოლეგიალურობა, ყველა სუბიექტის მჭიდრო თანამშრომლობა...”<sup>92</sup>. “...კლასტერული პოლიტიკის რეალიზაცია შესაძლებელია მშენებლობაში, რადგან ამ დარგს აქვს დიდი მნიშვნელობა ქვეყნის მდგრად განვითარებაში და სოციალურად ორიენტირებული საბაზო ეკონომიკის შექმნაში... მშენებლობის კლასტერში შეიძლება გაერთიანდნენ სამშენებლო მასალების მწარმოებელი საწარმოები, საიჯარო ორგანიზაციები, საპროექტო ინსტიტუტები, სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამშენებლო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობის საწარმოები და ა. შ.” კლასტერის საზღვრები დამოკიდებული იქნება ეკონომიკური კავშირების ბუნებრივ განაწილებაზე და არა ადმინისტრაციულ საზღვრებზე. კლასტერი შეიძლება, აგრეთვე, მოიცავდეს საწარმოთა სხვადასხვა რაოდენობას, ასევე შეიძლება სხვადასხვა იყოს დიდი და მცირე ფირმების თანაფარდობა... კლასტერის მონაწილეთა ურთიერთქმედების დონეები შეიძლება სხვადასხვა იყოს – ასოციაციაში თავისუფალი ურთიერთობებიდან დაწყებული სტრუქტურული თანამშრომლობისა და კონკურენციის ფორმებით დამთავრებული”<sup>93</sup>

პროფ. ე. სეფაშვილი თვლის, რომ “დღესდღეობით საქართველოში რამდენიმე სპონტანური კლასტერი არსებობს, რომლებიც ჩანასახოვან სტადიაშია და ნამდვილი კლასტერებისაგან შორსაა. თუმცა, მათი განვითარების პოტენციალის სწორად გამოყენების შემთხვევაში, მათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მომავალი ეკონომიკური ზრდისათვის, თუნდაც იმ პირობებში, როცა საქართველოს საშინაო ბაზარი ძალიან მცირება და მისი ადგილი მსოფლიო ბაზარზე უმნიშვნელოა. ჩანასახოვანი კლასტერის მაგალითი საქართველოში რამდენიმეა. მათ შორის სხვებთან შედარებით უფრო მეტად განვითარებული და ზრდის შესანიშნავი პოტენციალი გააჩნია დვინის წარმოების კლასტერს. ეს არის წარმოების უძველესი დარგი, სადაც დაგროვილი ცოდნა საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და მიღებული უნიკალური გამოცდილება თავისი ღირებულებით ფასდაუდებელია. დარგში შეინიშნება რამდენიმე მსხვილი სერიოზული საწარმოს (დვინის ქარხნის, მათ შორის უცხოურის) არსებობა, რომელთა გარშემო თავმოყრილია დანარჩენი წვრილი თუ ინდივიდუალური საწარმოები. დვი-

<sup>92</sup> ლ. ყორდანაშვილი. კლასტერიზაცია, როგორც რეგიონებისა და მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. შე “გამომცემლობა აჭარა”, 2007, გვ. 50-58

<sup>93</sup> Корганашивили Л. Перспективы создания строительного кластера в Грузии. Строително предпринимачество недвижима собственост. Сборник доклади от научна конференция с международна участие. М ноември. Варна, 2006

ნის წარმოება მთელ სქართველოშია გავრცელებული, მაგრამ მკვეთრად გამოხატული გეოგრაფიული კონცენტრაცია კახეთის რეგიონში შეინიშნება. ადგილობრივი ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია და ლგინის მწარმოებლები უკვე მრავალი წელია აქტიურად ეძებენ გასაღების მსოფლიო ბაზრებს. . . კლასტერული განვითარების შესახებ შეიძლება ვისაუბროთ, აგრეთვე, ტურიზმის ინფრასტრუქტურის და მასთან დაკავშირებული დარგების შემთხვევაშიც. კვების მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა, მათი დღევანდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები, ჩემი აზრით, კლასტერული განვითარებისათვის ნოუიერ ნიადაგს წარმოადგენს”<sup>94</sup>.

სხვადასხვა დარგსა და სფეროში კლასტერების შექმნის ზემოთ აღნიშნული შესაძლებლობების მიუხედავად, ჩვენი აზრით, უპირველესად, უნდა გამოვყოთ ის ბირთვი, რომელსაც დაეფუძნება ყველა კლასტერი. ასეთ ბირთვად უნდა განვიხილოთ კლასტერი ინოვაციურ სფეროში ანუ ინოვაციური კლასტერი.

ინოვაციური კლასტერი ფირმების, მათი მიმწოდებლებისა და კლიენტების, აგრეთვე, ამ ინოვაციების გაჩენის ხელშემწყობი ცოდნის ინსტიტუტების მჭიდრო კავშირების სისტემაა. ინოვაციური კლასტერი მოიცავს კომპანიებს, რომლებიც კოოპერირებულები არიან ან ერთმანეთს კონკურენციას უწევენ<sup>95</sup>.

ინოვაციური კლასტერი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტიანი საშუალებაა, რადგან იგი იძლევა ეკონომიკური სისტემის კოორდინაციის ორი ხერხის – ფირმათაშორისი იერარქიისა და საბაზრო მექანიზმის – გამოყენების შესაძლებლობას. მათი გამოყენების შედეგად კი უფრო ადვილად, სწრაფად და ეფექტიანად შეიძლება ახალი ცოდნისა და მეცნიერული მიღწევების (აღმოჩენები, გამოგონებები) გავრცელება.

ფრანგი მეცნიერები ჸ. ტოლენი და დ. სოლიე ტექნოლოგიური სექტორების აღწერისას იყენებენ ცნებას “ფილერები”<sup>96</sup>. ფილერების ფორმირება აისხება ტექნოლოგიური დონის მიხედვით ერთი სექტორის მეორეზე ურთიერთდამოკიდებულებითა და ურთიერთზეგავლენით. შესაბამისად, კლასტერისაგან განსხვავებით ფილერის ცნება უფრო ვიწრო გაგებისაა, რადგან

<sup>94</sup> ე. სეფაშვილი. ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია. საერთაშორისო საუნივერსიტეტოაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი”, თბ., 2007, V ტომი, №1-4, გვ. 23-37

<sup>95</sup> Enhancing the Innovative Performance of Firms: Policy Options and Practical Instruments. United Nations. ECE/CECI. CR2008. Geneva, 2008, c. 85

<sup>96</sup> Tolenado J.A. Propjs des Filires Industrielles. - Revue d'Economie Industrielle. - V. 6. 1978, № 4. - P. 149-158; Soulle D. Filieres de Production et Integration Vertical. - Annales des Mines, Janvier 1989. - P. 21-28.

იგი ეფუძნება კლასტერის წარმოშობის ერთ-ერთ კრიტერიუმს – ეკონომიკის დარგებსა და სექტორებს შორის ტექნოლოგიური კავშირების დამყარების აუცილებლობას, მათი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით<sup>97</sup>.

კლასტერების ზემოთ წარმოდგენილ კატეგორიებში ინოვაციები “პოტენციური კლასტერების” რიცხვს მივაკუთვნეთ, რადგან ამჟამად საქართველოსა და აზერბაიჯანში ისინი განვითარების დაბალი დონით ხასიათდება. აღნიშნულისა და ინოვაციების განვითარების აუცილებლობის გამო, ორივე ქვეყნის მთავრობები კომპლექსურად უნდა მიუდგნენ მათი განვითარების საკითხს. უნდა შემუშავდეს ინოვაციების განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ეროვნული და სახელმწიფო შორისი პროგრამები, ერთიანი სამეცნიერო სივრცე, აგრეთვე ინოვაციების მართვის ერთიანი სისტემა.

ინოვაციურ კლასტერში შიდა ურთიერთობები მყარდება ვერტიკალური და პორიზონტალური კავშირების მეშვეობით, რომელთა ეფექტიანობაზე დამოკიდებული თვით კლასტერის ეფექტიანიანობა და კონკურენტუნარიანობა. თავის მხრივ, ინოვაციური კლასტერის მდგრადი განვითარება საჭიროებს მეცნიერულ ცოდნასა და ახალ ტექნოლოგიებს, აგრეთვე მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსური რესურსების კონცენტრაციას.

ახალი ტექნოლოგიებისა და საქონლის დასამუშავებლად და დასანერგად ინოვაციების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკაში უნდა განისაზღვროს:

1. პირდაპირი დახმარება ბიუჯეტიდან;
2. არაპირდაპირი დახმარება საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით;
3. ინვესტიციები განათლების სისტემაში;
4. ინოვაციების დანერგვისათვის საჭირო სამეურნეო ინფრასტრუქტურის მთავარი და, ამასთან, კრიტიკული ელემენტების მხარდაჭერა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და კლასტერების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს საწარმოო-ტექნიკურმა თანამშრომლობამ, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების სპეციალიზაციის გადრმავებასა და დივერსიფიკაციას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებასა და მეცნიერებატეგიადი პროდუქციის წარმოებას. საერთაშორისო საწარმოო კოოპერირების უმნიშვნელოვანების სფეროა ერთობლივი სამეცნიერო

<sup>97</sup> А.А. Мигранян. Теоретические аспекты формирования конкурентноспособных кластеров в странах с переходной экономикой. Вестник КРСУ, 2002, № 3, с. 67

ავლევების განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საწარმოო კოოპერირების განვითარებას და კავკასიის რეგიონის მდგრად განვითარებას.

კავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარების საკითხი სერიოზულ გააზრებასა და ანალიზს საჭიროებს. მდგრადი განვითარების კონცეფცია ცხოვრობის დონის გაუმჯობესებისა და რესურსების გამოყენების ინტენსივობის შემცირების საშუალებას იძლევა და მასში ეკოლოგიური და ეკონომიკური სისტემების ერთდღროული მდგრადობა იგულისხმება. მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტა:

1. ეკონომიკური ზრდა;
2. გარემოს დაცვა;
3. სოციალური სამართლიანობის მიღწევა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრადი განვითარების მექანიზმში გასათვალისწინებელია:

- საინფორმაციო ბაზის შექმნა ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრმარეობის შესახებ;
- ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება მისი ნორმალიზაციისათვის, აგრეთვე ეკონომიკური უსაფრთხოების თავიდან აცილებისათვის;
- ეკონომიკური თანამშრომლობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სისტემატიკური ექსპერტიზა მისი სრულყოფის მიზნით;
- რეგულარული კონსულტაციების ჩატარება საგაჭრო-ეკონომიკური, საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო, საბიუჯეტო, საგადასახადო, გარემოს დაცვითი პოლიტიკის შესათანხმებლად;
- ორივე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითადი პარამეტრების მუდმივი მონიტორინგი თანამშრომლობის ცალკეული ასპექტების დასარეგულირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, არსებული სტრატეგიისა და ტაქტიკის კორექტირება;
- საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში ერთობლივი მოქმედება.

ამჟამად სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური სივრცის ფორმირებასთან ერთად ყალიბდება ახალი სამხედრო-ეკონომიკური ალიანსი საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შემადგენლობით. ამ სამი ქვეყნის ხელმძღვანელთა

მიერ ხელმოწერილია დეკლარაცია რეგიონული თანამშრომლობის ერთობლივი ხედვის შესახებ. ამ დოკუმენტით საფუძველი ჩაეყარა სამი ქვეყნის თანამშრომლობის ახალ ეტაპს, რომელიც ეფუძნება ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში რეალიზებულ და რეალიზაციის სტადიაში მყოფ პროექტებს. აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტში ჩართვის სურვილი გამოხატა სომხეთმა, რომელსაც მხარს აშშ უჭერდა. პროექტში სომხეთის ჩართვის შემთხვევაში რკინიგზის სიგრძე და, შესაბამისად, მისი ღირებულება ბევრად ნაკლები იქნებოდა, რადგან ერევანსა და თურქეთს შორის უკვე არსებობს რკინიგზის ხაზი. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელმძღვანელობამ არ გაითვალიშინა თეთრი სახლის სურვილი (ამის გამო აშშ-მა უარი განაცხადა პროექტის დაფინანსებაზე). მათ გადაწყვიტეს ერთობლივად დაეფინანსებინათ როგორც საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზის მონაკვეთები, ასევე საქართველოს მონაკვეთიც. გარდა ამისა, 2007 წლის 6 თებერვალს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რ. ერდოგანმა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის ს. აბიევის მიღებისას პირდაპირ განაცხადა, რომ სანამ არ გადაწყდება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, თურქეთი არ გახსნის საზღვარს სომხეთთან<sup>98</sup>. აღნიშნულის მიუხედავად, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების დამყარებისაკენ გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც რეგიონში მშვიდობის განმტკიცებასა და ინტეგრაციას უნდა შეუწყოს ხელი.

ბუნებრივია, რომ რეგიონში 3 კონფლიქტური ზონის არსებობის და, მათ შორის, ყარაბაღთან დაკავშირებული აზერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტის პირობებში, წარმოუდგენელია რეგიონის ყველა სუბიექტის ინტეგრაცია, მით უმეტეს სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნის (საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) თანამშრომლობა, მაგრამ ეს არაა უტოპია. ევროპის ისტორია და, კერძოდ, გერმანიისა და საფრანგეთის მაგალითი ამის შესაძლებლობას იძლევა. XX საუკუნის ორივე მსოფლიო ომში ეს ქვეყნები ერთმანეთს ეომებოდნენ, მაგრამ დღეს ისინი უახლოესი მოკავშირენი და ევროკავშირის ლიდერები არიან<sup>99</sup>. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის

<sup>98</sup> А.Корбут: Кавказский треугольник. Азербайджан, Грузия и Турция формируют общее военно-экономическое пространство. <http://www.centrasia.ru/newsA.php?st=1171463100>

<sup>99</sup> ლ. ყორდანაშვილი. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობა: თანამედროვე მდგრმარეობა და პერსპექტივები. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული “საერთაშორისო ბიზნესი”, თბ., 2007, გვ. 18

პრეზიდენტების წინადაღებები და განცხადებები, რომლებიც გაკეთდა 2006 წელს დიალოგისა და თანამშრომლობისათვის ჩატარებულ BSEC-ის ფორუმზე. კერძოდ, სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ ქოჩარიანმა თავის გამოსვლაში დასვა შემდეგი აქტუალური საკითხები: “ჩვენ ახალი დინამიკური პროცესების ფორმირების, რეგიონის ცვლილებების წარმომადგენლები ვართ. წამოიჭრება ორი ობიექტური კითხვა:

1. როგორი შესაძლებლობები გაგვაჩნია რეგიონის განვითარების საერთო მიმართულებების ჩამოსაყალიბებლად ევროპული ინტეგრაციის პროცესების ჩარჩოებში?
2. იქნება თუ არა ეს საერთო ინტერესებსა და კულტურულ ურთიერთობათა მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რეგიონული წარმონაქმნი?

ჩვენი ფორუმი აცხადებს ამ პროცესების სტიმულირების აუცილებლობას, შავი ზღვის აუზში რეგიონული ინტეგრაციის მხარდაჭერას”.<sup>100</sup>

ბუნებრივია, სომხეთისათვის აზრი ამ ტიპის რეგიონალურ წარმონაქმნები ცხადი და მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ სომხეთის შეზღუდულ რესურსებს და სომები ხალხის მიდრეპილებას ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით. სომხეთისათვის, ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის, ამ სახის ტრანსფორმაცია ნიშნავს ეკონომიკის ლიბერალიზაციას, მაქსიმალურად დია ვაჭრობის პრინციპს, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას, ბიზნეს-საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევას და, შედეგად, ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნას და მესაკუთრეობის ტიპების ცვლილებას. სომხეთის ერთობლივი პროდუქტის 85 % კერძო სექტორიდანაა და მისი წლიური ზრდა საშუალოდ 12 %-ზე მეტია ბოლო 5 წლის განმავლობაში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყნების თანამშრომლობა სომხეთის ინტერესებშიც შედის<sup>101</sup>. აღნიშნულის მიუხედავად, სომხეთისა და აზერბაიჯანის თანამედროვე ტერიტორიული კონფლიქტი კავკასიის რეგიონის სრულფასოვანი ინტეგრაციის

---

<sup>100</sup> Speech by His Excellency Mr. Robert KOCHARYAN President of the Republic of Armenia at the Summit of the Black Sea Forum for Dialogue and Partnership June 5, 2006, Bucharest, [http://www.blackseaforum.org/Docs/Speech\\_KOCHARYAN.pdf](http://www.blackseaforum.org/Docs/Speech_KOCHARYAN.pdf)

<sup>101</sup> ზ. ცოტნიაშვილი, რ. მექებაძე, ლ. მამულაშვილი. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტეგრაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 60

უმნიშვნელოვანების დაბრკოლებაა, რომლის გადალახვა მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევით მაინც შესაძლებელი იქნება.

პავკასიის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და დაჩქარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს აშშ, რომელიც ამ რეგიონის ქვეყნებისათვის სხვადასხვა სახის ფონდებსა და გრანტებს გამოყოფს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ გამოყოფილია გრანტები, რომელთა მიზანია გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, პერძო სექტორის განვითარება, ფინანსური სექტორის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება და ექსპორტის წილის ზრდა, ეკონომიკური პოლიტიკისა და მმართველობის გაუმჯობესება, სხვადასხვა პროგრამები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, კომუნიკაცია და ა. შ. აღსანიშნავია აშშ-ს მთავრობის გრანტით დაფინანსებული პროგრამა “ფორდი – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს”, რომლის ფარგლებში 295,3 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა საქართველოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და საწარმოთა განვითარებაზე. შესაბამისად, აშშ-ს შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხელი შეუწყოს ეთნოკონფლიქტების მოგვარებას და დაჩქაროს რეგიონული ინტეგრაციული პროცესები.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გავითვალისწინებთ, რეგიონული ინტეგრაცია გარდაუვალი პროცესია, ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივა მხოლოდ ამ კონტექსტში უნდა წარმოვიდგინოთ.

## დ ა ს პ გ ნ ა

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის თანამშრომლობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდში მან ახალი ნიშან-თვისებები შეიძინა. დღეს ეს ქვეყნები სტრატეგიული პარტნიორები არიან და მათი ეკონომიკური თანამშრომლობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ლიბერალურ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას, თანასწორუფლებიანობას, ეკონომიკურ მიზანშეწონილობასა და სარგებლიანობას ეფუძნება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის აუცილებლობა ქვეყანათა განვითარების დაახლოებით ერთნაირი დონითა და საბაზრო სიმწიფის ერთნაირი ხარისხით, საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში ერთობლივი მონაწილეობით, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრით აიხსნება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობის ისტორიისა და არსებული სამეურნეო კავშირების გათვალისწინებით, მათი ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებებია: ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები; თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტურიზმის, საბანკო-საფინანსო სფეროებში, აგრეთვე საწარმოო-ტექნიკური თანამშრომლობა, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და რეგიონული ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩარჩოებში.

სახელმწიფოთა თანამშრომლობის სფეროებიდან ისტორიულად ყველაზე განვითარებული ფორმაა საერთაშორისო გაჭრობა, ამიტომ პირველი თეორიები მისი მიზანშეწონილობის დასაბუთებასთანაა დაკავშირებული. საყოველთაოდ ცნობილია საერთაშორისო გაჭრობის ისეთი კლასიკური თეორიები, როგორებიცაა: მერკანტილიზმი, აბსოლუტური (ა. სმითის) და შეფარდებითი უპირატესობის (დ. რიკარდოს), ჰექტერი-ოლინის, ჰექტერი-ოლინი-სამუელსონის და სხვა თეორიები. თანამედროვე თეორიებიდან აღსანიშნავია მასშტაბის ეფექტის, ტექნოლოგიური უთანაბრობის, სასიცოცხლო ციკლის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის (გ. პორტერის) და სხვა თეორიები.

ჩვენი აზრით, ქვეყანათა ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზების ახსნა რომელიმე ერთი ფაქტორით ან თეორიით შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა მრავალფაქტორიანი მოდელების გამოყენება, რომლებშიც სხვადასხვა პირობები იქნება გათვალისწინებული. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსა

და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მიზეზები შეიძლება ავხსნათ ქვეყანათა მსგავსების თეორიით, აგრეთვე დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და დამოკიდებულების კონცეფციით. უკანასკნელ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორი, რომლის დროსაც ქვეყანათაშორისი ურთიერთობები ურთიერთმოთხოვნათა საფუძველზე ვითარდებიან.

ქართული და აზერბაიჯანული საზოგადოების ტრანსფორმაცია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რთული და საკმაოდ მტკიცნეული პროცესია, რომელიც საჭიროებს ამ ქვეყნებში არსებული რეალობის გათვალისწინებას. პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილ ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ სიტუაციას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ამ რეალობასთან ეკონომიკური რეფორმების არაადეკვატურობის პრობლემის გაუთვალისწინებულობამ გამოიწვია დრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რომელთა შედეგები დღესაც მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებების გამო, საქართველოსა და აზერბაიჯანში ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევა ხშირად ირაციონალურია და ეკონომიკური სარგებლიანობა იკარგება სუბიექტური აღქმის ზეგავლენითა და კოლექტიურ სულისკვეთებასთან თანამონაწილეობის შედეგად. ამიტომ ადამიანის ქცევის მოდელირების დროს, ალბათ, უფრო მეტი ზომით სუბიექტური რაციონალურობა უნდა გავითვალისწინოთ. საქართველოსა და აზერბაიჯანის მოსახლეობის ეკონომიკური ქცევის განხილვისას ამოსავალი უნდა იყოს დებულება რაციონალურობის პარადიგმის ცვლილებისა და სუბიექტურობის ფაქტორის შემოტანის შესახებ, რომელიც ვარაუდობს, რომ ინდივიდი თვითონ ახდენს არჩევანს ალტერნატივებს შორის და სარგებლიანობისა და დანახარჯების საკუთარ შეფასებაზეა ორიენტირებული.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანში საბაზრო ეკონომიკა ყალიბდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეგომენდაციებით, სამეურნეო მექანიზმის ფორმირების ერთი და იმავე კანონების საფუძველზე და იმის ვარაუდით, რომ ეს კანონები ყველგან ერთნაირია. მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა ასეთი მიდგომის უსუსურობა: რეფორმების წარმატება შეუძლებელია განვითარების სტრატეგიული მიზნებისა და კონკრეტულ გარემოში ადამიანის ეკონომიკური ქცევის სპეციფიკის მკაფიო გაგების, ფაქტობრივად, საქმიანობის ყველა ასპექტის – წარმოების ორგანიზაციის

ხერხებიდან დაფინანსებისა და მართვის ფორმებამდე – რადიკალური გარდაქმნის გარეშე.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების შედეგად ქვეყანაში და ქვეყანათა შორის პროდუქტიული ეკონომიკური საქმიანობა მზარდი განუსაზღვრელობის პირობებში ხორციელდება. განუსაზღვრელობას ახასიათებს ისეთი თვისება, როგორიცაა ექსპანსიურობა. პოლიტიკური პროცესების განუსაზღვრელობა მყისიერად აისახება ეკონომიკაზე. იგი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ორგანიზაციების საქმიანობაზე, ადამიანის საზოგადოებრივ, შრომით და პირად ცხოვრებაზე. ბუნებრივია, ადამიანები იძულებულნი არიან შეცვალონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესი, მეტი დრო დაუთმონ სიტუაციების ანალიზს, გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება განვითარების განუსაზღვრელობის მოლოდინში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს როლი ქვეყანათა ორმხრივ ურთიერთობებში ძირითადად პოლიტიკური სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასა და თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნაში გამოიხატება. ამიტომ ბიზნეს-თანამშრომლობის განვითარება ძირითადად საქმიანი წრეების წარმომადგენლების აქტიურობაზე, მათ ინიციატივებსა და ორგანიზებულობაზეა დამოკიდებული. საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა განუსაზღვრელობის პირობებში უნდა გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განუსაზღვრელობის ფაქტორის გათვალისწინება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის პროცესში უდავოდ, აქტუალური და აუცილებელია.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანის რესპუბლიკა ახორციელებენ დამოუკიდებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მთავარი მიზანია საკუთრების სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის შექმნა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია.

საქართველოსა და აზერბაიჯანის პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკურ განვითარებაში შეიძლება გამოვყოთ 2 ძირითადი ეტაპი: პირველი მოიცავს 1991-1995 წლებს და ხასიათდება წარმოების მკვეთრი დაცემითა და ქაოსით, მეორე ეტაპი, რომელიც დაიწყო 1996 წლიდან და დღემდე გრძელდება, მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკის დინამიკური განვითარების პერიოდია.

საქართველოს ეკონომიკაში მეორე ეტაპი შეიძლება 2 ქვეპერიოდად დაიყოს: “გარდების რევოლუციამდელი” და “გარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდები.

მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობისა და პოსტსაბჭოთა პრობლემების მიუხედავად, ორივე ქვეყანამ შეძლო კრიზისის დაძლევა და აღმავლობის გზაზე გადასვლა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიღწევები, რომელიც ეკონომიკური ზრდის ტემპებით 2007 წელს მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოა. მთავარ მიღწევად კი შეიძლება ჩაითვლოს განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების სრულიად ახალი მოდელის ჩამოყალიბება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის 1992 წლის 18 ნოემბერს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის გაფორმდა 100-ზე მეტი საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულება, შეთანხმება, დეპლარაცია თუ ოქმი, რის შედეგად სახელმწიფოთა თანამშრომლობის სერიოზული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა შეიქმნა. იგი ფაქტობრივად თანამშრომლობის ყველა სფეროს მოიცავს და ხელს უწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის პარმონიზაციასა და ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებას.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ადგილი და როლი თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ჯერ სრულად არაა გააზრებული და გაანალიზებული. უპირველესად, ჩნდება შემდეგი კითხვები: შესაძლებელია თუ არა ამ ქვეყნების სუვერენული განვითარება? რა ინტერესი აქვთ მსოფლიოს უმსხვილეს სახელმწიფოებს სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი? რა ადგილი აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს გლობალურ სამყაროში? შესაძლებელია თუ არა სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა? და ა.შ.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და სუვერენული პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩამოყალიბების შედეგად, მსოფლიოს გეოპოლიტიკური რუქა არსებითად შეიცვალა. ამ ცვლილებების ფონზე მკვეთრად გაძლიერდა წინააღმდეგობა მსხვილ სახელმწიფოებს შორის და ეს განსაკუთრებით მკაფიოდ სამხრეთ კავკასიაში გამოიკვეთა. კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის მთავარი მოთამაშენი არიან: აშშ, რუსეთი, ევროპავშირის ქვეყნები, თურქეთი, ირანი. ყოველ მათგანს თავისებურად წარმოუდგენია, ერთი მხრივ, საკუთარი როლი კავკასიის რეგიონის სტაბილურობის უზრუნველყოფაში და, მეორე მხრივ, მსოფლიო თანამეგობრობაში ამ რეგიონის

ქვეყნების ინტეგრაციის საკითხი. აღნიშნულის გამო, ამჟამად სამხრეთი კავკასია ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური რეგიონია მსოფლიოში.

რუსეთის მეზობლობა და მისი ამბიცია იყოს მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოსა და აზერბაიჯანის სუვერენულ არსებობას. რუსეთი კავკასიას თავისი გავლენის სფეროდ მიიჩნევს და ამას რეგიონში მისი ისტორიული არსებობით ხსნის. ამ პოზიციიდან გამომდინარე, რუსეთის ურთიერთობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან დიდი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით გამოირჩევა. უკანასკნელ პერიოდამდე დასავლეთის ქვეყნები ფრთხილად რეაგირებდნენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ რუსეთის მიერ გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯებზე, მაგრამ რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ ჩამოყალიბებულ რთულ და მრავალასპექტიან სიტუაციაში რუსეთი თავისი მიზნების განხორციელებისაგან უკან არ დაიხევს და ნებისმიერი საშუალებით დაიცავს თავის ინტერესებს ამ რეგიონში. რუსეთის გეოპოლიტიკური მიზნები კი მისი საზღვრების მთელ პერიმეტრზე ლოკალურ კონფლიქტებს გამოიწვევს.

დღეს კავკასიამ არსებითად გააფართოვა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობისა და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საზღვრები. აქედან გამომდინარე, საქართველომ და აზერბაიჯანმა უნდა იზრუნონ, რომ ეს შესაძლებლობები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. ორივე ქვეყანას საქმარისი პოტენციალი (გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი და შრომითი რესურსები) გააჩნია მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში დირსეული ადგილი დასამკვიდრებლად.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე სხვადასხვა ფაქტორი და პირობა ზემოქმედებს, რომელთა ერთობლიობა ბიზნეს-გარემოს ქმნის. ბიზნეს-გარემოს ფაქტორების ზემოქმედების დონე დამოკიდებულია ქვეყანასა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, ეკონომიკის ლიბერალიზაციის დონეზე, კონკურენტული გარემოს ხარისხზე, არსებული ნორმებისა და სტანდარტების, სხვადასხვა მარეგულირებელი წესების, პოლიტიკის, კულტურული, ტექნიკური და სხვა ფაქტორების დაახლოების დონეზე. ამა თუ იმ ფაქტორის ზემოქმედების დონე მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ფართო ბიზნეს-საქმიანობის მასშტაბები და სფეროები, ბიზნეს-წრეების ეკონომიკური აქტიურობა.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ბანკის ეგიდით სისტემატურად ხდება ქვეყნების ბიზნეს-გარემოს შესწავლა და მათი რეიტინგების დადგენა. ამ

ავლევების შედეგად დადგენილია საქართველო ბიზნეს-გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. უკანასკნელი პერიოდის არსებითი ცვლილებების შედეგად 2008 წლის რეიტინგში საქართველო ბიზნესის წარმოების სიმარტივით მე-18 ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო აზერბაიჯანი – 96-ე ადგილზე. საქართველოს ბიზნეს-გარემოს არსებითი ცვლილებების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, მისი ხარისხის რეიტინგი საკმაოდ დაბალია – მხოლოდ მე-100 ადგილი, აზერბაიჯანს კი 81-ე ადგილი უკავია.

მსოფლიო ეკონომიკურ სიკრცეში საქართველოსა და აზერბაიჯანის სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის ამ ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლებაა საჭირო. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2007-2008 წლებში გაანგარიშებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით 131 ქვეყანას შორის აზერბაიჯანი 4.07 ქულით 66-ეზე ადგილზე იმყოფება, საქართველოს კი 3.83 ქულით 90-ე ადგილი უკავია. მაკროეკონომიკური სტაბილურობით აზერბაიჯანი 23-ე ადგილზეა (5.69 ქულა). მას ასევე მაღალი მაჩვენებლები აქვს შრომის ბაზრის ეფექტიანობაში (4.48 ქულა), ბიზნესის სოფისტიკაციაში (3.84 ქულა) და ინოვაციებში (3.36 ქულა). საქართველოს დაბალი მაჩვენებლები აქვს ინფრასტრუქტურის (2.92 ქულა), ტექნოლოგიური მზადყოფნის (2,56 ქულა), ბაზრის ზომის (2.49 ქულა), ინოვაციების (2,65 ქულა) მხრივ.

ბიზნესის კონკურენტუნარიანობის 2007 წლის რეიტინგში, რომელიც ბიზნეს-გარემოს ხარისხს, კომპანიების ოპერაციებისა და სტრატეგიების შეფასებას მოიცავს, აზერბაიჯანი 78-ე ადგილზეა, საქართველოს კი მე-100 ადგილი უკავია. 2007 წელს 2005 წელთან შედარებით, საქართველოს ბიზნესის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი გაუარესდა: ქვეყანამ 86-ე ადგილიდან მე-100 ადგილზე გადაინაცვლა და ეს მოხდა ბიზნეს-გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პირობებში.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები, თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და, ამასთან, დინამიკური ფორმაა, მაგრამ ამ თანამშრომლობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიძინა. პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოსათვის აზერბაიჯანი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად იქცა. 2007 წელს საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის იგი მეოთხე ადგილზეა და მასზე მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 8,0 %, ექსპორტის 11,1 % და იმპორტის 7,3 %. 2008 წლის იანვარი-სექტემბრის მონაცემებით, აზერბაიჯანმა, როგორც

საქართველოს უმსხვილესმა საგაჭრო პარტნიორმა, მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამ პერიოდში აზერბაიჯანის წილმა საქართველოს საგარეო საგაჭრო ბრუნვაში 10,9 %, ექსპორტის 13,4 % და იმპორტის 10,2 % შეადგინა. 2007 წელს საქართველო აზერბაიჯანის ძირითადი საგაჭრო პარტნიორების რიცხვში შედის და მათ შორის მეცხრე ადგილზე იმყოფება. მის წილად მოდის აზერბაიჯანის საგარეო საგაჭრო ბრუნვის 3,5 %, ექსპორტის 5,7 % და იმპორტის 1,1 %.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს 136-ე და 107-ე ადგილები უკავია, აზერბაიჯანს – 78-ე და 101-ე. მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველო – 108-ე და 122-ე ადგილებზეა, აზერბაიჯანი – მე-100 და 70-ეზე. საქართველოს ექსპორტის თითქმის ნახევარს სამრეწველო პროდუქცია შეადგენს. მის წილად მოდის 44,6 %, მეორე ადგილზეა აგრარული პროდუქცია – 26,1 %. საწვავისა და მინერალური პროდუქციის წილად მოდის 23,1 %. აზერბაიჯანის ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფია საწვავი და მინერალური პროდუქცია – 90,5 %, სამრეწველო პროდუქციაზე მოდის 3,7 %, აგრარულ პროდუქციაზე – 5,2 %. საქართველო იმპორტში ძირითადი ადგილი სამრეწველო პროდუქციას უკავია, რომლის წილად მოდის 59,8 %. კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს – 77,6 %. საქართველოს იმპორტში მნიშვნელოვანი წილი (18,6 %) საწვავისა და მინერალური პროდუქციაზე მოდის, აზერბაიჯანის იმპორტში კი მისი წილი მხოლოდ 4,5 %-ია.

2007 წელს საქართველო-აზერბაიჯანის საგაჭრო ბრუნვამ 519273,2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან აზერბაიჯანში საქართველოს ექსპორტი მხოლოდ 137321,3 ათასი აშშ დოლარია. ამის შედეგად საქართველოს აზერბაიჯანთან უარყოფითი საგაჭრო ბალანსი აქვს. 2000-2007 წლებში საქართველო-აზერბაიჯანის საგაჭრო ბრუნვა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. საქართველოს ექსპორტი აზერბაიჯანში 2007 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის 7-ჯერ გაიზარდა, თითქმის 7-ჯერ გაიზარდა, აგრეთვე, იმპორტი აზერბაიჯანიდან. აზერბაიჯანში საქართველოს ექსპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფებია: ცემენტი, ლოკომოტივები და სხვა სარკინიგზო საშუალებები, შაქარი, მინერალური და ქიმიური სასუქი, მინერალური წყლები, ალკოჰოლური სასმელები, მინა და მინის ნაწარმი, ფარმაცევტული საქონელი და სხვა. აზერბაიჯანიდან საქართველოში ხდება შემდეგი საქონლის იმპორტირება: ნავთობი და

ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, პლასტმასის ნაწარმი, კვების მრეწველობის ნარჩებები, ავეჯი, სამშენებლო კონსტრუქციები და სხვა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აზერბაიჯანის რესპუბლიკა ქვეყნის უმსხვილესი პარტნიორების პირველ ხუთეულში შედის. ყველაზე მაღალი (მეორე) ადგილი მას 1996 წელს ეკავა, შვიდჯერ იყო მესამე ადგილზე, ოთხჯერ – მეოთხეზე და ორჯერ – მეხუთეზე. აზერბაიჯანის რესპუბლიკის წილი საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში ყველაზე მაღალი იყო 1996 წელს – 11,6%, ყველაზე დაბალი – 2003 წელს – 6,9 %. 2006 წლიდან ადგილი აქვს საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის წილის შემცირების ტენდენციას, თუმცა 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის გამო, სურათი არსებითად შეიცვალა და აზერბაიჯანი საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორი გახდა.

საქართველოსა და აზერბაიჯანის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია ამ ქვეყნების კონკურენტული უპირატესობაა და იძლევა ტრანსპორტის სფეროში მათი თანამშრომლობის შესაძლებლობას. ორივე ქვეყანა ბუნებრივ სატრანსპორტო დერეფანს წარმოადგენს და ამიტომ ისინი, უპირველესად, სატრანზიტო ფუნქციას ასრულებენ. საქართველოსა და აზერბაიჯანზე გადის უმოკლესი სატრანზიტო გზა ნედლეულის, საქონლის, ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის აღმოსავლეთიდან დასავლეთისა და სამხრეთიდან ჩრდილოეთის და პირიქით – დასავლეთიდან აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში ისეთ მნიშვნელოვან რეგიონულ პროექტებთანაა დაკავშირებული, როგორებიცაა: ბაქო-თბილისი-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენები, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტი TRACECA და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი.

ბაქო-თბილისი-ჯეიპანის პროექტი ერთ-ერთი ყველაზე ამბიციური და ძირიდიდირებული პროექტია. ამ ნავთობსადენის მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია. მისი მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პრობლემებს, რის შედეგად პროექტის საწყისი დირებულება 2,95 მლრდ აშშ დოლარიდან 4,3 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო საბანკო კრედიტების პროცენტების გათვალისწინებით მან 5 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ბაქო-თბილისი-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენების, ბაქო-თბილისი-ერზერუმის და ნაბუკო-ს გაზსადენების, დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის

(TRACECA-ს) და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტებმა მთლიანად შეცვალეს გეოპოლიტიკური სიტუაცია კავკასიის რეგიონში. აზერბაიჯანმა საქართველოსა და თურქეთთან ერთად მსოფლიოს უჩვენებელი ეფექტიანი რეგიონული თანამშრომლობის მაგალითი ევროპის ერთიანი ინტეგრირებული ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების ფარგლებში. უმსხვილესი ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტების განხორციელება შესაძლებელი გახდა სამივე ქვეყნის ძალისხმევითა და აშშ-ის თანადგომით, მსოფლიოს წამყვანი ფინანსური სტრუქტურების ფინანსური მხარდაჭერით.

საქართველოსა და აზერბაიჯანს უნიკალური ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ამასთან, ამ ქვეყნების ტურისტული ინდუსტრიის განვითრებას დიდი აბრეშუმის გზის აღდგენის პროექტი უწყობს ხელს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანსა და საქართველოში ტურიზმი განვითარებადი სექტორია და ტურისტული ინდუსტრიის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე უმნიშვნელოა. იგი მთავრობის მიერ ეკონომიკის მოცემული სფეროს განვითარებაში შეტანილი წვლილის ადეკვატურია, რომელიც ფინანსდება ნარჩენის პრინციპით, ისევე როგორც სოციალური სფეროს დანარჩენი სექტორები. ტურისტული ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობამ, მომსახურების დაბალმა ხარისხმა, ტრანსპარაციაზე, როგორც მაღალი რისკის მქონე რეგიონზე ურყევმა წარმოდგენამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კავკასიის რეგიონს მსოფლიო ტურისტების 1%-ზე ნაკლები სტუმრობს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ტურიზმის სფეროების მიმზიდველობასა და განვითარების დონეზე წარმოდგენას იძლევა მოგზაურობებისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის რეიტინგი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებულ რეიტინგში საქართველოს 130 ქვეყანას შორის 72-ე ადგილი უკავია (3,83 ქულა), ხოლო აზერბაიჯანს – 79-ე (3,72 ქულა). საქართველოსა და აზერბაიჯანს ყველაზე ცუდი შეფასება აქვთ ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით. ამ ფაქტორით საქართველოს 116-ე ადგილი უკავია (2,22 ქულა), აზერბაიჯანს – 110-ე (2,31 ქულა). საქართველოს ცუდი მდგომარეობა აქვს, აგრეთვე, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის (105-ე ადგილი), ტურისტული ინფრასტრუქტურის (90-ე ადგილი), საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის (90-ე ადგილი), ფასების კონკურენტუნარიანობის (78-ე ადგილი) ფაქტორებში. აზერბაიჯანს კი გარემოს მარეგულირებელი წესების (101-ე ადგილი), მოგზაურობისა და ტურიზმის

პრიორიტეტულობის (101-ე ადგილი), კულტურული რესურსების (99-ე ადგილი) მხრივ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ტურიზმის სფეროს პრიორიტეტულობის აღიარების მიუხედავად, ამ ფაქტორს მხოლოდ 72-ე ადგილი უკავია. ამიტომ ეს გარემოება სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე ზემოქმედებს მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციები. როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენციაა გლობალიზაცია, რომელიც აყალიბებს თანამედროვე მსოფლიო წესრიგს და განსაზღვრავს ეროვნული მეურნეობების “თამაშის წესებს”. გლობალიზაციის გავლენით იზრდება ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულება და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის დონე.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია დაედო საფუძვლად შრომის ახალ საერთაშორისო დანაწილებას, რომელიც წარმოიშვა მომსახურებაზე საქონლის გაცვლის მნიშვნელობის ამაღლების შედეგად. ურთიერთდამოკიდებულების კონცეფცია, აგრეთვე, მრავალი განვითარებული ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დოქტრინების საფუძველია.

ინტერაციონალიზაციის პროცესების განვითარებას ხელს უწყობს: შრომის საერთაშორისო დანაწილება მისი ორგანიზაციული ფორმების – სპეციალიზაციისა და კოოპერირების გადრმავების საფუძველზე, გლობალური მსოფლიო ბაზრის ფორმირება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებული ტემპი კავშირგაბმულობასა და სატრანსპორტო საშუალებებში, მრეწველობასთან შედარებით საერთაშორისო ვაჭრობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის წინმსწრები ტემპები.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეალური ინტერნაციონალიზაცია მხოლოდ რეგიონული ინტეგრაციის ჩარჩოშია შესაძლებელი. ამის გამო ყალიბდება მსხვილი რეგიონული ინტეგრაციული სტრუქტურები, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის დამოუკიდებელი ცენტრების სახით ვითარდებიან. ეკონომიკურ რეგიონალიზმს ახასიათებს პროტექციონისტური ნიშნები. მიუხედავად ამისა, იგი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარების ნეგატიურ ფაქტორად არაა მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში იმ მომენტამდე, სანამ მისი მონაწილე ქვეყნები მესამე ქვეყნებს ნაკლებად ხელსაყრელ სავაჭრო პირობებს არ შეუქმნიან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო და აზერბაიჯანი აქტიურად ჩაერთვნენ ინტეგრაციულ პროცესებში. ორივე ქვეყანა გახდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის – დსთ-ის (2008 წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის შესახებ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (შზეთ - BSEC) და სუჟამის (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა) – ამჟამად სუჟამის (უზბეკეთი გავიდა ამ გაერთიანების შემადგენლობიდან) წევრი. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები გარკვეულწილად ამ ინტეგრაციული დაჯგუფებების ჩარჩოებში განხორციელებულ თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ სუჟამ-ის ოთხივე ქვეყანა არის BSEC-ის მონაწილე და, შესაბამისად, მათი თანამშრომლობის მთელი რიგი ასპექტები ამ გაერთიანების ჩარჩოებში დუბლირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, რამდენიმე ორგანიზაციის წევრობა არაეფექტური მიგვაჩნია, რადგან ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე მიზნების მისაღწევად და ამოცანების გადასაჭრელად მეტი რესურსი იხარჯება.

BSEC-ისა და სუჟამ-ის რეგიონული დაჯგუფებების ჩარჩოში თანამშრომლობის გარდა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები უშუალოდ ამ რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციის შესაძლებლობების ჭრილში უნდა განვიხილოთ ანუ კავკასიის სუბიექტების მომავალი, მათი მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ზრდა, ინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. ამასთან, კავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარების საკითხი სერიოზულ გააზრებასა და ანალიზს საჭიროებს.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ცხოვრობის დონის გაუმჯობესებისა და რესურსების გამოყენების ინტენსივობის შემცირების საშუალებას იძლევა და მასში ეკოლოგიური და ეკონომიკური სისტემების ერთდროული მდგრადობა იგულისხმება. მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტა: ეკონომიკური ზრდა; გარემოს დაცვა და სოციალური სამართლიანობის მიღწევა.

მიგვაჩნია, რომ კავკასიის რეგიონული ინტეგრაცია კლასტერული მიდგომის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რადგან სწორედ იგი იძლევა რესურსების გაერთიანების საფუძველზე მაქსიმალური ეფექტურიანობის მიღწევის შესაძლებლობას. საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური

თანამშრომლობის არსებული დონისა და სფეროებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კატეგორიის კლასტერები:

1. “ძლიერი კლასტერები”, რომელთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ნავთობისა და გაზის მოპოვება-წარმოება, ენერგეტიკა და ტრანსპორტი;
2. “მდგრადი კლასტერები”, რომელთაც უნდა მივაკუთვნოთ ქიმიური მრეწველობა, მშენებლობა, აგროსამრეწველო კომპლექსი, მსუბუქი და კვების მრეწველობა, ტურიზმი;
3. “პოტენციური კლასტერები”, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია, ჯანდაცვა, განათლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ბიზნესის მომსახურება.

სხვადასხვა დარგსა და სფეროში კლასტერების შექმნის შესაძლებლობების მიუხედავად, ჩვენი აზრით, უპირველესად, უნდა გამოვყოთ ის ბირთვი, რომელსაც ყველა კლასტერი დაეფუძნება. ასეთ ბირთვად უნდა განვიხილოთ ინოვაციური კლასტერი. ამჟამად საქართველოსა და აზერბაიჯანში ინოვაციები განვითარების დაბალი დონით ხასიათდება, ამიტომ ორივე ქვეყნის მთავრობები კომპლექსურად უნდა მიუდგნენ მათი განვითარების საკითხს. უნდა შემუშავდეს ინოვაციების განვითარებისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის ეროვნული და სახელმწიფოთაშორისი პროგრამები, ერთიანი სამეცნიერო სივრცე, აგრეთვე ინოვაციების მართვის ერთიანი სისტემა.

ამჟამად სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური სივრცის ფორმირებასთან ერთად, ყალიბდება ახალი სამხედრო-ეკონომიკური ალიანსი საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის შემადგენლობით. ამ სამი ქვეყნის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი დეკლარაციით – რეგიონული თანამშრომლობის ერთობლივი ხედვის შესახებ, საფუძველი ჩაეყარა სამი ქვეყნის თანამშრომლობის ახალ ეტაპს, რომელიც ეფუძნება ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში რეალიზებულ და რეალიზაციის სტადიაში მყოფ პროექტებს.

კავკასიის რეგიონში ინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და დაჩქარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს აშშ, რომელიც ამ რეგიონის ქვეყნებისათვის სხვადასხვა სახის ფონდებსა და გრანტებს გამოყოფს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მიერ გამოყოფილია გრანტები, რომელთა მიზანია გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, კერძო სექტორის განვითარება, ფინანსური სექტორის გაძლიერება, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება და ექსპორტის წილის ზრდა, ეკონომიკური პოლიტიკისა და მმართველობის გაუმჯობესება, სხვადასხვა პროგრამები

ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კომუნიკაციების და სხვა სფეროებში. შესაბამისად, აშშ-ს შეუძლია სერიოზული გავლენა მოახდინოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე, ხელი შეუწყოს ეთნოკონფლიქტების მოგვარებას და დააჩქაროს რეგიონული ინტეგრაციული პროცესები.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების გავითვალისწინებო, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგიონული ინტეგრაცია ობიექტურად აუცილებელი და გარდაუგალი პროცესია, ამიტომ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მდგრადი განვითარების პერსპექტივა მხოლოდ ამ კონტექსტში უნდა წარმოვიდგინოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005
2. ალადაშვილი ბ.. სუამი. ეკონომიკური ინტეგრაციის გამოცდილება: პრობლემები და პერსპექტივები. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 71-77
3. ალადაშვილი გ., ჭიპაშვილი მ.. ინსტიტუციური და სტრუქტურული ინტეგრაციის წინაპირობები და პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 88-93
4. ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში. თბ. 2002
5. ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ., რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ. თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2002
6. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმინტია, პ. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, თბ. 2008, 205 გვ.
7. ბარათაშვილი ე., ციმინტია პ., ზარანდია ჯ. რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება (თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა). ჟურნალი „ეკონომიკა“, 2006, №11-12;
8. ბარათაშვილი ე., ციმინტია პ., ზარანდია ჯ. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რეგიონული თავისებურებები. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №1-2;
9. ბარათაშვილი ე., ციმინტია პ., ზარანდია ჯ. ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №5-6
10. ბარათაშვილი ე., ციმინტია პ., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ჟურნალი „ეკონომიკა“, 2007, №7-9
11. ბარათაშვილი ე., ციმინტია პ., ზარანდია ჯ. საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“, 2008, №1
12. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., ციმინტია პ., აბრალავა თ. რეგიონული სტრატეგიები – ქვეყნის განვითარების საწინდარი. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008, №3

13. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ., ზარანდია ჯ., ციმინტია პ. ქლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008, №9 და №10
14. ბარათაშვილი ე., დანელია თ., ზარანდია ჯ. რეგიონის რესურსული პოტენციალი და მისი გამოყენების ეფექტიანობა საბაზო ეკონომიკის პირობებში. თბილისი, 2000
15. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, თბ., 2007, 630 გვ.
16. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეზე, თბ., .2006, 208 გვ.
17. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001
18. ბერუხაშვილი თ. ქართული ექსპორტის პერსპექტივები გაფართოებული ევროკავშირის ბაზარზე. ჟ. “საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები”. 2004 წ. №3
19. გაგნიძე ი. კონკურენტუნარიანობის მიღწევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები გარდამავალ ქვეყნებში. საერთაშორისო კონფერენცია “გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები”. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 49-53
20. გაგნიძე ი. კლასტერების როლი კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციაში. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008, გვ. 85-88
21. გოგოხია რ. შერეული ეკონომიკის ზოგიერთი თეორიული ასპექტი. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი., თსუ, 1999
22. გოგოხია რ. გლობალიზაციის ზოგიერთი პრობლემა, ეკონომისტთა IV რესპუბლიკური კონფერენციის კრებული, თბ., 2001
23. გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბ. 2005.
24. გრიშიკაშვილი ა. გზა ევროკავშირისაკენ. თბ. 2003

25. თავართქილაძე გ. ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური სტრატეგია. საერთაშორისო კონფერენცია “ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში”. სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი”, 2008, გვ. 15-19
